

კვირის პალიტრა

გზა

17(88) 14/11.-20/11.2002. ფასი 60 თ.



ნანა ფარუაშვილის ბეთოდი:
გაეროვანი კოსტუმები ავტონისპექტორებს



თვალს მოვლა სჭირდება!
როგორ ავიცილოთ პრობლემები



გორია და
შორენა
ცეკვით
აპერიკაში
ორი
თვითგზრინაში
იყიდას



თათია ვიტრეობიანი:

**„...შემთხვევით გავიცანი ახალგაზრდა,
რომელიც ჯოჯო ბუბის ქმისშვილი
აღმოჩნდა. ალბათ ამაში განსაკუთრებული
არაფერი იქნებოდა, რომ არა მართალი
მამაკაცისთვის დამახასიათებელი ის
სიურპრიზი, რომელიც მან მომიწყო...“**

გვ.18

ვინაიტირები

წა-იმუშავეთ, წა-იბინეთ
და წა-ლით! 3

პერსონა

ვახტანგ ბოჭორიშვილი:
„გადაწყვეტილებებს მხოლოდ
მკვლრები და გიჟები
არ ცვლიან...“ 4

თვალსაზრისი

„მაქვს უფლება ბავერკვე,
საღ ვისვროვო...“ 6

პროფესიონალი

ეკუპლარული „ღვინილი“ ტექვები 8

ქალი საქსთან

საბგარ კოლიციელებსთვის
გაგზავნილი კონსა
ნანა ფარუაშვილს
კონსენთვე უბრუნდება... 11

კრიმინალი

- ამოყირავებულ მიკროავტობუსს
ერთ-ერთი მგზავრი ემსხვერპლა 14
- ახალგაზრდა მამაკაცს
ნათესავის ბაუპატიურების
მსღელობისთვის ასამართლება 15
- ცოლ-შვილის შებინება
27 წლის ახალგაზრდას
მკვლელობა ჩაადენინა 16

ავტობი

ოქროს მელლებითა და მაიკლ
ბუშის სიურპრიზით დაწყებული
მომღერლის კარიერა 18

პრობლემა

ბიონენერგეტიკა, რომელის
თვალეებიდან მოღის 20

კოლორიტი

კამერასთან ღვას სვილო -
ყველაზე კოლორიტული
ტელეოპერატორი 23

ანტიდეკანსენტი

ინფორმაციულ-შეგნენებითი
კოლაჟი გონა ღვალის
უბის წიგნაკიდან 26

უუხსოვალი

ქალისა და გველის იღუბალი
სიყვარულის აგბავი 26

კვლი

„მე რომ მკითხოთ,
სიკვდილი არაუფერია...“ 29

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 31

**„გადაწყვეტილებებს მხოლოდ
მკვლრები და გიჟები არ ცვლიან...“**



ეს იყო სამასხარაო გრიუკებ-
ის კასკადი. მე იმას კი არ ვამბობ,
რომ ბუჩუკური ანგელოზია-მეთ-
ქი... რა უნდოდა პოლიტიკოსთა
უმეგესობას ხელისუფლებაში?! არ
შეიძლება მოხვიდე ხელისუფლე-
ბასა და პარლამენტში გიგრან გუ-
ლოიანის მორალით და მერე მარ-
თო რუსთაველის მორალით...

4

**კოლიციელებისთვის გაგზავნილი კონსა
ნანა ფარუაშვილს კონსენთვე უბრუნდება...**

ერთი მანქანა ისე „ჩამიხტა“ წინ,
რომ კინაღამ დავეჯახეთ. რაღაც
ჩავიბუგბუგე მძღოლის მისამარ-
თით. ჩემი სიგეუების შინაარსი მუს-
გად ვაშიფრა და გამომეკიდა, გზა
გადამიჭრა, მანქანიდან ვადმოხტა.
ცული არაუფერი მითქვამს-მეთქი...
არა, კარგად გავიგე, რაც თქვითო, -
ღაიქინა.



11

**ცოლ-შვილის შებინება 27 წლის
ახალგაზრდას მკვლელობა ჩაადენინა**



გვიად გოგიაშვილი, შელაპარ-
აკებისას, სასურსათო მაღაზიაში
ვაფლის გამო აგეხილი ჩხუბის შედ-
ეგად მოკლეს. დაღუპულის ახ-
ლობლების თქმით, მკვლელი მათ-
ივე მეზობელი, 1973 წელს დაბადე-
ბული კობა ხარიბეგაშვილია.

16

**ქალისა და გველის იღუბალი
სიყვარულის აგბავი**

გველი ამომაცოცდა მკლავემ,
გაძერა რგოლში და თმაში გაიხ-
ლართა - ველარ გამოერკვია, თავი
წამოსწია და გაშმაგებული იყუ-
რებოდა დარბაზისკენ. დარბაზი
გაირინდა. რა თქმა უნდა, დამხ-
მარეს ვუხმე სცენაზე, მან უხეშად
დაქაჩა კულში, „მარფა იგორუშ-
კა“ სულ მთლად გადაირია.



26

სამყარო

შოკოლადი — ღმერთების საკვები 32

ტრადიციები

კურული ანუ კორილა ქართულად 34

ტანტი

ერთბული გვითხვები 36

იუმორისა

ჩაშლილი პაემანი 37

ფაქრიტა

განუგებორობელი და მფუთვინიერებელი „რომარიო-დე-ქანეირო“ 38

მოგზაური

გასრულებული იმელები მანკებენზე... ბინების თანსლებით 42

რომანი

ნუგო ბაგელი. ელა (ბაგრძელება) 45

პარსკლავი

ნატაშა ჰენსტრიქი: „ლაშინანაში კარგად ვერკვები, მაგრამ საკუთარ თავს ვერაუბრი ბავშვზე...“ 48

ავტო

50

აქტუარი-ჩიითური

52,53

ჯანმრთელობა

- რჩევები 54
- პროფილაქტიკა — მკურნალობა 55
- ღმირსახლისის კუთხე 56
- კითხვა-პასუხი 57

განსჯელი

გულების მბრძანებელი 58

სანოვარი

61

ჰოროსკოპი

კვირის (18-24 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 62


ტანტი

როგორი თვითშეფასების უნარი გაქვთ? 63

კალიფოსკოპი

ჩრდილ-ჩრდილი ამბები 64

ბიომეგობიკა, როგორც თვალსაზრისი




დაუშვებელია სათვისლის გარეშე უყურით ამომავალ მზეს ან თოვლში არეკლილ სხივებს. საშიშია მთაში მიღებული დასხივებაც. ნებისმიერმა ძლიერმა ნათებას შეიძლება გამოიწვიოს თვალის ფსკერის შედაპირული დაზიანება.

20

განსჯელი იმელები მანკებენზე... ბინების თანსლებით

ვუთხარი, ქართველი ვარ-მეთქი, ვერაფერი გაიგო. თავისას „უბრადა“ მამბლუს და ბუდუს თავები ჩაეღუნათ და დასჯილებივით იდგნენ — თურმე, განგებსაც ეკარგებოდათ ფერი! ... ვახო ჩუმაღ ალაგებდა ნომერში ნიგერიელების მიერ მიმოფანტულ ნივთებს. ბოლოს, ვედარ მოითმინა და ახარხარდა.



42

ლაშინანაში კარგად ვერკვები, მაგრამ საკუთარ თავს ვერაუბრი ბავშვზე...



ნატაშამ და ლიამმა ერთმანეთი პაემანზე გაიცივნეს, მაგრამ ჰენსტრიქს პაემანი ლიამთან კი არა, მის მეგობართან ჰქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ნატაშამ თავის კავალერს დაურეკა და წამოიძახა: „ეს კაცსგროფაა! მე შენი მეგობარი შემიყვარდა! მის გარდა, ვეღარაფერზე ვფიქრობ“.

48

ეკოა

შავო დედიშობილა ბოლთას სცემდა ოთახში. შემდეგ მკვეთრად მოგრიალდა, ელას ეცა, ნიკაპში ხელი მოჰკიდა, თავი ააწვეინა და კბილებში გამოსცრა: — რაგომ ჰქენი ეს?!



45

გარეკანზე: ბიორგი ურთქოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით გაცემთ „კვირის კალიტრის“ დამატებას. ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნა-იმუშავეთ, ნა-იძინეთ და ნა-ღიო!



როგორც ცნობილია, ყველა პროფესიას, საქმიანობის ყველა სფეროს, თავისი სპეციფიკური ტერმინოლოგია აქვს, ტექნიკური იქნება ეს დარგი, საბუნებისმეტყველო, ეკონომიკურ-ფინანსური თუ ჰუმანიტარული. ცხადია, სპეციფიკაში ის იგულისხმება, რომ იქ გამოყენებული ტერმინები თუ ცნებები, შესაძლოა, არც იყოს გასაგები ჩვეულებრივი მოკვდავისათვის და ეს სულაც არ არის ქვეყნის დაქვევა. თუ მაინცდამაინც დაინტერესდება კაცი, არსებობს ე.წ. ტერმინოლოგიური, ან ფრაზეოლოგიური, ან სხვა, - რაღაც ამდაგვარი ლექსიკონები და იქიდან შეგიძლია გაიგო, რომ, მაგალითად, „ემისია“ ფიზიკაში სულ სხვა რამეა (ელექტრონების ამოფრქვევას ნიშნავს), ვიდრე ეკონომიკაში, სადაც მთავრობის მიერ ხალხის მორიგი გაბითურების მნიშვნელობას იძენს, - ქაღალდად ქცეული ფულის უაზრო რაოდენობით ბეჭდვით...

ან თუნდაც სიტყვა „დაბალანსება“: საბუღალტრო ტერმინოლოგიით, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, რასაც ცხოვრებაში „ანგარიშის დაყენებას“ ვეძახით, ე.ი. მასში ცუდი არაფერი უნდა იყოს, პირიქით - რაღაცის მოწესრიგებას და ნორმაში მოყვანას გულისხმობს, მაგრამ პოლიტიკაში თურმე სულ სხვა მნიშვნელობას იძენს - ჩვენი ქვეყნის უკვდავი პრეზიდენტის მიერ გამო-

მუშავებული და მის მიერვე „დაბალანსების პოლიტიკად“ მონათლული მოქმედების მიხედვით, ეს ნიშნავს: აფხაზებისთვის, მათგან ერთი ყბის მომტრევის შერე, მეორე ყბის მიშვერას (და არა მარტო ყბის); სამაჩაბლოს პრობლემის „სეერთოდ“ დავიწყებთ; აჭარაში იქაურ ლიდერთან მოსალაპარაკებლად, საგარეო საქმეთა მინისტრის გაშვებას (თითქოს ე.წ. „შორეულ საზღვარგარეთში“ მიდიოდეს); მეწარმეებისთვის, ორი დღით გადასახადის დაგვიანების გამო, იდიოტური ჯარიმების შეწერას და ამ ფულით პენსიონერების შარშანწინდელი ვალის გასტუმრებას (თუმცა, თვითონ სახელმწიფო რატომღაც არ იხდის ჯარიმას ამ პენსიების დაგვიანებისთვის) და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი ჯანდაბას, - „ემისიაც“ და „დაბალანსებაც“, ისეთი სიტყვებია, რომ მის გარეშეც გაძლებს კაცი და ყოველდღიურ ურთიერთობებშიც არცთუ ისე ხშირად ვიყენებთ, მაგრამ ისეთებიც არსებობს, რომელიც ჩვენ სხვა რამ გვგონია და სინამდვილეში, გაცნობილი უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა!

აი, მაგალითად, სიტყვა „მუშაობა“. დალოცვილ ქართულ ენას იმხელა შესაძლებლობები აქვს, რომ უბრალო სიტყვის „გამნიშვნელოვანებაც“ შეუძლია და ერთი შეხედვით, „კარგი“ და „დადებითი“ ტერმინის გაბიაბრუებაც. იგივე სიტყვა „კარ-

გი“, ხომ კარგია და კარგი, მაგრამ თუ ვიტყვი: „მოკარგო“ ან „კარვის მაგვარი“, უკვე რაღაც ირონიას იწვევს...

ჰო, ისევ „მუშაობას“ დავუბრუნდეთ: მუშაობას რა სჯობს, თუკი თავიანდ მუშაობს - კაცი იქნება თუ პარლამენტი, საქმეც გაკეთდება, მაგრამ აქამდე ვფიქრობდი, რომ ქართული ენის ნიუანსებს, ასე თუ ისე, ვიცნობდი და „წამუშავება“ სწორედაც „მუშაობის“ საწინააღმდეგო რამედ, „მოჩვენებით მუშაობად“, „მუშაობის შთაბეჭდილების შექმნად“, ერთი სიტყვით - იმისთვის თვა-



ლის ახვევად მიმაჩნდა, ვისაც ამ მუშაობის კონტროლის უფლება აქვს. ე.ი. თუ ამას პარლამენტის საქმიანობაზე „გადავამღერებთ“, რომელიც წესით, ამომრჩევლის წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი, გამოვა, რომ ისინი თუ არ მუშაობენ, არამედ „წამუშავებენ ხოლმე“, ხალხს კიდევ ერთხელ ატყუებენ!

არადა, ორი დღეა, პარლამენტის სხდომებს ვუყურებ და თურმე რა პოპულარული ყოფილა ეს სიტყვა:

- წავიმუშაოთ ამ

საკითხზე!

- დაევალოს შესაბამის კომიტეტს ამ პრობლემაზე წამუშავება!


- ხვალ კიდევ შევიკრიბოთ და წავიმუშაოთ! და ა.შ. ... გაუთავებლად ისმოდა თავმჯდომარისა თუ გამომსვლელთა ტრიბუნებიდან. ჰოდა, როგორც „წამუშავებს“, ისეთივე ქვეყანა ააშენეს: „მო-დემოკრატიული“, „მო-დამოუკიდებლო“, „მო-ღირსეულო“ და ბოლოს და ბოლოს - „მო-დებილო“!

P.S. ამ „წამუშავების პოლიტიკის“ პიკი ერთ-ერთი პარლამენტარის „გენიალური“ ფრაზა იყო ოთხშაბათის სხდომაზე: „კი, ბატონო, ვიყო დღეს გვიანობამდე, დღეს ცოტა წავიძინოთ (!) და ხვალ ისევ წავიმუშაოთ, ოღონდ წავიმუშაოთ სერიოზულად (!!!)“

ასეა, „წამუშავება“ თუ შეიძლება „სერიოზულად“, ესენი მართლა რომ მუშაობდნენ, მაშინ გენახათ ამათი სერიოზულობა!

P.P.S. რახან ამ „წა“-ზე ამდენი ვილაპარაკე, ბარემ ერთ ლოზუნგსაც „გეტყორცნით“, „მღიერთა ამა ქვეყნისათა“ გასაგები ტერმინოლოგიით:

„წა-იმუშავეთ, წა-იძინეთ და წა-ღიო, რა თქვენს პარლამენტში“



პასტანა ბოჭორიშვილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პარლამენტარია. ჩვენი ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა პრობლემაზე მის მიერ გამოთქმული აზრი საზოგადოების შეუნწყლებელ ინტერესს იწვევს და მასმედიაც ხშირად მიმართავს ბატონ ვახტანგს. 78 წელს მიტანებული პოლიტიკოსიც დაუღალავად გვიზიარებს თავის შეხედულებებს და ყოველი გამოხვედრით, სულ უფრო მეტ მხარდამჭერს იძენს.



პასტანა ბოჭორიშვილი:

„გადაწყვეტილებას მხოლოდ მკვდრები და ბიჭები არ სვლიან...“

ლელა ჭანკობაძე

მინი-ღოსია:

დაიბადა 1924 წლის 25 მარტს ლავოდეხის რაიონის სოფელ ვიორგეთში. 1938-1940 წლებში იყო თბილისის დრამატული თეატრის მსახიობი, 1940-1942 წლებში სწავლობდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. მუშაობდა თელავის თეატრის ტექნიკურ რეჟისორად. 1951 წელს დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარიულ-ჰიგიენური ფაკულტეტი. მსახურობდა სამხედრო ექიმად, სამხედრო-საზღვაო პოსპიტალში, ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში, შემდეგ მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგედ. 1970-73 წლებში იყო საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრი. გამოქვეყნებული აქვს 230 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფია. არის საქართველოს ინფექციონისტთა საზოგადოების თავმჯდომარე, უფროსი „სამედიცინო მოამბის“ რედაქტორის მოადგილე, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ჰყავს ორი ქალიშვილი. მისი ჰობია პოეზია და პროზა. სულ მალე გამოვა ბატონი ვახტანგის პოეზიის კრებული, რომელშიც მისი ოცდაექვსი ლექსი იქნება შესული. ამ კრებულს ავტორი ყველას უსახსოვრებს, ვინც კი მასთან ასეთი სურვილით მივა...

— ბატონო ვახტანგ, რატომ გადანწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა სამოცი წლის ასაკში და ახლა თუ მკვრივიათ, რომ ეს ნაბიჯი გაა-

როლებული იყო?

— მე პოლიტიკაში ორჯერ მოვედი. პირველად ეს მოხდა, როცა გახლდით 18 წლის. იმ სამეულის აქტიური წევრი ვიყავი, რომელიც მონაწილეობდა დიდებული ქართული იატაკქვეშა ორგანიზაციის „სამანის“ მუშაობაში. მაშინ მე მხოლოდ ფოსტალიონის როლს ვასრულებდი. შემდეგ წავედი სასწავლებლად. ჩვენი ბიჭებიდან, შეიდი კაცი დახვრიტეს... ჩამოვშორდი პოლიტიკას. დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი. მაშინ ვფიქრობდი, რომ საბჭოთა კავშირს ვერაფერი დაანგრევდა. როცა დაიწყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, ძალიან მიხაროდა — მხოლოდ მიხაროდა, რადგან თავს მოხუცებულად ვთვლიდი. სამოც წელს ვიყავი მიღწეული. მაგრამ როდესაც იარაღს მოჰკიდა კიტოვანმა ხელი, მივხვდი, რომ ჩემი ადგილი დემონსტრანტებს შორის იყო. იმის შემდეგ, არც ერთი მიტინგი, რომელსაც ბატონი ზვიად გამსახურდია ატარებდა, არ გამიცდენია. მგონია, რომ შევქელი, ჩემი ცოდნა სხვებისთვის გამეზიარებინა, ჩემი სათქმელი მეთქვა.

— ყველაფერს, რაც არ ემატია ზვიად გამსახურდიას, ჰპატიობენ ედუარდ შევარდნაძეს. რატომ მოხდა ასე?

— ხომ იცით, რომ ძალა აღმართს ხნავს. ზვიადს ძალა არ ჰქონდა, შევარდნაძეს კი, ძალა აქვს, უპირველეს ყოვლისა — ფინანსური. ამიტომ ჩანს, რომ თითქოს ეპატია, თორემ ვინ აპატია? მე ვაპატე? — არა. ზვიად ძიძიგურმა აპატია? — არა...

— მაგრამ ჩვენი პარლამენტი არ აყენებს პრეზიდენტის იმპიჩმენტს საკითხს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი დეპუტატები მხოლოდ პოპულიზმის გამო ტყვენ ხოლმე ზოგჯერ აუიოტაქს, თორემ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არაფერ იღებს. რატომ?

— პარლამენტი არ არის ისეთი, როგორც საჭიროა რომ იყოს, მაგრამ არც ისეთია, უწინ რომ იყო, — მაშინ, როცა შევარდნაძეს ჰქონდა აბსოლუტური უმრავლესობა. ახლა დეპუტატები ვცდილობთ გავერთიანდეთ კონკრეტული საკითხების — და არა პიროვნებების გარშემო და ზოგჯერ ვაღწევთ კიდეც ამას. პატარა იმედი, რომ ჩვენ წინააღმდეგობის გაწევას და ჩვენი აზრის გატანას შევძლებთ, მაინც არსებობს. ხომ მივიღეთ, თითქმის ერთხმად, რუსეთის ჯარის გაყვანის საკითხი?! ნახევარი წლის წინ ეს წარმოუდგენელი იყო... მერე: შევარდნაძემ შემოიტანა კანონი მთავრობის რეკონსტრუქციის შესახებ, ჩვენ კი ჩავაგდეთ... სხვა გზა შევარდნაძის ჩაგდებასა, გარდა კონსტიტუციურისა, არ არსებობს, რადგან ეს სხვა გზა იქნება სამოქალაქო ომი, უფრო სწორად კი — რუსეთის ომი ჩვენს წინააღმდეგ. ერთადერთი გზა არის გაუყალბებელი არჩევნების ჩატარება, რაც ძნელი იქნება. ჩვენ ვუზრუნველყოფთ მხოლოდ მისაღებ კანონს, მაგრამ ოქროს კანონიც რომ მისცე ჩვენს ხელისუფლებას, მეორე დღესვე ის ნაგვად გადაიქცევა...

— როგორ შეაფასებთ ბოლო მთავრობის სხდომას? მართლა დაინცი ბრძოლა უპატიოსნო ჩინოსნების წინააღმდეგ?

— ეს იყო სამასხარაო ტრიუკების კასკადი. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ბუჩუკური ანგელოზია-მეთქი, მაგრამ პირველ რიგში, მისახედია კონტრაბანდასთან მებრძოლი ორგანიზაციების მუშაობა, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების უუნარობა და კორუპციონერული მოხვედრე ხელისუფლებაში?! არ შეიძლება მოხვიდე ხელისუფლებასა და პარლამენტში ტიგრან გულიანიანის მორალით და მერე მართო რუსთაველის მორალით...

— ეი. პრობლემებთან შეჭიდება ხელისუფლებას ხელს არ აძლევს?

— რა თქმა უნდა! მტრის ხატის შექმნა აუცილებელია, რადგან თუ კონფლიქტები და მტრის ხატი არ იქნება, ჩვენი ხელისუფლება ვერც იარსებებს. გასსოვთ, რას ამბობდა არჩევნების წინ პრეზიდენტი აღორძინების ბლოკზე?! — მოდის შავი დესტრუქციული ძალაო. ახლა ამ „შავ ძალას“ დაავალა მოლაპარაკებები რუსეთთან. ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში თავისი ყოფნის პერიოდი. თუკი

მოსკოვში გამოვიდა რაიმე სასიკეთო, მაშინვე შეუშლიან ხელს ბატონ ასლანს... თავის დროზე ჩერჩილმა თქვა: პოლიტიკაში არ არსებობს არავითარი მეგობრობა - არსებობს მხოლოდ ინტერესების თანხვედრა...

— თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა ასლან აბაშიძე სერიოზული შედეგების მიღწევას აფხაზეთის პრობლემის გადამწყვეტის საქმეში?

— აქ ისეთი ნიუანსებია, რომელზეც მე არ შემიძლია საუბარი. იმას კი ვიტყვი, რომ ბატონი ასლანი პრაგმატული პოლიტიკოსია. მე მისი გუნდის წევრი ვარ და უნდა ვითხრათ, რომ ალბათ, მას უფრო მეტად სჯერა რუსეთის, ვიდრე მე. მე რუსული ადმინისტრაციის და რუსული ხელისუფლების არაფერი მწამს. როგორც ჩემს ხუთ თითს, ისე ვიცნობ რუს ხალხს. რუსები საკმაოდ გულუბრყვილოები და კეთილები არიან, მაგრამ უკანასკნელი ოთხასი წლის განმავლობაში, მათი სახელმწიფო პოლიტიკა ყოველთვის იყო თანმიმდევრულად აგრესიული. ასეთი რამ მახსენდება ხშირად: მეუღლე რუსი მყავდა, მაგრამ ის გახლდათ ქართული ენისა და ტრადიციების მოყვარული. მე არ ველაპარაკებოდი ბავშვებს რუსულად. ჩემმა ერთმა რუსმა მეგობარმა მკითხა: ვახტანგ, რატომ ტანჯავ ამ ბავშვებს?! დავფიქრდი. მინდოდა მისთვის როგორღაც გამეგებინებინა, თუ რას ნიშნავდა ჩვენთვის მშობლიური ენის ცოდნა. ვკითხე: კოლია, შენ რომ გერმანიაში მსახურობდე, მინდომებდი, შენს შვილს გერმანულად რომ ესაუბრა-მეთქი?... უმალ მიპასუხა: ეს ხომ სულ სხვა საქმეაო!.. მესმის, რომ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ მთლიანად მათი ნდობა დაუშვებელია.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ სამშვიდობო ძალების გაყვანის მომხრე იყავით. პრეზიდენტიც იგივე აზრის იყო, მაგრამ შეიცვალა პოზიცია. შეიძლება, რომ თქვენც შეიცვალოთ პოზიცია?

— გადაწყვეტილებებს მხოლოდ მკვდრები და გიჟები არ ცვლიან. მე თუ დავინახავ, რომ უარესი მოხდება სამშვიდობო ძალების გაყვანით, პოზიციას შევიცვლი. პრეზიდენტთან დიდხანს ვისაუბრე ამ თემაზე და ვუთხარი: სანამ არ დასრულდება ბატონი ასლანის მოლაპარაკებები მოსკოვში, მანამდე, საგანგებო ღია სხდომის მოწვევით, შეიძლება მას ხელი შეეშალოს-მეთქი:

მოგესვენებათ, ყველას თავისი აზრი აქვს, სხდომაზე პოლემიკა გაიმართება და ამან შესაძლებელია, ვიზიტის შედეგებზე ცუდად იმოქმედოს.

— საინტერესოა თქვენი შეხედულება პოლიტიკურ ძალთა დღევანდელ ბალანსზე. მხედველობაში მაქვს ის, რაც ბოლო დროს პარტიებში ხდება: პარტიებმა ერთმანეთი დაასუსტეს. თითქმის დაშლილია მოქალაქეთა კავშირიც. აღორძინების კავშირში რა მდგომარეობაა? ფაქტია, რომ აზრთა სხვადასხვაობა აღორძინების ბლოკშიც არის...

— ჯერ ერთი, ძალიან კარგი ქნეს რომ დასუსტდნენ, — ეს საქართველოსთვის კარგია. უნდა გამოჩნდეს ნორმალური პარტია... სახალხო პარტიისა და ედპ-ის მატარებელი დიდი ხანია ჩავლილია. საჭიროა ჯანსაღი, დიდი ძალა. რაც შეეხება აღორძინების კავშირს — აღორძინების იმედი რომ არ მქონდეს, მე არც ვიქნები ამ პარტიაში, მაგრამ მაინც, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა ბატონი ასლანი, აჭარიდან გამოსვლას და თავისი გავლენის მთელ საქართველოზე გავრცელებას...

— აქვს თუ არა სერიოზული პერსპექტივა მოქალაქეთა კავშირიდან გამოსულ ძალებს? რამდენად მისაღებაა თქვენთვის მიხეილ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის რადიკალიზმი?

— ნეტავი იყოს ეს რადიკალიზმი! — თუ იქნება, ძალიან კარგია, მაგრამ ერთი რამ არის ცუდი: არც ერთ მათგანს ჯერ არ მოუწიან თავისი დანაშაული... როცა ადამიანი გრძნობს თავის დანაშაულს, მას უნდა სიამოვნებდეს ამაზე საუბარი. მეორე: ჩემთვის მიუღებელია სახელწოდება „ნაციონალური მოძრაობა“. რატომ ნაციონალური და არა — ეროვნული? ბევრ ენაში არ არსებობს ისეთი დიდებული სიტყვა, როგორიცაა „ეროვნული“. მაგრამ მთავარ-

ია, რომ არავინ იცის, მზად არიან ისინი თუ არა, ზიდონ ის დიდი ტვირთი, რასაც ხელისუფლებაში ყოფნა ჰქვია. სამწუხაროდ, სანამ ესა თუ ის ძალა ხელისუფლებაში არ მოვა, მანამდე ზუსტად ვერ განსაზღვრავ, რა შეუძლია მას და მისი შესაძლებლობები მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება. დავით აღმაშენებელი თექვსმეტი წლის იყო, მაგრამ რა, გაუჭირდა?! პატარა კახი 15 წლის გახლდათ, პირველი ომი რომ მოიგო. მართალია, თამარმა, ასე თუ ისე, აწყობილი სახელმწიფო ჩაიბარა, მაგრამ ის 19-20 წლის გოგო იყო, მეტის არა.

— ბატონო ვახტანგ, რისი იმედი უნდა ჰქონდეს ჩვენს ხალხს?

— მხოლოდ საკუთარი თავის! სანამ ამას ხალხი არ გაიგებს, არაფერი გვეშველება. მე რა შემიძლიაო?! — დაიჩივლებენ ხოლმე. ეს ობივატელური პოზიციაა და დაკნინების პოლიტიკის შედეგია. თითოეულ ადამიანს შეუძლია ბევრი რამ და სწორედ ამისკენ უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული.


ბატონ ვახტანგს გული სწყდება, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობასა და სიმშვიდეს რომ ვერა და ვერ ვღირსა — არადა, ხელისუფლება ხალხს გამუდმებით ჰპირდებოდა უკეთეს ცხოვრებას. დღეს მოტყუებული ხალხი — სვალინდელი ამომრჩეველია, ბინძური პოლიტიკის მიზნებისთვის მშვიერი კაცის გამოყენება კი, საკმაოდ ადვილია...

ბატონი ვახტანგი თავისი ცხოვრების ორ ბედნიერ მომენტს იხსენებს.

„1998 წელს, ჩემი ცოლი უმძიმეს ოპერაციას გადაურჩა. მას კიბო ჰქონდა. ვეზვეწებოდი ქირურგებს: იდონეთ რაიმე, რომ სუნთქავდეს, მხოლოდ სუნთქავდეს — ჩემთვის ესეც საკმარისია-მეთქი. საოპერაციო ბლოკიდან რომ გამოიყვანეს, მივედი, დავხედე — ის სუნთქავდა. ეს იყო ჩემი ყველაზე ბედნიერი წუთი... მეორედ, ბედნიერი ვიყავი, როცა ნიუ-იორკში ყოფნის დროს, ჩავრთე ტელევიზორი და ვნახე: იდგა ზვიად გამსახურდია, აქეთ-იქით კი ჩოხოსანი პატარა ბიჭები უმშვენებდნენ გვერდს. ზვიადი უზუნაესი საბჭოს თავმჯდომარედ აერჩიათ. იმდენად ბედნიერი ვიყავი ამ ფაქტის გამო, რომ მივატოვე ყველაფერი და ჩამოვედი საქართველოში...“ სწორედ მამხ მოვიდა ბატონი ვახტანგი ქართულ პოლიტიკაში და მას მერე, ერთ-

ერთ ყველაზე გამოჩენილ პოლიტიკოსად რჩება...





„მაქვს უფლება გავუჩქვუ, საც ვცხობვრობ...“

ნათია თენიშვილი

ამ ცოტა ხნის წინ, ახალგაზრდა მწერლები — დათო ტურაშვილი და რატი ამალღობელი ასეთი ინიციატივით წარდგინეს საზოგადოების წინაშე: მოდით, გავიხსენოთ ქართული ეროვნული სამოსი და სადღესასწაულო დღეებში მაინც (ოჯახური თუ პირადული ხასიათის დღესასწაულებიც იყო ნაგულისხმევი) გამოვეწყოთ ხოლმე ჩოხა-ახალუხშიო. ეს თაოსნობა, დათო ტურაშვილის წიგნის — „ჩაძირული ქალაქის ღამის“ პრეზენტაციაზე გამოიჩინეს. წიგნში მოქმედება ერთი საუკუნის წინანდელ თბილისში ხდება — ე.ი იმ დროს, როცა ჩვენი დედაქალაქი ჩოხოსნებით იყო მოფენილი. როგორც ავტორმა და მისმა მეგობრებმა აღნიშნეს, ამ ნაწარმოებმა მისცა მათ ძალა, სურვილი და მუხტი, ჩაეცვათ ჩოხა და „ხმლები აელესათ“. დათო ტურაშვილმა თქვა, რომ ჩაძირული ქალაქი, რომელშიც მის წიგნში მოქმედება ხდება, — ეს „არა მარტო წარსულის, არამედ მომავლის ქალაქცაა, ამიტომ უნდა მოხდეს თანამედროვეობისა და წარსულის შერწყმა, ანუ სიახლის გვერდით, აუცილებელია ყოველთვის გვახსოვდეს და ვიცავდეთ იმას, რაც საუკუნეების მანძილზე გვქონდა“.

ჩვენი საზოგადოება მწვავე პრობლემებზე პოლიტიკოსთა მსჯელობის დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის. საინტერესოა, რას ფიქრობენ დღევანდლობაზე, თანამედროვეობის, წარსულისა და მომავლის შერწყმის მომხრე ახალგაზრდა ინტელიგენტები — მწერალი დათო ტურაშვილი და პოეტი რატი ამალღობელი?

— ბოლო პერიოდში, კვლავ საკმაოდ გააქტიურდნენ სტუდენტები. გავიხსენოთ თუნდაც, მასობრივი გამოსვლები შემოდგომაზე. როგორ ფიქრობთ — ეს რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ იყო ნაკარნახევი თუ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით ხალხს, რომელიც მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს, ვიღაცის კარნახი არ სჭირდება, რათა საკუთარი უფლებები დაიცვას?

დათო ტურაშვილი:

— ყოველთვის ვამბობდი (თუმცა არავინ მიჯერებდა), რომ სოციალური მოტივით, საქართველოში ამბოხი არც ყოფილა და არც იქნება. შემოდგომაზეც, ადამიანები იმიტომ გამოვიდნენ ქუჩებში, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს: იმასაც გვართმევდნენ, რასაც ადამიანს ღმერთი აძლევს და არა რომელიმე ხელისუფლება. ქართველი ჯანყდება მაშინ, როცა მას ღირსებასა და თავისუფლებას ართმევენ და თუ ამ ბრძოლას ვიღაც

ცულად იყენებს (რაც ხშირად ხდება ხოლმე), — მათი პრობლემაა, ვინც ხელისუფლებისთვის იბრძვის, და არა იმ ადამიანებისა, ვისაც სურს, რომ უკეთესი სამშობლო ჰქონდეს.

რატი ამალღობელი:

— ვფიქრობ, ეს იყო წლების მანძილზე დაგროვილი რისხვა. კიდევ — შეიძლება, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას უნდოდა, საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინა ხალხის უკმაყოფილება, თუმცა, თავიდან, ძალიან ბუნებრივად მომეჩვენა ეს გამოსვლები.

— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია სტუდენტთა შემდგომი დაქსაქსვა და რაღაც ბანაკებად დაყოფა?

დათო:

— სტუდენტური მოძრაობა (ნებისმიერ დროსა და ქვეყანაში) მაშინ არის ძლიერი, როცა დამოუკიდებელია და არ უკავშირდება რომელიმე პარტიის ინტერესებს. საქართველო უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე კარგი პარტია. სტუდენტსაც ჯინსი უფრო უხდება, ვიდრე პალსტუხი და კოსტიუმი. ჩვენი სტუდენტობის დროსაც ხდებოდა ჩხუბი, შეხლა-შემოხლა უნივერსიტეტში, ოღონდ — გოგონების და არა მიშა სააკაშვილის ან ბადრი პატარკაციშვილის გამო... სტუდენტობის დროს, ჩვენ ღვინოს უფრო მეტს ვსვამდით, ვიდრე „კოკა-კოლას“ (თუნდაც იმიტომ, რომ „კოკა-კოლა“ არ იყო)...

რატი:

— ჩვენ ქართველები ვართ — ქართველი კი, თუ არ დაიქსაქსა, არ შეუძლია... ეს არის ჩვენი ფსიქოლოგიური პრობლემა. საქართველოს ისტორია არის დაქსაქსვის ისტორია. აქ ნათლად ჩანს, როგორ უნდა დაიქსაქსოს ნებისმიერი წამოწყება.

— რუსეთს როცა მოესურვება, მაშინ აგდებს ბომბს საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენი მთავრობის მხრიდან, ფაქტობრივად, არანაირი რეაგირება არ ხდება. რას ფიქრობთ პანკისში შექმნილ მდგომარეობაზე?

დათო:

— სამწუხაროდ, მერამდენე საუკუნეა ქართველებს გვჯერა, რომ რაც უფრო მეტს დაუთმობთ რუსეთს, მით უფრო კარგად მოგვექცევა, ეს კი დიდი შეცდომაა. რუსეთისთვის სულერთია, როგორ მოვიქცევით მასთან ურთიერთობაში, რადგან მისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ

ნათია თენიშვილი

ამ დღეებში გია გაჩეჩილაძე და ვანიკო თარხნიშვილი მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდნენ. „უცნობის“ პოპულარული სიმღერის — „ვაგონ მიქრის“ რუსული ვარიანტის კლიპის გადაღება გადაწყდა. ქართულ მხარეს პარტ-ნორობას გაუწვევენ მოსკოვის შოუბიზნესის ყველაზე ცნობილი პროდიუსერული კომპანიის წარმომადგენლები — საშა მარკოვ და ფიოდორ პავლოვი, რომლებიც ასევე იზრუნებენ „უცნობის“ შემოქმედების პოპულარიზაციაზე რუსეთში, რაც შემოდგომაზე გრანდიოზული აქციით დაგვირგვინდება. „უცნობის“ თქმით, „აქცია იქნება დიდი მეგობრობის, სიყვარულისა და ძმობის გამოხატულება“.

გადაღებები მარტის შუა რიცხვებში, მოსკოვში დაიწყება, კლიპს ცნობილი რუსი რეჟისორი ფიოდორ ბონდარჩუკი გადაიღებს. რუსული ტექსტის ავტორი თავად „უცნობია“. შესაძლებელია მას თანაავტორობა გაუწიოს ახალგაზრდა რუსმა პოეტმა ალექსეი კორტნევა, რომელთან შეხვედრაც მარტის დასაწყისშია დაგეგმილი. „ყველაზე მეტად მიხარია ურთიერთობა იმ ბუმბერაზ ადამიანებთან, ვისაც იხილავთ კლიპში“ — ამბობს გია გაჩეჩილაძე. ლაპარაკია ისეთ ცნობილ მოღვაწეებზე, როგორებიც არიან: ელდარ რიაზანოვი, ნიკიტა მიხალკოვი, კონსტანტინ რაიკინი, გია დანელია, ბუბა კიკაბიძე, ნანი ბრეგვაძე, რობერტ სტურუა, ია ნინიძე, სოსო პავლიაშვილი, კახი კაციაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, გიგა ლორთქიფანიძე და მრავალი სხვა.

„სიმღერის ქართულ ვარიანტზე რუსები „დაეცნენ“ და თქვეს: კზ ყვც სტცნმ ეხფცნდჯდფმ დ ნჯვ რკბგტ — ამბობს ვანიკო თარხნიშვილი. „უცნობის“ თქმით, კლიპს პოლიტიკური დატვირთვა ექნება. „ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოდაში არიან დღეს მოსკოვში ქართველები, როგორ ენატრებათ ჩვენთან ურთიერთობა, სიყვარული და მეგობრობა“.

კლიპის სცენარი ჯერ დამთავრებული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ ერთმანეთს მონატრებული ეს ხალხი ისევე



ucnobis ~
vagoni
moskovsi
migris



მატარებლის ვაგონში მოიყრის თავს. ასევე ცნობილია, რომ რუსულ კლიპში, ისევე, როგორც ქართულში, მონაწილეობას მიიღებენ: სუხიშვილების ანსამბლი, მაკა ასათიანი და „შავი“.

„ფიოდორ ბონდარჩუკი ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო კლიპმეიკერია რუსულ შოუბიზნესში. დარწმუნებული ვარ, კარგი კლიპი გამოვა“, — ამბობს სიმღერ-ს — „ვაგონი მიქრის“ ქართული კლიპის რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი.

— გული სომ არ დაგწყდებათ, რომ ამ სიმღერაზე სხვაც გადაიღებს კლიპს?

— არ მიფიქრია ამაზე. მე მგონი, არა. რატომ უნდა დამწყდეს გული?! გიას ვუსურვებ დიდ წარმატებებს და მინდა ვთქვა, რომ ყოველთვის სიამოვნებით ვიმუშავებ მასთან.

მაშ ასე, „უცნობის“ ვაგონი მოსკოვში მიქრის. დაველოდოთ და იმელი ვიქონიოთ, რომ სიმღერის რუსული ვარიანტი ისეთივე პოპულარული გახდება, როგორიც ქართული. ■



თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეებს ლომის ნილი მიუძღვით საქართველოში სამეფლისო-სპორტული ცეკვების შემოტანასა და პოპულარიზაციაში. მათი სტუდია „თელა“ მთელ მსოფლიოში პოპულარობით სარგებლობს და სამეფლისო ცეკვების ერთ-ერთ უძლიერეს სტუდიადაა მიჩნეული. მიუხედავად ბევრი წარმატებისა, პრობლემები მაინც მრავლად აქვთ...

რამდენიმე დღეში ბატონი თენგიზი სანკტ-პეტერბურგში მიემგზავრება, ის მიწვეულია არბიტრად საერთაშორისო კონკურსზე, ხოლო აზერბაიჯანში, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, წასულები არიან სტუდიის წევრები — გიორგი ტაბატაძე და თათული გოგიშვილი. ბატონი თენგიზი იმედოვნებს, რომ ისინი გამარჯვებულები დაბრუნდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის უძლიერეს წევრებთან მოუწევთ ასპარეზობა.

სტუდია „თელაში“ მაშინ მივდი, როცა თენგიზ გაჩეჩილაძე მოსწავლეებს ამეცადინებდა.



ქორეოგრაფი „თელაში“ სწავლობს

ლელა ჭანკოტაძე

— ბატონო თენგიზ, როდის დაიწყეთ ცეკვა? მაშინ თუ ფიქრობდით, რომ ასეთ წარმატებას მიაღწევდით?

— 1969 წელი იყო. მე ინჟინერ-ტექნიკოსად ვმუშაობდი ისინი ფესვსაცმელების ფაბრიკაში და პროფესიის გამოცვლას ნამდვილად არ ვაპირებდი. ერთ დღეს, მე და ჩემი საცოლე ფილმის სანახავად ვორიშილოვის სახელობის კულტურის სახლში მივედი. ახლა იმ ადგილას უნივერსალი „თბილისი“ დგას. შენობაში რემონტი მიმდინარეობდა, საღარო სადღაც გადაეტანათ, ვერ მივაგენი და დავიწყე ძებნა. უცბად შევედი დარბაზში, სადაც ახალგაზრდები ცეკვავდნენ. ერთ-ერთმა მამაკაცმა, როგორც კი დამინახა, მომიახლოვდა და მითხრა: რადგან მოხვედი, ფული გადაიხადეო. არ ვიცოდი რა ხდებოდა, მაგრამ საცოლესთან ერთად ვიყავი, ამიტომ უყოყმანოდ მივაწოდე ის თანხა, რომელიც დამისახელა. ოთხშაბათს მოდიო, — ჩაბურღლუნა და აფიშა მომაწოდა. ქუჩაში რომ გამოვედი, კოკისაბრულოდ წვიმდა. მე და ჩემმა საცოლემ აფიშა თავზე დავიხურეთ და სირბილით წავედით სხვა კინოთეატრისკენ... ოთხშაბათს ისე, სასხვათაშორისოდ მივედი და უკან ვეღარ წამოვედი.

— რით მოიხიბლეთ, ბატონო თენგიზ?

— იქ ასწავლიდნენ საზოგადოებრივ ცეკვებს (ინგლისში სამეფლისო ცეკვებს, სოციალურ ცეკვებს უწოდებდნენ, საბჭოთა კავშირში ერქვა საზოგადოებრივი. — ავტ.). როგორი სასაცილოც არ უნდა იყოს, მანამდე საზოგადოებრივი ცეკვები არ მქონდა ნანახი. ძალიან იოლად ავითვისე ის, რასაც სხვები წლების განმავლობაში სწავლობდნენ.

— ეი. ცეკვა თქვენთვის მხოლოდ გართობა იყო?

— ნამდვილად ასე იყო, თან მაშინ ცეკვას პროფესიონალურ დონეზე ვერ ასწავლიდნენ. ყველანი, ვინც საცეკაოდ ვორიშილოვის სახელობის კულტურის სახლში დადიოდნენ, ცეკვავდნენ ცოტათი უკეთ, ვიდრე რესტორნებში, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალიზმისგან ძალიან შორს იყვნენ. სხვათა შორის, როცა ჩემი პედაგოგისგან ყველაფერი შევისწავლე, დაკარგე ინტერესი, აღარ ვცეკვავდი — ვიჯექი დარბაზში და მხოლოდ ცქერით ვკმაყოფილდებოდი. მერე მე თვითონ დავიწყე სვლებისა და მოძრაობების მოგონება. ხელი შემეწყო იმანაც, რომ კარგად ვმღეროდი და შესაბამისად, კარგი სმენაც მქონდა. მე მუსიკალურ ოჯახში ვარ გაზრდილი, ყველანი ვმღეროდი: დედა, მამა და ოთხი შვილი.

— შემდეგ ცეკვების დადგმა დაიწყეთ, არა?

— სხვათა შორის, ბევრს არ მოსწონდა ჩემი აღმოჩენილი და დადგმული მოძრაობე-

ბი. მასწავლებელმაც კი მისაყვედურა: ქალთან ასეთ ტრიალს ნუ აკეთებ, არ გეკადრებაო... მერე ხელში ჩამივარდა წიგნი, რომელშიც ილეთები, მოძრაობები და სვლები იყო აღწერილი და დახაზული, ცნობილი მწერლის, პარმენ ლორიას ქალიშვილმა მაჩუქა. ჩაუჯექი ამ წიგნს და მივხვდი, რომ რასაც მე ვიგონებდი, ის უკვე აღმოჩენილიც იყო და დახვეწილიც.

— თქვენ რაიონულ ცენტრებში და სოფლებშიც ასწავლიდით ცეკვებს. ეს თქვენი სურვილით ხდებოდა და მხოლოდ ერთუზიანზე მუშაობდით?

— სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ქარელში მიმიწვიეს სამეფლისო-სპორტული ცეკვების (მაშინ — საზოგადოებრივი ცეკვები) მოზარდებისთვის სასწავლებლად, მაგრამ დარბაზს ქვის იატაკი ჰქონდა, იქ ცეკვის სწავლა არ შეიძლებოდა. ჩავედი გორში. ბამბეულის კომბინატის მთავარი ინჟინერი, ვანო აღუაშვილი ჩემი მეგობარი იყო და ის დამეხმარა. კომბინატის დარბაზში გამუდმებით იმართებოდა „ტანცები“, ძირითადად რუსები ცეკვავდნენ. მეც მათი პედაგოგობა ვიკისრე. სხვათა შორის, მათთვის მალე დიდ მესტროდ ვიქეცი. ერთი ბიჭი დადიოდა კასპიდან. მეცადინეობის დროს მითხრა: „ღმერთოვით ცეკვაა, მასწავლ!“ ეს ფრაზა არასდროს და მაგიწყდება... ვერ კვირაში სამჯერ დაველიდი გორში, მერე — ყოველდღე.

— თბილისში რთული იყო სამ-

უშაოს შონა?

— მე ხომ არანაირი საბუთი არ მქონდა, არც პროფესიონალური განათლება. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომით ცეკვას როგორ ვასწავლიდი? სიმართლე რომ გითხრათ, მეშინოდა კიდევ, ვინმეს არ დავეჭვირე. მაინც გაგებდე და პლენხანოვის კლუბში (სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლოში) მივედი, კლუბის დირექტორი ცხონებული ოთარ ცქიტიშვილი — კულტურის დიდი ქომაგი იყო. ღიმილით მითხრა: აგერ კლუბი და აგერ შენ, იმუშავეო... ეს მართლაც მოულოდნელი იყო. დავიწყე სკოლებში სიარული, ბავშვები რომ დამეინტერესებინა. უნდა გითხრათ, რომ ზოგიერთი დირექტორი კლასში შესვლის უფლებას არ მძღვედა. მეხუთე სკოლაში ჩვიდმეტჯერ ვიყავი მისული, საბოლოოდ, იმ სკოლიდან მხოლოდ ერთი ბავშვი მოვიდა... მაინც იმდენი გავაკეთე, რომ ერთი თვის განმავლობაში, ორასამდე მსურველი შეგვრიბე და აქტიური მუშაობა დავიწყე.

— რატომ კრძალავდნენ სამეჯლისო ცეკვებს?

— ტანგო, რუმბა, ვალსი და ზუმბა ჩვენებური ცეკვები არ არის, ამიტომ მათი გავრცელება არ შეიძლებოდა. რადგან ვერ გაუმკლავდნენ სამეჯლისო ცეკვების მოყვარულებს, შემოიღეს ასეთი რამ: 1972, 1974, 1975 წლებში ჩატარდა საკავშირო ტურნირები, რომელზეც, ვისაც უნდოდა, ეცეკვა ფოქსტროტი, ვალსი და ტანგო, სამი საბჭოთა ცეკვაც უნდა ეცეკვა... დიდი თანხები იყო გამოყოფილი მათთვის, ვინც საბჭოთა სამეჯლისო ცეკვას დადგამდა. ბევრი დაგამდა რაღაც ცეკვას, აკეთებდა ხალხური და ევროპული ცეკვების სინთეზს და არქმევდა რუსულ სამეჯლისო ან ქართულ სამეჯლისო

ცეკვას. ასე შეიქმნა „დავლური“, მე ასეთი ცეკვა არ დამიდგამს. ვერ წარმოიდგენი, რამდენი ანონიმური წერილი დავწერა ჩემს წინააღმდეგ და რამდენჯერ მომიწია კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მისვლა, ახსნა-განმარტებითი ბარათის დასაწერად.

— პირველი წარმატება როდის გქონდათ?

— წარმატების დასაწყისად მიმაჩნია ერთი პუბლიკაცია, რომელიც დაბეჭდა ქალაქის მაშინდელმა კულტურის განყოფილების გამგემ ოთარ გაგუამ და რომელშიც ეწერა, რომ მე ვაცეკვებდი მშრომელ ახალგაზრდობას... ამას მოჰყვა კონკურსი, რომელშიც მხოლოდ ბალეტის მოცეკვავეებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მე არ მიშვებდნენ — პროფესიონალი არ ხარო. მაგრამ ცხონებულმა ილიკო სუხიშვილმა გენახა, ნება დაგვართო და გვითხრა: არ გაჩერდეთ, იმუშავეთო... ეს კონკურსი 1968 წელს ჩატარდა. წარმატება დიდი იყო, რის შემდეგაც მიმიწვიეს მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკურ სახლში და ჩამაბარეს სამეჯლისო ცეკვები. დავიწყე რაიონებში სიარული. 1974 წელს სპორტის სასახლეში გამოვიყვანე სამასამდე წყვილი. მართალია, ზოგი ისეთი იყო, რომ წრეს ვერ უღლიდა, თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ სამაგიეროდ, წყვილები ჩამოვდნენ სამცხე-ჯავახეთის, აფხაზეთის, სამხაბლოს მიყრუებული სოფლებიდანაც კი... საბჭოთა ახალგაზრდობა ცეკვით გაერთიანეო, — თქვეს პარტიულმა მუშაკებმა და გამიშვეს ნაღიკში, საკავშირო ფესტივალზე. იქ გავიცანი ერთი როსტოველი გოგონა, რომელმაც მითხრა: ჩვენთან ფარულად ტარდება კონკურსი, თუ გინდა დაგაპტიფებო... მოსაწვევი მივიღე თუ არა, გავიპარე როსტოვში. ბუდად, საპატიო ჟიურიში დამსვენს, თორემ მსაჯად რომ დავენიშნე, არც კი ვიცი, რა დამემართებოდა: კონკურსის შემდეგ, ორგანიზატორები სასტიკად დასაჯეს.

— იქ უკვე პროფესიონალურ დონეზე ცეკვავდნენ?

— კი. კონკურსზე გამოვიდნენ საშა და ელენა ჩუკუტკინები, რომლებიც მოსკოვში ყველაზე ძლიერები იყვნენ. პირი დავაღე — ასე მეგონა, თავში ლოდი დამეცა. იმდენად დიდი იყო შთაბეჭდილება, რომ გამოვიქეცი იქიდან და ათი კილომეტრი კოკისპირულ წვიმაში ფეხით ვიარე. სასტუმროში გალუმპული მივედი. მივატოვე ყველაფერი და ჩემი თავი მილიანად სპორტულ-სამეჯლისო ცეკვებს მივუძღვენი. მას შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომი აღარც მინახავს. არც კი ვიცი, სად მაქვს. დავამთავრე ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტი. ასე წვალე-წვალეობით დავაგროვე ცოდნა.



— თავისუფლად როდის დაიწყოთ ცეკვა? როდის გაათავისუფლდით ზენოლისგან?

— 1991 წელს თბილისში ჩამოვყალიბე დამოუკიდებელი ასოციაცია, 1992 წლის დასაწყისში მიგვიღეს საერთაშორისო საცეკვაო სპორტის ფედერაციაში. ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში იმდენს მივაღწიეთ, რომ ახლა უკვე საერთაშორისო კატეგორიის ექვსი მსაჯი გვყავს... გვყავს საერთაშორისო კლასის მოცეკვავეებიც. სამწუხაროდ, ვინც ძლიერი იყო, ყველა საზღვარგარეთ წავიდა.

— იქ თუ აგრძელებენ ცეკვას?

— რა თქმა უნდა. ცეკვავენ და თანაც იმდენს გამოიმუშავენ, რომ ჩვენზე ასჯერ უკეთესად ცხოვრობენ. სხვათა შორის, ჩემი მოსწავლეა ბორის ოდიკაძე — ისრაელის სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი.

— თქვენი სტუდიის ახლანდელი წევრებიდან, ყველაზე დიდ წარმატებას რომელმა წყვილმა მიაღწია?

— დათო კულუმბეგაშვილმა და ია კვირიკაშვილმა ისრაელში მესამე ადგილი აიღეს. წინ მხოლოდ ინგლისელი და სლოვაკი წყვილები გაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძლიერები იყვნენ ამერიკელი და კანადელი წყვილები. რუსეთში ტარდება ხოლმე კონკურსი, რომელზეც თითქმის მთელი მსოფლიოა წარმოდგენილი — სამასი წყვილი მონაწილეობს. თათული გოგიშვილმა და გიორგი ტაბატაძემ ამ კონკურსზე მეხუთე ადგილი დაიკავეს. რაც შეეხება ოუნიორებს — პაატა ჩუტკერაშვილის და ლაურა ქველადის წყვილმა ისრაელში პირველი ადგილი აიღო. პაატა და ლაურა ჩემი მოსწავლის მოსწავლეები არიან. სამივე წყვილი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავისუფლად იასპარეზებს.

— ცნობილია, რომ თქვენმა ქალიშვილმა და სიძემ ამერიკაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. როგორ ნაფიქრდნენ აქედან და იქ როგორ დამკვიდრდნენ?

— 1990 წელი იყო. ჩემთან დადიოდა



დამკვიდრდნენ?

– 1990 წელი იყო ჩემთან დადიოდა მღვდლის შვილი ნათია როდონაია. ერთხელაც დამემშვიდობა – აშშ-ში მივემგზავრებითო. წავიდნენ. ნათია იქაც მივიდა ცეკვაზე. ძალიან მოეწონათ, ყველას გაუკვირდა, ასეთი პატარა გოგო რომ ცეკვაკვდა: ჩვენთან ცეკვას ბავშვობიდან სწავლობენ, ამერიკაში კი მაშინ იწყებენ, როცა საკუთარი ფული უწნდებათ, რადგან იქ ცეკვა ძვირი სიაძვინება (1 სთ – 80 დოლარი ღირს); ნათიას, მასწავლებელმა გამოჰკითხა – საიდან იყო და როცა გაიგო, რომ საქართველოში ნათიაზე უკეთესადაც კი ცეკვავენ, მიგვიწვია ამერიკაში. თავიდან მეგონა, რომ დამცინოდნენ, მაგრამ შემდეგ მივიღეთ კონტრაქტი, რომლის თანახმად, წვეილს, რომელიც ამერიკაში წავიდოდა, სხვებისთვის რომ ესწავლებინა ცეკვა, გადაუხდიდნენ 1.200 დოლარს თვეში. ეს მაშინ დიდი თანხა იყო. წავიდნენ ჩემი ქალიშვილი შორენა და სიძე. მოხდა ისე, რომ გოჩამ და შორენამ კონტრაქტის პირობები დაიწყეს. დაბრუნდნენ საქართველოში, მაგრამ რადგან ამ დროს აქ უკვე ომი იყო, ვეღარ გაჩერდნენ და ისევ გაემგზავრნენ.

– ახლა რომელ ქალაქში ცხოვრობენ?

– დალასის ცენტრში საკუთარი სახლი აქვთ, აგრეთვე – ორი თვითმფრინავიც. არაფერი აკლიათ, კარგად არიან. თანაც კვალიფიციურ წვეილს ასწავლიან. გოჩა და შორენა მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავეთა სამეულში შედიან. ისინი პროფესიონ-

დათო კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი



თათული გოგიშვილი და გიორგი გაბაგაძე

ალები არიან, პროფესიონალებისთვის კი დაწესებულია წოდებები – „ამომავალი ვარსკვლავი“ და „ოქროს ვარსკვლავი“. შორენამ და გოჩამ კონკურსებში პირველი ადგილი თხუთმეტჯერ დაიკავეს, ამერიკის გუნდის სახელით ბევრჯერ იასპარეშეს. გუნდი ნიშნავს მხოლოდ ორ წვეილს. გოჩა და შორენა ახლა ამერიკის „ოქროს ვარსკვლავები“ არიან. ჩემი ვაჟი გიორგიც წაიყვანეს, მანაც გააფორმა კონტრაქტი. მხოლოდ იენისამდე დარჩება ამერიკაში. ლარისა მეტის უფლებას არ აძლევს – ძალიან ენატრება შვილი. გიორგი ჯერ თოთხმეტი წლისა და სიმაღლით უკვე მეტრი და სამოცდაჩვიდმეტი სანტიმეტრია. ჩემი მესამე შვილი – რატი ჯერ პატარაა, მაგრამ მაინც ცეკვავს და კარგადაც გამოხდის.

– ქალბატონ ლარისაზე რას იტყვით? როგორც ცნობილია, ის თქვენი მარჯვენა ხელია.

– პლენანოვის კლუბში ვმუშაობდი. ლარისა ჩემმა მოსწავლემ მოიყვანა და მითხრა: გაოცებული ვარ – რაც ვაჩვენე, ყველაფერი გაიმეორა, მარცხენა ბრუნიც კიო. ვალსი მარცხენა ბრუნით ძალიან ძნელი შესასრულებელია – სამი თვე მაინც უნდა იცეკვო მარჯვენა ბრუნით, რომ შემდეგ მარცხენა ბრუნზე ვარჯიში დაიწყო. ლარისამ კი ეს უცებ გააკეთა. იმდენი შეძლო, რომ სამ თვეში კონკურსზე გამოვიყვანე და მესამე ადგილიც დაიკავა. შემდეგ ის ჩემი პარტნიორი გახდა. ცეკვა ჩემსავით უყვარდა. ერთად კარგი წვეილი შექმენით. ახლა ლარისა ქურდაძე ჩემი მეუღლეა.

– შორენაც ქალბატონი ლარისას შვილია?

– არა, შორენა პირველი ქორწინებიდან მყავს. ამერიკაში მასთან ერთად ცხოვრობს ჩემი პირველი ცოლი. გიორ-

გი და რატი, ლარისას შვილები არიან. ლარისა მართლა ჩემი მარჯვენა ხელია. ხშირად ვუბნები ხოლმე: მარტო მარჯვენა კი არა, ჩემი ორივე ხელი ხარ-მეთქი. ერთი კაცი არ ჰყოფნის ამ საქმეს. ხან ლარისას იწვევენ მსაჯად, ხან მე – მსოფლიო ჩემპიონატზე, ხან მე მივიღვარ, ხან – ის. ერთმანეთს ვენაცვლებით.

– ბატონო თენგიზ, სპონსორთუ გყავთ?

– არა, ყველაფერს საკუთარი ხარჯებით ვაკეთებ. მე, როგორც არბიტრს, მიწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში და ამისთვის ფულსაც მიხდიან, მაგრამ ჩემი წვეილები ცუდ დღეში არიან. წარმოიდგინეთ, ფორმების შექმნა რამხელა თანხებთან არის დაკავშირებული. წელს, 10, 11, 12 მაისს „მეტესში“ ვატარებთ ღია ჩემპიონატს – მილიონად ჩემი ოჯახისა და ჩემი მოცეკვავეების მშობლების სახსრებით. ვითხოვე თანადგომა, მაგრამ პასუხად მივიღე: ცეკვა კი არა, ასფალტი ვერ დაგვივიაო... მეორედ თხოვნა აღარ გავიმეორე – არ შეკადრება.

– რამდენი ქვეყნიდან ჩამოვლენ წვეილები ამ ჩემპიონატზე?

– თოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენლები მოვიწვიეთ. შეიძლება გოჩა და შორენაც ჩამოვიდნენ.

– თქვენი აზრით, რატომ არ გახდა სამეჯლისო ცეკვები საქართველოში პოპულარული?

– ქართველები უპირატესობას ხალხურ ცეკვებს ვანიჭებთ. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ სამეჯლისო ცეკვა უნდა ისწავლოს ყველამ – პრეზიდენტმაც და რიგითმა ადამიანმაც. ისრაელში რომ ვიყავით, ქალაქის მერი გამოვიდა სიტყვით, შემდეგ ერთ მოცეკვავე, გოგონას მოჰკიდა ხელი და ჩამოუარა ვალსი. პირი დავაღეთ. მერმა ცეკვით გახსნა კონკურსი. აბა, გამოვიდეს ვანო ზოდელავა და იცეკვოს... ამასთან, ჩვენი ვაჟები ერიდებიან სამეჯლისო ცეკვებს. რაც შეეხება ტელევიზიას – თითქმის ყველა გადაცემიდან მირეკავენ, მიწვევენ, ოღონდ, თანხა უნდა გადავიხადო. არ მაქვს იმდენი ფული, რომ 400 დოლარი მივცე ვინმეს, იმ ვინმემ კი გამოაცხადოს: „თელამ“ ისრაელში I, II და V ადგილები აიღო...

P.S. მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როცა აზერბაიჯანიდან დაბრუნდნენ სტუდია „თელას“ მოცეკვავეები, რომლებიც ააპარას (ნახევარმოივარე) თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ. კონკურსზე ოცდახუთი წვეილი გამოვიდა. I ადგილი გერმანელ წვეილს – გერმანიის ჩემპიონატის ვერცხლის თასის მფლობელს მიანიჭეს. გიორგი გაბაგაძე და თათული გოგიშვილი II ადგილს დასჯერდნენ. ვიური თურმე ვანსაკუთრებით მოხიბლულა მთიერი შესრულებული ესპანური ცეკვით – „პასადობლი“.



მსახიობი ნანა ფარუაშვილი ახალბედა მძღოლად ითვლება — ჯერჯერობით, სულ ორიოდ წელია, რაც მანქანას მართავს. თეატრში ინტერვიუს ასაღებად მისულს მისი გაკრიალებული „ოპელით“ გასეირნება, თავადაც მომიხდა. მსახიობი, ცოტა არ იყოს, დაძაბული იჯდა საჭესთან და „ვაიმეს“ ძახილითა და სწრაფი მოძრაობებით არიდებდა თავს ავარიულ სიტუაციებს...



საქართველოს მომავალი მოსახლეობისთვის

ნანა ფარუაშვილი

მოსწიფე უკუდრეკა...

ნინო ჩაპხაიძე

— ქალბატონო ნანა, ასეთი დაძაბული რატომ ხართ? ხშირად ხვდებით ხოლმე ავარიულ სიტუაციებში და ამიტომ გეშინიათ?

— ქალაქში ყოველთვის დაძაბული ვზივარ საჭესთან, განსაკუთრებით — პიკის საათებში: მოძრაობის წესებს ყველა არღვევს და მობილიზებული უნდა იყო, რომ მოულოდნელ ხიფათს თავი აარიდო. აი, ტრასაზე კი, დიდი სიჩქარით მივაქროლებ მანქანას და თან საკუთარ თავს ვაფრთხილებ ხოლმე: ნანა, დაწვარდი, დაშვრიდი, თორემ იცოდებ რაღაც საშინელება მოხდება-მეთქი. რამდენიმე წლის წინ ავტოკატასტროფაში მოვყვევი და ამის შემდეგ, საოცარი შიშისა და სიფრთხილის გრძობა გამიჩნდა (მსახიობი ცხვირზე შემორჩენილ იარაგს მიჩვენებს). მაშინ „ვოლგა“ გვყავდა. ახალი წლის დამეს, შინ გვიან ვბრუნდებოდით, საჭესთან ჩემი მუხლზე (რუსთაველის თეატრის მსახიობი ტრისტან ყველაიძე. — ავტ.) იჯდა. შუქნიშანთან რომ გავეჩერდით, იმდენად მაგრად დაგვარტყა მანქანამ, რომ უკანა „სილენიდან“ წინ გადავვარდი და თავი პედალს დავარტყი... ტრისტანიც ძალიან დამტყრეული იყო. მთელი 6 თვე ვმკურნალობდით. ამასთან დაკავშირებით, ერთი კურიოზი გამახსენდა. წარმოიდგინეთ, ჩემი მდგომარეობა — ტრისტანი შოკშია, მე საკაცეზე ცხვირახეული ვწევარ და ლამის მთლიანად სისხლში ვცურავ, ამ დროს კი ექიმს ვუბნები: უკაცრავად, მაგრამ საკაცეზე რომ გადმომიყვანეთ, თვალი მოკარი, ქუდი რომ მომძვრა და თუ შეიძლება, მომავლეთ-მეთქი... სულ



ახალთახალი, ძალიან ლამაზი ქუდი მქონდა და არ მინდოდა მისი დაკარგვა. ექიმი კი გოცბეული მიყურებდა და ალბათ ფიქრობდა: ნეტავ, რა ექუდება, სიკვდილს ძლივს გადაურჩაო... ის ქუდი დღემდე შენახული მაქვს. იმ ავარიის შემდეგ კი კარგა ხანს ვეღარ გებედავდი მანქანაში ჩაჯდომას.

— მანქანის მართვა ვინ გასწავლათ და რა გრძნობა გქონდათ, როცა პირველად მიუჯექით საჭეს?

— მართვის მოწმობა 18 წლისამ ავიღე, მაგრამ მანქანასთან ვინ მიმიშვებდა? ოჯახში ერთადერთი მანქანა — შავი ფერის „ფიგული 06“ გვყავდა და, რა თქმა უნდა, საჭესთან აუცილებლად ტრისტანი უნდა მჯდარიყო. ერთხელ მუხლზე ვთხოვე: ბავშვების სკოლიდან გამოსაყვანად, მანქანით წამიყვანე-მეთქი. ცოტა ხანს დავისვენებ და მერე წავიყვანო, — მითხრა. გავბრაზდი — როგორმე თვითონაც წავალ-მეთქი, გამოვართვი გასაღები და საჭეს მიუჯექი.

მანქანის მართვა მხოლოდ თეორიულად ვიცოდი, მაგრამ ბუნებით რისკიანი ვარ და მაინც წავედი... ვაი, იმ წასვლას... ისეთი დაძაბული ვიჯექი საჭესთან, დანიშნულების ადგილს, ქანცაწვეტილმა მივაღწიე... თვითონ ტრისტანი ძალიან კარგი მძღოლი იყო და ხშირად მეტყვოდა ხოლმე: შენ მანქანის მართვას ვერასდროს ისწავლი, ისეთი ემოციური ხარო... მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რამდენიმე წელი ისე გავიდა, რომ მანქანა გარაჟიდან არც კი გამომიყვანია. ორი წლის წინ კი, კერძო მასწავლებელთან დავიწყე სიარული და 10 გაკვეთილის შემდეგ, უკვე ჩემს „06“-ზე გადმოვჯექი. პირველად მაშინვე ის გავიფიქრე: ნეტავი, ახლა ტრისტანი მხედავდეს, როგორ ვმართავ მანქანას-მეთქი... ისე, ტრისტანი მართალი იყო — მართლაც ძალიან ემოციური ვარ და ეს თვისება ხელს მიშლის პროფესიონალ მძღოლად ჩამოყალიბებაში.

ახალი ნასწავლი მქონდა მანქანის მართვა. თეატრის გოგონებმა (ნანული სარაჯიშვილმა, თათული დოლიძემ, მარინა კახიანმა და ნელი შენგელაიამ) გზიდან დამირეკეს: წვეულებაზე მივდივართ და შენი მანქანით მოდიო. თვითონაც მანქანით მიდიოდნენ. ძალიან დიდი სისწრაფით მივქროდი: გადავწყვიტე, რომ მათთვის მიმესწრო და თავი მომეწონებინა. სანაპიროზე მართლაც დავეწვიე და გახარებულმა და ბედნიერმა სიგნალი მივეცი — აი, უკვე რა მაგარი მძღოლი ვარ-მეთქი... მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ოთხივეს ფერი ჰქონდა დაკარგული: იცი, რა საშინელ ავარიას ასცდი და რა სისულელე ჩაიდინე?! რა გავაკეთე-მეთქი?! — გამიკვირდა. რა და, სხვადასხვა მიმართულებით მიმავალ ორ მანქანას

შორის რაღაც სასწაულებრივად გამოძვერიო... მე კი აზრზე არ ვიყავი... აი, ზოგჯერ ასეთი აღმაფრენაც იცის მანქანამ. სხვათა შორის, შარშან, სპექტაკლში – „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“, სანდრო ანტეტელის თეატრმა მომანიჭა პრემია, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის და თუ წლის საუკეთესო მძლოლიც გავხდები (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი კონკურსიც ჩატარდება), ძალიან გამიხარდება... ანტეტელის თეატრის ძალზედ მაღლიერი ვარ: მან არა მხოლოდ როგორც მსახიობს, არამედ როგორც მძლოლსაც კარგი სამსახური გამიწია – ერთი წლის მანძილზე რეპეტიციებზე იმდენჯერ მიხდებოდა თეატრში მისვლა, რომ ფაქტობრივად, მანქანის მართვა მაშინ ვისწავლე. პიესაში მილიარდერი ქალის როლს ვთამაშობ, რომელიც ავიაკატასტროფაში მოკვდება (როგორც ხედავთ, სცენაზეც და ცხოვრებაშიც დაბედებული მაქვს ავია და ავტოკატასტროფებში მოყოლა) და დაინვალიდება – ხელზეც და ფეხზეც პროთეზები დასჭირდება, – მაგრამ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სულით არ დაეცეს და მისი ხეობრობა ნაკლებად შესამჩნევი იყოს... მოკლედ, ძალიან შევეისისხლხორცე ეს როლი... სპექტაკლში ერთ ასეთ ფრაზას ვამბობ: „მთელი ეკიპაჟი დაიდუბა ამ თვითმფრინავში, ვინც იყო, – ჩემ გარდა, რა თქმა უნდა. ასე რომ, ჩემი იმქვეყნად გამგზავრება არც ისე იოლია...“ – აი, ასე ვიმუქრები... ავტონსპექტორებს კი ასე ვემუქრები ხოლმე:

პოლიციელებო, არ გამაბრაზოთ, თორემ ჩანთაში ისეთი მოწმობები მაქვს, ქვას გახეთქავს-მეთქი...
 — მოდიოთ, ავტონსპექტორებს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდეთ, ახლა კი ის მითხაროთ, „ოპელი“ როდის შეიძინეთ და საერთოდ, რომელი მარკის ავტომანქანები მოგნონთ?

– სულ 5 თვეა, რაც 1993 წელს გამოშვებული „ოპელ-ვექტრა“ ვიყიდე. ეს მანქანა გერმანიაში პოლიციის მანქანა ყოფილა, იმიტომ რომ ძალიან სწრაფიც არის და გამძლეც. მართალია, ჩემი „06“ კარგ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მაინც უცხოური მანქანა მინდოდა. იცით, როდესაც კარგ მანქანაში ზიხარ, სულ სხვა გრძნობაა! ერთხელ მოსკოვში ვიყავით გასტროლებზე. ძალიან პრესტიჟულ წვეულებაზე მიგვიწვიეს და მასპინძლებმა გვითხრეს: იმ მსახიობებს, ვისაც თეატრში წასვლა უნდა, „მერსედესი“ მოემსახურება, ხოლო ვინც სასტუმროში მიდის, „ლიმუზინით“ მივებრძანებთო. მე და კახი კავსაძეს, ორივეს ერთნაირი რეაქცია გვქონდა: ჩვენ სასტუმროში მივდივართ-თქო, – სასწრაფოდ განვაცხადეთ და ორივენი „ლიმუზინში“ ჩავსხედით, – თუმცა სულ არ ვაპირებდით სასტუმროში დაბრუნებას... ეს იყო გორბაჩოვის ყოფილი „ლიმუზინი“ და მე და კახი ვხუმრობდით: რაისა და მიხაილ გორბაჩოვები ვართ-თქო... საოცარი მანქანაა და დღემდე კარგად მასსოვს, რამხელა სიამოვნება მივიღეთ „ლიმუზინით“ მგზავრობით... ბოლო გამოშვების „მერსედესიც“ მომწონს, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს... მოკლედ, ძველი მანქანა რომ გავყიდე, ყოველ შაბათ-კვირას ბაზრობაზე დავდიოდი და სასურველ მანქანას ვეძებდი. რომ დაინახავ, მანქანაზე, ისევე როგორც ქალზე, გული და თვალი უნდა მიგივიდეს. თუ გარეგნულად არ მოგეწონა, რატომ იყიდი?! თავიდან, სწორედ ამ ნიშნით ვარჩევდი მანქანებს. მერე ნაცნობებმა მითხრეს: შეიძლება, მანქანა გარეგნულად მართლაც მშვენივრად გამ-



ოიყურებოდეს, მაგრამ მთავარია, შიგნით ჰქონდეს ყველაფერი წესრიგში... ამის შემდეგ გამყიდველს თავიდანვე ვთხოვდი ხოლმე: კაპოტი ახადეთ, უნდა შევამოწმო-მეთქი. ეს „ოპელიც“ მე თვითონ შევამოწმე და მგონი, არც შევმცდარვარ – ჯერჯერობით, არც ერთხელ არ გაუფუჭებულა, თუმცა ფერი მაინცდამაინც არ მომწონს – უფრო მუქი მინდოდა – შავი ან ნაცრისფერი. ეს ფერები ჩემს რომანტიკულ და სევდიან გუნება-განწყობილებას უფრო შეესაბამება, მაგრამ ახალგაზრდა მეგობრებმა მიჩიეს: ლურჯი უფრო ახალგაზრდული ფერიაო...

– ქალბატონო ნანა, როგორც ჩანს, სხვა მძლოლი ქალებისგან განსხვავებით, მანქანის მონყობილობაში ერკვევით?

– ყველაზე ელემენტარული წვრილმანების გარდა, არაფერი გამეგება, – მაგალითად, ვხვდები, როდის არის საჭირო ზეთის გამოცვლა, ან ჩასამატებელია თუ არა ანტიფრიზი. ერთხელ გადაღებაზე მაგვიანდებოდა. ძალიან გამოპრანჭული ვიყავი, თან თეთრი სამოსი მეცვა. უცებ მანქანა გამიჩერდა. რა უნდა მექნა?! ვიცოდი, იმ მანქანას რაც სჭირდა: მძლოლებმა მასწავლეს – თუ არ დაიქოქა, აკუმულატორის შემკერთებელი საღებები უნდა შეამოწმო და გადაბმის ადგილებში მოუჭიროო... მოკლედ, ავხადე კაპოტი, ამ ჩემი თეთრი კაბით მანქანაში ჩავრეე თავი და შეკეთება ვცადე. ამის შემსწრე უცნობი მძლოლები გაოგნებულნი მიყურებდნენ: ეს არის მანქანის გამკეთებელიო?! მე კი ვნატრობდი: რა იქნება, ახლა მანქანა დაიქოქოს და ამათი დასაცინი და დასახმარებელი არ გავხდეთ მეთქი... ჩავჯექი მანქანაში, გადავწვი გასაღები და... მანქანა ამუშავდა. მერე ამაყად დავხურე კაპოტი და ჩემს გზას გაუწყვეი... გამოუვალ კომიკურ მდგომარეობაშიც ხშირად ჩავვარდნილვარ მანქანის წყალობით. „06“-ით აღმართზე ავდიოდი, რამდენჯერმე გამიჩერდა.



სცენა სპექტაკლიდან „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“. ნანა ფაჩუაშვილი ვიაჯაფარბიძესთან ერთად

საშინელება იყო: უკან უამრავი მანქანა რომ მოგადგება და გისიგნალებს, შენ კი ვეღარ ქოჯავ, - როგორი ამბავია?! ერთხელ ისეთ ვიწრო ქუჩაზე გამიჩერდა, სადაც ორი მანქანა ერთმანეთს გვერდს ძლივს უქცევდა... ფაქტობრივად, მოძრაობა გადაკეპტე და ნერვიულობისგან ისეთ პანიკაში ჩავვარდი, რომ თვალებზე ცრემლი მომადგა. ხელის მუხრუჭი ამოვწიე, მანქანიდან გაბრაზებული გადმოვედი - ამ მანქანაში საერთოდ აღარ ჩავვადები-მეთქი, - ამოვიღლიავე პორტფელი და წამოვედი... მძღოლებს სიცილი აუვარდათ. მერე, როგორც იქნა, მანქანა სამშვიდობო გზაზე გაიყვანეს. მე კი ფეხით მომიხდა წასვლა...

— ახალნაყიდ მანქანას ძალიან უფრთხილდებით?

— რაც არ უნდა ცუდ გუნებაზე ვიყო, სუფთა, გაკრიალებულ მანქანაში ჩავდომა მაინც მახალისებს ხოლმე. არ მიყვარს დასვრილი მანქანა, ამიტომ, ყოველ დილით, როდესაც სადარბაზოდან გამოვდივარ, ხელში მიჭირავს ხოლმე რამდენიმე ჩვარი მანქანის გასაწმენდად, ზოგჯერ კი, პროფილაქტორიუმში მიმყავს და ბიჭები უფასოდ მირეცხავენ...

— პოლიციელებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ხშირად მაჩერებენ ხოლმე, მაგრამ ზოგი მცნობს, ზოგი - ვერა. მეორე შემთხვევაში, ტელევიზიის სპეციალური კორესპონდენტის მოწმობას ამოვიღებ („ვერიკაზე“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი ვარ) და მიშვებენ. პოლიციელების ბავშვობიდანვე მეშინია და ახლაც ვერიდები მათთან ჩხუბს. ვცდილობ, რომ მოძრაობის წესები არ დავარღვიო. როცა ვარღვევ, ამას გამიხსულად კი არ ვაკეთებ, უბრალოდ, რაღაც მეშლება, არცოდნა კი არცოდნააო, - ნათქვამია. სხვათა შორის, დღეს ვიდრე თქვენ შეგხვდებოდით, საგზაო პოლიციის სამსახურის უფროსთან, ბატონ სოსო კარანაძესთან გახლდით მისული საქმეზე და იცით, რა მითხრა?! - ქალებიც არღვევენ მოძრაობის წესებს და მამაკაცებიც, მაგრამ ქალმა თუ დაარღვია, ისე დაარღვევს, რომ ავარია გარდაუვალიაო... სოსო კარანაძემ, ისე, რომ მისთვის არც მითხრია, თავისი სავიზიტო ბარათი მომცა საკუთარი ავტოგრაფით. ღმერთმა არ დამაჭიროვს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ გამომადგეს კიდევ...

— ამის იმედით ემუქრებოდით პოლიციელებს, ხომ?

— აბა, რა, ახლა უფრო გავთამამდები... სხვათა შორის, ადრეც მქონდა რაღაც ლურჯი წიგნაკი, რომელიც გარკვეულ პრივილეგიებს მანიჭებდა (მეგობრებმა გამიკეთეს შინაგან საქმეთა სამინისტროში...) და მაშინაც თამამად დავაქროლებდი ხოლმე მანქანას.

— პოლიციელებთან არასდროს გიჩხუბიათ?

— როგორ არა?! ერთხელ ერთ პოლიციელს მანქანა არ გავუჩერე და გამოშვებდი. როცა მივხვდი, რომ დამეწეოდა, თვითონვე გავაჩერე და გაბრაზებული ტონით ვუთხარი: რა გინდათ, რატომ გამომეკიდეთ? ძალიან მეჩქარება-მეთქი... პოლიციელიც ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს: რომ განიშნეთ, რატომ მაშინვე არ გააჩერეთ? - და ცოტა არ იყოს, უსიამოვნო საუბარი გამოვკვივიდა... ერთხელ ძალიან უხეშად დავარღვიე მოძრაობის წესები და როგორც კი მივხვდი ჩემს დანაშაულს, პეროვანი კოცნა გავუგზავნე პოლიციელს... ამან ძალიან დადებითად იმოქმედა მასზე - გაეცინა და მანაც პეროვანი კოცნივით მიპასუხა... თურმე ჩემი მანქანა დაუმახსოვრებია და რამდენიმე დღის შემდეგ, იმავე გზით რომ გავიარე, მაშინვე შემაძჩნია და ისევ შორიდან შეამბორა...

— მანქანასთან დაკავშირებული, გამორჩეულად სასიამოვნო მოგონება თუ გაქვთ?

— ერთხელ, ჩემს შვილიშვილთან და რამდენიმე მეგობართან ერთად, მანქანაში ვისხედით და ხმაურიანად ვსაუბრობდით. უცებ ჩვენ გვერდით, ძალიან „მაგარი“ უცხოური მანქანა გაჩერდა, კარგა ხანს გვათვალიერა მძღოლმა, მერე მანქანიდან გადმოვიდა, კარი გააღო და ძალიან ძვირფასი სუნამო მაჩუქა. მოულოდნელობისგან გავოგნდი და ისე დავიბენი, რომ მადლობის თქმაც კი ვეღარ მოვახერხე, პირიქით - მანქანა ადგილს მოვწყვიტე და გავაქანე. დღეს ხომ მამაკაცები ასე აღარ იქცევიან... აი, რა სარგებლობა მოაქვს მანქანას: მანქანა რომ არ მყოლოდა, ამ სიურპრიზს ხომ არ მომიწყობდნენ?! თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, უსიამოვნო სიურპრიზებსაც ბევრჯერ გადავყრივარ... მანქანამ ცოტა არ იყოს, უხეში ლაპარაკიც მასწავლა. ერთხელ, იმდენად ახლოს მომყვებოდა ერთი მანქანა და შეუქნიშანზე ისე „ჩამიხტა“ წინ, რომ კინაღამ დავეჯახეთ ერთმანეთს. მაგრამ გავბრაზდი და ჩემთვის რაღაც ჩავიბუტბუტე მძღო-

ლის მისამართით. ჩემი სიტყვების შინაარსი ზუსტად გამოფრა და გამოძევიდა, მისიგნალებდა, რომ გამეჩერებინა, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევდი. ბოლოს, გზა გადამიჭრა, მანქანიდან გადმოხტა და მითხრა: გინდა თუ არა, ახლავე გამიმეორე, რაც ჩაილაპარაკე და ბოდიშში მომიხადეო... მე, რა თქმა უნდა, თავი ვიძარბო - ცუდი არაფერი მითქვამს-მეთქი... არა, კარგად გავიგე, რაც თქვითო, - დაიჟინა. არაფრით არ გამოვტყდი და რომ აღარ მომეშვა, ბოლოს ვუთხარი: თუ ვთქვი და ახლა უარზე ვარ, განა ეს უკვე ბოდიშის მოხდა არ არის-მეთქი?! ისე, კარგა გვარიანად კი შემეშინდა, იმიტომ, რომ, როგორც მამაკაცი მამაკაცს, ისე მეჩხუბებოდა...

— საუბრისას თქვით, მანქანა ერთგული მეგობარივით გემსახურება და როგორც მოექცევი, ისევე მოგექცევაო... მაინც რაში გეხმარებათ თქვენი „ერთგული“ „მოქელი“?!

— რაში და განწყობის გამოკეთებაში! მსახიობები საერთოდ მეოცნებე, რომანტიკოსი ხალხი ვართ, მანქანას კი აქვს რაღაც თავისებური ინტიმი, რაც განწყობას გამოვიკეთებს ხოლმე... კარგ, მზიან ამინდში ქალაქგარეთ მიყვარს მანქანით გასეირნება, ცუდ ამინდში კი - მანქანაში ჯდომა: ავწევ ხოლმე მინებს და ვუსმენ მუსიკას...

— თქვენი მანქანის საჭეს თუ უთმობთ ხოლმე ვინმეს?

— არა და არც არასდროს დავსვამ ვინმეს - ჩემს ვაჟსაც კი! შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ რძალს ვათხოვო მანქანა - იმიტომ, რომ ისიც ქალია და თან, ჩემზე უკეთესი მძღოლიც არის, მაგრამ ჩემს რძალს თვითონაც ჰყავს ავტომანქანა...



აპოყირავებულ მიკროავტობუსს ერთ-ერთი მგზავრი ემსხვერპლა

„მძლოლი უდანაშაულოა და მაინც ციხეში ზის“ — აცხადებენ ადვოკატები

მეზი სანავა

52 წლის აბრამ კუპატაძეს, რომელიც უკვე ერთი წელია, რაც თბილისის №5 იზოლაციის პატიმარი გახლავთ, საოლქო სასამართლო მალე განაჩენს გამოუტანს. განსასჯელისთვის ეს უკვე მეორე განაჩენი იქნება იმ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, რაც მას შარშან სამარშრუტო ტაქსის მართვისას მოუხდა.

2001 წლის 4 იანვარს, დილის ცხრის ნახევრისთვის, აბრამ კუპატაძე, რომელიც ფირმა „აეტომობილში“ მძლოლად მუშაობდა, მიკროავტობუსს — „ფორდ-ტრანზიტით“ სოფელ კაკაბეთიდან თბილისისკენ მიდიოდა. აღნიშნული სოფლიდან ლილოს ბაზრობამდე, მას მგზავრები უნდა გადაეყვანა. თბილისთან მიახლოებამდე, სამარშრუტო ტაქსი ხალხით შეივსო. ბოლოს იგი ბაზრობასთან შეჩერდა, შემდეგ კი ქალაქის მიმართულებით გზა კვლავ განაგრძო. მიკროავტობუსი დაახლოებით 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. ე.წ. „მშრალ ხიდან“, მოყინული გზის მონაკვეთზე, მანქანა მოცურდა, მძლოლმა მართვის კონტროლი დაკარგა და მიკროავტობუსი აპოყირავდა. სამი მგზავრი დაშავდა, აქედან ორმა, სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო, ერთი — ხანდაზმული ქალბატონი, ლიანა მეკოშვიშვილი კი, სააკადემყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

აბრამ კუპატაძე პოლიციამ დააკავა, გამოძიებამ კი, იგი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევაში (რასაც ერთი ადამიანის სიკვდილი და სხვათა სხეულის დაზიანება მოჰყვა) დაადანაშაულა.

კუპატაძემ ეს ბრალდება მაშინვე უარყო და განაცხადა, რომ ავტოავარიის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მგზავრთა სხეულის დაზიანება და სიკვდილი კი, მან უბედურ შემთხვევად მიიჩნია.

„... მშრალი ამინდი იყო, მაგრამ

გზის ერთი მონაკვეთი მაინც დასველებული და მოყინული აღმოჩნდა. ამის შესახებ წინასწარ როგორ უნდა მცოდნოდა? წინა ღამით ძლიერი ყინვა იყო და ალბათ ამან გამოიწვია ერთ ადგილას წყალსადენი მილის გახეთქვა და გზაზე წყლის დაღვრა“... — განაცხადა კუპატაძემ სასამართლოს წინაშე.

ის, რომ აბრამ კუპატაძე ნორმალური სიჩქარით მართავდა მიკროავტობუსს, დაკითხვისას, მგზავრებმაც დაადასტურეს. თუმცა, ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ განსასჯელის ჩვენება არ გაიზიარა და გამოძიების მიერ მიყენებული ბრალდება დაადასტურა.

განსასჯელის ადვოკატების თქმით, კუპატაძე ერთი წელია, რაც უკანონო პატიმრობაში იმყოფება. მათივე განცხადებით, გამოძიება, ისევე, როგორც მოსამართლე, ბრალდებულის მიმართ არაობიექტური იყო. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილოებმა, 2001 წლის შემოდგომაზე, საოლქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი შეიტანეს. ადვოკატები პატიმრობიდან აბრამ კუპატაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.

დავით ჯალაბაძე, აბრამ კუპატაძის ადვოკატი:

„არც გამოძიებამ, არც სასამართლომ, რატომღაც არ გაითვალისწინეს ის მონაკვეთი და არსებული ვარემოებები, რომელიც მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების — პატიმრობის აუცილებლობას გამოიციხავს. აბრამ კუპატაძე სამი შვილის მამაა, მას სტენოკარდიული დაავადება აქვს, რისი საბუთებიც საქმეში დევს. ვარდა ამისა, მძიმედ ავადმყოფი მამა ჰყავს და ოჯახის ერთადერთი მარჩენალიც იყო. მას საოცრად სუფთა წარსული აქვს, მთელი 31 წლის მანძილზე, მძლოლად მუშაობდა და ერთი ავტოსაგზაო შემთხვევაც კი არ მოუხდენია. გამოძიებას ყოველივე ეს უნდა გაეთვალისწინებინა და ასეთი ადამიანისთვის, აღმკვეთ ღონისძიებად

პატიმრობა არ უნდა შეეფარდებინა. არსებობს სხვა ზომებიც — მაგალითად, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა, რაც კუპატაძის მიმართ უფრო კანონიერი გადაწყვეტილება იქნებოდა“.

აბრამ კუპატაძის თქმით, ძიების დასაწყისში სამართალდამცავები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ, თავიდანვე სახაზინო ადვოკატი დაუნიშნეს, ხოლო როცა განსასჯელმა შეატყო, რომ იგი მის უფლებებს სათანადოდ ვერ იცავდა, კერძო ადვოკატის აყვანის საშუალება არ მისცეს.

დავით ჯალაბაძე აბრამ კუპატაძის საქმის განხილვაში ახლახან ჩაერთო. მისი თქმით, გამოძიებამ და სასამართლომ მთავარ მტკიცებულებად, ბრალდებულის ეწალიარებითი ჩვენება მიიჩნიეს.

დავით ჯალაბაძე:

„სინამდვილეში, ის ჩვენება აღიარებას სრულიად არ შეიცავს; კუპატაძე მასში აღნიშნავს, რომ წუხს და ნანობს მომხდარის გამო, თორემ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. გამოძიებამ ამას რატომღაც აღიარება დაარქვა, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, კანონის შესაბამისად, სასამართლოს მხოლოდ განსასჯელის აღიარებაზე დაყრდნობა არ შეუძლია. ასეთი ჩვენება მტკიცებულებად მაშინ ითვლება, როცა იგი სხვა დამადასტურებელი საბუთებითაც არის გამყარებული. ასეთი რამ კი საქმის მასალებში არ ფიქსირდება. ვარდა ამისა, არსებობს ექსპერტიზის ე.წ. დასკვნა, რომელიც კონსულტაცია უფროა, ვიდრე გამოძიების მიერ დასმულ შეკითხვებზე ექსპერტების კატეგორიული პასუხი. ეს კანონით აკრძალულია და მისი გათვალისწინებაც დაუშვებელია. ამიტომაც, საოლქო სასამართლოს, უკვე იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ექსპერტიზის ცენტრის ცნობა (ცენტრის უფროსის — მაია ნიკოლეიშვილის ხელ-

მოწერით) წარუდგინეთ. ცნობაში წერია, რომ კუპატაძის საქმეში დაფიქსირებული ვარემოებები ექსპერტთა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და მათი შესწავლის საფუძველზე, გამოძიებისთვის კატეგორიული დასკვნების მიცემაა საჭირო“.

ეს შუამდგომლობა სასამართლო პალატამ ნაწილობრივ დააკ-

მაყოფილა და მომდევნო სხდომაზე დასაკითხად, ექსპერტები დაიბარა.

გარდაცვლილის - ლიანა მეკოშკიშვილის შვილმა, დაზარალებულმა - გიორგი ივანიშვილმა განსასჯელს სამოქალაქო სარჩელით, 7.320 ლარის, მორალური ზიანისთვის კი - 10.000 აშშ დოლარის ანაზღაურება მოსთხოვა.

ამასთანავე, იგი კანონის მთელი სიმკაცრით კუპატაძის დასჯას მოითხოვს. განსასჯელმა კი აღნიშნა, რომ მან დაზარალებულს საკუთარი ინიციატივით 7.000 ლარამდე უკვე გადასცა და ამიტომ, არც მორალურ (რადგან თავს დამნაშავედ არ ცნობს) და არც სამოქალაქო სარჩელს არ ცნობს.

ახალგაზრდა მამაკაცს ნათესავის გაუპატიურების მსჯელობისთვის ასამართლება

მეზო ცანაძე

დუშეთის რაიონის სოფელ გრიგოლაანთკარში 2000 წლის გაზაფხულზე მომხდარ ერთ ამბავს ორი წერილშვილიანი ოჯახის ბედნიერება ემსხვერპლა. ახალგაზრდა ქალს, რომელიც სოფლიდან დუშეთში თავის შვილებთან მიდიოდა, ნათესავი მამაკაცი წამოეწია და გაუპატიურება დაუპირა. სწორედ ასე განაცხადა პოლიციის სამმართველოში მივარდნილმა, ატირებულმა და სასტიკად ნაცემმა მ.ჭ.-მ. მან პოლიციელებს შემთხვევის ადგილიც მიუთითა. იქ მისულ სამართალდამცავებს, როგორც თავად აცხადებენ, დამნაშავე გაქცეული არ დახვედრიათ, იგი თავისი მანქანით ჯერ კიდევ დანაშაულის ადგილას იმყოფებოდა...

ამ ამბის დეტალებს უკვე სასამართლო განიხილავს. სხდომები დახურულად ტარდება, თუმცა, ჩვენთან საუბრის სურვილი თავად დაზარალებულის მხარემ გამოთქვა. „ეს იმიტომ გადაწყვიტე, რომ პროკურატურის მხრიდან, უამრავ უსამართლობას გადავაწყდი. ამ ტრავმისა, როგორც ჩანს, ჩვენი სამართალდამცავები იმდენად სერიოზულად არ აღიქვამენ, რომ დამნაშავე დააპატიმრონ და საკადრისად დასაჯონ. პირიქით, ცდილობენ, როგორმე პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლონ, როცა მან ორი ოჯახი - თავისიც და ჩვენიც - დაანგრია“, - გეთხრა დაზარალებულის ქმრის მაილაძე, რომელმაც ასევე გეთხოვა, სახელებისა და გვარების გამოქვეყნებისგან თავი შეეკავებინა. ამ პირობას ჩვენ განსასჯელის მიმართაც ვახორციელებთ. სხვათა შორის, მომხდართან დაკავშირებით, კომენტარისთვის, მასაც მივმართეთ, მაგრამ დეტალების განმარტებაზე კატეგორიული უარი განაცხადა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს. განსასჯელის მხარის თქმით, ეწ. დაზარალებული, პროვოკატორია, ის თავიდანვე უწესო ცხოვრებით ცხოვრობდა, განსასჯელის მიმართ ინტერესი აღნიშნულ შემთხვევამდეც ჰქონდა, რასაც აშკარად გამოხატავდა, ხოლო როცა საწადელს ვერ მიადწია, მისი ოჯახის დანგრევა განიზრახა; სხვის მიერ ნაცემი პოლიციაში მივარდა და ხელი განსასჯელს დაადო.

დაზარალებულის ძმრის მამიდა:

„ჩემს ძმისშვილსა და რძალს შესანიშნავი ოჯახი ჰქონდათ, იმ ამბის შემდეგ კი მათ ბედნიერებას ბოლო მოეღო. ჩემი რძალი 35 წლისაა, ორი შვილი ჰყავს და ყოველ წუთს მათზე ზრუნვასა და მათ აღზრდაზე ფიქრში ატარებს... იმ პერიოდში ბავშვებმა მეოთხე კლასი დაამთავრეს და რაკი ჩვენს სოფელში მხოლოდ პირველდაწყებითი სასწავლებელია, ისინი დუშეთის სკოლაში უნდა გადაგვეყვანა. დუშეთი გრიგოლაანთკარიდან

4-5 კილომეტრითაა დაშორებული, ტრანსპორტი არ მოძრაობს და თავისთავად, ბავშვებისთვის ყოველ დღით ამ მანძილს გავლა და გაკეთილებზე დროულად მისვლა ძნელი იქნებოდა. იქ სახლი არ გვქონდა, ამიტომაც, ბინის დაქირავება გადავწყვიტეთ. ჩემი რძალი ბავშვებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ სოფელში ყოველდღე, დღით, ხან საღამოს ჩამოდიოდა, რათა ქმრისთვის და ოჯახისთვისაც მიეხედა.

აპრილის ერთ დღეს, იგი დუშეთში შვილებთან მიდიოდა, საღამო იყო, გზაზე მანქანით ჩვენი კარის მეზობელი და ნათესავი წამოეწია, ჰკითხა, სად მიდიხარო? - და შესთავაზა - წავიყვანო. ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, იმდენად ვახლოობდით, რომ ერთმანეთში ეჭვი არასოდეს შეგვპარვია, ამიტომაც, ჩემი რძალი მის მანქანაში ჩაჯდომაზე არც შეყოყმანებულა.

დუშეთთან გზები იყრება. ერთი - ქალაქისკენ მიდის, მეორე - სასაფლაოებისკენ. ამ მეზობელმა სასაფლაოებისკენ გაუხვია თურმე. რძალს უკითხავს - აქეთ რატომ მიდიხარო? მას უთქვამს - მანქანის ტექდათვალიერება არ ჩამიტარებია და მეშინია, პოლიციამ არ გამაჩეროსო. ცოტა ხანში ჩემს რძალს კვლავ შეჰპარვია ეჭვი და უფრო კატეგორიულად მოუთხოვია პასუხი. მაშინ დამნაშავეს რაღაც გაურკვეველად უთქვამს. ჩემს რძალს მანქანის კარი გაუღია და გადახტომა დაუპირებია, მაგრამ დამნაშავეს მისთვის საყელოში ხელი ჩაუვლია და ისე დაუჭერია. ცალი ხელით საჭეს მართავდა, ცალით - ქალს აკავებდა. სწორედ ამ დროს, კონტროლი ვერ გაუწევია თავისთვის და ორმოში ჩავარდნილა. იძულებული გამხდარა, მანქანა გაეჩერებინა, ჩემი რძალი მანქანიდან გადაუთრეგია, მერე მისთვის კაბა შემოუხვია და რადგან ის არ ნებდებოდა, სასტიკად უცემია. ყურებიდან საყურებიც ჩამოუგლეჯია, რად უნდოდა - არ ვიცი, ალბათ, მისთვის ტკივილი რომ მიეყენებინა. შემდეგ ერთი ცალი საყურე პოლიციამ მის მანქანაში იპოვა.

მისი დამორჩილება მაინც ვერ შეძლო, თუმცა შეურაცხყოფის მიყენება მოახერხა... ჩემს რძალს, თავადაც არ იცის როგორ, მაგრამ მისგან თავი დაუღწევია, ცოცხალ-მკვდარს უკანასკნელი ძალ-ღონე მოუკრებია და გაქცეულა. მაშინვე პოლიციაში მისულა და შველა უთხოვია...”

დაზარალებულის მხარის თქმით, საქმის მასალებში განსასჯელის ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები საკმარისადაა. მათ შორის, ისინი მოწმეთა ჩვენებებსაც ასახელებენ, თუმცა, ამის გადამოწმება ამ ეტაპზე ჩვენთვის შეუძლებელი გახდა.

როგორც შევტიყვეთ, სასამართლო სხდომებზე ამჟამად მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობს.

სოლ-გვილის შეგინება 27 წლის ასაკამდე დასრულდა გველგოზა ჩაღვინა

ყველაფერი კი ვაფლის გავით, ჩხუბით დაიწყო...

მეზო ტანაპა

„... იმ დროს რუსეთში ვიყავი. შემატყობინეს, რომ შვილი დაძვლებულია... როცა ჩამოვედი, მითხრეს, რომ იგი მოუკლავთ. მეზობელ ბიჭს მისთვის თურმე დანა ჩაურტყამს...“ – წერს თავის ჩვენებაში დაზარალებული, გარდაცვლილის მამა – დავით გოგიაშვილი. მას შვილი – ზვიად გოგიაშვილი, შელაპარაკებისას, სასურსათო მაღაზიაში ვაფლის გამო ატეხილი ჩხუბის შედეგად მოუკლეს.

დალუპულის ახლობლების თქმით, მკვლეელი მათივე მეზობელი, 1973 წელს დაბადებული კობა ხარიბეგაშვილია. მოგვიანებით, საქმის გამოძიების შედეგად, ეს ინფორმაცია, გორის რაიონულმა სასამართლომაც დაადასტურა. დაპატიმრებულ ხარიბეგაშვილს მოსამართლემ, შკაცური რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თუმცა, მომხდარი ტრაგედიის დეტალების გარკვევა ამით არ დასრულებულა. გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი მსჯავრდებულის მხარემ გაასაჩივრა და დღეს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს საოლქო სასამართლო განიხილავს.

კობა ხარიბეგაშვილი, რომელიც ადრე ნასამართლევი არ ყოფილა და ამჟამად ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და სასამართლოსგან სასჯელის მოხსნას მოითხოვს. მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს, იგი თავად ჩაბარდა პოლი-

განსასჯელი კობა ხარიბეგაშვილი

ციას და ჩვენებაც მისცა პროკურატურის თანამშრომლებს. სწორედ ეს ჩვენება გაითვალისწინეს სამართალდამცავებმა, მის მიმართ ბრალის მიყენებისას.

როგორც გაირკვა, გორის რაიონის სოფელ კარალეთში მცხოვრებთ – კობა ხარიბეგაშვილსა და მის სიძეს (დისქმარს) არჩილ პეტუაშვილს ამავე სოფელში მაღაზია „თეთრონი“ ჰქონდათ გახსნილი. ამ მაღაზიაში გამყიდველებად, მათი დედები – მარინე ხარიბეგაშვილი და მარინე ღურგლიშვილი მუშაობდნენ.

2000 წლის 2 ნოემბერს არჩილ პეტუაშვილს დაბადების დღე ჰქონდა. მასთან სტუმრად კობა ხარიბეგაშვილი, მისი ოჯახის წევრები და მეგობრები იყვნენ მისულები და ქეიფობდნენ. მარინე ხარიბეგაშვილი და მარინე ღურგლიშვილი მაღაზიაში დარჩნენ სამუშაოდ. ამ დროს, დაახლოებით საღამოს 9 საათისთვის, „თეთრონი“ ვაფლის საყიდლად, თანასოფლელი ავთანდილ პეტუაშვილი შევიდა. გამყიდველებმა მას ვაფლის მიყიდვაზე უარი უთხრეს, რაც მათ შორის კამათისა და უთანხმოების მიზეზი გახდა. სიტუაციის განმუხტვას იქვე მყოფი ზვიად გოგიაშვილი შეეცადა. მოჩხუბრები მაინც არ ცხრებოდნენ და ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ატეხილი ჩხუბის შესახებ არჩილ პეტუაშვილმა და მისმა სტუმრებმაც შეიტყვეს. მან და კობა ხარიბეგაშვილმა ავთანდილსა და ზვიადთან ურთიერთობის გარკვევა განიზრახეს.

იმავე დღეს, დაახლოებით საღამოს 11 საათზე, ისინი დათო პეტუაშვილთან (არჩილ პეტუაშვილის ძმა) ერთად, შემთხვევით შეხვდნენ ავთანდილ პეტუაშვილს და მაშინვე, მაღაზიაში მომხდარი ინციდენტის გამო „საქმის გარჩევა“ დაუწყეს. გამოძიების მასალების მიხედვით, შელაპარაკებისას მათ ავთანდილ პეტუაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენეს და სხეული დაუზიანეს. ამ უკანასკნელმა თავი როგორც გაითავისუფლა და იქიდან გაიქცა. კობა ხარიბეგაშვილი მას დაედევნა

და, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ავთანდილ პეტუაშვილსა და ზვიად გოგიაშვილს მოკვლით დაემუქრა. ავთანდილი ამ მუქარამ საკმაოდ შეაშინა და ამის შესახებ მეორე დღეს ზვიად გოგიაშვილს უთხრა.

3 ნოემბერს, დღის 3 საათისათვის კობა ხარიბეგაშვილი თავისი ავტომანქანით, რომელშიც არჩილ პეტუაშვილიც იჯდა, ზვიად გოგიაშვილის სახანჯად მივიდა სოფლის „ბირჟასთან“. როცა ეს უკანასკნელი შენიშნეს, მანქანა გააჩერეს და დაუძახეს. გოგიაშვილი ავტომანქანაში ჩაისვენს და ჩხუბი დაუწყეს. ზვიადი მანქანიდან გადახტა, რათა მათგან თავი დაეღწია, თუმცა, მას არჩილ პეტუაშვილიც გადაჰყვა. ჩხუბი გზაზე გაგრძელდა. არჩილს და ზვიადს იქ მყოფები აშველებდნენ. ამ დროს, კობა ხარიბეგაშვილმა მანქანიდან გასაშლელი დანა ამოიღო (საბრალდებო დასკვნის თანახმად, ამ დანას იგი ყოველთვის თან ატარებდა), მიუახლოვდა ზვიად გოგიაშვილს და დანა მუცელში ჩაარტყა. მძიმედ დაჭრილი ზვიადი მაშინვე სავადმყოფოში წაიყვანეს, თუმცა სამედიცინო დახმარების მიუხედავად, ჭარბი სისხლდენის გამო, იგი იმავე დღეს გარდაიცვალა.

ხარიბეგაშვილის ჩვენების მიხედვით, 2000 წლის 2 ნოემბერს, საღამოს, იგი თავისი სიძის სახლიდან, ქეიფის შემდეგ წასვლას აპირებდა. ამ დროს ხმაური შემოესმა და გაიგონა, რომ ავთანდილ და არჩილ პეტუაშვილები ერთმანეთს ეკამათებოდნენ. იგი მათ მიუახლოვდა და ავთო პეტუაშვილს ხელი პერანგში მოჰკიდა. პეტუაშვილმა თავი გაითავისუფლა და იქიდან გაიქცა. „იმ დამით დედაჩემისგან ვერაფერი ვაკვივ. მხოლოდ მეორე დღეს – 3 ნოემბერს შევიტყვეთ მე და არჩილმა, რომ წინა დამით მაღაზიაში ავთოსა და ზვიადს, მოვრალეხს, ჩვენი დედებისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ“, – დასძინა ხარიბეგაშვილმა. მისივე თქმით, ბირჟაზე მდგომმა ზვიად გოგიაშვილმა თავად ანიშნა მასა და არჩილს, მანქანა გაეჩერებინათ. ზვიადი ავტომანქანის უკანა სავარძელზე დაჯდა, ხოლო როცა ხარიბეგაშვილმა წინა





სასამართლო კოლეგია

ზურაბ როსტიაშვილი:

„პროკურატურა თავიდანვე დაინტერესებული იყო იმით, რომ კობა ხარიბეგაშვილისთვის განზრახ მკვლელობის მუხლი მიეყენებინათ. ამაზე დაზარალებულისა და ზოგიერთი მოწმის შეცვლილი ჩვენებები მეტყველებს. ცხადია, რომ გამოძიებული ცალკეულ დეტალებს თავადაც თხზავდა და მოწმეებს ამ დეტალების დასახელებას აიძულებდა. თუმცა, ამ ხალხმა სასამართლოში, ადრე დაწერილი ჩვენებების ზუსტი გადმოცემა აშკარად ვერ შეძლო. უფრო მეტიც, ისეთი მომენტების აღწერა ვერ შეძლეს, რაც, გამოძიებისთვის მათ მიერ ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, აუცილებლად უნდა სცოდნოდნათ“.

ადვოკატის თქმით, ხარიბეგაშვილმა მკვლელობა ნამდვილად სულიერი აღელვებისა და აუცილებელი მოგერიების პირობებში ჩაიდინა. ექსპერტების თქმით, ისინი მხოლოდ მაშინ დადასტურებენ ან უარყოფენ, იყო თუ არა დანაშაულის ჩადენის მომენტში ხარიბეგაშვილი სულიერი აღელვების ანუ აფექტის მდგომარეობაში, როცა სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს განსასჯელის ერთ კონკრეტულ ჩვენებას. ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს ხარიბეგაშვილის მიერ აღწერილი მოვლენები აფექტს გამოიხატავს, თუმცა, მის მიერ მოგვიანებით მიცემული ჩვენებების მიხედვით, სულიერი აღელვება შესაძლებელია დადასტურდეს. ამიტომაც, მათ არჩევანის წინაშე მოსამართლე დააყენეს. გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ კი განაჩენის გამოტანისას განაცხადა, რომ ის, სხვა მოწმეთა დაკითხვის საფუძველზე, ხარიბეგაშვილის ეჭვმიტანილად ყოფნისას მიცემულ ჩვენებას მიიჩნევს სარწმუნოდ. იმავე არჩევანის წინაშე მალევე დადგება. თუ რასაც მოსამართლემ მომავალი გვიჩვენებს.

სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება
გამოცემულია
გორის რაიონული სასამართლოში

აღნიშნავს, რომ გოგიაშვილის დაჭრის მომენტი საერთოდ არ ახსოვს.

წინასწარი გამოძიებისთვის ერთ-ერთი მოწმის – გურამ სუხიბაშვილის მიცემული ჩვენების თანახმად, ეს უკანასკნელი ცდილობდა, ხარიბეგაშვილისთვის დანა როგორმე წაერთმია, მაგრამ კობა იარაღს ხელს არ უშეშებდა და ეუბნებოდა: გამიშვი, თორემ შენც დაგარტყამო.

მომხდართან დაკავშირებით დაკითხვული ყველა მოწმე, თავად განსასჯელიც და დაზარალებულიც, აღნიშნავს, რომ კობა ხარიბეგაშვილსა და ზვიად გოგიაშვილს ერთმანეთთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ჩვენებების მიხედვით, ადრე კონფლიქტი არც ავთანდილ პეტუაშვილს, არჩილ პეტუაშვილსა და კობა ხარიბეგაშვილს შორის მომხდარა; ავთანდილს მათ დედებთანაც არ მოსვლია წინათ უთანხმოება.

ავთანდილ კახუაშვილი:

„... მალაზიაში გამოიდევნები – მარინე ხარიბეგაშვილი და მარინე დურგლიშვილი დამხედნენ. ვაფლის მოყიდვაზე უარი მითხრეს. ამის გამო, ჩხუბი დავიწყეთ. გამოიდევნები იმწუთას შემოსულ გოგიაშვილსაც ეჩხუბებოდნენ. მე ჯოხი თუ ცოცხი დამარტყეს, რის შემდეგაც იქიდან ორივენი სახლებსკენ წამოვედით... გზაზე არჩილ პეტუაშვილის ძმა – დათო შემხვდა. მან გამაჩერა და სიტყვის უთქმელად, მაშინვე ცემა დამიწყო. მას არჩილი და კობაც მიეშველნენ, ერთად მირტყამდნენ, პერანგი სულ შემომახიეს. იქვე მალაზიის გამოიდევნები იდგნენ და მწვევლიდნენ. რაღაც მომენტში, თავის დაღწევა მოვახერხე და გავიქეცი. კობა ხარიბეგაშვილი დანით დამედევნა და მე და ზვიადს მოკვლით დაგვემუქრა.“

ამის შესახებ მეორე დღეს ზვიადს ვუთხარი“.

ხარიბეგაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი – ზურაბ როსტიაშვილი, ავთანდილ პეტუაშვილის ჩვენებას ეჭვქვეშ აყენებს. მისი თქმით, დაზარალებულმა საქმის ძიების პერიოდშიც და სასამართლოშიც თავისი სიტყვები არაერთხელ შეცვალა.

დღეს მომხდარი ჩხუბის თაობაზე განმარტება მოსთხოვა, თქვა: მანქანა წინ დააყენე და ყველაფერს გეტყვი. ავტომანქანის გაჩერების შემდეგ, გოგიაშვილმა ხარიბეგაშვილსა და პეტუაშვილს უთხრა: თქვენს დედებს დავუწყველივართო. „...მე ვუთხარი – ქალების ლაპარაკს შენ ყურს ნუ უგდებ, თუ რამე პრობლემა გაქვს, ჩემთან გაარკვიე-მეთქი“, – აღნიშნა ჩვენებისას ხარიბეგაშვილმა. მისი თქმით, გოგიაშვილმა ეს სიტყვები იუკადრისა და გინება დაიწყო, თან „კოკა-კოლის“ ბოთლს მანქანის საკარძლებს ურტყამდა. ხარიბეგაშვილი ირწმუნება, რომ გოგიაშვილს ხელში რაღაც რკინის ნაჭერი ეჭირა. „ზვიადმა კიდევ ერთხელ შეიგინა ჩემი ცოლ-შვილის მისამართით და მანქანიდან გადახტა. იმ მომენტში, მეც გარეთ გადავედი. უცებ მან სწორედ ის ხელი მომიქნია, რომელშიც რკინის ნაჭერი ეკავა, საპასუხოდ, მეც დანიათ ხელი მოვუქნიე... ზვიადის მოკვლა არც კი მიფიქრია, მაგრამ იმ დროს თავს კონტროლს ვერ ვუწყვედი... გონება დაბინდული მქონდა და იმის შემდეგ რა მოხდა, არაფერი მახსოვს. ვნანობ იმას, რაც ჩავიძინე, მაგრამ მაშინ ძლიერი სულიერი აღელვებისა და აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ვიმყოფებოდი“... – ამბობს კობა ხარიბეგაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ეჭვმიტანილად დაკითხვისას, მას განსხვავებული ჩვენება აქვს მიცემული. იქ ხარიბეგაშვილი წერს, რომ მანქანიდან გადასვლისას გოგიაშვილმა არჩილ პეტუაშვილი გარეთ გადაათრია; ამ დროს კი თავად, ავტომანქანიდან, ყოველი შემთხვევისთვის, დასაკეცი დანა ამოიღო; ზვიადისგან ამდენი დამცირება ვეღარ აიტანა და თავიდან მის მოსაცილებლად, დანა გამალა, აქეთ-იქით მოიქნია, ამ დროს იარაღი ზვიადს მუცლის არეში მოხვდა. ზვიადი ბიჭებმა მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. ხალხის ყვირილზე მკვლელობის ადგილას დედამისი – მარინე ხარიბეგაშვილი მივიდა და შვილს ტირილით უთხრა: რა ქენი, შვილო, დამღუპეო? ხარიბეგაშვილმა ამას ვერ გაუძლო, სიძესთან ერთად, მანქანაში ჩაჯდა და ქალაქ გორში, ნათესავთან ჩავიდა.

ხარიბეგაშვილს წინასწარი გამოძიებისთვის რამდენიმე ჩვენება აქვს მიცემული. იგი მანქანიდან დანის ამოღებისა და მისი მოქნივის ფაქტს სხვადასხვანაირად აღწერს, ერთგან კი იმასაც

თათია გიორგობიანი ერთ-ერთი იმ იშვიათ მომღერალთაგანია, ვინც უცხოელ მსმენელს საქართველო გააცნო. ბოლო დროს მან პრეტენზიული ქართველი მსმენელის მოხიბვლაც შეძლო, სულ ახლახან კი, თათია განსხვავებული – ტელენამყვანის ამჟამად ნარდგა მაყურებლის წინაშე.

ოქსოს მეტყველებითა და მაიკრ ბუშის სიუჟეტიზით დაწყებული

მომღერლის ხარირა



რამო კაბანიშვილი

— რამდენადაც ვიცი, შენ ადრეული ასაკიდან მღერი. როდის გადადგი პირველი სერიოზული ნაბიჯი მუსიკალურ სამყაროში?

— ჩვენს ოჯახში მუსიკალური ატმოსფერო ყოველთვის სუფევდა, დეიდაჩემი გოდერძიშვილი კი ანსამბლ „მზიურში“ მღეროდა. ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად, კომპოზიტორ მაცაცო სები-სკვერადის სიმღერა შევასრულე; თვითონ ქალბატონი მაცაცოც შემომიერთდა და მეორე ხმა იმღერა. ეს ჩემთვის დაუვიწყარი დღეა. მაშინ სულ ოთხი წლის

ვესვდით კოლეჯის დიპლომის მიღების დღეს



ვიყავი. შემდეგ იყო „მზიურის“ პერიოდი, გურამ ჯაიანის ხელმძღვანელობით... პირველი მნიშვნელოვანი წარმატება კი, მოსკოვში, სატელევიზიო კონკურსში – **Бесе́лые нотки** ვი-გემე, სადაც ოქროს მედალი გადმომცეს. როგორც გამარჯვებული, მომდევნო წელსაც მიმიწვიეს და კვლავ ოქროს მედლით დაგბრუნდი. ამის შემდეგ, ბევრ ქვეყანაში ჩატარებულ ფესტივალში ვმონაწილეობდი, მათ შორის – ბოსტონის საერთაშორისო ფესტივალში.

— ბოსტონის ფესტივალზე საქართველოდან მიგიწვიეს?

— არა. მოხდა ისე, რომ მეთერთმეტე კლასის დამთავრება ამერიკაში მომიხდა. კერძოდ – ვუდსვილის ჰაისტულში, სადაც გაცვლითი პროგრამით მოვხვდი. სხვათა შორის, იქ მოსახვედრად, საკონკურსო ოთხივე ტური დაუნძარებლად გადავლახე და ნამდვილად ბედნიერი ვიყავი ამის გამო... აღნიშნული სკოლა მედალზე დავამთავრე და ამასთან, დიპლომაცა და სერტიფიკატიც ჩამოვიტანე, რომელიც აშშ-ში სწავლის გაგრძელების უფლებას იძლევა.

სწორედ ამერიკაში სწავლის პერიოდში, „ამერიკელმა მშობლებმა“ შეიტყვეს ჩემი ვოკალური მონაცემების შესახებ და მოხიბვეს, მონაწილეობა მიმელო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ბოსტონში იმართებოდა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ისე განვითარებული ქართული შოუბიზნესი, მეც მხოლოდ ერთი აუდიოალბომი

— ქართული სიმღერების პოპული და რამდენიმე ფოლკლორული ნამუშევარი მქონდა წაღებული. ძალიან კარგად ვიხსენებ იმ წუთებს, როცა ამაყად გამოვაცხადე, რომ ვიყავი საქართველოდან და ვუყურებდი ჩემი იქაური ოჯახის წევრებს, რომლებიც სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდნენ. ჩემთვის მოულოდნელად, მთელი საზოგადოება ოვაციებით შემხვდა, კონკურსის დასასრულს კი, არანაკლებ გავოცდი, როდესაც როგორც გამარჯვებულს, ოქროს მედალი და მინიატურული ოქროს საკრავი (ერთ-ერთი მთავარი პრიზი) გადმომცეს.

— ამერიკაში ბევრი მეგობარი თუ შეიძინე?

— ძალიან კარგი მეგობრები შევიძინე. ყველამ იცოდა, რომ ვმღეროდი. თავისუფალ დროს, მოხიბვნილი – გვიმღერო და მეც, ხან სკოლის დარბაზში და ხანაც, საკლასო ოთახში, ენერჯას არ ვიშურებდი. ვმღეროდი ძირითადად ჯაზს, თანაც ყოველგვარი ინსტრუმენტის თანხლებისა და მიკროფონის გარეშე, რაც ძალიან აკვირვებდათ.

— სასკოლო ღონისძიებებში თუ მონაწილეობდი ხოლმე?

— არაფერს დაგვკლებივარ. ძალზედ აქტიურად ვცხოვროდი. სპორტსმენთა მხარდამჭერთა გუნდის წევრიც ვიყავი, თითქმის არც ერთ თამაშს არ გამოვკლებივარ. ჩემი ამერიკელი „და-ძმა“ აქტიური სპორტული ცხოვრებით ცხოვრობდა. მათთან ყოფნის პერიოდში თითქმის დამავიწყდა კიდევ, რომ დედისერთა ვიყავი. არაჩვეულებრივი ოჯახის წევრები მყავდა. და ფრენბურთით იყო დაკავებული, ძმა კი, რომელიც ჩემზე ორი წლით იყო უმცროსი, ბეისბოლს თამაშობდა. თავიდან ვერაფერი გავუეცე ბეისბოლს, მაგრამ შემდეგ იმდენად ჩამთორია ამ თამაშმა, რომ ბეისბოლის მწვრთნელმა, როგორც საუკეთესო გულშემმატკივარს, „ბიტა“ და ბურთი მისახსოვრა.

— მომხიბლავ ქართველ გოგონას ალბათ არც თაყვანისმცემლები გაკლდა?

— თაყვანისმცემლების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩიოდი და არც ახლა ვუჩივი. მათი უმეტესობა ამჟამად ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— სიურპრიზებს თუ გინცობდნენ ხოლმე?

— (იცინის) თანაც ძალიან ბევრს. მაგრამ განსაკუთრებით, ერთი დამამახსოვრდა. მეგობრებთან ერთად, წვეულებაზე წავიდი. იქ სრულიად შემთხვევით გავიცანი ახალგაზრდა, რომელიც ჩემდა გასაოცრად, ჯორჯ ბუშის ძმისშვილი აღმოჩნდა. ალბათ ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, რომ არა ქართველი მამაკაცისთვის დამახასიათებელი ის

სიურპრიზი, რომელიც მან მომიწყო: დილით სკოლაში მისულს, საკუთარი კარადა რომ გამოვაღე, წიგნებთან ერთად, ულამაზესი თეთრი ტიტების თაიგული დამხვდა. თავიდან ვიფიქრე — ქართულმა მეგობრებმა აქაც მომაკითხეს-მეთქი, მაგრამ მალე მივიღე წერილი და სიურპრიზის ავტორის ვინაობაც ნათელი გახდა. რა თქმა უნდა, მაიკლს მადლობა გადავუხადე. იმ დღეს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს. კარგად მახსოვს, როგორი სიამაყით მივაბიჯებდი საკლასო ოთახისკენ...

— ამჟამად როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— საუკეთესო მეგობრებად დავრჩით. დღემდე გვაქვს მიმოწერა, ინტერნეტითაც ვეკონტაქტებით ერთმანეთს. სხვათა შორის, მან გამოსაშვებ ცერემონიაზეც დამპატიჟა, მაგრამ ვერ წავედი.

— მაიკლის ოჯახსაც ახლოს იცნობდი?

— მეგობრები ერთმანეთის ოჯახს ჩვეულებრივ, იცნობენ. მინდა აღვნიშნო, რომ შესანიშნავი შობილები ჰყავს და მათ დიდ პატივსაც ვცემ. მაიკლის დედამ, რომ შეიღყო, ჟურნალისტის პროფესია უნდა ამერჩია, სპეციალური შეკვეთით დამზადებული „პარკერის“ კალამი მისახსოვრა, რომელზეც ჩემი სახელია ამოტვიფრული.

— ამერიკაში, მას შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე იყავი, მათ შორის — ფესტივალებზე. ვინ გიგზავნის ხოლმე მიწვევას?

— კონკურსებზე ძირითადად, ბოსტონის ფესტივალის თავმჯდომარის, ჯეკი ბოლდენის მიწვევით ჩავდიოდი — მასთანაც ახლო ურთიერთობა მაქვს. ძირითადად, ჩრდილოეთ კაროლინის შტატში მიხდებოდა ხოლმე ჩასვლა.

— ცოტა ხნის წინ, თურქეთის ფესტივალზეც ყოფილხარ მიწვეული. იქ გატარებული დღეებიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?

— თურქეთის ბევრ დიდ ქალაქში მქონდა გამოსვლები, მაგალითად, მარმარისში, ანკარაში... სტამბოლში კი, როგორც ფესტივალის საპატიო წევრი, ისე მიმიწვიეს. სწორედ სტამბოლის კონცერტები იყო ყველაზე შთაბეჭდავად ორგანიზებული.

— ბოლო დროს ბევრი თავყვანისმცემელი გაგიჩნდა...

— საკუთარ მიღწევებზე საუბარი არ მიყვარს — ეს სხვამ უნდა გააკეთოს...

— სიმღერა „თბილისო“ ჰიტ-ალბუმებში მონაწილე პოზიციებზეა, როგორ შეიქმნა იგი?

— ამ სიმღერის იდეა მე და გია მაჭარაშვილს, სრულიად შემთხვევით დაგვებადა. მე ყოველთვის მომწონდა ვიას შემოქმედება და როცა შევიტყვე, რომ თავის



ერთ სიმღერას მჩუქნიდა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თავიდან დაიწერა ძალიან თბილი მელოდია, ტექსტი მოგვიანებით, ნინო დათუკიშვილმა დაწერა. შეიძლება ითქვას, რომ მისამღერში სიტყვა „თბილისო“, თავისით მოვიდა. ბედნიერი ვარ, რომ მსმენელმა შეიყვარა ეს სიმღერა, მასზე გადაღებული კლიპი კი, ნიჭიერ ახალგაზრდა რეჟისორს, სანდრო კაპანაძეს ეკუთვნის. თვითონ თემა იმდენად ფაქიზი იყო, რომ გვეშინოდა, ძველი, გაცვეთილი კადრებით არ გადაგვეტვირთა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ კლიპი პირველად, მაყურებელთან ერთად, პრეზენტაციაზე ვნახეთ: ჩვენ ბოლომდე ვენდეთ რეჟისორს და არც შევმცდარვართ.

— პოპულარობაზე რას ფიქრობ?

— პოპულარობა ნამდვილად კარგია, ძალიან მსიამოვნებს და არ მეგულება ხელოვანი, რომელსაც ის არ სჭირდება, მაგრამ — გარკვეულ ფარგლებში: მთავარია, მისკენ ლტოლვა, ამბიციურობაში არ გადაიზარდოს...

— როგორ მიგიღო დიდმა ქართულმა ესტრადამ?

— მივიჩნე, რომ ძალიან კარგად. კოლეგებისგან სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ. ეს დიდ სტიმულს მაძლევს. საერთოდ, ხელოვნება ძალიან ფაქიზი სფეროა: თუ ფეხი გადაგიბრუნდა, არ გაპატიებს. მეც ვცდილობ, შეცდომა არ მომივიდეს. მიმაჩნია, რომ მსმენელი არ უნდა გააღიზიანო შენი ჩაცმულობით, ქცევით, მანერებით. ზომიერებისა და „ოქროს შუალედის“ შეგრძნებას არასდროს ვკარგავ.

— ტელენამყვანის ამპლუაში როგორ გრძნობ თავს? პროფესია სასიმილო შემოქმედებაში ხომ არ გიშლის ხელს?

— არანაირად. ჟურნალისტიკა — პროფესიაა, სიმღერა კი — ჩემი ცხოვრება. ის თავისით დაიბადა და თავისით ვითარდება.

— ბევრი მაყურებელი ერთ-ერთ

საუკეთესო და გემოვნებიან ტელენამყვანად მიგიჩნევს. ვინ ზრუნავს შენს ჩაცმულობაზე?

— ვიცვამ იმას, რაც მომწონს და მიხდება. ბოლო დრომდე „პირველი სტერეოს“ წამყვანები თვითონ ზრუნავდნენ საკუთარ ჩაცმულობაზე, ჩემს სასცენო იმიჯზე პირველად იზრუნა პროფესიონალმა დიზაინერმა — მარინა ხორავამ. სულ ახლახან კი ავთო ცეკვიტინიძემ შეგვირჩია კოსტიუმები.

— კონკურენციის არ გეშინია?

— არა. ყველას თავისი ადგილი აქვს, ყველამ საკუთარი ინდივიდუალობა უნდა წარმოაჩინოს. ტელევიზია ყველა ნიუანსს დეტალურად ასახავს, ამიტომ სიყალბეს მაყურებელი სწრაფადვე გამჩნევს და უმეტეს შემთხვევაში, არც ვპატიობს.

— ცოტა ხნის წინ პოეტმა, აფხაზეთის განათლების მინისტრმა ჯანო ჯანელიძემ ლექსი მოგიძღვნა. გვიაშუბ რამე ამის შესახებ.

— ბატონი ჯანო ურეკში გავიცანი, ალბათ მასზე შთაბეჭდილება მოახდინა გიტარის თანხლებით ჩემ მიერ შესრულებულმა სიმღერამ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ საკუთარი ლექსების კრებულში ორი ლექსი — „კენესის გიტარა“ და „აწყვეტილი ღილი“ შეიტანა, რომელიც მე მომიძღვნა. მინდა ამისთვის დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ჯანოს.

— თავყვანისმცემლებით განებიფრებული, სიყვარულიც ხომ არ გეწვია? თუ უცხოელის შეყვარება ვერ წარმოგიდგენია?

— მიყვარს საქართველო და ყველაფერი ქართული. შეყვარებული კი ჯერ არ მყავს. სილამაზესა და ეროვნებას გადაამწყობტ მნიშვნელობას არასოდეს ვანიჭებდი, მთავარი — პიროვნებაა.



„მეზობელთან მივდიოდი, თვალში რაღაც ჩამივარდა...“ მეტს აღარ გავაგრძელებ, რადგან, როგორც ოფთალმოლოგები ამბობენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თვალი ხელით მოისრისოთ მაშინ, როდესაც იქ უცხო სხეული, თუნდაც წამწამი მოხვდება. რამდენიმე ოფთალმოლოგთან ვიზიტისა და საუბრის შედეგად შევითვალისწინებ, რომ გაფრცხვანული თვალის დაავადებები ძირითადად მემკვიდრეობითი ხასიათისაა და შვიდ თაობაზე ვრცელდება. თანამედროვე ოფთალმოლოგიისთვის ცნობილი ყოფილა მთელი რიგი უკუჩვენებელი დაავადებებისა, მათ შორის — დალტონიზმი და ქათმის სიბრმავე. თურმე ვენერული სნეულებებით — მაგალითად, სიფილისით — თვალზე ავადდება. თვეში ერთხელ ტირილი კი, პროფილაქტიკის მიზნით, სასარგებლოც კი ყოფილა.



მარინა რამაშაშვილი პაციენტთან ერთად

ზრუნველობა, რომელიც თვალიდან მისდის

ნანა ქიბიშაური

როდის არის სასურველი და როდის აუცილებელი თვალის ლაზერული კორექცია, როგორ შევარჩიოთ სათვალე, რა უნდა ვიცოდეთ კონტაქტური ლინზების გამოყენების შესახებ, რა ორგანული დაავადებებისაგან შეიძლება განვითარდეს თვალის ბაღურის დისტროფია, რა იწვევს უცვარ დაბრმავებს და რა შესაძლებლობებია საქართველოში მხედველობის კორექციის დარგში? — ვფიქრობთ, პასუხები ამ კითხვებზე საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

ექიმ-ოფთალმოლოგ **მარინა რამაშაშვილის** აზრით, რაც უფრო მეტად არის ადამიანი ვათვისცნობიერებული მედიცინაში, მით უფრო ადვილია მის დაავადებასთან ბრძოლა: ის დროულად მიმართავს ექიმს დახმარებისათვის და ნებისმიერი ავადმყოფობა, მათ შორის თვალის სნეულებანი, საწყის სტადიაში ადვილად ექვემდებარება მკურნალობას.

— **ქალბატონო მარინა, თვალის რა დაავადებებია ჩვენში გაფრცხვანული და ძირითადად, რა ინვესს მას?**

— მედიცინაში ცნობილია უძველესი ერების დაავადებები — მაგალითად, ებრაელებში ხშირია დიაბეტით გამოწვეული ახლომხედველობა, აზერბაიჯანში და სმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში ჭარბობს ბაღურის დისტროფია და თალასემია — სისხლის დაავადება, რომელიც გენეტიკურად გადადის. „ერების დაავადებების“ გარდა, ვხვდებით რელიგიურ-სარწმუნოებრივი თავისებურებებით გამოწვეულ დარღვევებსაც. მაგალითად, მუსლიმანებში გავრცელებული გენეტიკური დაავადებები ახლო ნათესაური ქორწინებებით არის განპირობებული. ოფთალმოლოგები ქართველი ერისთვის დამახასიათებელ ამდგავარ თვალის სნეულებებს ვერ ასახელებენ. ჩვენთანაც ის დარღვევები ჭარბობს, რაც მთლიანად ევროპაშია გავრცელებული. ესენია: გლაუკომა, ახლომხედველობა, კატარაქტა, ბაღურის დისტროფიები, ასაკის თანხლები პრობლემები, ჰიპერტონიის ნიადაგზე წარმოქმნილი დარღვევები. საერთოდ, თვალის დაავადების უმეტესი წილი, გენეტიკურ მახასიათებლებზე არის დამოკიდებული. არსებობს დაავადებები, რომელიც 20-25 წლის შემდეგ ვლინდება, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საქმე გვაქვს მემკვიდრე-

ობით მიღებულ დაავადებასთან. იმის დადგენა, თუ საიდან, რომელი შტოდან მოდის იგი, საკმაოდ ძნელია, რადგან ის ხშირად გვერდითი ჯაჭვებით ვრცელდება. მაგალითად, პათოლოგიური გენების მატარებელია ქალი, მაგრამ ავადდება ამ ქალის შთამომავალი ვაჟი. დაავადება აღმოაჩნდებათ მამაკაცებს, მაგრამ გადამტანები, ქალები არიან. საერთოდ, თანდაყოლილთან შედარებით, შეტანილი დაავადების განკურნება გაცილებით ადვილია.

— **თუ თვალის დაავადებებისგან აბსოლუტურად განიკურნა მშობელი და მერე დაოჯახდა, მისი შვილი მაინც რისკფაქტორის ჯგუფშია?**

— თუ მშობელს დაავადება გენეტიკურად ჰქონდა, რა თქმა უნდა, შვილი რისკის ქვეშ არის. მშობელს მოეხსნა კონკრეტულად თვალის პრობლემა, მაგრამ ის, იმ გენისგან არ გათავისუფლებულა, რომელიც პათოლოგიის მატარებელია. გენებთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ ოფთალმოლოგიის პრობლემა არ არის. ამაზე მთელ მსოფლიოში მუშაობენ მეცნიერები და ოდესმე, ალბათ შედეგსაც მიაღწევენ. ჯერჯერობით კი, თითქოს რაღაც ბიოლოგიური საათია ჩართული, რომელიც გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ აშუშავდება და მემკვიდრეობით გადმოცემულ დაავადებებს დაგვატენს ხოლმე თავს.

— **შეძენილ დაავადებებზე რას გვეტყვიან? რას უნდა მიაქციოს ადამიანი ვურადღება ან როგორ უნდა დაიცვას თავი იმ მაგნე გარე ფაქტორებისაგან, რომელმაც შესაძლოა, მხედველობის დაქვეითება გამოიწვიოს?**

— თვალის ბროლის პირველი მტერი ულტრაიისფერი სხივებია. დაუშვებელია სათვალის გარეშე უყურით ამომავალ მზეს ან თოვლში არეკლილ სხივებს. საშიშია მთაში მიღებული დასხივებაც. ნებისმიერმა ძლიერმა ნათებამ შეიძლება გამოიწვიოს თვალის ფსკერის ზედაპირული დამწვრობა. ხშირად მეკითხებიან კომპიუტერის დასხივების შესახებ. ეს იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც ის, როცა ეკრანს გაშტერებული თვალთ უყურებენ. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც წესით, თვალი 16-ჯერ უნდა დაახამხამო, ოპერატორები მხოლოდ ერთხელ ახამხამებენ, ეს კი რქოვანის გაშრობას იწვევს. ყველამ, ვინც კომპიუტერთან მუშაობს, უნდა გამოიყენოს თვალის სპეციალური ყელე,

ულტრაიისფერი სხივებია. დაუშვებელია სათვალის გარეშე უყუროთ ამოძაველ მხეს ან თოვლში არეკლილ სხივებს. საშიშია მთაში მიღებული დასხივებაც. ნებისმიერმა ძლიერმა ნათებამ შეიძლება გამოიწვიოს თვალის ფსკერის ზედაპირული დამწვრობა. ხშირად მეკითხებიან კომპიუტერის დასხივების შესახებ. ეს იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც ის, როცა ეკრანს გაშტერებული თვალით უყურებენ. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც წესით, თვალი 16-ჯერ უნდა დაახამხამო, ოპერატორები მხოლოდ ერთხელ ახამხამებენ, ეს კი რქოვანის გაშრობას იწვევს. ყველამ, ვინც კომპიუტერთან მუშაობს, უნდა გამოიყენოს თვალის სპეციალური ფელე, პერიოდულად დაასვენოს თვალი და შეეცადოს, ხშირად გახედოს პორიზონტს, უყუროს შორეულ სივრცეს. ცნობილია, რომ ქალაქში უფრო მეტი მხედველობადაქვეითებული ადამიანი, ვიდრე სოფლად, მთაში. ეს იმით აიხსნება, რომ ადამიანები, რომლებიც სოფლად, მთაში ცხოვრობენ, უფრო ხშირად ვაკუურებენ შორეულ სივრცეს, ქალაქში კი, ორმაგი შეშინვისა და ლოჯიების გარემოცვაში, ბუნებრივი განათების ნაკლებობა და ეს საბოლოოდ, უარყოფითად აისახება ჩვენს მხედველობაზე.

რამდენად უსაფრთხო პროცედურად ითვლება მხედველობის კორექცია ლაზერით?

— მხედველობის კორექცია ლაზერით მსოფლიოში მიღებული და აღიარებული მეთოდია. ის, ძირითადად, ახლომხედველ თვალზე კეთდება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გათლილი ლაზერული სხივით რქოვანის რაღაც ნაწილის აორთქლებას ახდენენ. მისი სიმრუდის რადიუსი იცვლება და რქოვანა იწყებს იმ დამატებითი მინის ფუნქციის შესრულებას, რასაც სათვალე ასრულებს. ლაზერით კორექცია უნდა გაკეთდეს თვალზე, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ კორექციის პრობლემა აქვს. დანარჩენი დარღვევები — მაგალითად, ბადურის დისტროფიები, თვალის ფსკერზე არსებული დარღვევები და სხვა, — აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს.

— არსებობს მოსაზრება, რომ მათ, ვისაც ლაზერული კორექცია აქვს გაკეთებული, ასაკის მატებასთან ერთად, თვალთან დაკავშირებული პრობლემები უფრო უმწვავედმათ ხოლმე არის თუ არა ლაზერული კორექცია დროებითი ეფექტის მომტანი და

მართლა იწვევს თუ არა დროთა განმავლობაში უარეს გართულებებს?

— ასეთი ეჭვები არსებობს, რამ შექმნა ეჭვის საფუძველი — ჩემთვის უცნობია. თვითონ პროცედურა — ლაზერით კორექცია ძალიან ახალია, ალბათ თხუთმეტოდე წელი იქნება, რაც ამ მეთოდით მკურნალობა დაინერგა. იმ ხალხს, ვინც ლაზერით კორექცია გაიკეთა, ჯერ დრმა სიბერეზე არც მიუღწევია. შეიძლება იყოს გართულებების ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ისიც საკითხავია, ამ ადამიანებს ეს ოპერაცია რომ არ გაეკეთებინათ, რამდენი ხნით ადრე შეექმნებოდათ უარესი გართულებები?!

ისეთი განვითარებადი ქვეყნების პაციენტებს, როგორებიცაა ინდოეთი და ავღანეთი, თვალზე ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით იყენებენ. ჩვენც ხომ არ გვემუქრება ეს?

— წლების წინ იყო საუბარი, რომ რქოვანის გადანერგვის დროს ჩვენი მოსახლეობა ბანკად გამოეყენებინათ, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობა ვეიცავს იძულებითი დონორობისაგან. ქუჩაში ნაპოვნი მიცვალებულის გვამიდანაც კი, არავის აქვს უფლება, აიღოს სატრანსპლანტაციო მასალა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი სიცოცხლეშივე დატოვებს ანდერძს, მაგრამ ეს ანდერძიც ისეთი ნორმების დაცვის შესაბამისად ფორმდება, რომ საცდელი ექსპერიმენტების ბაზად საქართველო ნამდვილად არ გადაიქცევა. ძალიან ხშირად მოდიან ჩემთან მშობლები და მეუბნებიან: ჩემს შვილს თვალი აქვს გაუფუჭებული, მინდა მას ჩემი თვალი მიეცეოდ... თვალის გადანერგვის ოპერაციები დღეს არ კეთდება და ალბათ 50 წლის შემდეგაც ასეთი ოპერაციის ჩატარება ძალიან სარისკო იქნება. თუმცა, მეცნიერთა რამდენიმე ჯგუფი ამ საკითხზე უკვე დიდი ხანია მუშაობს.

როდის არის სასურველი კონტაქტური ლინზებით სათვალის შეცვლა? თვალთან უშუალო შეხების გამო, ლინზები რაიმე გართულებებს ხომ არ იწვევს?

— სათვალის კონტაქტური ლინზებით შეცვლა სასურველია მაშინ, როდესაც თვალის მხედველობის ხარისხი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან: დიდი განსხვავების დროს, ადამიანი სათვალეს ვერ იტანს, ეწყება გულის რევის

შეგრძნება, თავბრუს ხვევა. ამ შემთხვევაში, კონტაქტური ლინზები სასურველი კი არა — აუცილებელია. ადრე იყო იმის საშიშროება, რომ ლინზებს თვალი გაღიზიანებინა და სხვა დაჭაღბება გამოეწვია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოხმარებული არ იცავდა უსაფრთხოებისა და ჰიგიენის იმ აუცილებელ ნორმებს, რომლის დაცვაც ლინზების ხმარების დროს აუცილებელია. ლინზებს ამზადებდნენ პლასტმასისგან ან მინისგან და თვალი მას აღიქვამდა, როგორც უცხო სხეულს. ისინი მაგარი, უხეში და მოუხერხებელი იყო. დღეს რბილი და აბსოლუტურად უსაფრთხო ლინზებია. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელი გახდა ისეთი ხარისხის ლინზების დამზადება, რომელიც თვალისთვის აბსოლუტურად უგრძობია. ის არა მარტო რბილია, არამედ ჰერმეტიკი. არსებობს ლინზები, რომელიც ჩვეულებრივთან შედარებით, გაცილებით ძვირი ღირს. ძირითადად, გავრცელებულია 3 და 6-თვიანი კონტაქტური ლინზები, რომელიც სპეციფიკურ მოვლას საჭიროებს: ისინი ყოველ საღამოს უნდა ამოიღოთ და სპეციალურ სადებიზინფექციო ხსნარში ჩაღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გარედან შეიტანოთ ინფექცია, რომელიც თვალის ანთებას გამოიწვევს. თანამედროვე კონტაქტური ლინზები, თავისი სტრუქტურით, თვალის რქოვანასთან იმდენად ახლოს დგას, რომ ბაქტერია ლინზაში იბუდებს, იქ განაგრძობს არსებობას და ასნებოვნებს თვალს. თვალი სამკურნალო, ლინზა კი — გადასაგდები ხდება. იგივე უნდა ითქვას ფერად ლინზებზე, რომელიც ძირითადად თინეიჯერებშია პოპულარული, თუმცა, ასეთი ლინზები, როგორც წესი, ძალიან ბუნებრივად ხოლმე. ჩვენში ძირითადად, მუქი ფერის თვალები ჭარბობს. მუქ თვალზე ღია ფერის ლინზა, ყოველთვის შესაძინევი, განსაკუთრებით — პროფილში: რქოვანა რძისფერად შემღვრეული ჩანს და მოხარშული თევზის თვალს მოგაგონებთ. ამიტომ, გოგონებს, ვურჩევდი, ლინზის ფერის შერჩევასას ყურადღება მიაქციონ ესეთეტიკურ მხარეს და მაყვალეით შავ თვალზე მანცდამანც ცისფერს ნუ მოირგებენ. მათი მშობლები კი, რომლებიც შიშობენ, რომ გოგონები ფერადი ლინზების გამოყენებით მხედველობას იუარესებენ, მინდა დავამშვიდო: ფერადი კონტაქტური ლინზები ჯანსაღი თვალისთვის საშიში არ არის — უბრალოდ, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ თვალთან აძლიერების შემდეგ, ისინი კონტინერის გარეშე

არ დარჩეს.

— როგორ უნდა შევარჩიოთ სათვალე?

— მხედველობის გასაუმჯობესებელი სათვალე აუცილებლად ექიმმა უნდა შეარჩიოს. ძალიან ხშირად, ადამიანები, რომელთაც გაუუარესდათ მხედველობა, ექიმის ნაცვლად, ბაზრობაზე მიდიან, მოისინჯავენ რამდენიმე სათვალეს და შედარებით უკეთესად რომელიც მოეჩვენებათ, იმ ნომერს ყიდულობენ. ეს ყოველად დაუშვებელია. იგივე ითქმის მზის სათვალეზეც. ახლა პლასტმასისგან დამზადებული უამრავი იაფფასიანი სათვალე იყიდება. ისეთი სათვალე, რომელიც ხილულ სინათლეს არ ატარებს, მხედველობისთვის ისევე საზიანოა, როგორც ულტრაიისფერი სხივები, რომლისგანაც ამ სათვალით გვინდა დავიცვათ თავი. თუ მზის ხარისხიანი სათვალის ყიდვა არ შეუძლია ადამიანს, იმას მაინც უნდა შეეცადოს, რომ მინის ფერადლინზებიანი სათვალე შეიძინოს. სასურველია მზის სათვალეც შეიძინოთ ოპტიკაში და არა ბაზრობაზე, სადაც ვერაფერს გიპასუხებთ, რამდენ პროცენტს შეადგენს ამა თუ იმ სათვალეში პლასტმასის შემცველობა.

— არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს არა აქვს თვალთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ ის უეცრად ბრმა-ვდება?

— არის ასეთი შემთხვევები, მაგრამ ზოგჯერ, თვალთან დაკავშირებით პრობლემა თუ აქვთ, ეს მანამდე არ იცინა, სანამ ასე უეცრად არ დაბრმავდებიან. უეცარი დაბრმავება შეიძლება გამოიწვიოს თავის ტრავმამ, ოპერაციის ან სხვა მოვლენების დროს დიდი რაოდენობით სისხ-

ლის დაკარგვამ, ბადურის ჩაშლამ, ბადურის ცენტრალური არტერიის თრომბოზმა, რომელიც ხშირად ათეროსკლეროზიან პაციენტებს ემართებათ. უეცარი დაბრმავება დიაბეტმა ან ძლიერმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ისტერიკის ნიადაგზე აღმოცენებულ დაბრმავებასაც. თუმცა, ამ შემთხვევაში, უფრო მეტი საშუალო პაციენტთან აქვს ნევროპათოლოგს და არა ოფთალმოლოგს: ნევროპათოლოგმა ელექტროშოკის საშუალებით შეიძლება აღადგინოს მხედველობა.

— თვალის პროთეზზე რას გვეტყვით?

— ზოგჯერ თვალის ისეთი პროთეზით მოდიან ჩემთან, რომ სანამ სპეციალური ხელსაწყოთი არ გავსინჯავ, ვერც ვხვდები, რომ პროთეზია. მაღალკვალიფიციურ ქირურგებს შეუძლიათ ისე მოაზადონ თვალის მამოძრავებელი კუნთები, რომ მათზე წამოცმულმა პროთეზმა ისევე იმოძრაოს, როგორც ჯანმრთელი თვალი მოძრაობს. ზოგჯერ თვალი, თუ ის პროთეზით არ შეიცვალა, ჯანმრთელი თვალისთვისაც საშიშროებას წარმოადგენს. პროთეზი 100 დოლარამდე ღირს. ასე რომ, ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება გათავისუფლდეთ კომპლექსისაგან, რომელიც გაიძულებთ, მუქი სათვალე, ან თვალზე ჩამოშლილი თმა ატაროთ.

— კოსმეტიკური საშუალებები თუ ინვეზს რაიმე გართულებას?

— უხარისხო კოსმეტიკა დემოდეკოზს იწვევს. ეს არის წამწამის ტკიპა — მიკროსკოპული ორგანიზმი, რომელიც წამწამის ფესვში ბუდობს და როგორც ეპიდემია, ისეა მოდებული. ჩემი აზრით, ეს ტკიპა ჩვენთან სწორედ კოსმეტიკური საშუალებებით შემოვიდა და გავრცელდა. ინფიცირებული ფანქარი და წამწამის საღებავი, დემოდეკოზის საშიშროებას ქმნის. მისი სიმპტომებია დისკომფორტის შეგრძნება თვალის არეში, შეწითლება, ქავილი, ზოგჯერ წამწამების ცვენა, რაც საბოლოოდ, თვალის ანთებით მთავრდება. მსგავსი სიმპტომების შემთხვევაში, შეწყვიტეთ კოსმეტიკის ხმარება და თვალის გამოსაკვლევად ექიმს მიაკითხეთ.

— რას გვეტყვით შინაურ პირობებში მკურნალობის შესახებ — მაგალითად, ჩაის კომპრესებზე? გამიგონია, რომ თვალის ანთების ჩასაქრობად საკმარისია ქა-

ლის რძის ერთი წვეთიც კი. რამდენიმე წლის წინ ფართოდ იყენებდნენ უროლოთერაპიას და თვალში შარდს ინვეთებდნენ. რამდენად ეფექტურია ასეთი მკურნალობა?

— მე კატეგორიულად წინააღმდეგ ვარ ამგვარი მკურნალობის. თვალი იმდენად რთული და სათუთი ორგანოა, რომ თვითმკურნალობის დანიშნამ სავალალო შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს. შარდით მკურნალობა რამდენიმე წლის წინ მართლაც ძალიან გავრცელებული იყო და ამის გამო, ბევრი ინფიცირებული პაციენტი გვაკითხავდა. მათ თვალეში ვენერიული დაავადებები ჰქონდათ. რაც შეეხება ქალის რძეს, ისიც შეიძლება ინფიცირებული იყოს; რძეში არის ანტისხეულები, მაგრამ ქალის რძე იმავდროულად, ბაქტერიების საკვებ ნიადაგსაც წარმოადგენს. შედარებით უსაფრთხოა ჩაის კომპრესი, ის შეიცავს მთრიმლაკ ნივთიერებებს, მაგრამ რაიმე დაავადების ბოლომდე განკურნების უნარი არ შესწევს.


— მართალია თუ არა ის მოსაზრება, რომ ცისფერი თვალეზი უფრო სუსტია, ვიდრე შავი და ამიტომ არის, რომ ცისფერთვალეზა ადამიანები უფრო ხშირად ატარებენ სათვალეს?

— არ არის მართალი. უბრალოდ, ჩრდილოეთში — მაგალითად, რუსეთში ან ევროპის სხვა ქვეყნებში — ცისფერი თვალეზი ჭარბობს. იქ კულტურაც შედარებით მაღალია და სულ მცირე დარღვევის დროსაც კი, დაუყოვნებლივ მიმართავენ ექიმს და შესაბამისი სათვალის ტარებას იწყებენ. აი, ამიტომ გავრცელდა აზრი, თითქოს მათ, ვისაც ცისფერი თვალეზი აქვთ, უფრო ხშირად აწუხებთ ოფთალმოლოგიური სნეულებები.

— დაბოლოს — ზოგადად თვალის შესახებ...

— „თვალი აიღო“, „თვალი ჰკრა“, „ქარგი თვალი აქვს“, „თვალეზი სულის სარკე“ — რამდენი რამ ვიცით ამ ორგანოს შესახებ და მაინც, რამდენი რამ რჩება გამოცანად... ვფიქრობ, არსებობს ბიოტექნოლოგია, რომელიც თვალეზიდან მოდის და ჯერონად არ არის გამოკვლეული. ჩვენ ვერ ვახდენთ მის რეგისტრაციას და ამიტომ გვეგონია, რომ ის არ არსებობს. სინამდვილეში კი, თვალის, როგორც ფუნქციონის შესაძლებლობები, ისევე, როგორც საერთოდ ადამიანის შესაძლებლობები, გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ გვეგონია.

მოუუფროთხილდეთ თვალეზს!



ელენე ხირსკლი

— ბატონო თემურ, დიდი ხანია, სილოს გეძახიან?

— ძალიან დიდი ხანია. აღარც კი მასსოვს, პირველად როდის დამიძახეს.

— ვინ შეგარქვიათ?

— ტელევიზიაში დამარქვეს, კონკრეტულად ვინ, არ ვიცი. მანამდე კი (სკოლის პერიოდში) კალანდარას მეძახდნენ.

— ხომ არ გწყინთ, ასე რომ გეძახიან?

— პრობლემა არ არის, არანაირი პრეტენზია არ მაქვს. ვიყო სპილო, რა.

— როდის მოხვედით ტელევიზიაში?

— 30 წლის წინ.

— ძალიან პატარა იქნებოდით...

— ახლაც პატარა ვარ...

— ყოველთვის ოპერატორად მუშაობდით?

— თავიდან ტელევიზიების სტუდიაში საოპერატორო ტექნიკის მექანიკოსად მუშაობდი, 1972 წელს კი ოპერატორების ჯგუფში გადმოვედი.

— რა გადაცემებზე გიმუშავიათ?

— მიმუშავია საქართველოს ტელევიზიის თითქმის ყველა გადაცემაზე, ამ ხნის მანძილზე უამრავი გადაცემა გამიკეთებია, ბევრი მათგანი აღარც კი მასსოვს. ადრე ყველა გადაცემა ცოცხლად გადიოდა, მაშინ ტელევიზიაში არც კი იყო ვიდეოჩამწერი ტექნიკა. დილით ტარდებოდა რეპეტიციები, საღამოს კი, ცოცხლად გადიოდა ეთერში. მერე ტექნიკა წავიდა წინ, დაიწყო ვიდეოჩამწერა და რეჟისორებს მონტაჟის საშუალება მიეცათ.

— რა უფრო რთულია — პირდაპირ ეთერში მუშაობა თუ ჩანერა?

— ვერ გეტყვით, გადაცემას გააჩნია. პირდაპირი ეთერი არანაირ სიმძლევს არ წარმოადგენს, თუ პროფესიონალი ხარ. ყველაზე რთული, რეპორტაჟია, რადგან იქ დუბლს ვეღარ გადაიღებ. გადაცემის ხარისხი ოპერატორის თვალზე, გემოვნაზე, საერთოდ, მის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

— ახლა რა გადაცემებზე მუშაობთ?

— ვმუშაობ პირველ არხზე, პროგრამებზე: „რას ფიქრობს ხალხი“, „ჩვენი ფეხბურთი“, „ტაიმ-აუტი“, „ფორტუნა“, „ვიცი“. ამის გარდა, სხვა საქმეც მაქვს. ახლანაირი დავამთავრე მუშაობა კოტე მახ-

ინტერვიუზე რომ მივედიოდი, დაახლოებით ვიცოდი, როგორი აღნაგობის კაცს ვხვდებოდი და მოულოდნელიც ჩემთვის თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ აღტაცება მაინც ვერ დავმალე, როცა ვიხილე უზარმაზარი — საოცრად მაღალი და განიერი კაცი, რომელსაც სახეზე ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა. მინდა გაგაცნოთ თქვენი კალანდარიშვილი — საქართველოს ტელევიზიის სტუდიური თანამშრომელი, კოლორიტული პიროვნება — მეტსახელად სპილო!



კამერასთან დგას სპილო ყველაზე კოლორიტული ტელეოპერატორი

არაძის მონო-სპექტაკლზე „სტალინი“, ასევე, ტელევიზიასთან არსებულ ინსტიტუტში მომავალ ოპერატორებს ვუკითხავ ლექციებს.

— როგორ მოხვდით ტელევიზიაში?

— პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. მე და ჩემმა ერთმა მეგობარმა პირველი კურსის გამოცდებზე „ორები“ მივიღეთ. მე წამოვედი ინსტიტუტიდან, მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო, მან კი ბოლომდე ისწავლა და ამჟამად მექანიკოსად მუშაობს, ახლა კი შემომხატრის — რა ჭკვიანურად მოიქეცი, სხვა პროფესიას რომ დაუფლელი... ალბათ ბედისწერა იყო ყველაფერი: ჩემს მეზობლად, ჩემი უფროსი მეგობრის — ოპერატორ დიმიტრი ოგანინის ბიძა ცხოვრობდა, სწორედ მისი დახმარებით მოხვდი ტელევიზიაში.

— თქვენი პირველი სამუშაო დღე თუ გახსოვთ?

— ჩემს პირველ სამუშაო დღეს შევედი სტუდიაში და იქ ქალბატონი ლია

მიქაძე დამხვდა. არაფერი არ ვიცი — როგორ უნდა გავანათო, რომელი აპარატი სად დავაყენო... გამნათებლის იმედი მქონდა, ის კი თურმე ჩემსავით ახალბედა ყოფილა. არადა, განათებას დიდი მნიშვნელობა აქვს: შეიძლება ადამიანი გააღამაზო ან პირიქით, დამახინჯო, შეიძლება მოღუნული ცხვირი „გაუსწორო“, შეუვსო ჩავარდნილი ლოყები და პირიქით... იმ დღეს ქალბატონ ლია მიქაძეს ეკრანზე სამი ცხვირი ჰქონდა — ერთი ნამდვილი და ორიც — გვერდებზე... ეს იყო ჩემი, როგორც ოპერატორის, საშინელი წუნი.

— არ გისაყვედურათ ქალბატონმა ლიამ?

— არაფერი უთქვამს. ის საკმაოდ ლმობიერი და ზომიერი ადამიანია. არასდროს დამავიწყებდა მისი დიქტორობის ბოლო დღე (იყო მომენტი, როცა მოხსნეს ეკრანიდან). მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს მისი ბოლო გამოსვლა იყო და მხოლოდ მოგვიანებით ვავიგე, რატომ ჰქონდა თვალებში ცრემლები ჩამდგარი...

— სხვა ტელევიზიებში თუ გომუშავიათ?

— მიმუშავია „იბერეზიაში“, „თამარიონში“, „იბერიაში“. მაგრამ ყველაზე მეტად, მაინც „იბერეზია“ მიყვარს. მისი შექმნის იდეა გაჩნდა რიყეზე, ამ იდეის ავტორი კი ნუკრი ჭინჭარაძე იყო. ეს ტელევიზია, იცით, რატომ იყო კარგი? — იმიტომ, რომ იმ დროს პროფესიონალები და ახალგაზრდები ერთად მუშაობდნენ. მძიმე დროში მოგვიწია მუშაობა, საოცარი ენთუზიაზმით ვიყავით გამსჭვალულნი. გადაღებებზე ღამით გავდიოდით. ხალხი, როდესაც გაიგებდა — „იბერეზიიდან“ ვიყავით, გვეუბნებოდა: მხოლოდ თქვენ მოგცემთ ინტერვიუს, მხოლოდ თქვენი გვეჯერა... მაშინ ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— ვიცი, სატელევიზიო ფესტივალ „მანას“ ლაურეატიც ყოფილხართ...

— ამასთან დაკავშირებით, ძალიან სასაცილო ამბავი მახსენდება. 1995 წელს პირველად ჩატარდა ტელეპროგრამების ფესტივალი „მანა“. ფილარმონიის დარბაზში ტევა არ იყო — ხალხი კიბეზე იჯდა. ამ ფესტივალზე მეც მივიღე პრიზი — საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრისთვის. წამყვანმა ჩემი გვარი გამოაცხადა და პრიზის გადმოსაცემად სცენაზე მიმიწვია. როცა მიკროფონთან მივედი და სიტყვის თქმა დავაპირე, ვერაფერი ვთქვი — ხმა დამეკარგა (ცოტა გაცივებული კი ვიყავი, მაგრამ იმ წუთამდე ნორმალურად ვლაპარაკობდი). ბედი არ გინდა? — მაინცდამაინც იმ მომენტში გამიქრა ხმა, საოცარი სანახაობა იყო. ერთ-ერთმა წამყვანმა — ზაზა ხელაიამ გამოასწორა სიტუაცია: ჩვენს სპილოს სიხარულისგან ხმა დაეკარგაო — და ჩემ მაგივრად გადაიხადა მადლობა. მხატვარმა თამრიკო ფოცხიშვილმა გადმომცა პრიზი. მაშინ ორსულად იყო. ასე რომ,

სატელევიზიო სტუდიაში, მსახიობებთან ერთად



რეჟისორ ნუგზარ ბაგრატიონთან და მსახიობებთან — ბაია დვალიშვილთან და ევგენი ბასილაშვილთან (მარჯვნივ) ერთად; მარცხნივ — რეჟისორის ასისტენტები მარინა ჭინჭველაშვილი და ნუგზარ შონია

ორი ღიპიანი შევხვდით ერთმანეთს... ამ ეპიზოდმა კიდევ უფრო გაამხიარულა მაყურებელი. კონკურსის შემდეგ გამართულ ბანკეტზე ნაცნობები წარმატებას მილოცავდნენ, მე კი ხელებით ვუხდიდი მადლობას. ყველას ეგონა, ვმაცირობდი.

— ტელევიზიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ალბათ, ბევრ ცნობილ პროფუნებასთან გქონიათ ურთიერთობა...

— რა თქმა უნდა, ყველას ვერც ჩამოვთვლი... პირისპირ მინახავს ჩვენი ორივე პრეზიდენტი. ზვიად გამსახურდიამ ჩემზე საკმაოდ სერიოზული კაცის შთაბეჭდილება დატოვა: ნერვიული, შინაგანად დაძაბული ჩანდა, თუმცა, ალბათ, დროც იყო მაშინ ასეთი. ჩვენს ახლანდელ პრეზიდენტში კი, ყველაზე მეტად, იუმორის გრძობა მომწონს. ხშირად ვყოფილვარ იმის მოწმე, თუ როგორ განუმუხტავს სიტყვით საკმაოდ დაძაბული სიტუაციაც კი. ალბათ იმიტომ, რომ ისიც ჩემსავით გურულია...

ძალიან კარგად მახსენდება ტელესპექტაკლ „კაპიტან ნემოზე“ მუშაობა, რომელიც ჟიულ ვერნის მიხედვით დაიდგა (1982 წ.). სპექტაკლზე ახალგაზრდა, ძალიან მხიარული და ხუმარა ადამიანები მუ-

შაობდნენ: მამუკა კიკა-ლეიშვილი, მამუკა ლორია, კახა თავართქილაძე, გოგი მგალობლიშვილი, სანდრო თომაძე... სანდრო თომაძე, თავისი როლის მიხედვით, საერთოდ არ ლაპარაკობდა — მართლ ღრილებდა, თან ხმა აქვს ისეთი, დაგაყრუებს. ერთხელ მას ჩექმაში წურბელა ჩაუგდეს. ისეთი ყვირ-

ილი მორთო, ყველანი გადაგვრია. ის, როგორც დიდი გაბარიტების მქონე ყველა ადამიანი, ძალიან კეთილია, საყველურიც კი არ უთქვამს მათთვის, ვინც ასე მწარედ გაეხუმრა. მამუკა კიკალეიშვილი, მიუხედავად დიდი წონისა, ძალიან პლასტიკური და მოქნილი იყო, საოცრად კარგად ფლობდა კარატეს ილეთებს. წარმოიდგინეთ, ჩვენ ორივე (ამხელა მასის ადამიანები) „შპავატში“ ვჯდებოდით.

გავიხსენებ დოდო აბაშიძესაც: ბოლოს რომ ვნახე, უკვე ძალიან ავად იყო. პატარა ტექსტი უნდა წაეკითხა, ჩაწერის წინ ჩაი მოითხოვა და სინანულით თქვა: ხედავთ, რას ვსვამო...

— ამ წლების მანძილზე ალბათ ბევრი კურორიც გადაგხდენიათ თავს?

— რა თქმა უნდა. უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ალბათ ახსოვთ (70-80-იან წლებში) ტელევიზიის პირველ და მეორე პროგრამებზე პირდაპირ ეთერში გადიოდა ლექციები ფიზიკაში, ქიმიამში, ალგებრაში, გეომეტრიაში... ჩვენთვის ეს გადაცემები, პრაქტიკულად, იგივე იყო, რაც საბჭოთა ჯარში штрафной батальონი. დროერი ამბავია, საათობით უსმინო ხან ქიმიის, ხან ფიზიკის ახსნას?! ერთხელ, პირდაპირ ეთერში ქიმიის ლექცია გვაქვს, რომელსაც კითხულობს ასაკოვანი, მულოტი, მსხვილწარბებიანი, დიდ-ულვაშიანი პროფესორი, სახელად ნოე (გვარი არ მახსოვს). ეთერის წინ გამაფრთხილა: დამთავრებამდე წუთები რომ დარჩება, თითოეული მანიშნე — ჯერ ხუთი, მერე სამი, მერე ორი და ერთი წუთი, ბოლოს კი, დამთავრებაც მაუწყეო. ასეც მოვიქციე, ვანიშნე 5 წუთი; რაღაც არ მომეწონა ამ კაცის გამოხედვა. მერე ვანიშნე 3 წუთი — ახლა უკვე თვალებიც დამიბრიალა; მერე 2 წუთი, 1 წუთი ვანიშნე ისე, რომ მისკენ აღარც გამიხედავს, ბოლოს კი, დამთავრება ვანიშნე (ხელები გადავაჯვარედინე), ის კი არ



ამთავრებს. სარეჟისოროდან და სააპარატო-ლოდან ყვირიან: დაამთავროს, დაამთავროს, შემდეგი გადაცემის დროაო!.. რა ვქნა, არ ვიცი. მე ისევ ვანიშნებ, რომ დაამთავროს, და უცებ — მომიბრუნდა და პირდაპირ ეთერში დამიწყო ჩხუბი: არ გრცხვენია, შეილო, რას მერხუბები, რატომ არ მალაპარაკებო?!. გავგიჟდი, რა უნდა მეთქვა ბაბუაჩემის ხნის კაცისთვის?!. ის კი შებრუნდა დაფისკენ და ისევ განაგრძო ლექცია. კარგა ხანი გადააჭარბა დროს და ბოლოს, თავადვე დაასრულა...

— განსაკუთრებით დიდი შრომა ალბათ, მაინც მხატვრულ ჟანრში მუშაობისას გინევთ?

— ნამდვილად. მაგალითად, როდესაც ვმუშაობდით იაპონელი დრამატურგის პიესაზე „ჩემი მეგობარი პიტლერი“, ზუსტად 100 საათი არ მეძინა (სპეციალურად გამოვთვალე). საქმე ის არის, რომ სპექტაკლზე მხოლოდ ღამით ვმუშაობდით — დღისით სხვა სამუშაო გვქონდა.

ერთხელ, პირველი არხისთვის ვიღებდით სიუჟეტს — გადაცემა „ფანტაზიისთვის“. ტბორის მეორე ნაპირზე ვიდექი, ვიდეოკამერით ხელში. უცებ შევნიშნე, რომ ფეხებზე უამრავი გველი შემომხვევია. ადგილზე გავშეშდი, არ ვიცოდი, რა მექნა. მოკვლე, ძალიან სახიფათო და, ამავე დროს, ძალიან სასაცილო სიტუაციაში აღმოვჩნდი. კარგა ხანი რომ გავიდა, როგორც იქნა, მოვიდნენ ბიჭები ჯოხებით, მომანათეს და გველებიც გაიფანტნენ.

— ბატონო თემურ, რას გვეტყვით საკუთარ თავზე? როგორი ხასიათი გაქვთ?

— ალბათ მძიმე. მძიმე ადამიანი ვარ, მარტო წონით კი არა — ხასიათითაც.

— რადგან საუბარი თქვენს წონაზე ჩამოვარდა, გვითხარით — ყოველთვის ასეთი დიდი იყავით?

— ყოველთვის ასეთი არ ვყოფილვარ, თანდათან გავხდი ასეთი. ტელევიზიაში მოხდა ჩემი ამ დონემდე ასვლა.

— ე.ი. ამაში ტელევიზიას მიუძღვის წვლილი?

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენთან საკმაოდ მხიარული ხალხი მუშაობს, რომელმაც კარგი დროს ტარება და ქეიფი იცის...

— დიეტა თუ დაგიცავთ ოდესმე?

— არა. მე ხელს არ მიშლის ჩემი წონა, ამას ისე ვარ შეჩვეული, სხვანაირი რომ ვიყო, არც მინდა: მაშინ ხომ ეს თემური აღარ ვიქნები. რუსები ამბობენ:

хорошего человека должно быть много. ტანსრული ადამიანები კეთილები არიან.

— დიდი გაბარიტების გამო, ხომ არ იჩაგრებით?

— საერთოდ, დიდი ადამიანი უფრო იჩაგრება ხოლმე, ვიდრე პატარა. წარმოიდგინეთ, მე რომ პატარა კაცს დავარტყა ან უბრალოდ, ვაწყენინო, ხომ მეტყვიან: ამხელა კაცი ხარ, არ გრცხვენიაო?! მართალიც რომ ვიყო, გამამტყუნებენ. ამიტომაც ყოველთვის ცვდილობ, ასეთი რამ არ მომივიდეს. ცუდი კიდევ ის არის, რომ ჩემი ზომისას ვერაფერს ვმოულობ...

— სმა თუ გიყვართ?

— მიყვარს ქეიფი და არა უბრალოდ სმა. სხვათა შორის, ძალიან კარგი სიმთვრალე მაქვს, სასმელი ჩემზე ძალიან კარგად მოქმედებს: რაც არ უნდა ცუდ გუნებაზე ვიყო, როცა დავლევ, ყოველივე ცუდი მავიწყდება.

— რამდენ ჭიქაზე თვრებით?

— არ ვიცი, არ დამითვლია. საერთოდ, ბევრის დალევა შემიძლია, მაგრამ ყოველთვის წინ ვიხედები: წარმოიდგინეთ, მე რომ იმ დონეზე დათვრე, ვინმეს წასაყვანი გავხდე, ვინ მოერევა ამხელა კაცს?! საერთოდ კი, ჩემი სამსახურის გამო, ხშირად ნამდვილად ვერ ვსვამ.

— სასმელს, რა თქმა უნდა, მისაყოლებელი სჭირდება, რომელია თქვენი საყვარელი კერძი?

— ბურვაკის ხორცი.

— ბატონო თემურ, ცრუმორწმუნე თუ ხართ?

— სიზმრების მჯერა. ძალიან საინტერესო და უცნაურ სიზმრებს ვნახულობ. რომ იტყვიან, თავისი ფერებით, არღამატებით... ვგრძნობ აბსოლუტურად ყველაფერს: სიცვეს, სიგრილეს, სიცხეს...

ერთხელ ისეთი უცნაური სიზმარი ვნახე, ჩემს მოძღვართან მივედი და ვუამბე. მან გარკვეული ლოცვების კითხვა და ჯვრის ტარება მირჩია (მანამდე არ ვატარებდი)... ერთ უცნაურ ამბავსაც მოგიყვებით: მრავალი წლის წინ, ჩემი მეგობრის ყოფილმა მეუღლემ ყავაზე მიმიკითხავა და მითხრა, რომ მე მეყოლებოდა ბიჭი, მაგრამ ის ჩემი არ იქნებოდა. ღამის გავგიჟდი — რა სისულელეებს ამბობს-მეთქი? გავიდა დრო და მართლაც ასე მოხდა: ჩემს ცოლს და გარდაეცვალა და მისი 10 წლის ბიჭი წამოვიყვანეთ. მიშკა ახლა 15 წლისაა და, ფაქტობრივად, ჩვენი შვილია...

— თქვენც ხომ არ იცით მკითხაობა?


— წარმოიდგინეთ, კარტის გაშლა ვიცი — დედაჩემისგან ვისწავლე. თაფლობის თვე გეკონდა, ჩემი ცოლი ჩამაცივდა (ქალების ამბავი ხომ იცით) — გინდა თუ არა, მიმიკითხავო. მეც გავუშალე კარტი და ძალიან ცუდი რამ დავინახე. მართლაც ჩამოვედით თუ არა თბილისში, დედამისი გარდაიცვალა. მას მერე კარტს აღარ გაკვარებოვარ...

— როგორ ფიქრობთ, რომანტიკული ხართ?

— მე ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან ირგვლივ ამდენი სილამაზეა და მეც შემიძლია მისი აღქმა... ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს ეზოში ხე გახმა. ძალიან დამწყვდა გული, რადგან თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორც კი გამომეღვიძებოდა და ფანჯრიდან გავიხედავდი, პირველი, რაც თვალში მხვდებოდა, ეს ხე იყო...

— ბატონო თემურ, თუ გიტრიალთ ცხოვრებაში და რის გამო?


— როცა დედა გარდაეცვალა. ეს დიდი ტრაგედია იყო ჩემთვის... ამ კითხვაზე ერთი შემთხვევა მახსენდება. არეულობის წლებში, როცა პროლეტების მწვავე დეფიციტი იყო, ყველგან დიდი რიგები იდგა. ერთხელ, ბავშვისთვის ხორცი რომ მეყიდა, ერთ-ერთ ასეთ რიგში მომიწია ღამის გათენება. ხალხმა მოხოვა, ურიგოდ არავინ გაუშვარ — და მეც შევასრულე დავალება. მაგრამ, როცა რიგმა მომიწია, მე თვითონ ჩამთვალეს უწესოდ და ერთი ამბავი ამიტხეს. არადა. ურიგოდ ცხოვრებაში არსად წავსულვარ!.. უკან მდგომმა ქალებმა, თითქოს პირი შეკრესო — ყველამ ჩემს წინააღმდეგ გაილაშქრა. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავვარდებოდი... დიდი ომის შემდეგ, ხორცი მაინც ვიყიდე. განერვიულებულმა სახლამდე ვერც მივალწიე — პირველივე სადარბაზოში შევედი, რომ არავის დავენახე, და ამხელა კაცმა... ვიტირე. ადამიანებმა ვერ გაუძლეს მძიმე პირობებს და ბევრმა დაკარგა ადამიანის სახე და გაბოროტდა — აი, ეს მწყინს ყველაზე მეტად...



ინფორმაციულ-მეცნიერული კოლექციები

ეორა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ნოსტრადამუსი 62 წლის ასაკში გარდაიცვალა.
2. მედროშეს მეორენაირად ბაირასტარი ჰქვია.
3. 29 თებერვალს რუსები КАСЬЯНОВ ДЕНЬ-ს ეკაზიან.
4. მსოფლიო ჩემპიონატები ბრიჯში რეგულარულად ტარდება.
5. „დიდი ცხვირები“ – ასე ეკაზიან ამერიკელებს ჩინელები.
6. სტეპანაკერტი მთიანი ყარაბაღის ადმინისტრაციული ცენტრია.
7. შუმერები და ეგვიპტელები წვერს კაჟის დანებით იპარსავდნენ.
8. სერ ლოურენს ოლივიეს, შექსპირის პიესებში თამაშისათვის რაინდის წოდება მაინიჭეს.
9. უნგრელი პოეტი, შანდორ პეტეფი, 26 წლის ასაკში რუს კაზაკებთან ბრძოლაში დაიღუპა.
10. ჩინეთში სიკვდილმისჯილს რომ ხვრეტენ, ტყვიის ღირებულებას მის ოჯახს ასდევნიებენ.



11. გალაპავოსის კუნძულებს ეს სახელი იქ მცხოვრები გიგანტური კუს გამო ეწოდა (galapago – ესპ. კუ). P.S. ჩარლზ დარვინს იმედი ჰქონდა, რომ ამ კუნძულებზე სამოთხის ბაღის ასლს აღმოაჩენდა და ადამის დროინდელ ცხოველებსა და ფრინველებს ეძებდა. ინგლისელი მეცნიერი სწორედ იქ დარწმუნდა, რომ ყოველი არსება დედამიწაზე ევოლუციის ციკლის პირმშოა.

12. ნიაზ დიასამიძეს ჰკითხეს, ეს ორვაგონიანი ტრამვაი როგორ მოეწონსო? – მესამეც რომ ებას – ვაგონ-რესტორანი, კარგი იქნებოდა, – უპასუხა ნიაზმა. P.S. ეს ხუმრობა მოგვიანებით სოშხებმა პრაქტიკულად განახორციელეს და ერევანში მოსიარულე ერთ ტრამვაის ვაგონ-რესტორანი გამოაბეს. როგორც ამბობენ, კარგი ბიზნესიც გამოუვიდათ.

13. ფლორენციის ომის დროს 1529 წელს მიქლანჯელო, რომელიც აქტიურად იბრძოდა მედიჩების ტირანიის წინააღმდეგ, საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობას ხელმძღვანელობდა.


14. ინგლისელ მონარქებს მეფედ ვესტმინსტერის საბატილოში აკურთხებენ.

15. დიდი ქართველი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, განმანათლებელი და პედაგოგი, სოლომონ დოდაშვილი, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, ვი-

ყოველ ჩვენთაგანს აინტერესებს, როგორ ვარსკვლავზე დაიბადა. ჩემი რესპონდენტი სწორედ რომ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, ყოველ შემთხვევაში, ბედს ნამდვილად არ უჩივის: სამუშაოც აკმაყოფილებს და ოჯახითაც ამაყოფს.

ფატი მდივანი უცნაური გარეგნობითა და დახვეწილი მანერებით გამოირჩევა. მისი სურვილია, დინოზავრივით დიდი ნაკვალევი დატოვოს ამ ცხოვრებაში. ტაროს კარტის გაშლა რომ დაიწყო, ეკლესიაში სანთელი აანთო, მაგრამ ხატებს თვალი ვერ გაუსწორა. მისი ცხოვრება ერთ პატარა ზღაპარს ჰგავს, რომელიც უნდა მოისმინო და დაფიქრდე.

ქალისა და გველის ილუმინაციის სიყვარულის



ფატი მდივანი ბოშა ქალის როლში

ამბავი

ნონა ლათეშიძე

– თოთხმეტი წლიდან სცენაზე ვიდექი. თეატრისაგან განუყოფელი იყო ჩემი ცხოვრება. საგარეჯოს რაიონის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლში ვცეკვავდი. საკმაოდ კარგი მონაცემები მქონდა. ჩემი ოჯახი მატერიალურად არ იყო ძლიერი და როცა ანსამბლს გასვლითი კონცერტები ჰქონდა, კოსტიუმების უქონლობის გამო, სახლში მიწვევდა დარჩენა. მახსოვს, ქორეოგრაფ დათო ლაფაჩიშვილს შევებრალე და თავისი საცემკაო ტანსაცმელი მაჩუქა, ბიჭის პარტიების შესასრულებლად. შემდეგ პოლიტექნიკურ ტექნიკუმში ჩავაბარე. იქ იყო თეატრალური დასი, იდგებოდა სპექტაკლები. მინდა ვთქვა, რომ არც ერთი სპექტაკლი, ჩემი მონაწილეობის გარეშე არ დადგმულა. სწორედ ტექნიკუმის სათეატრო დასში აღმომაჩინა აწ გარდაცვლილმა რეჟისორმა ვახტანგ ფურცელაძემ. მიმიწვია მიხეილ ჭიაურელის სახელობის საგარეჯოს სახალხო თეატრში და ჩემი დებიუტი დიდ სცენაზე გახლდათ სილვა კიკვიძის როლი სერგეი მიხალკოვის „ველურებში“. ამის შემდეგ უამრავი მთავარი როლი ვითამაშე. სხვათა შორის,

ნალჩიკში გასტროლებს დროს, საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გავეხდი, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (სპექტაკლი „კუკარაჩა“, ანგელინასა და ბოშა ქალის როლები). ბოლოს ვითამაშე ზაურ სვანიძის პიესის მიხედვით, რეჟისორ თინა მეზვრიშვილის დადგმულ სპექტაკლში – „რეპეტიცია ანუ ტრაგედიის დასაწყისი“.

– რატომ მიატოვეთ სცენა? – მოხდა ერთი საინტერესო ამბავი, რომელმაც ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. საქართველოში საგასტროლოდ ჩამოვიდა როსტოვის ცირკი. გაირკვა, რომ თან ვერ ჩამოიყვანეს მოცემკავე, რომელიც გარკვეული საცირკო ნომრებისათვის აუცილებლად სჭირდებოდათ. ადმინისტრაციამ სცადა, აქვე მოეძებნა შემცვლელი. როდესაც საგარეჯოს ესტუმრნენ, თეატრში გამართეს წარმოდგენა. ფოიეში ჩემი სურათი ეკიდა – სპექტაკლში „მოულოდნელი ფინალი“, რომელშიც ბოშა ქალის ცეკვას ვასრულებდი. სწორედ ამ ფოტოთი აღმომაჩინეს. მაშინ შევბუღებაში ვიყავი. სასწრაფოდ დამირეკეს და სინჯებისთვის გამომიძახეს. ძალიან მოეწონათ ჩემი ცეკვა და

ინოვაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა ღვალის უბის წიგნაკიან:

ატკაში გადასახლეს, სადაც 31 წლის ასაკში ჭლეტით გარდაიცვალა.

16. მისკოში, შუა ზამთარში, როცა საკმაოდ ყინავს, ქუჩაში სშირად შეხვდებით ადამანებს, რომლებიც ნაყინს მიირთმევენ.



17. გადასახლას, რომელსაც კომლი ეკლესიის მსახურთა გასამრჯელოდ იხლიდა, დრამას ეძახდნენ.

18. „ქართლის მეფემ ააშენა ეკლესია მთაზედაო, საქართველო სხვას დაუთმო, თვითონ დარჩა მშრალზედაო“, - ასე დასცინა ხალხმა საქართველოს უკანასკნელ მეფეს.

19. ვერცხლის თანაბარი ზომის ნატრებს, რომელსაც ესპანელები ამერიკის დაპყრობილ ტერიტორიაზე ფულის ნაცვლად იყენებდნენ, პესო ერქვა.

20. ზღვის კუ ქვიშაში სამოცი სანტიმეტრის სიღრმეზე თხრის ბუდეს. გამოჩეკილი პატარები იქიდან ამომეროდს სამ ღღეს ანდომებენ. ახალშობილები იმწუთასვე ზღვას მააშურებენ და ათწლიან მოგზაურობაში მიემართებიან. P.S. ასე გამოჩეკილი 1000 პატარა კუდან, ათი წლის შემდეგ იმავე ადგილას კვერცხების დასადებად, საღ-საღამათი მხოლოდ ერთი ბრუნდება. დანარჩენები იღუპებიან.

21. ოუნივერსის (გაეროს ბავშვთა ფონდის) ცნობით, განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად შიშხლით 40.000 ბავშვი იღუპება. წლიურად დაღუპულთა რაოდენობა 15 მილიონ ბავშვს შეადგენს. ამავე განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად სამ მილიონ-ნახევარი ბავშვი იღუპება ისეთი დაავადებებით, რომლის თავიდან აცილება უბრალო იზუნიზაციით არის შესაძლებელი.

22. „მენშე ნაროდუ, ბოლშე კისლაროდუ“, - ეს სიტყვები ვახტანგ ბოჭორიშვილის თოჯინამ თქვა „დიდების ზღაპარში“.


23. „მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია. მონღოლები წყალდიდობასავით მოშავდებიან, წამიერად ანგრევენ და სამაგიეროს არაფერს აშენებენ, მხოლოდ აფერხებენ პროგრესს. მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება.“ - წერდა ჰეგელი. (G. W. Fr. Hegel, Philosophie des Geistes, Ergänzungen. პარაგრაფი 39.)

უყოყმანოდ ჩამრიცხეს დასში. გასტროლებზე ქობულეთში გავემგზავრეთ. ცირკს, ბუნებრივია, ცხოველებიც თან დაჰყავდა. ქობულეთში ჩასვლის დროს, გველის მომთვინიერებელს ცირკის ადმინისტრატორთან კამათი მოუვიდა, მიატოვა დასი და წავიდა. დარჩა გველი მომთვინიერებლის გარეშე. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ხელმძღვანელობა და მთელი დასი. არ ვიცი, რამ მიბიძგა ან რამ გამაბედვინა, როცა განვაცხადე: გველთან ერთად მე გამოვალმეთი... შანსი მომცეს, თუმცა სხვა გამოსავალიც არ ჰქონდათ. საოცარი ის იყო, რომ არანაირი გამოცდილება არ მქონდა. უფრო მეტიც - ისე მეშინოდა ქვეწარმავლების, რომ მათი დანახვაც კი არ შემიძლო. თურმე გველი ძალიან ძნელად იღებს ადამიანს და თუ ვინმე მიიკარა, აუცილებლად დაემორჩილება. ვცადე და გამიმართლა: გველმა მიმიღო. წყლით სავსე ჭურჭელში ჩასვეს და მისი დაბანა მთხოვეს. ხელი რომ ჩავეყვი წყალში, შეირბა, გამოქანდა და თავი ხელზე დამკრა. ფერი მეცვალა, გაფითრდი და განზე გავხტი. მეორედ ვცადე, ჩავეყვი ხელი ჭურჭელში. გველი ჩემკენ წამოვიდა, ხელზე შემომეხვია, ამოცოცდა, ენა გამოყო, ლოყაზე შემახო - თითქოს მეამბორა... მერე ჩაცოცდა და ისევ წყალში ჩასრიალდა. პირველი, რაც მაშინვე ვიგრძენი, შიშის გაქრობა იყო. ჩემსა და გველს შორის უხილავი სიყვარულის ძაფები გაიბა.

რა მეთოდით მუშაობდით მასთან?

- ყველაფერი მარტივად იყო.

სენა საგარეჯოს თეატრის სპექტაკლიდან „სიყვარული, ჯაბი და ეშმაკი“ (ნაირა მენთეშაშვილთან და ილია ბუზიაშვილთან ერთად)



სიზმარი ვნახე: „მარფა იგორუშკა“ დაგრაგნილი იყო. ჩემს მიახლოებაზე თანდათან გაიშალა და გაცურდა. იმ ადგილას საუცხოოდ მოხატული, გაშლილი კარტი დავინახე. გამეღვიძა. არ მესიამოვნა სიზმარი, ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა. რომ გამოვერკვიე, სასწრაფოდ სკივრს მივვარდი, სადაც გველი მყავდა მოთავსებული. სამწუხაროდ, „მარფა იგორუშკა“ მკვდარი დამხვდა. სიზმრით გამიწია ბოლო სამსახური... მეორე დღეს, დარბაზმა წუთიერი ღუმილით პატივი მიაგო...

— სამსახური სიზმრით გამინიაო, რომ თქვით, რა იგულისხმეთ?

— ერთ პიროვნებას ვიცნობდი, რომელიც სიზმრების ახსნაში კარგად ერკვეოდა და მასთან მივედი. მითხრა: სიზმარი იმის მომასწავებელია, რომ გველი გეუბნება — კარტით მარჩიელობა უნდა დაიწყო. არ დაუჯერე: სად მე და სად მარჩიელი-მეთქი?! იმ დროს ტაროს კარტი საქართველოში არ იშოვებოდა და ნანახიც არ მქონდა. სასწაული ის იყო, რომ მალე მეგობარმა საზღვარგარეთიდან საჩუქრად, სწორედ ისეთი კარტი ჩამომიტანა, როგორიც სიზმარში ვნახე...

იმ მოკლე დროში, როცა ცირკთან და გველთან ურთიერთობა მქონდა, ბევრი რამ ვისწავლე. რაც ყველაზე მთავარია, გველმა მასწავლა შიშის გრძნობის უარყოფა, რისთვისაც მადლობას ნამდვილად იმსახურებს. გველი მაგიურ ქვეწარმავლად გვევლინება უძველეს ლეგენდებსა თუ ზღაპრებში და ეს ნამდვილად არ არის შემთხვევითი. მას მართლაც საოცარი მუხტი და ძალა აქვს. მასთან მუშაობის პერიოდში ნამდვილად ვიგრძენი, რომ



ფატი მდივანი მშობლიურ, საგარეჯოს თეატრში

რადაც უხილავი კავშირი გაიბა ჩვენ შორის. სხვათა შორის, ამის შემდეგ ერთი უჩვეულო რამ გამოვლინდა ჩემში: შემედლო, ადამიანისათვის შემეხვდა და მეთქვა — სად მიდიოდა, რა ელოდა და შესაძლო ხიფათი როგორ აეცდინა. ჩემში გარკვეული უნარის გამოვლენის შემდეგ, სურვილი გამიჩნდა, ვინმესთან წავსულიყავი და ჩემი თავი და შესაძლებლობები შემემოწმებინა. ძლიერი ბიოველი აღმომაჩნდა.

პირველი საინტერესო ამბავი, რომელიც უკვე პრაქტიკულად ადასტურებდა ჩემში ფენომენალური შესაძლებლობების გამოვლინებას, ეს გახლდათ: ორსულად ვიყავი, წოლითი რეჟიმი დამინიშნეს და რუსთავში ვიწვექი საავადმყოფოში. ჩემს პალატაში შემოიყვანეს ორმოცდათორმეტი წლის ქალბატონი. გავესაუბრეთ ერთმანეთს. ნამდვილად არ ვამტკიცებ იმას, რომ დიაგნოზის დასმა შემიძლია, მაგრამ მაშინ რატომღაც აზრად მომივიდა, მეთქვა: ორსულად რომ იყო, ამაზე რას იტყვით-მეთქი? საშინელი რეაქცია ჰქონდა: რას ამბობ? შეილება ისა და შეილი შეილების პატრონი ვარ, თანაც ჩემს ასაკში, რა ორსულობაზეა ლაპარაკი?! იმ დღის შემდეგ, კარგა ხანს აღარ გვინახავს ერთმანეთი. წოლითი რეჟიმის გამო, დიდხანს მომიხდა საავადმყოფოში ყოფნა. ერთ დღეს კი, კვლავ მოხვდა ის ქალბატონი საავადმყოფოში. რომ დამინახა, სახე შეეცვალა: რაც მითხარი, ამიხდა — დარწმუნებული ვიყავი, რომ ფიბრომა მქონდა და რას წარმოვიდგენდი, თუ მართლა ორსულად ვიქნებოდიო...

— პირველად როდის მოხდა

იდუმალ სამყაროსთან თქვენი შეხება?

— ვფიქრობ, იმ სიზმრის შემდეგ „მარფა იგორუშკა“ რომ გამომეცხადა. აკი ვთქვი — სამსახური გამიწია, მიმანიშნა ჩემს მომავალ საქმიანობაზე, რომელზეც არც კი მიფიქრია... ამის შემდეგ უამრავი ლიტერატურა წავიკითხე ტაროს შესახებ.

— ამბობენ, ადამიანი თავის ბედს თვითონ განსაზღვრავს...

— მე ამის არ მჯერა. საეჭვოა, ადამიანი თვითონ განსაზღვრავდეს თავის ბედს. როგორც არ უნდა ეცადოს, მაინც ისე ხდება ყველაფერი, როგორც განგებას სურს და წინააღმდეგობის გაწევა, მხოლოდ წვალეა.

— „მარფა იგორუშკას“ შემცველი არ გიძებნიათ?

— როგორ არა, ტყე-ტყე დავდიოდი ცირკის დასთან ერთად და ვეძებდი. რამდენიც დავიჭირეთ, არც ერთმა არ მიმიღო და მეც გული არ მიმივიდა. ბოლოს, ერთი გველი ამოვარჩიე, მაგრამ ურჩი აღმოჩნდა, ვერაფრით შევძელი მისი მოთვინიერება. მუსიკას ვერ იტანდა, ხელში ვერ ვიჭერდი. მაგრამ რას იზამ — თუ საქმეს ხელი მოჰკიდებ და ითავე, კიდევაც უნდა მიჰყვე ბოლომდე... და მიმდინარეობდა ბრძოლა, ჩემსა და ახალ გველს შორის...

— და თქვენც დაიღალეთ და ნააგეთ ეს ბრძოლა?

— არა, ბრძოლა არ წამივია — უბრალოდ, დავმორდი ცირკს. გერმანიაში დასის გამგზავრების დრო დადგა. შემოთავაზეს, მათთან ერთად წავსულიყავი. სურვილის მიუხედავად, ამის გაკეთება ვერ შევძელი, რადგან მცირეწლოვანი შეილი მყავდა.

— ასე ადვილად შეეგუეთ გველთან განშორებას?

— უდიდესი მონატრების გრძნობა მაქვს. „მარფა იგორუშკა“ მენატრება. ის მუსიკა რომ მესმის, რომლის თანხლებითაც სცენაზე გამოვდიოდი, ყოველი მასთან გატარებული დღე კადრებივით გაილეკვს ხოლმე ჩემ თვალწინ და გული მწყდება. ჩემი ოცნებაა, მყავდეს გველი, რომელიც „მარფა იგორუშკას“ ემსგავსება, რომელსაც დავბან, ვაჭმევ და თბილისის ქუჩებში ვასეირნებ...

ნეობის
ტელეფონი
822-009044
ღვე-ღაჟის განმავლოგაჟი
(18 წლიდან)

6060 ხარაგიშვილი

თბა მარგველაშვილი, რუსთაველის თეატრის რეკვიზიტების სამქროს უფროსი:

— ვია ჩემზე 18 წლით უფროსი იყო — ერთ-ერთი მათგანი, ვისთანაც თავიდან ნამდვილად გამიჭირდა დაახლოება. ერთხელაც, მაშინ თეატრში უკვე წლინახევრის მოსული ვიყავი, ბუფეტში ვიჯექი. ვია მომიხლოვდა — სად აბარებო?... ისე დავიბენი, პასუხის გაცემაც ვერ მოვახერხე. მე გამეცადინებო... მართლაც, რაღაც ეტიუდები მომაშალებინა.

ჩემი ოთახი უყვარდა ძალიან. ჩამოვდებოდა, მუხლზე გიტარას ჩამოიდებდა. შეიძლება ითქვას, დაკვრაც აქ ისწავლა. წიგნი მოიტანა — „ასი პოპულარული ქართული სიმღერა“ — ყველა სიმღერის მელოდია გაარჩია. მშვენიერი დუეტი ჰქონდათ მას და ქეთის — რეჟისორის ასისტენტს, ქეთი კანტიძეს. მათი ერთი სიმღერა განსაკუთრებით მიყვარდა — „იყო გული წრფელი“.

თავადაც გახსოვთ, ყველასთვის უმძიმესი წლები — 90-იანის დასაწყისს ვგულისხმობ, — როცა, თითქმის აღარ არსებობდა მასშტაბური ურთიერთობები. ეს პერიოდი ვიასთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. ყველანი ჩვენ-ჩვენს ვიწრო წრეში ვიყავით შეკეტილნი. ჩვენს თეატრში ბევრისთვის ასეთი, ჩემი ოთახი იყო. თავს იქ მოვიყრიდით ხოლმე. მთავარი მხატვარი გვყავს — მირიან შველიძე. საკმარისი იყო, ჩვენთან წამით შემოეხედა, ვია აუცილებლად გამოაცხადებდა — მუზა დამაფრინდაო — და იწყებოდა ლექსების ექსპრომტად თხზვა და ჩაწერა. როგორც წესი, ჩამწერი მე ვიყავი. ამის გამო, თეატრში „ზვიად გამსახურდია“ და „მანანა არჩვაძე“ კი შეგვარქვეს. რაც შეეხება მირიანზე დაწერილ ლექსებს, ისინი ხან კონკრეტული საბაბით, ხანაც — სრულიად უსაბაბოდ ითხზებოდა. მაგალითად, ასეთები: „მხატვარი ხარ თუ „მალიარი“, ვერაფერი გამიგია, ნატურაზე გყავს ქეთინო და გამოგდის ჩვენი ვია“. ან „ანანური, მარაბდა, კრწანისი და დიდგორი, გაწყდა ჩვენი საშობლო, დავრჩით მხოლოდ ჩვენ ორნი“. ასე დაიბადა ფუნაგორიების ეს ალბომიც. დღეს იგი ჩვენი სამეგობროს რელიკვიაა.

... ასე იყო — ვია ყველას გვაერთიანებდა, გვაშინარებდა, თუმცა მასზე, მხიარული კაციაო, ვერაფრით იტყოდი. საწინააღმდეგო უფრო ეთქმოდა: რაღაც არანორმალურ სევდას დაატარებდა.

პირველი რეაქცია უფრონალის-ტის ვიზიტზე: თეატრის დარაჯი, რომელსაც ამ კარში ვერდატეული აკაკი ხორავას ვეება ლანდი ახსოვს, „აგრესიულად“ მიგერიებს: როგორ შეიძლება, ერთი კოლოფი სიგარეტისთვის სიცოცხლე სასწორზე შეაგდო ახალგაზრდა კაცმაო?!

ეს ელდა თუ უკვე ტვივილი, შვიდ წელზე მეტს ითვის — მსახიობი ვია ძნელად აღდევს პირმოუკრავი ქრილობაა, რუსთაველის თეატრის მთელი კოლექტივისთვის. ასეც შეიძლება ითქვას: ვიას სული ჯერ კიდევ აქ ტრიალებს, სახე და ხასიათი კი, მეგობარ-კოლეგების მოგონებებში დაუსრულებლად ცოცხლდება.



„ვე როგორ ვკითხვით, სიკვდილი არაფერია...“

მუდამ ერიდებოდა დარდის სხვისთვის გაზიარებას. თუ მოხდებოდა ისე, რომ საწუხარს გაგანდობდა, მერე მორჩა — მთელი თვე ხმას აღარ გაცემდა, — იქნებ, სიამაყის გამო, რომ სატკივარს მართო ვერ მოერია.

ხომ ასეთი იყო — სხვისთვის სულ სინათლე მოჰქონდა... თუ გუნებაზე ვერ გვყავდა — გაგვერეყებოდა, ანლობებს დაშორდებოდა. ასეთი ბუნება ჰქონდა — სხვისი მოფრთხილება იცოდა, თავისი საფიქრალით არავის დაღლიდა. ასეც წავიდა — სხვების შეუწუხებლად...

დავით პაპუაშვილი, მსახიობი:

— ვია ძნელადე პატიოსანი, სპეტაკი, გულანი ბიჭი იყო. რაღაც სხვა გრძნობა მოსდევდა, ძმაცაცების, შეილების სხვაგვარი სიყვარული.

იმ დღეს, რომ დაიღუპა, პრემიერა ვითამაშეთ. დამთავრდა სპეტაკალი, გავიდა სიგარეტზე და... არაფერი მესმის, რამდენადაც ვიცი, წინათგრძნობაც არ ჰქონია. გული მწყდება, რომ ბოლომდე ვერ მოახერხა თავისი ნიჭის გახარჯვა. როცა ახალგაზრდა კაცი ცხოვრებიდან მიდის (ვია კი, სულ რაღაც 42-ისა იყო), ყოველთვის ტოვებს უკმარისობის გრძნობას. ბუნებრივია, ამგვარი განცდა სიცოცხლეშიც შეაწუხებდა, ხელოვანი კაცის ხვედრი ასეთია. თუმცა ვია ამ ყველაფერს არ იმჩნევდა — არ იყო თავ-

ჩაქინდრული კაცი. აზარტული ბუნება ჰქონდა — ყველაფერი უყვარდა: ნარდი, კარტი, ჭადრაკი, ფეხბურთი, ყველაფერს საუკეთესოდ თამაშობდა. ეგ იყო, მსმელი კაცის სახელი ვერ დაირქვა. გუშინდელივით მახსოვს, თითო რომ მიჩვენა, — ერთ ბოთლზე ავედიო...

თბა მარგველაშვილი:

— ერთი პერიოდი, თითქოს მივიწყე, კინოსტუდიიდანაც აღარაფერზე მიუწყევით. ამ დროს, შემთხვევით, რაღაც ფილმში გადაღება მე შემომთავაზეს. ეს ამბავი კარგა ხანს ეყო ენის მოსაქავებლად... ეს რას ჰგავს? — არაპროფესიონალებს იღებენ და პროფესიონალებს დროს გიტარის დაკვრაში აკვლევინებენო...

ვინ არ იცის: ვია ძნელადე თავის დროზე თბილისში საკმაოდ პოპულარული ბიჭი იყო. როგორც მსახიობი და მამაკაცი, ბევრს მოსწონდა. წლების მანძილზე იყო შეჩვეული გამვლელთა ყურადღებას. სიამოვნებდა, რომ მის დანახვაზე, განსაკუთრებით, გოგონები, ქუჩაში ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და კრთებოდნენ. სიცოცხლის ბოლო წლებში, ეს სიამოვნება უფრო ნაკლებად ჰქონდა: მას შემდეგ, რაც ქართული ფილმები ტელეეკრანებზეც დაგვიძვრეს, ვიასა და მისი თაობის ბევრ მსახიობს უბრალოდ, ვეღარც ცნობდნენ. ერთხელაც, ტელევიზიით აჩვენეს ფილმი, რომელშიც ვია ერთ-

ერთ მთავარ როლს თამაშობდა. ეს იყო „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“. ამის მერე დიდი დრო არ გასულა, გამოვედით სასიეროდ რუსთაველზე და უცებ გვემის მოახლოებული გოგონების ტკრციალი და გადალაპარაკება: ნახეთ, ნახეთ, ვინ მოდისო!.. გიას ტუჩები დაებერა. ასე იცოდა ხოლმე, რაღაც ძალიან რომ ესამოვებოდა. ამ დროს, ერთმა გოგომ – ეგ რომელიაო? – მეორეს ჰკითხა. იმ მეორემ კი, არც აცია, არც აცხელა და „აგური ბანდიტის ქარხნიდანო“ – პირდაპირ ჩვენს გასაგონად განუმარტა... საკმაოდ უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. გიამ არაფერი შეიმჩნია – წყენა არ დაიბცო.

საერთოდ, დიდი ბუნების ადამიანი იყო. მახსოვს მისი ბოლო სექტემბერი... თეატრის წინ ყვავილებს ყიდდნენ. გია შემოვიდა: კაცი ისე როგორ უნდა მოკვდეს, რომ ეს გოგონები (ჩვენზე თქვა) ყვავილებით არ დაფაროსო?!.. ზუსტად ერთ კვირაში დაიღუპა და ყვავილებითაც ის დაფარეთ!..

ძალიან ბევრი რამ უნდოდა და ვერ შეძლო. ეს წინააღმდეგობები თავად ცხოვრებამ შეუქმნა. ამასობაში კი, თეატრში ახალი თაობა მოვიდა. სიცოცხლის ბოლო სამი წელი, გია ძნელადისთვის, როგორც მსახიობისთვის, თითქმის მკვდარი იყო. დღეს გაცილებით მეტი შესაძლებლობაა: ათასი კერძო თეატრი გაჩნდა, ბევრნაირად შეიძლება, რომ თავი გამოამჟღავნოს. რა თქმა უნდა, ჩემი მოსაზრება ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ

გიას ჯერ კიდევ წინ ჰქონდა თავისი მთავარი სათქმელიცა და მთავარი როლიც. თუმცა, ბოლო წლებშიც ჰქონია როლები, პარტნიორებიცა და მაყურებელიც რომ გაუოცებია. ასეთი იყო მისი ედმუნდი „მეფე ლირში“. აშშ-სა და თურქეთში თეატრის გასტროლები-სას ეს ყველასგან განსაკუთრებულად აღინიშნა.

იცით, რის თქმას ვცდილობ?... გია ის კაცი იყო, ძალიან ლაღი თუ არა, „საშუალოდ ლაღი“ ცხოვრება მაინც რომ უნდა ჰქონოდა, მაგრამ... ტრაგიკული პიროვნება იყო და ტრაგიკულადც დაასრულა სიცოცხლე. თუმცა, ძლიერი იყო. ხუმრობა ხომ არ არის, 40 წლის ასაკში თუნდაც გიტარის ანაბანას ჩაუჯდეს კაცი. მაგრამ მე პირადად, ლამის ტირილამდე განვიცდიდი ხოლმე, როცა იგი ხელში გიტარას იღებდა: მინდოდა, თუნდაც ამაში გახსნილიყო...

თემიკო ჭიჭინაძე, მსახიობი:

– გიასთან ძალზე თბილი ურთიერთობა მაკავშირებდა. უცნაურად შეხუმრებულები ვიყავით. ბევრი ლამაზი დღე და სიტუაცია დამამახსოვრა. სამწუხაროდ, სცენაზე არასდროს შეგვხვდრივართ, როგორც პარტნიორები. მახსოვს, თეატრში სულ ახალი მოსული ვიყავი, „მეფე ლირის“ ამალაში რომ შეგვიყვანეს. სულ იმის ცდაში იყო, სცენაზეც „გავფუფუჭებინე“. ასეთ სიამოვნებებს არც სხვებს აკლებდა.

„დედაენაში“ სცენა – გიას „გამოვასვენებდით“, როგორც მიცვალებულს.



თათული დოლიძესთან ერთად სპექტაკლში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“


ახლაც ყურში მიდგას, სტურუა რომ დასძახებდა ხოლმე – გაშეშდი, ძნელად, მოკვდი, ძნელადყო!.. ჩვენ კი, რეპეტიციებზე მის ოსტში ერთბაშად ამოვდიოდით: ვიღაც ქვემოდან ჩქმეტდა, ვიღაც შემოსვლა-გასვლისას კედლებზე თავს არტყმევინებდა. მერე, იატაკზე უნდა დაგვედლო და საკმაოდ მაღლიდან ვაგვებდით... რა უნდა ექნა? უჰ, თქვენო, – ასე მაინც „მოგვიგერიებდა“ ხოლმე...

მერე ის იყო, როგორც იქნა, ვითამაშეთ ამ სპექტაკლის პრემიერა და... კაცი მართლაც გასასვენებელი გავვიხდა!..

გიტარისტობა რომ დაიწყო, პაკო დე ლუსია შევარქვით. მართლაც, მთელი სერიოზულობით მეცადინებოდა. სულ ვარჯიშობდა, ერთი სიტყვით – შეგვჭამა თავისი გიტარით. მერე იყო და, თმის ცვენა დაეწყო. იქაც შესაშური გულმოდგინება გამოამჟღავნა – მთელი სერიოზულობით იმკურნალა. მისი წამლის რეცეპტი მთელმა თეატრმა ზეპირად ვიცოდით. დღემდე მახსოვს: გლიცერინი, თაფლი, კაკაო, მაწონი... ბიჭები ვეხუმრებოდით: ბარემ „პლიტა“ ამოიჭანე, თავი შეყავი და ნამცხვარიც გვექნებაო...

ყველაზე თავშესაქცევი მაინც მისი კბილების ამბავი იყო: წინა ყბაზე ორი კბილის მინი-პროთეზი ჰქონდა ჩამაგრებული, ჩანს – არცთუ ისე კარგად, რადგან შუა თამაშშიც ხშირად ამოვარდნია. ერთხელაც, ბატონ ედიშერ მაღალაშ-

კახი კავსაძესთან ერთად ფილმში „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“



ვილთან აქვს სცენა „შეთქმულებში“. ამოუვარდა და ედიშერმა პირდაპირ ჰაერში დაიჭირა. რაღაც დრო დასჭირდა, რომ მიმხვდარიყო, ხელში რა ჰქონდა... ამავე სპექტაკლის მეორე მოქმედებაში ერთ-ერთ შეთქმულ თავადს თენგო გიორგაძე თამაშობს. სპექტაკლში თავადი, გიას გმირს სახეში აფურთხებდა. და აი, ერთხელაც, გიამ ჩამოიწმინდა სახე და...

თეა მარგველაშვილი:

– თავისი მინი-პროთეზიც თან არ მიაყოლა?! ამაზე თენგომ ვერ შეიკავა სიცილი.

გიას წასვლა მთელი თეატრისთვის უზარმაზარი ტკივილი იყო. ყველას ძალიან უყვარდა, თითქმის ყველას მეგობარი და შეხუმრებული ამხანაგი იყო. თემო ნინუას სულ დაბადების წელზე ეკამათებოდა – ჩემზე ბებერი ხარო. მარინა კახიანს „დედას“ ეძახდა. მირიან შველიძე ხომ გაწამებული ჰყავდა თავისი მოღვემისობით. ღმერთმა უწყის, რატომ, და „ბარბის“ ეძახდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ჰყავს, „ბარბის“ გარდა. მირიანსაც ძალიან უყვარდა, იგი ხომ თევაზობის ტრფალია – ითევაზებდა ხოლმე, ქეთინო თევაზს შეწავდა, შევეურთდებოდით მე და გიაც და ერთად ვქეიფობდით.

სულს ლევა თეატრის ახალგაზრდებისთვის. ახალი თაობიდან, გამორჩევით, თემიკო ჭიჭინაძე, მერაბ ნინიძე და დათო ბახტაძე უყვარდა. ასეთი შემთხვევა მახსენდება: გია და დათოც ნამცხვარზე გაჟღებოდნენ. ერთხელაც, მე და დათო დავიხუნძლეთ ნამცხვრებით და თეატრში ვბრუნდებით. დათო „ნერვიულობს“, რაც ვინდა, ის მოხდეს, ოღონდაც „ტოკი“ (გიას გულისხმობდა) ამცდესო. მაგრამ



შევაღეთ სარეკვიზიტოს კარი და „ტოკი“ იქ არ დგას? დათო აყვირდა: ვაი, ვაი, 220 ვოლტია, დავიწვიო!.. სულ ასეთ ხუმრობაში ვიყავით.

იმ ნავს დღესაც – 1994 წლის 27 სექტემბერს – მირიანმა გიასთან ნარდში წააგო „კოკა-კოლები“. წაგებული მეორე დღეს უნდა მოეტანა. ეს – დილით, საღამოს „დედაენა“ ითამაშეს. რომ დამთავრდა, ასე, 7-8 საათისთვის, გია სიგარეტის საყიდლად გავიდა. ოპერის წინ გადაუჭრია ქუჩა, უყიდა სიგარეტი და რომ გადმოდიოდა, დაურტყამს მანქანას. ამ ამბავში, მე პირადად, ყველაზე მეტად, იმან შემზარა, რომ იქ, ადგილზე, ჩვენგან ასე ახლოს, გია ვერაგინ იცნო – სისხლიანი და ასფალტზე უმწეოდ დაგდებული. მეტსაც გეტყვით: ჩვენი ბიჭები – დღუტა სხირტლაძე და გია გოგიშვილი შესწრებიან თურმე ამ ტრაგედიას. მათ აუყვანიათ ეს საცოდავი, ჩაუწვენიათ ვიღაცის მანქანაში. თან სულ იძახდნენ თურმე, კიდე კარგი, შინაური არ არისო... და გია ვერ იცნეს! სისხლში ჰქონია მთელი სახე ამოთხვრილი. ამიტომაც ვამბობ, რომ ტრაგიკული ადამიანი იყო და ტრაგიკულადაც დაასრულა სიცოცხლე.

სპექტაკლიდან ორ საათში, საავადმყოფოში დალია სული. მირიანი რომ მისულა, უკვე გარდაცვლილი ყოფილა. ეს კი, ჩასძახოდა თურმე: ხომ არ გაგიჟებულხარ, ბიჭო, დაგავიწყდა, რომ „კოკა-კოლები“ გაქვს მოგებულიო?!

ასე წავიდა ჩვენგან გია ძნელაძე, კაცი, ვინც ერთხელ ასეთი სტრიქონები მისახსოვრა: „სიკეთეს ვთესავ ყოველგან, მაგრამ მპარავენ ქურდები, შემდეგ კი იმის აღდგენას, მთელი სიცოცხლე ვუნდები“. და, ალბათ, ახლაც, ფეხზე რომ წამოაყენა, იტყოდა: „მე რომ მკითხოთ, მაგალითად, სიკვდილი არაფერია, ისე ჩუმად მოვა შენთან, ვით ლამაზი ფერია...“

გიას ორი უმშვენიერესი ქალიშვილი დარჩა – ანა და ელენე. დღეს ორივე, დედაა. ასე რომ, გია „ორმაგი ბაბუაა“... სიკვდილის ჯიბრზე!

თენგივ ბიორგაძე, მსახიობი:

– იცით, ეს ძალიან ძნელია – გიაზე ლაპარაკი... მე დავკარგე მეგობარი, ცხოვრებაში უზარმაზარ სტიმულს, ხალისს რომ მაძლევდა! მისი წასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემს უდიდეს სამეგობროში ჩემთვის ყველაზე დიდი, სწორედ ის ყოფილა. ჩვენს ურთიერთობაზე სქელტანაინი წიგნი დაიწერებოდა... მეტს ვერაფერს ვიტყვი.

რეჟისორი



ყოველთვის მზად იყავი, თქვა ის, რასაც ფიქრობ და არამზადა სათოფედ არ მოგეკარება.

უილიამ ბლეიკი

ვაზს ეცოტავა თავისი მზარე, მესერზე გადავიდა, ქუჩის მიღმა მოეჭიდა სხვა ღობეს. მაშინ გამგელელებმა ის გადაჭრეს.

ლეონარდო და ვინჩი

გივოსს დარჩე პატისონ ჩიტბატონად, ვიდრე თავი გაასალო იაღონად.

ივან კრილოვი

„გუშინ“ წავიდა, მიხელოთ „დედას“, დილას მოგველის ახალი გარჯა; ჭკვიანმა ხალხმა ეს იცის ყველა, მხოლოდ რეგენი რეგენად დარჩა.

ადელბერტ ფონ შამოსი

სამარცხვინოა სხვის შეცდომებში კირკიტი, როცა საკუთარს ვერ ხედავ.

დემოკრიტე

არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.

შოთა რუსთაველი

არის იოლი დაფნისაგან გვირგვინის დაწნა,

ძნელია, მისი ღირსი თავი მონახოს კაცმა.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სადაც ჩლუნგი გონებაა, იქ ხუმრობას რა ხელი აქვს!

და პირველი სისულელე – სულელური სიცილია.

უილიამ შექსპირი

ჯიუტობა და სიცხარე კამათში – სისულელის სარწმუნო ნიშანია.

მიშელ მონტენი

გამონათქვამი – „ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადია“ – უნივერსალური ნამდვილად არ არის; მაგალითად, ადამიანებს დღესაც ისევე ძლიერ უყვართ შოკოლადი, როგორც წინათ. ტეგენდების თანახმად, თურმე ჯერ კიდევ 500 წლის წინ, აცტეკთა ბელადი მონტესუმა დღეში ორმოცამდე ფინჯან შოკოლადს მიირთმევდა და ირწმუნებოდა, რომ ეს სასმელი „სხეულს აახალგაზრდავებს და გონებას ხსნის“. XVIII საუკუნის ცნობილი ბოტანიკოსი კარლ ლინეი შოკოლადის გემომ ისე ადაფრთოვანა, რომ კაქაოს ხეს მეცნიერულ ენაზე **Theobroma** უწოდა, რაც ბერძნულ ენაზე „ღმერთების საკვებს“ ნიშნავს.



თავისი ისტორიის დასაწყისში, შოკოლადი მხოლოდ სასმლის სახით იყო ცნობილი. ძველი აცტეკები კაკოს მარცვლებს ფშენილენ და წყალში ხსნიდნენ. სწორედ აქედან წარმოიშვა შოკოლადის სახელწოდება – choco (ქაფი) და alt (წყალი). აცტეკებს მიჰჩნდათ, რომ „კაკოს მარცვლები, რომელიც დაღლილობის შეგრძნებას სპობს, დედაშიწაზე ციდან მოხვდა“, შოკოლადი კი მათთვის წმინდა სასმელი იყო, ამიტომ მისი დაგემოვნების უფლება მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. როცა ქრისტიანობა კოლუმბის მორიგი ექსპედიციის წევრები ამერიკაში მონტესუმას შეხვდნენ, ბელადმა უცხოტომელები თეთრ ღმერთებად მიიღო და „ჯადოსნური სითხით“ გაუმასპინძლდა. თავიდან ესპანელები ამ სასმლის გასინჯვას სიფრთხილით მოეკიდნენ, მაგრამ შემდეგ მაინც გაბედეს... თუმცა, შოკოლადის გემო სათანადოდ ვერ შეაფასეს.

1819 წელს შვეიცარიაში პირველად გაიხსნა ფაბრიკა, სადაც შოკოლადის მასას ფილების ფორმით ამზადებდნენ. შოკოლადის ისტორიაში, აღმოჩენების ხანა დაიწყო: ფილებს ჯერ დაფხვნილი თხილი შეურიეს, შემდეგ პირველი რძიანი შოკოლადი გაჩნდა, შემდგომში მას ლიქორი და კონიაკი დაუმატეს, გამოუშვეს აგრეთვე ნაღების, მარწყვისა და სხვა გულსართიანი შოკოლადის ფილებიც.

შოკოლადისადმი ადამიანის უზომო სიყვარული მხოლოდ ამ ნუგბრის გემოთი როდი აიხსნება. ცნობილი სტიმულატორების – კოფეინისა და თეობრომინის შემცველობის წყალობით, ის სიმხნევისა და შრომისუნარიანობის ამაღლების საუცხოო საშუალებასაც წარმოადგენს: ნახევარი ფილა შავი შოკოლადი სტრესის დაძლევის უებარი საშუალებაა. შავი შოკოლადი ყველაზე მატონიზებელია, მისი დღიური ნორმა – დაახლოებით 100 გ, 20 მგ კოფეინს შეიცავს, რაც ერთ ფინჯან ყავაში კოფეინის შემცველობაზე დაახლოებით 5-10-ჯერ ნაკლებია. ერთი ფილა შოკოლადი კალციუმისა და პროთეინების შემადგენლობით ბევრად აჭარბებს სტაფილოსგან, ვაშლისგან, ფორთოხლისა და ბანანისგან დამზადებული ხილ-ბოსტნეულის სალათის ერთ ულუფას. მეცნიერულად არის დამტკიცებული ისიც, რომ ზომიერი რაოდენობით მიღებული შოკოლადი დადებითად მოქმედებს ადამიანის გულ-

წლების შემდეგ ესპანეთის სამეფო კარის მზარეულებმა უცხო სასმლის სრულყოფა შეძლეს: მას შაქარი და სანელებლები დაუმატეს. თავიდან შოკოლადი ძალიან ძვირად ფასობდა, ამიტომ მისი დაგემოვნების საშუალება მხოლოდ დიდებულებს ჰქონდათ, მაგრამ თანდათან, მისი წარმოება ამუშავდა, შოკოლადიც გაიფხვრა და „ღმერთების სასმელი“ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა.



ცისფერი კონტინენტი	კელის სანგრევი საბრძოლო იარაღი	თბილისის უბანი	იგივეა, რაც ოპიუმი	მეკარე ... იაშინი	ნივთიერება ღინების უნარით	წყლის გამწმენდი მოლუსკი
ფულის ახალი ერთეული	„მე ... ქართველი ვარ“	საბჭოთა ავტომობილი	ინფექციური დაავადება	ქუსლით ცნობილი მითოლოგიური პერსონაჟი	მთის ზედა ნაწილი	ქალი, რ საქმე


ადი

სისხლძარღვთა სისტემაზე.

შოკოლადის ჭამის ცდუნებას კოლივულის ბევრი ვარსკვლავიც კი ვერ უძლებს. მაგალითად, ენდი მაკდაუელს უკვე დიდი ხანია, ტანჯავს „შოკოლადომანია“ და შოკოლადიანი ნამცხვრის დანახვისას, საკონდიტროდან ან სუპერმარკეტიდან მუდამ თვალვებინებულად გამოდის, რადგან თუ ამ ტკბილეულის ჭამა დაიწყო, — შეწყვეტას ვეღარ ახერხებს.

თუმცა, შოკოლადზე უარის თქმაც სრულიად უმტკივნეულოდ ყოფილა შესაძლებელი. მანამდე ყველასათვის უცნობი ამერიკელი ქალი, ლიზ ბოული შოკოლადზე გიჟდებოდა და ყოველდღე, სულ მცირე, სამ ფილას მაინც მიირთმევდა. ერთხელ ლიზი ისეთ კაფეში მოხვდა, სადაც შოკოლადის მძაფრი სუნი იდგა. ორიოდე წუთის მანძილზე პატარა რიგში დგომისას მან აღმოაჩინა, რომ ტკბილეულის სურნელით გამძღარიყო... ამ შემთხვევის შემდეგ, ლიზმა მთელ ამერიკაში გაითქვა სახელი: მან შოკოლადისადმი მიდრეკილების დასაძლევად საშუალება შექმნა — სამკვლელო, რომელსაც შოკოლადის სუნი ასდის. თურმე თუ ადამიანი ასეთი სახვევით ივლის, შოკოლადის ჭამის სურვილი აღარ გაუჩნდება.

ტოპ-მოდელმა ჰელენ კრისტენსენმა კი, საკუთარი დიეტა გამოიგონა, რომელმაც საშუალება მისცა, უარიც არ ეთქვა შოკოლადზე და, იმავდროულად, შესანიშნავი ფორმაც შეენარჩუნებინა: ის ყველაფერს ჭამს, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. ამიტომაც, ელისეს მინდვრებზე მდებარე ცნობილ საკონდიტროში შესვლისას, ჰელენი უკვეთს თორმეტიოდე შოკოლადიანი ნამცხვარს, ჩაამწკრივებს და ყველა მათგანიდან თითო პატარა ლუქმას მოციცქნის. თავად სუ-



პერმოდელის თქმით, ამის შემდეგ ის კაფეს სავსებით კმაყოფილი ტოვებს...

არაფერს — თვით მილიონიანი კონტრაქტის დაკარგვის საფრთხესაც კი, არ შეუძლია აიძულოს ჯონ ტრავოლტა, უარი თქვას შოკოლადზე. მსახიობის პერიოდული გასუქება კი, შოკოლადის ტრიუფელისადმი განსაკუთრებული ლტოლვის შედეგი ყოფილა, მიუხედავად ამისა, გასახდომად ტკბილეულზე უარის თქმას მაინც არ აპირებს: ის მზად არის, ზედმეტი წონა ატაროს, ოღონდაც მშვიდად და კომფორტულად იგრძნოს თავი.

ფსიქოანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შოკოლადის გემო ბევრ ადამიანს ბავშვობის ბედნიერ პერიოდს აგონებს და იმავდროულად, უსიამოვნო შეგრძნებების დაძლევაშიც ეხმარება. გარდა ამისა, შოკოლადი აუმჯობესებს გუნება-განწყობას, რადგან ხელს უწყობს სეროტონინის გამომუშავებას: ეს ნივთიერება ორგანიზმში თურმე მაშინ წარმოიქმნება, როცა ადამიანი დადებით ემოციებს განიცდის, მაგალითად — შეყვარებულია.

ამრიგად, ნუ მოაკლებთ საკუთარ თავს სიამოვნებას და მიირთვით შოკოლადი, ოღონდ — ზომიერად.

შოკოლადისგან დამზადებული სარეკლამო კორსეტი



აბსოვრებული შენობა	ადამიანის სახე (ვულგარულად)	რეკ-გილია	პაგარა ჩიგი	მგაცეხელი ფრინველი	მუსიკის საესტრადო ქანრი	სანიტარულ-პიგიენური დაწესებულება	ქალაქი დასავლეთ საქართველოში
რომელიც საოჯახო მეებს უძღვება	გამის ნოტი	მეგსახელი ანუ ...	ზვიო ანუ ზვიად ...	მსახიობი ... კაკური	კონტინენტი	ქალბატონი	

სალომე მომიტაშვილი

ქართველურ ტომებში კურულის მაგიურ-რიტუალური ხასიათის შემდეგი სახეობებია ცნობილი:

— ხარების შეჯიბრება ერთმანეთთან.

— კაცის შერკინება ხართან და მისი დაჯაბნა.

— კაცის შეჯიბრება ხართან და მისი მოკვლა გარკვეული სპორტული ილეთის დაცვით.

წავიკითხავთ აკაკი წერეთლის „დათუნა გოცირიძე“? მინიატურული მოთხრობაა, ერთი პატარა ამბავი. აკი ასეც წაუწერია ავტორს — ძველებური ამბავი. ჰოდა, ამ ძველებურ ამბავში ერთი კი არა, ორი რამ არის მოთხრობილი. უმთავრესი, რა თქმა უნდა, პატრიოტულ მოტივზე აგებული სიუჟეტი, ჩართული კი — ქართული კურულის (კორიდის) ერთი, რიგითი ეპიზოდი.

თურმე ნუ იტყვით და, ხარებთან ბრძოლით მარტო ესპანელები როდი იქცევდნენ თავს...

ჩვენ ესპანურ კორიდაზე უფრო მეტი ვიცით, ვიდრე ქართულზე. უფრო სწორად, ქართულზე საერთოდ არ ვიცით არაფერი. ისიც სათქმელია, რომ ძალიან მოგვწონს ხართან მებრძოლ რაინდებზე — მატადორებზე დაწერილი წიგნები თუ გადაღებული ფილმები. არადა, იმ ესპანელზე თუ პორტუგალიელზე არანაკლებ ებრძოდა ხარებს ჩვენი წინაპარი, რაჭველი აზნაური დათუნა გოცირიძე.

ეს ამბავი კი ასე მომხდარა: მეფისთვის დადიანს საარაკო ნებიერი (კურო) მიუძღვნია. ისეთი ველური ყოფილა, მეჯოგეები ძლივს აკავებდნენ თურმე. გვეუთის სასახლეში დაბრძანებულ მეფეს მოზვრის ურჩობა „თვალში მოსვლია“ და რაინდული სანახაობა მოუსურვებია — ნეტავ, თუ ვინმემ შეიძლოს, რომ ერთი მოქნევით თავი გააგდებინოს... — უთქვამს.

ვაჟკაცობით განთქმული დათუნა გოცირიძე გამოუძახიათ, თუმცა კი ამით გული დასწყევტია დათუნასვე დის-

კურული ანუ კორიდა ქართულად

ხარებთან ბრძოლით მარტო ესპანელები როდი იქცევდნენ თავს...



ბრინჯაოს ხარის გამოსახულება, ძვ.წ. აღ-ის VII-VI სს. — ვინ იცის, იქნებ ამ დროიდანაც იღებს სათავეს კურული — ხარების (ხარებთან) ბრძოლა საქართველოში...

წულს, არანაკლებ ვაჟკაცს, მაგრამ ჯერ ახალგაზრდა ივანე კვიციანი.

აქვე სრულად მოგვყავს დათუნა გოცირიძისა და ველური მოზვრის შერკინების ეპიზოდი:

„მეორე დილას გვეუთის მინდორზე სასახლის წინ შემოხაზეს წრე, შემოავლეს გალავანი და აუშვეს ნებიერი. პირუტყვემა რომ თავისუფლება იგრძნო, შეხტა და შეინავარდა, იწყო ბღუილი და ტორებ-რქებით ბღღვირი ააყენა.

— აბა, დათუნა, გვიჩვენე შენი ვაჟკა-

ცობაო! — ბრძანა მეფემ.

შევიდა წრეში გოცირიძე. შემოხდა ნებიერმა, აიღო თავი, შემოაბღღია თვალები, შემოაბღღილა და მიაშურა. დათუნა გაუხტა განზე, მოუძარჯვეა ხმალი და სწყვიტა. წაიფორხილა გაბრაზებულმა პირუტყვემა, ჯერ წაიჩოქა წინა მუხლებზე და მერე კი გადავარდა. თავი ისევ კისერზე ება, მაგრამ კისრის ძვლები კი დასჩენხნოდა...“

როგორც შემდგომ ვაირკვა, ხმლის დაბლაგვეების „მიზეზი“ დათუნას დისწული აღმოჩნდა, რომელმაც პირველობის ჟინით შეპყრობილმა ბიძაც არ დაინდო და აკი მიაღწია საწაფელს — დათუნას დაკრულ ხმალს მოზვრის კისერი ელვის უსწრაფესად უნდა „წაესხიპა“. დათუნასა და მისი დისწულის პაექრობა მოთხრობის შემდგომი პასაჟია (რომელიც საკმაოდ მშვიდობიანად მთავრდება), მე კი მინდა ისევ გვეუთის მინდორზე გამართულ ველურ მოზვერთან ქართველი ვაჟკაცის ჭიდილს დავუბრუნდე. გვესაუბრება ცნობილი ეთნოლოგი, პროფესორი **სოსო ჭანტურიშვილი**, ქართული ეთნოლოგიის ფუნდამენტური სახელმძღვანელოს ავტორი.

— ბატონო სოსო, პირველი კითხვა, რომელიც „დათუნა გოცირიძის“ კითხვისას გამიჩნდა, ეს არის, თუ რომელ ეპოქაში მოხდა მოთხრობაში მოყვანილი ამბავი და რომელ მეფეს უყვარდა აგრერიგად ხარებთან ბრძოლის სანახაობა?

— სამწუხაროდ, ზუსტად ვერ გეტყვით, რომელმა ქართველმა მეფემ მოისურვა ამ სანახაობით დატკობა, მაგრამ ვფიქრობ, აკაკი წარეთელი რამდენიმე საუკუნის წინანდელ ეპოქას გულისხმობდა. თუმცა კი არსებობს რაჭაში მთხრობელთაგან ჩაწერილი ნაამბობი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი დათუნა გოცირიძის შესახებ. აქ მოქმედება თამარ მეფის ეპოქაშია გადატანილი და არც გასაკვირია, რომ ქართველ ხალხს ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი ამბავი სწორედ თავისი ქვეყნის ალზევებისა და საყვარელი მე-

ფის ეპოქაში გადააქვს...

თამარის ეპოქაში გადატანილი ხართან ბრძოლის ამბავი კი ასეთია:

„რაჭის ერისთავის – კახაბერის მსახურს – დათუნა გოცირიძეს, ხართან ორთაბრძოლაში გამარჯვების სანაცვლოდ, ერისთავის ასულის ცოლად შერთვის უფლება, ხოლო თამარ მეფისგან აზნაურის წოდება მოუთხოვია. შერკინებას კი ასე აღწერენ: ბნელი დილეგიდან შმაგი ბულა გამოუშვეს. დათუნა უკან მოექცა და მახვილი კუდის ძირში ჩხვლიტა. პირუტყვმა წამით თავი დასწია და დათუნამაც მაშინვე დაჰკრა კეფაში დაშნა, ხარი დაეცა და გაიფუტა“.

ასეთი გამარჯვების აღსანიშნავად, დათუნას ერისთავის ასულიც შეურთავს და აზნაურობისთვისაც „გამოუკრავს ხელი“...

მშვენიერი ლეგენდაა, ვერაფერს იტყვი.

ცოტა რამ კორიძის შესახებ:

„კორიდა“ ესპანური სიტყვაა და სირბილს, სწრაფად მოძრაობას ნიშნავს. „კორიდა დე ტოროს“ კი ხარების სრბოლაა. ეს ესპანური ეროვნული სანახაობა ხარის უძველეს კულტს უკავშირდება. გავრცელდა იგი XI საუკუნეში. ამ სანახაობაში შუა საუკუნეებში წარჩინებული სენიორები მონაწილეობდნენ. XVIII საუკუნიდან კი ხარებთან ბრძოლა საცირო სანახაობად იქცა. დღევანდელ კორიდაში შეიძლება რამდენიმე ტორერო, მატადორი (ხართან მებრძოლი პროფესიონალი) მონაწილეობდეს. ზოგი მათგანი ხარს წითელი ფერის მოსასხამით აღიზიანებს, ზოგი – შუბის წვერით...

კორიდა, ესპანეთის გარდა, იმართება პორტუგალიაში, ლათინურ-ამერიკულ ქვეყნებში, საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში.

მძაფრი სანახაობის მოყვარულნი ესპანეთში სპეციალურად კორიდაზე დასასწრებად მიემგზავრებიან.

— ბატონო სოსო, ახლა მოკლედ გვიამბეთ იმის შესახებ, საიდან მოდის ხარებთან ბრძოლა საქართველოში?

— ხალხურ გართობა-სანახაობათა შორის, ერთ-ერთი საინტერესო იყო კურული, რომელიც წინაქრისტიანული ხა-

ნის რელიგიათა რიტუალურ წესებთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ტერმინი – „კურული“ მეგრულიდან შემოინახა ქართულ ენაში. კურული ხარებთან ბრძოლის ხალხური გართობა-დღესასწაული იყო და ასეთი სანახაობები ცნობილია რაჭაში, აჭარაში, სვანეთში...

— როგორია მეცნიერული მონაზრებანი კურულის შესახებ?

— ტერმინი „კურული“ პროფესორმა ვერა ბარდაველიძემ დაამკვიდრა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. მის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, კურული სამეგრელოში იმართებოდა. ეს იყო ხარებთან, უფრო კონკრეტულად – ბულებთან, კურობთან მამაკაცთა შერკინება ამა თუ იმ დღესასწაულის დროს, განსაზღვრული წესების დაცვით. თავდაპირველად ტერმინი გამოხატავდა ხარებთან შერბოლების ისეთ სახეობას, როდესაც ადგილი აქვს კაცისა და ხარის ორთაბრძოლას. მაგრამ სადღეისოდ, კურული იმ გართობა-სანახაობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია, რომელშიც ხარი მონაწილეობდა...

— გამოდის, რომ კურული არის, როგორც კაცისა და ხარის, ასევე ხარების ორთაბრძოლა. საინტერესოა, თუ არსებობდა რაიმე განსაკუთრებული კანონზომიერება კურულის გამართვისას?

— სვანეთში ცის მეუფის პატივსაცემად იმართებოდა ყველაზე ბრწყინვალე

და მნიშვნელოვანი თამაშობანი. ეს იყო წმინდა ხარების – შეწირული ხარების ბრძოლა, ასევე ბულებთან შერკინება. თუმცა, ეს უკანასკნელი, სამეგრელოს ყოფისთვის დამახასიათებლად ითვლება.

— იქნებ უფრო დანერგებით აგვიწეროთ სვანური დღესასწაული?

— უფლიშერის – ცის უმაღლესი ღვთაებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ციკლის პირველ დღეს, რომელიც თომას კვირის (მარტის ბოლო – აპრილის დასაწყისი) დაწყების წინა დღეს ემთხვეოდა, სვანური თემის მოსკარები (ერთი სამლოცველოს გარშემო გაერთიანებული პირები) თავიანთი უხუცესის წინამძღოლობით მიემართებოდნენ სვიფისკენ (სოფლის ცენტრში მდებარე საგანგებო თავშეყრის მოედანი), წინ მიუძღოდნენ შესაწირი ანუ წმინდა ხარები, რომლებიც ერთად იყრიდნენ თავს სოფლის მოედანზე. მათი მსხვერპლად შეწირვის წინ იმართებოდა ხარების შეჯიბრება. სვიფს გარს შემოერთებებოდა ადამიანთა განიერი წრე. შეჯიბრების წინ ხარებს არაფეს ასმევდნენ, აღიზიანებდნენ სხვადასხვა საშუალებით, ხოლო შემდეგ მიუშვებდნენ ერთმანეთზე. გამარჯვებულ ხარს, რომელიც მეორეს ზოგჯერ სიკვდილის პირზეც კი მიიყვანდა, პატივი და სახელი მოჰქონდა თავისი პატრონისთვის (ლასკარისათვის). იგი თავის ხართან ერთად მთელი წელი გამარ-

ეს კი ლათინურ-ამერიკული კორიდაა – ხარს მაგალორთან საომრად „ამზადებენ“...



ერთგული ეკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებთ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. რა დანიშნულებით იყენებდნენ თავდაპირველად ღიღს?



- ა) სამშენისის;
- ბ) შესაკრავის;
- გ) აბჯრის.

2. სადაური იყო პუშკინის ერთ-ერთი პაპა, რომელსაც პანიბალი ერქვა?



- ა) ეგვიპტელი;
- ბ) ეთიოპიელი;
- გ) ებრაელი.

3. საორტის რომელ სახეობაში მოღვაწეობდა ოლიმპიური ჩემპიონი ეთი- პან ლოსაგერიძე?

- ა) მშვილდოსნობაში;
- ბ) ბირთვის კვრაში;
- გ) ბადროს ტყორცნაში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ჯვებულად ითვლებოდა, ბუნებრივია, ამ
გამარჯვების წყალობით ხარი მსხვერ-
პლად შეწირვასაც „გადარჩებოდა“...

— **ეს ხარების ბრძოლა, ახლა
ხარისა და კაცის შერკინებაზეც
გვიამბეთ...**

— სვანურ ხარების ორთაბრძოლის-
გან აბსოლუტურად განსხვავებულია
სამეგრელოში გავრცელებული კურუ-
ლი.

კურული სამეგრელოში:

კვირა დღეს, არ იყო აუცილებელი
რომელიმე დღესასწაული ყოფილიყო,
სოფლის ახლოს, სწორ მინდორზე, ცენ-
ტრში ჩარჭობილ ბოძზე საგანგებოდ
გაწვრთნილ ბუღას მიაბამდნენ და ორი
კაცი შეუდგებოდა მის გაღიზიანებას.
ამ დროს ბუღასთან მოპყრობის მტ-
კიცედ დადგენილი წესები არსებობდა:
მისი შეხება მხოლოდ განსაზღვრულ
ადგილებზე – რქებზე, ყურებზე, ბეჭებსა
და ზურგზე შეიძლებოდა. ასეთი გზით
მეტისმეტად გაღიზიანებულ ბუღას აუშ-
ვებდნენ და მას ერთ-ერთი გამღიზიანე-
ბელი შეებრძოლებოდა. ორთაბრძოლა
მეტისმეტად თავგანწირულ ხასიათს
იღებდა. გამძვინვარებული ცხოველის
მოვერება არცთუ ისე იოლი გახლ-
დათ. მაგრამ ასეთ ბრძოლებში გამო-
ბრძმედილ მორკინალს, წინ ვერაფერი
დაუდგებოდა. იგი ცდილობდა დაეღლია
ბუღა, მიწაზე განერთხო და შეეკრა და
ამას აღწევდა კიდეც (თუმცა კი, და-
თუნა გოცირიძის მაგალითის მიხედ-
ვით, ხარისთვის ერთი ხმლის
შემოკვრით უნდა გაეგდებინებინათ
თავი). ხართან მეტრძოლი ვაჟკაცი გან-
საკუთრებული პატივით სარგებლობ-
და. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ
კურული ზოგჯერ მსხვერპლითაც
მთავრდებოდა...

— **ბატონო სოსო, ხართან
შებრძოლების აჭარაში გავრცელე-
ბულ რიტუალზე რას იტყვით?**

— ამის შესახებ ძალზედ საინტერესო
გამოკვლევა აქვს პროფესორ ვახტანგ
შამილაძეს. აჭარელთა ყოფაში, ხარ-
თან კაცის შებრძოლების არა, მაგრამ
ხარების ბრძოლის რიტუალი კი ყოფი-
ლა და სპეციალური სახელიც ჰქონია
— „ბუღიების ჭეღობა“.

დიდ ოსტატობად ითვლებოდა თურმე
აჭარაში საუკეთესო მოჭედარი ბუღის
შერჩევა და გამოზრდა. განთქმული
ყოფილა სეფეროლის, მიქელაძის, ვანა-
ძის, ირემაძის ბუღები. კარგ მოჭედრად

8-10 წლის ბუღები ითვლებოდა, რომე-
ლთაც შერკინების შემდეგ ასუქებდ-
ნენ და კლავენენ.

ბუღების შეჭიდება აჭარაში გაზაფხ-
ულის დღესასწაულების ციკლს უკავ-
შირდებოდა. იწყებოდა აპრილის პირვე-
ლი კვირიდან და ძირითადად, პარასკე-
ობით იმართებოდა (წინამუსლიმანურ
პერიოდში, ალბათ სხვა ქართველ ტომებ-
ში მიღებული ანალოგიით, კვირა დღეს
იმართებოდა).

— **თუ არსებობს ეთნოლოგია-
ში ერთგვარი კლასიფიკაცია, რაც
ხართან ბრძოლას უკავშირდება?**

— რა თქმა უნდა, არსებობს და იგი
ასე გამოიყურება, ანუ ქართველურ
ტომებში კურულის მაგიურ-რიტუ-
ალური ხასიათის შემდეგი სახეობებია
ცნობილი:

1. ხარების შეჯიბრება ერთმანეთ-
თან (სვანეთი, აჭარა).

2. კაცის შერკინება ხართან და
მისი დაჯანა (სამეგრელო).

3. კაცის შეჯიბრება ხართან და
მისი მოკვლა გარკვეული სპორტული
ილეთის დაცვით (რაჭა).

როგორც ვნახეთ, ხარების ერთმანეთ-
თან შეჯიბრება სვანეთში და აჭარაში
განსხვავებულია. სვანეთსა იგი ტარ-
დება ხარებს შორის მათი მსხვერპ-
ლად შეწირვის წინ (მსხვერპლად ძირ-
ითადად, „დამარცხებული“ ხარები შეი-
წირებოდა), ხოლო აჭარაში მოპაექრე
ხარებს არ კლავენენ და ერთი და
იგივე ხარი შეიძლება რამდენიმე წლის
განმავლობაშიც კი გამოეყვანათ ბუღე-
ბის ჭეღობაზე.

ეს ბუღების ჭეღობას რაც შეეხება,
ხოლო კურული – სამეგრელოში და
რაჭაში გავრცელებული კაცის შეჭიდება
ხართან – ადასტურებს საერთო კულ-
ტურულ-ისტორიულ გარემოში
საქართველოს თანაარსებობას...

P.S. ხოლო რაც შეეხება საქარ-
თველოში კურულის „წარსულისადმი
ჩაბარებას“, რას ვიზამთ: ბევრი ტრადი-
ციული წეს-ჩვეულება და გართობა-
თამაშობანი შეიბურა დავიწყების ნის-
ლით. თუ დღეს ესპანეთში კორიდა
უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად ითვ-
ლება, გული ნუ დაგვწყდება, – შეგვი-
ძლია თავი იმით ვინუგეგმოთ, რომ ჩვენც
გვექონია ოდესღაც არანაკლები სანახ-
აობანი და ჩვენც გვეყოლია ბუღებზე
ლონიერი რაინდები...

ლეილა მებრეველი

შეხვედრამდე თითქმის მთელი საათი იყო დარჩენილი, „ვერსაჩეს“ პიჯაკში გამოწყობილი სანდრო, სახლიდან რომ გამოვიდა. დროის მოსაკლავად, მახლობელ პარკს მიაშურა. განმარტობით მდგარი მაგნოლიის ძირას ჩამოჯდა, ერთიანად ალტაცებულ-აღფრთოვანებული. „კაი, ახლა, არ შემშვენის ოცი წლის ბიჭივით აცუნდრუება, – შეუწყრა უცნაურად აფრთხილებულ გულს, – მთავარია, თავი ღირსეულად დავიჭირო, ყველაფერს კრიტიკული თვალით შევხედო, სათანადოდ შევაფასო სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი. კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩემთვის წარსულის მწარე გამოცდილება“.

„წარსულის მწარე გამოცდილება“ კი, იცოცხლეთ, ზომაზე მეტი ჰქონდა მიღებული. პირდაპირი და შეუპოვარი ხასიათის მიუხედავად, ქალებთან საოცრად დამთმობი და მორიდებული იყო. ხუთი წელი სრულდებოდა, რაც ცოლს გაეყარა. იმ ქალმა კი თავისი უკუღმართი ხასიათით (რომელსაც ერთად ცხოვრების სამი წლის მანძილზე, ისიც ვერ დაუმტკიცა, თეთრი რომ თეთრი იყო, შავი კი – შავი; რომ არაგვი კავკასიონიდან ჩამოედინებოდა და არა პირიქით) ისე მოაძულა თავი, ისე, რომ... არათუ ხელახალ დაქორწინებაზე ფიქრი, ქალის სიახლოვეც კი აფრთხობდა და აშინებდა. რა უყო იმ შეჩვენებულმა ისეთი, ქალის სახსენებელიც კი სამუდამოდ რომ შეაჯავრაო?! – უკვირდით სანდროს ნაცნობ-მეგობრებს. წარსულის შეცდომებში გამობრძმედილი სანდრო კი მყარად იდგა თავის პოზიციაზე და მედგრად იგერიებდა შინაურების ყოველ შემოტევას, ოჯახური ცხოვრების აუცილებლობის თაობაზე.

დრო კი კოსმოსური სისწრაფით მიქროდა!

ერთ დღეს...

ერთ დღეს გამყიდველმა სხვა ყურნალ-გაზეთებთან ერთად, რაღაც ახალი გაზეთიც შესთავაზა. სახლ-



ჩაშლილი ჰაემანი

ში მისულმა პირველად ის ახალი გაზეთი გადაათვალიერა. „შუამავალი“ – იტყობინებოდა ლამაზი შრიფტით აწყობილი სათაური. ო-ჰო-ჰო, რა გინდოდა, სულო და გულო, როგორ განცხადებას არ ნახავდი იქ! ვის რისი გაყიდვა უნდოდა, ვის რისი შექმნა სურდა, ვინ სახლს აგირავებდა, ვის სესხება სურდა, ვის – გასესხება (მყარი გარანტიით, რა თქმა უნდა), ვინ ძიძას დაეძებდა, ვინ – შინამოსამსახურეს, ვის რისი სწავლება შეეძლო, ვის რისი განკურნება და ათასი რამ. ყველაზე საინტერესო კი ის გვერდი იყო, სადაც პაწაწინა ჩიბუხ-ქოლგებით დამშვენებული უამრავი ინტიმური განცხადება განეთავსებინათ. ჯერ ზერელედ, თვალის ერთი გადავლებით ჩაიკითხა ქოლგაწამლვარებული განცხადებები, შემდეგ, უფრო გულდასმით, – მეორედ, მესამედ და უცებ, გველსმიშტერებული მონუსხული ბულბულივით მიაცივდა ერთ-ერთს: „ვარ ქმარგაცილებული, ნაზი, ზომაზე მეტად წყნარი ბუნების, თითქმის არასოდეს გამოვდივარ წონასწორობიდან, კეთილი, კარ-

გი მეოჯახე, უადრესად დიდ პატივს ვცემ სხვის აზრს. ქმრად ვისურვებდი...“ მეტი აღარაფერი წაუკითხავს. ხელახლა ჩაათვალიერა განცხადება, შემდეგ მეორედ, მესამედ! უცებ მთელი სამყარო შეიძრა და აგუგუნდა: „ვარ ზომაზე მეტად წყნარი ბუნების... კეთილი... პატივს ვცემ სხვის აზრს... არასოდეს გამოვდივარ წონასწორობიდან“ – ესმოდა ყოველი მხრიდან. „ვინ თქვა, ბედი არ არსებობსო?! – ფიქრობდა განარებული, – რაღა მაინცდამაინც დღეს შემომთავაზეს ეს... ეს „შუამავალია“ თუ ბაჯალლო ოქროს ნატეხი?!“

დიდხანს აღარ უფიქრია, თანაც დიდი განსჯა-ფიქრისათვის დროს, არც გულში მოულოდნელად გაკრული მწარე ტკივილები და არც სადოლე ტყავივით მოპრიანებული კეფა იძლეოდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ... ყველა ფორმალური მხარის მოგვარება ფირმა „შუამავალმა“ იკისრა, მით უმეტეს, რომ სანდრო ქალის განცხადებაში მოყვანილ თითქმის ყველა პირობას აკმაყოფილებდა: ნაცოლარიც იყო, უმაღლესდამთავრებულიც, სასიამოვნო გარეგნობისაც, შეძლებულიც და არც ალკოჰოლს ეტანებოდა მაინცდამაინც.

შემდეგ მოხდა ისე, როგორც იაფფასიან ბულვარულ რომანებში ხდება ხოლმე – ვარდების თაიგულით ხელდამშვენებული ვაჟი, დათქმულ დროზე მივიდოდა პარკის ბოლოში, დიდ შადრევანთან, ქალს კი სოსანისფერი კაბა ეცმებოდა...

სანდრო გამოერკვა. საათს დახედა. აუღიენციის დრო მოახლოებულ იყო. თეთრი ვარდების თაიგულს გამჭვირვალე ქალაღლი შეუსწორა და ცოტა არ იყოს, შემკრთალმა, პარკის ბოლოსკენ გასწია.

ადგილზე მისულს, გაკვირვებისგან თვალეები გაუფართოვდა, ჭირის ოფლმა დაასხა შუბლზე – დიდ შადრევანთან „კენზოს“ სოსანისფერ კაბაში გამოწყობილი მისი ცოლყოფილი ციციწო იდგა და თვალეებს მამა აბრამის ბატკანივით ნაბავდა...

განუგეორებაელი და გოუთვიინიარებაელი «რომარიო-დე-ჟანეირო»



ალექსი რეხვიაშვილი

1994 წელს ამერიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა ფინალური მატჩის პენალტების სერიაში იტალიის გუნდი დაამარცხა და მეოთხედ დაუფლა მსოფლიო თასს. ამ დღეს ბრაზილიური ტორსიდა (ფეხბურთის გულშემატკივრები) მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ელოდა. „ტელეტაკაპიონთა“ ტემპერამენტიანი ფანებისათვის უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მათმა უსაყვარლესმა გუნდმა გამარჯვებას პენალტების სერიით (რასაც ფეხბურთის გულშემატკივრები ხშირად, ლატარად მოიხსენიებენ) მიაღწია და თამაშის მანერითა და ტაქტიკითაც ყვითელმაისურიანები სრულიად არ ჰგავდნენ ისეთ „რომანტიკულ-რაინდული ფეხბურთის“ მოთამაშე გუნდს, როგორც ბრაზილიელებს 1970 ან თუნდაც 1982 წელს ჰყავდათ. კარლოს ალბერტო პარეირას მიერ დამოძღვრილი ბრაზილიელების სათამაშო სქემაში „მკაცრი პრაგმატიზმი“ შეიმჩნეოდა და ცხადი იყო, რომ გუნდი ამერიკაში უმთავრესი მიზნის – მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად იყო ჩასული და არა ყვითელ-

დოსია:
სრული სახელი: რომარიო დე სოუზა ფარია
დაბადების თარიღი: 1966 წლის 29 იანვარი
დაბადების ადგილი: JACAREZINHO (რიო-დე-ჟანეირო)
სიმაღლე: 170 სმ
წონა: 65 კგ
კლუბები: „ოლარია“ (ბრაზილია), „ვასკო და გამა“ (ბრაზილია), „პსე ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „ბარსელონა“ (ესპანეთი), „ვალენსია“ (ესპანეთი), „ფლამენგო“ (ბრაზილია)



მაისურიანთათვის ათწლეულების მანძილზე დამახასიათებელი არტისტიზმითა და საციკო ეფექტებით აღსავსე საფეხბურთო წარმოდგენების საჩვენებლად. მიუხედავად ამისა, ბრაზილიის ნაკრებში იყო ორი მოთამაშე, რომლის ოსტატობამ უდიდესი საიმოვნება მიანიჭა ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს. ეს იყო ბებეტო-რომარიოს ბრწყინვალე ტანდემი, რომლის მსგავსიც მსოფლიო ფეხბურთის ისტორია-

ში ბევრი არ მოიძებნება. როდესაც რომარიო და ბებეტო შეტყვას იწყებდნენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მათ შორის რაღაც ტელეპათიური კავშირი იყო გაბმული. მინდორზე ისინი ძირითადად ერთმანეთის სიახლოვეს იმყოფებოდნენ, ხოლო მათი დრიბლინგისა და მოკლე, ზუსტი პასების წინაშე ნებისმიერი გუნდის დაცვა გაბრყვებული რჩებოდა.

ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელები რომარიოს გარეშე ჩავიდნენ. მაშინ ბებეტო უკვე ძალიან შორს იყო თავისი ოთხი წლის წინანდელი სპორტული ფორმისგან და გუნდს ბევრი ვერაფერი შესძინა. თუ როგორ ჩაატარა „ვალარათ-შეყრილი“ რომარიოს ამარა დარჩენილმა ბრაზილიის ნაკრებმა ფინალური მატჩი, ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ. „ტელეტაკაპიონთა“ სამარცხვინო წაგების მიზეზად, ტორსიდამ სწორედ გუნდში რომარიოს არყოფნა მიიჩნია და ყველაფერი ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მარიო ზაგალოს გადააბრალა. 36 წლის რომარიო დღესაც რჩება ბრაზილიელი გულშემატკივრების ერთ-ერთ უსაყვარლეს ფეხბურთელად. ისინი მტკივნეულად აღიქვამენ, მის ყოველ არყოფნას ნაკრებში და ამის გამო, ხშირად მკაცრად აკრიტიკებენ მწვრთნელს. თავად რომარიო კი, მტკიცედ აცხადებს, რომ იგი ჩინებულ სპორტულ ფორმაშია და დიდი სურვილი აქვს, რამდენიმე თვის შემდეგ იაპონია-კორეაში გამგზავრებისა, რისთვისაც მზად არის თამბაქოსა და ალკოჰოლზეც კი თქვას უარი.

ქალის თეთრეული – მშვენიერი თემაა პირდაპირ სატელევიზიო ეთერში სასაუბროდ

ბავშვობაში რომარიო არცთუ ისე კარგი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა, თუმცა ეს პრობლემა მას შემდეგ მოეხსნა, რაც 9 წლის ასაკში რიო-დე-ჟანეიროდან 20 კილომეტრით დაშორებულ ვილა და პენამი დაიწყო ფეხბურთზე სიარული. ვარჯიშებზე რომარიოს მამა დაჰყვებოდა და სიამოვნებით ადევნებდა თვალს ვაჟიშვილის ბურთობას. პატარა რომარიო ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა ბურთის ფლობის უჩვეულო ტექნიკით. 1979 წელს ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელი, კლუბ

„ვასკო და გამას“ ხელმძღვანელობის მხედველობის არეშიც მოხვდა, თუმცა მან დაბალი ტანისა და არასრულწლოვნების გამო რომარიოს გუნდში აყვანა მიზანშეწონილად არ მიიჩნია. რომარიოს პირველი პროფესიონალური კლუბი OLARIA იყო, რომლის შემადგენლობაშიც მან 1979 წლის საფეხბურთო სეზონში 7 გოლი გაიტანა. შემდეგ ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელი „ვასკო და გამასში“ გადავიდა, თუმცა, ორი სეზონის შემდეგ იგი ჰოლანდიურმა „პსვ ეინდჰოვენმა“ შეიძინა. ჰოლანდიაში გადასვლისთანავე, ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ევროპის საფეხბურთო საზოგადოების წინაშე წარდგა არა მარტო როგორც ბრწყინვალე, მაღალტექნიკური ფორვარდი, არამედ როგორც არაორდინარული ხასიათის მქონე პიროვნებაც, რომელიც თავისი სკანდალური ქცევებით ყოველთვის საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცეოდა. „პსვ ეინდჰოვენში“ რომარიომ რამდენიმე საფეხბურთო სეზონი დაყო, თუმცა ყველა გააკვირვა იმით, რომ არც ერთი ჰოლანდიური სიტყვა არ უსწავლია, – რომ აღარაფერი ვთქვათ ინგლისურზე. „ნურავინ იფიქრებს იმას, რომ იდიოტივით, წიგნს ჩავუჯდები და ურთულესი ჰოლანდიური ენის შესწავლით მოვიკლავ თავს. უმჯობესია სხვებმა ისწავლონ პორტუგალიური, რადგან სწორედ ბრაზილიაა ფეხბურთის დელოფალი...“ – „მოძღვრავდა“ ჰოლანდიელებს რომარიო, რომელიც რამდენჯერმე „პსვ ეინდჰოვენის“ საუკეთესო ფორვარდად დაასახელეს, რაც ბრაზილიელის მხრიდან საუკეთესო პასუხი იყო მის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანებისათვის. მიუხედავად ამისა, ზედმეტი წონის გამო რომარიოს სულ უთანხმოება ჰქონდა კლუბის მთავარ მწვრთნელთან. ბრაზილიელ ფეხბურთელს ურჩევდნენ, სერიოზულად ეზრუნა თავის ფიზიკურ ფორმაზე და უარი ეთქვა სპორტსმენისთვის შეუფერებელ ჩვევებზე. რომარიოს მისამართით გამოთქმული ნებისმიერი შენიშვნა რჩებოდა ხმაღ მლაღადებისად უდაბნოსა შინა – ბრაზილიელი ფორვარდი იქით მოძღვრავდა გუნდის ხელმძღვანელობას. რომარიო თავის მწვრთნელს ხშირად ასხენებდა დიეგო მარადონას, რომელიც მის მსგავსად, ყოველთვის ზედმეტი წონით გამოირჩეოდა. „ის ჩემზე სქელი იყო, მაგრამ როგორ თამაშობდა! თავი დამანებეთ თქვენი დიეტებით, სჯობს, ამ რჩევებით თქვენმა მეგობარმა ქალებმა ისარგებლონ!“ – უყვირია ერთხელ ვარჯიშზე რომარიოს, რომელიც ყურნალისტებსაც ხშირად



აყენებდა უზერხულ მდგომარეობაში, რის გამოც მასმედიის წარმომადგენელთა შორის „საურთიერთოდ ყველაზე არასასურველი სპორტსმენის“ რეპუტაციით იყო ცნობილი. რომარიოს შექმნილი ტელევიზორტორისთვის ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა მიეყენებინა ან კიდევ, პირდაპირ ეთერში, მომხიბვლელი წამყვანი ქალისთვის მოულოდნელად იმის შესახებ ეკითხა, თუ რა ფერის საცვალი ეცვა... „პსვ ეინდჰოვენის“ შემადგენლობაში რომარიო სამჯერ (88/89, 91/92 და 92/93 წლებში) გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და ორჯერ (89/90 და 90/91 წლებში) – ქვეყნის თასის მფლობელი. 1991 წელს კი, ბრაზილიელი ფორვარდი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 1993 წელს რომარიო ბრაზილიაში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და „ბარსელონაში“ გადავიდა, რომელსაც იმ პერიოდში ლეგენდარული იოჰან კრუიფი წვრთნიდა. კატალონიურმა კლუბმა „პსვ ეინდჰოვენს“ ბრაზილიელ თავდამსხმელში იმ დროისთვის რეკორდული თანხა – 4,5 მილიონი დოლარი გადაუხადა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რომარიოს შექმენისთვის მამინ ესპანურ პრესაში კრუიფს შემლილი უწოდეს, რადგან ბრაზილიელი ფეხბურთელის ჭირვეული ხასიათი უკვე მთელ ევროპაში იყო ცნობილი.

გამოუსწორებელი ლოველასი

ყველაზე დიდი სკანდალები, რომელიც ბრაზილიელი ფორვარდის სახელის გარშემო ატეხილა, მის ინტიმურ ცხოვრებას ეხებოდა. დღესაც, ბრაზილიურ პრესაში ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ რომარ-

იოს შეუძლია, მთელი დღე კათოლიკურ ტაძარში ლოცვაში გაატაროს, საღამოს კი, საკუთარ სახლში, „ფლეიბის“ ლამაზ-მანებთან ერთად ორგია მოაწყოს. რომარიომ თავისი აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრებით ჯერ კიდევ ჰოლანდიაში გამოიჩინა თავი, მაგრამ ესპანეთში გადასვლის შემდეგ, მისმა ცხოვრების წესმა სერიოზულად შეაშფოთა არა მარტო „ბარსელონის“ ხელმძღვანელობა, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილიც. ყველა გაკვირვებული იყო იმ ფაქტით, რომ არცთუ ისე მიმხიბვლელი სამხრეთამერიკელი ფორვარდი, საყვარლებს ყოველდღიურად იცვლიდა და მის გვერდით ყოველთვის იმყოფებოდნენ ესტრადის ან პოლიუმის ვარსკვლავები. „რომარიო ქალის დასაყურობად საჭირო უნიკალურ ნიჭს ფლობს, მის გვერდით კი, მშვიდად ვერც მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავი და ვერც ქუჩის მეძაგები გაივლიან,“ – ამბობდნენ დაუდგრომელი ბრაზილიელი მექაღთანის შესახებ მისი მეგობრები. აღსანიშნავია ისიც, რომ რომარიოს მეგობარი გოგონები ხშირად მტკივნეულად განიცდიდნენ სამხრეთამერიკელ ვარსკვლავთან განზორებას და ყოველნაირად ცდილობდნენ, ურთიერთობა განეხლებინათ მასთან. რომარიოს ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკანდალი მამინ ატყდა, როდესაც ესპანეთიდან ბრაზილიაში დაბრუნებულ ფორვარდზე 22 წლის ბარსელონელმა სონია მონტროი-გმა განაცხადა, რომ მისგან ორსულად იყო და კატალონიური კლუბის ყოფილი გოლეადორისაგან მომავალი ბავშვისათვის გვარის მოპოვებას სასამართლოს ძალით



ცდილობდა. რომარიომ გულგრილად აღნიშნა, რომ უმჯობესი იყო, ბავშვის ნამდვილი მამა დაედგინათ... რომარიოს მეუღლის, მონიკასათვის სწორედ ეს სკანდალი აღმოჩნდა საკმარისი, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო და გამოუსწორებელ და აღვირახსნილ მეუღლეს გაჰყოფდა. აღსანიშნავია, რომ რომარიოს მასთან ქალვაჟი, მონიკინიო და რომარინიო ჰყავდა, რომლებიც მეუღლისაგან „მრავლისმნახველმა“ მონიკამ თან წაიყვანა. ამასობაში მომივიან სონია მონტროივს ბიჭიც ეყოლა და მისი მამის გამოსავლენად, ტესტიც ჩაიტარა, თუმცა ყველას გასაკვირად, ახალშობილის მამა ბრაზილიელი ფორვარდი არ აღმოჩნდა. „ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე მოხდა, მას ხომ მართლაც სიმპათიური ბიჭი ჰყავს, რომელიც ცოტა მგავს კიდევ“, – ამ მოულოდნელი განცხადებით კიდევ ერთხელ გააკვირვა საზოგადოება რომარიომ.

„ბარსელონაში“ თამაშის პირველივე სეზონში რომარიო ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თუმცა უბრალო სტატისტიკისა და საფეხბურთო მიღწევების ჩამოთვლით შეუძლებელია იმის გადმოცემა, რასაც სამხრეთამერიკელი ფორვარდი მინდორზე აკეთებდა. რომარიოს უამრავი გოლი გაჰქონდა, ამასთანავე ყოველი გატანილი გოლი განსხვავებული იყო. შეიძლება თუ არა მცველების მიერ თქვენი ნეიტრალიზება? – უკითხავთ ერთხელ ბრაზილიელი ბომბარდირისთვის. „როგორ უნდა გაიგონ მათ, თუ რას მოვიმოქმედებ ამა თუ იმ მომენტში, როდესაც წინასწარ ამის შესახებ თავადაც არაფერი ვიცი?!“ – უპასუხია რომარიოს, რომელიც მინდორზე თავისი არასტანდარტული სათამაშო სტილითა და უცნაური გოლებით აღაფრთოვანებდა კატალონიელ გულშემატკივრებს. „ბარსელონას“ შემადგენლობაში თამაშის პე-

რიოდში, ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები იმითაც დიდად იყვნენ გაკვირვებულნი, რომ მკაცრი იოჰან კრუიფი რომარიოს უდისციპლინობასა და უწესრიგობაზე ყოველთვის თვალს ხუჭავდა და მას მუდამ ძირითად შემადგენლობაში აყენებდა. ეს მამინ ხდებოდა, როდესაც ესპანეთის პრიმერადივიზიონში მოთამაშე გუნდებს მინდორზე მხო-

ლოდ სამი უცხოელი ფეხბურთელის გამოყვანის უფლება ჰქონდათ და ამ კანონის გამო, სათადარიგოთა სკამზე იმ პერიოდში ხშირად იხდნენ „ბარსელონას“ ისეთი ვარსკვლავი ლეგიონერები, როგორებიცაა რონალდ კუმანი, ხრისტო სტილიჩკოვი და მიხაელ ლაუდრუჟი არიან. საფეხბურთო მინდორზე რომარიოს ყოველი გამოჩენა, კატალონიელი გულშემატკივრებისთვის დიდი ზეიმი იყო და ბრაზილიელი ფორვარდიც მათ „რიოს კარნავალის სტილში“ შესრულებული საფეხბურთო ფინტებით ამზიარებულადა, თუმცა ამ ყველაფრის დასასრულიც მალე დადგა, რისი მიზეზიც, პირველ რიგში, თავად „ბარსელონას“ სამხრეთამერიკელი თავდამსხმელი და მისი თაყვანისმცემელი ქალები გახდნენ. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ, რომარიოს მიმართ მშვენიერი სექსის წარმომადგენელთა ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრდა. ისინი ფეხბურთელს მოსვენებას არ აძლევდნენ არც ვარჯიშის დროს და არც მაშინ, როდესაც კატალონიური კლუბი რომელიმე სასტუმროში იმყოფებოდა. ცხადია, თავის თაყვანისმცემელ ქალებთან ურთიერთობისას რომარიო მხოლოდ ავტოგრაფების დარიგებით არ შემოფარგლებოდა, რის გამოც მას ვარჯიშისთვის ხშირად აღარც დრო და აღარც ენერჯია აღარ რჩებოდა. გარდა ამისა, რომარიოს მოუწესრიგებელი ინტიმური ურთიერთობებით დიდად აღშფოთებულნი იყვნენ თავად გოგონების მშობლებიც, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ გუნდიდან „გარყენილი ბრაზილიელის“ გაძევებას. მშობელთა დაჟინებული მოთხოვნა, როგორც ჩანს, ბოლო წვეთი აღმოჩნდა კლუბის ხელმძღვანელობისთვის და სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი „ბარსელონიდან“ გაუშვეს. ამის შემდეგ რომარიომ რამდენიმე კლუბი გამოიცვალა, თუმცა ვერც ერთის

მწვრთნელთან ვერ გამოიხატა საერთო ენა. მას უთანხმოება ჰქონდა თვით ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობასთანაც. ჯერ კიდევ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში რომარიოს პერსონას ყვითელმაისურაანთა გუნდში დესტაბილიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევდნენ, რაც საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. სწორედ მაშინ, რომარიოს „სასიყვარულო თამაშების“ ერთ-ერთმა ობიექტმა – 20 წლის ანდრეა ოლივეირამ გაზეთებში თავისი პასპორტისა და ამერიკული ვიზის ასლები გამოაქვეყნა და ზედ პიკანტური ფოტოსურათებიც დაურთო, რაც მისი და ბრაზილიელი ვარსკვლავის ინტიმური ურთიერთობების ერთ-მნიშვნელოვან მტკიცებულებად შეიძლება ჩათვლილიყო. „მე ფეხბურთი კი არა, რომარიო მაინტერესებდა, რომელსაც წლინახევრის განმავლობაში ვხვდებოდი, – ჰყვებოდა ანდრეა, – მას სურდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გავეყოლოდი. ქალებიდან ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე შესვლის უფლებას მხოლოდ მე მრთავდნენ, რაც, რა თქმა უნდა, სხვა ფეხბურთელების უკმაყოფილებას იწვევდა“.

კარიკატურები ტუალეტის კარზე

რომარიოსა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მარიო ზაგალოს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ამ უკანასკნელმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი, გუნდის შემადგენლობაში არ შეიყვანა და 1998 წელს საფრანგეთში გამართული მსოფლიო პირველობის მიღმა დატოვა. მოხუცი ზაგალოს ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მიუღებელი ბრაზილიელი გულშემატკივრებისთვის აღმოჩნდა, რადგან 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე ჩატარებულ მატჩებში ბრწყინვალე იყო



რომარიო-რონალდოს ტანდემი. იმ პერიოდში 18 მატჩიდან ბრაზილიის ნაკრებმა 14-ში გაიმარჯვა. „ტეტრაკამპიონებმა“ მამინ მხოლოდ 2 შეხვედრა წააგეს, ხოლო 2 ფრედ დაამთავრეს. გულშემოტკივრებს ალბათ დღესაც ახსოვთ თითქმის ყველა ცნობილი საერთაშორისო ტელეკომპანიის მიერ ნაჩვენები კადრები, სადაც ბრაზილიელი სკანდალისტი ფორვარდი ცრემლებს ღვრიდა და ყველას უმტკიცებდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად და ბრაზილიელთათვის სათაყვანებელი ყვითელი მაისურის ღირსების დასაცავად, მორალურადაც და ფიზიკურადაც მზად იყო. რომარიოს თხოვნამ მარიო ზაგალოს გული ვერ მოუღბო, რის შემდეგაც, გამწარებულმა თავდამსხმელმა სხვაგვარად იყარა ჯავრი ეროვნული ნაკრების მწვრთნელზე. მან რიოს ფეშენებელურ რაიონში პრესტიჟული რესტორანი შეიძინა და მისი ყველა ტუალეტის კარი ზაგალოს კარიკატურებით „დაამშვენა“. ერთ-ერთ ნახატზე უნიტაზზე მჯდომი შარვალჩაზდილი მწვრთნელი იყო აღბეჭდილი... რომარიოს „უყურადღებოდ“ არც ნაკრებში თავისი პარტნიორი ედმუნდო დაუტოვებია, რომელზეც ალბათ იმიტომ იყო განაწყენებული, რომ მის მაგივრად შეიყვანეს საფრანგეთში გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობაში. კარიკატურაზე გამოსახული იყო ედმუნდოს ინტიმური კაშმირის მომენტით ერთ-ერთ ტელეგარსკვლავთან, რომელიც მანამდე ამტკიცებდა, რომ ორსულად იყო ფეხბურთელისგან... რა თქმა უნდა, ზაგალომ და ედმუნდომ შეურაცხყოფელ „მხატვარ-ფეხბურთელს“ სასამართლოში უჩივლეს: ისინი მოითხოვდნენ, რომ კარიკატურები წაეშალათ, მაგრამ მოსამართლეებმა რომარიოს საქციელი ყველასთვის უვნებელ ხუმრობად მიიჩნიეს. რომარიომ კი განაცხადა, რომ ზაგალოც და ედმუნდოც ხეპრეები არიან, რომლებსაც თანამედროვე ხელოვნებისა არაფერი გაეგებათ...

რამდენიმე წლის წინ რომარიოს ერთი ამბავი გადახდა თავს, რის შემდეგაც მის ოპონენტებს იმის მტკიცების საბაბი მიეცათ, რომ წლების წინ საყოველთაოდ ცნობილი სუპერფორვარდის პოპულარობა ბრაზილიაში საკმაოდ დაეცა. რომარიო გზაზე მძარცველებს გაუჩერებიათ და მისთვის მანქანის წართმევა განუზრახავთ. ერთ-ერთ თავდამსხმელს კი, უცნაო კიდევ ფეხბურთის ვარსკვლავი, თუმცა ამ ფაქტისთვის მათ არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ და ცნობილი სკანდალისტი, ძვირფასი „მერსედესიდან“ მაინც გადმოუბრძანებიათ. „გარყენილო, შენ არაფერში გვჭირდები, აი, შენი „ურიაკა“ კი, გამოგვადგება!“ –

უყვირათ გაკვირებული და შეცბუნებული რომარიოსათვის მძარცველებს.

ამ შემთხვევის შემდეგ რომარიოს ოპონენტები ხშირად იხსენებდნენ იმ ფაქტსაც, რომ ერთხელ მსგავს სიტუაციაში მისი უდიდებულესობა „ფეხბურთის მეფეც“ აღმოჩენილა, მაგრამ როდესაც თავდამსხმელებს თავიანთ მსხვერპლში პეღე ამოუცნიათ, შერცხვენილებს მისთვის გულწრფელად ბოდიში მოუხდიათ და ავტოგრაფიც კი უთხოვიათ...

მძარცველთა უტიფრობითა და თავხედობით შეურაცხყოფილმა რომარიომ კი, ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლის საკუთარ ხერხს მიმართა: მან საფეხბურთო ფორმის შიგნით ჩასაცემელ მაისურზე გააკეთებინა წარწერა: „მშვიდობა მსოფლიოს, არა – ძალადობას!“ – და ყოველი გატანილი გოლის შემდეგ, ტრიბუნებზე მსხდომ გულშემოტკივრებს უჩვენებდა. პუბლიკაც რომარიოს მიერ გატანილ ყოველ გოლს აღტაცებით ხელებოდა. მისმა ლოზუნგმა კი, პრესტიჟული ბრაზილიური ჟურნალ-გაზეთების პირველი გვერდები მოიარა...

რამდენიმე წლის წინ, რომარიოს ყოფილმა ცოლმა ფეხბურთის ვარსკვლავს ალიმენტის გადაუხდელობაში დასდო ბრალი და ამის გამო, სასამართლოში უჩივლა. რიო-დე-ჟანეიროს სასამართლომ დაადგინა, რომ რომარიოს ყოფილი მეუღლისათვის სამი დღის განმავლობაში უნდა გადაეხადა 80 ათასი ამერიკული დოლარი. ბრაზილიური პრესა ძალიან გაამხიარულა ფორვარდის განცხადებამ, რომ მას ამხელა თანხის გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა, რადგან, მატერიალურად ძალიან უჭირდა...

ბრაზილიელი ვარსკვლავი დიდ ფინანსურ სკანდალში 1996 წელსაც გაეხვია, როდესაც მის კვალზე ინტერპოლი გავიდა და გამოძიების შედეგად არალეგალურ კომერციულ საქმიანობაში დაადანაშაულა. მაშინ რომარიო ციხეს დიდი საჯარიმო თანხის გადახდისა და გამოცდილი ადვოკატის წყალობით გადაურჩა.

რომარიო რამდენჯერმე კურიოზულ სიტუაციაშიც აღმოჩენილა. ერთხელ მას რიო-დე-ჟანეიროს საგზაო პოლიციასთან შეექმნა პრობლემები: წესრიგის დამცველები საგზაო წესების მუდმივი დარღვევისთვის,



ფეხბურთის ვარსკვლავისგან 6,3 ათასი დოლარის ოდენობის საჯარიმო თანხის გადახდას მოითხოვდნენ და მართვის უფლების საშუალო ჩამორთმევითაც ეჭვქვეშ დასვეს, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ამჯერად იმ დარღვევებზე ყოფილა ლაპარაკი, რომელიც მძარცველების მიერ მისთვის წართმეული „მერსედესით“ ყოფილა ჩადენილი.

2000 წელს ურუგვაიული გაზეთის EL PULS-ის ვერსიით, 66 გოლით რომარიო სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. შარშან კი, ბრაზილიური გაზეთის, FOLHA DE SAO PAULO-ს გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იგი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

2001 წელს რომარიომ ბრაზილიის ჩემპიონატში, „ვასკო და გამას“ რიგებში 21 გოლი გაიტანა და პირველად გახდა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებში, რომარიოს იშვიათად ათამაშებდნენ. თუმცა, როდესაც „მოუთვინიერებელი“ სუპერფორვარდი მინდორზე გაჰყავდათ, მას ყოველთვის გაჰქონდა გოლები. რომარიომ თავის ყველა ოპონენტს იმედი გაუცრუა, როდესაც შესარჩევი ტურნირის ორ შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა და თავისი ქვეყნის ნაკრებს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა შეიძლება დარჩენილიყო, ძალიან შეუმსუბუქა მდგომარეობა. ბრაზილიური ტორსიდა, რომარიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობაში მოხვედრის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევს და თავად რომარიო-დე-ჟანეიროსაც (სწორედ ასე უწოდებენ სიყვარულით მას ბრაზილიელი გულშემოტკივრები) დიდი იმედი აქვს, რომ იაპონია-კორეაში ნაკრებთან ერთად კიდევ ერთხელ იზიემებს მსოფლიო ჩემპიონობას.

აკაკი გეგენავა

ასე და ამრიგად, მე და ვახო ნიუ-იორკში, მანჰეტენზე ვართ, სასტუმროში და ამერიკაში სამუშაოდ ჩამოსული კაცის ამპლუას „ვერგებით“... (გახსოვთ ალბათ, „გზის“ №5-ში აღწერილი ჩვენნი ფათერაკები.)

ვერ ცოტა რამ თავად ქალაქის შესახებ ვთქვათ.

ნიუ-იორკი იმ ადგილას მდებარეობს, სადაც მდინარე ჰუდსონი წყნარ ოკეანეს უერთდება. აქ ხუთი რაიონია, უმთავრესი – მანჰეტენი, სადაც ჩვენ ბედმა გადმოგვის-როლა (უფრო სწორად, ტაქსისტმა „ამოგვ-აბრძანა“), ამავე სახელწოდების კუნძულზეა დანარჩენი ოთხი (ბრუკლინი, ბრონქსი, რიჩმონდი, კუინზი) მდინარის დელტაში მდებარე კუნძულებზე და კუნძულ ლონგ-აილენდზე მდებარეობს.

ნიუ-იორკში წელიწადში 250-300 დღე მზიანია, მაგრამ ჰაერი ნოტიოა და ზაფხულობით სუნთქვა ძნელდება. არც ზამთარია მაინცდამაინც სასარბილო – ცათამბჯენებს შორის მქროლავი ქარი პირდაპირ ძელებში ატანს... თუ ტურისტად დააპირებთ ნიუ-იორკში გამგზავრებას, საამისოდ მაის-ივნისი და სექტემბერ-ოქტომბერი აირჩიეთ – დამერწმუნეთ, კმაყოფილი დარჩებით...

პირველი ევროპელი, რომელსაც მანჰეტენზე დაუდგამს ფეხი, იტალიური გემის კაპიტანი ჯოვანო ვერეზანო ყოფილა. ეს მოხდა 1524 წელს. დღეს მის სახელს ატარებს მსოფლიოში სიგრძით მეორე დაკიდული ხიდი (4000 მეტრი), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბრუკლინსა და სთეიტენ აილენდს. ქალაქის მთავარი მდინარე ჰოლანდიელი ჰენრი ჰუდსონის სახელს ატარებს, რომელიც მდინარეს 1609 წელს სათავემდე აუყვა და შეისწავლა იგი.

1625 წელს ჰოლანდიდან ჩამოსახლებულმა რამდენიმე ოჯახმა აქაურობას ნიუ-ამსტერდამი უწოდა, რომლის გუბერნატორმაც სულ მალე ინდიელებისგან იყიდა კუნძული ბრჭყვიალა ნივთებისა და შუშის ნატეხების საფასურად – სულ რაღაც 24 დოლარად თუ შეფასდებოდა ყველაფერი...

XVII საუკუნის ბოლოს, დასახლებას ინგლისელები იგდებენ ხელთ და როგორც ვიცით, თავიანთი მეფის ძმის, უფლისწულ იორკის პატივსაცემად, ნიუ-იორკს არქმევენ.

... და იწყება ნიუ-იორკის სწრაფი განვითარება, რომელმაც პიკს 1994 წლის



აკაკი გეგენავა ნიუ-იორკში

გაცრუებული იმედი მანჰეტენში... ბინების თანხლებით

24 დოლარად ნაყიდი ... ნიუ-იორკი

შემდგომ მიაღწია, მას აქეთ, რაც ქალაქის მერად იტალიელი რუდოლფო ჯულიანი აირჩიეს. მარშან ჯულიანი თავისი ღვაწლის გამო ამერიკის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს, ხოლო II სექტემბრის ტრაგედიის შემდგომ კი, იგი ამერიკელთა თვალში ერთ-იორად გაიზარდა...

ახალი გზების ძიებაში

ნიუ-იორკის ისტორიიდან ჩემი და ვახოს გასაჭირზე გადმოვინაცვლოთ: დასაქმების ყველაზე ნადი და საიმედო გზა (ამერიკაში გზის გამკვლევი ახლობელი დაგვხვედროდა) თბილისშივე მოგვეჭრა. ალბათ გახსოვთ, ვახოს მეგობარმა ბოლო წუთში როგორ გვტყცია ცივი უარი!

დავრჩით ასე მარტონი. თბილისიდან კი გამოგვატანეს რამდენიმე წერილი ქართულ ახალგაზრდა ქალებთან, რომლებიც სხვა შტატში მუშაობდნენ ოჯახებში.

– მიდი, რა, დარეკე ქართველ გოგოებთან, რაიმეს გვიშველიან... – წამოიწყო ვახომ.

– სანამ ისინი აქ ჩამოვლენ, რაღაცას მოვახერხებთ...

– რას აპირებ, ვინ მოგცემს ინფორმაციას? – არ წყნარდებოდა ვახო.

– თუნდაც ეს აფრიკელები... – მამულეს და ბუდუს გავხედე.

– რაა?! ამთ რა უნდა გითხრან? თან შეხედე, რა შავები არიან!.. – გადაირია ვახო.

– რავი, არაყს კი ურტყამდით ერთად... ისე, რასისტობა თბილისში უნდა დაგეტოვებინა. არ დაგავიწყდეს, აქ მაგისტრის იჭერენ... – კატეგორიულად გავაფრთხილე.

... ჩვენგან განსხვავებით, მამულეს და ბუდუს აფრიკელმა მეგობრებმა სამუშაოდ დახვედრეს და ახლა მათთვის შესაფერის ბინას ეძებდნენ. რომ გითხრათ, საუფროსო ადგილები დახვედრეს-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ნიუ-იორკიდან მოშორებით, ნიუ-ჯერსის შტატში, ნავსადგურში მტვირთავად უნდა ემუშავა ორივეს. ჩვენთვის ახლა ეს მტვირთავის „შტატიც“ სანატრელი გამხდარიყო. ამიტომაც ვთხოვე კიდევ მათ, ხომ არ გამოგვიძებნიან თქვენი მეგობრები რაიმე სამუშაოს-მეთქი. ნიგერიელებმა თავი შორს დაიჭირეს, თავადვე ჰკითხეთო. ჩვენს ებრაელ „თანამეინახეებს“ კი საერთოდ არ ედარდებოდათ სამუშაო ადგილების „პრობლემა“ ამერიკაში – სასეირნოდ ჩამოვედით და ვერაფერში დაგეხმარებითო, „გვანუგეშეს“ (გულში კი ვინატრე, ნეტავ მეც ამათ ადგილას ვიყო-მეთქი).

– იქნებ იმ ჩემს ნაცნობთან დაგვერეკა დეტროიტში... – ხავსს მოეჭიდა უკვე „წყალწაღებული“ ვახო.

– თავმოყვარეობას რა ვუთხარით, თორემ ღირდა დარეკვა... – ჩაფიქრებულმა ვუპასუხე.

– არა, არ ღირს. სჯობს ჩვენ თვითონ

ვიპოვოთ გზა! — სიამაყის გრძნობამ გაიღვიძა ვახოში და მეც უსიტყვოდ დავეთანხმებ.

ნიგერიელების იმედით

ებრაელმა ტურისტებმა სასიეროდ დაგვაპატიჟეს, მაგრამ ჩვენ მამბლესა და ბუდუსთან ერთად, მათი კეთილისმყოფელი ნიგერიელების ლოდინი ვარჩიეთ. ტელევიზორს ვუყურებდით, ლუდს ვწრუპავდით და ერთმანეთს ათას რამეს ვუამბობდით (ერთი ვახო იჯდა ბაიუშშივით, რომელსაც შვიდადამივ რაიმე მხიარულ ამბავს ვუთარგმნიდი და ისიც მხიარულებაში აგვევებოდა ხოლმე).

აღბათ ვახსოვთ, კომუნისტების დროს როგორ გვიკრძალავდნენ ყველაფერ ამერიკულს, სადაც თუ საბჭოთა ტელევიზიას დავუჯერებდით, მხოლოდ უმუშევარი მათხოვრები, ნარკომანი ახალგაზრდები და მსუქანი ბურჟუები ცხოვრობდნენ... და მიუხედავად ამ აკრძალვებისა, ვცდილობდით გვენახა დასავლური ფილმები, წაგვეკითხა უცხოური ჟურნალ-გაზეთები... რამდენჯერ წავსულვართ თბილისიდან ბიჭები კოჯრის მთების მიდამოებში ტელევიზორითა და საგანგებო ანტენებით, „ბურჟუაზიული პროგრამების“ სანახავად. და ეს პროგრამები ნამდვილად არ ღირდა იმ შიმის ფასად, უშიშროების თანამშრომლებმა არ წაგვასწრონო...

ახლა კი ვისხედით მშვიდად (თუ ჩვენს საერთო პრობლემებს არ ჩავთვლით) და ამერიკულ ტელეგადაცემებს თავისუფლად ვუყურებდით. მე ვიტყვოდი, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი გადაცემები იყო, უმეტესად — მოსაწყენიც კი. ყოველ საათში ახალ ამბებს გადმოსცემდნენ, რომელიც ბილ კლინტონისა და მინიკა ლევისკის იმხანად მსოფლიოში გახმაურებული „სასიყვარულო“ სკანდალით იწყებოდა და მთავრდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ამერიკელებს სხვა საფიქრალი არ ჰქონდათ. მეც ყველაფერ ამას ახლა უკვე ლეტალურად ვუთარგმნიდი ვახოს.

— რა გინდა, ძმაო, მაგარი ქალი ყოფილა! პრეზიდენტთან რომ არ ესერნა, ცნობილი ხომ ვერ გახდებოდა? თან შანსი აქვს, მილიონები „დააწეროს“! — ვერ ისვენებდა ვახო.

— კლინტონი გიჟდება: რამდენ ქალთან მქონია საქმე, მაგრამ ასეთი „სტერვა“ ჯერ არ შემხვედრია, თან ამ სტუდენტმა შეიძლება პრეზიდენტის სავარძელიც დამაკარგვინოს... — სიტყვასიტყვით გადავთარგმნე ტელეკორესპონდენტის მორიგი

რეპლიკა. და როცა აღშფოთებულებმა მამბლეს და ბუდუს მივმართეთ — გვიანტირესებდა, რას ფიქრობდნენ ამერიკის პრეზიდენტის „თავისმომჭრელ“ საქციელზე, — ორივემ ერთდროულად გაბრწყინებული სახე მიიღო, თვალისმომჭრელად თეთრი კბილები გამოაჩინა და ახარხარდა, მაგრამ რა ახარხარდა!..

მე და ვახომ ერთმანეთს გაცვებულებმა შევხედეთ. არ ვიცოდით, რა გვექნა — გაგვეცინა თუ ფრთხილად ვყოფილიყავით.

ბოლოს, როგორც იქნა, ნიგერიელები დაწყნარდნენ. მამბლემ ცრემლები მოიწმინდა და ღიმილით მიპასუხა:

— რა გითხრა, აკაკო, ნიგერიაში ამ თემაზე ლაპარაკისას ყველა სიცილით კვდება. ვერ წარმოუდგენიათ, რამ უნდა შეუშალოს ხელი პრეზიდენტს იმაში, რომ ქალთან „გაიაროს“...

— ისე, როგორი ქალები არიან ნიგერიაში? — უფრო საინტერესო თემაზე გადავედი.

— ოოო, — მამბლემ თვალები მინახა და ისე ამოიხსრა, მივხვდი, ზედმეტ ლაპარაკს „ადვილზე“ ჩასვლა და საკუთარი თვლით ნახვა სჯობდა.

— რამე რომ იყოს, ვიზას გამომივზავნი, ნიგერიაში რომ ჩამოვიდე?

— ოლონდ შენ ჩამოდი და იმდენ ქალს შეგახვედრებ, შეიძლება უკან აღარც დაბრუნდე... — აფრიკელები კვლავ ახარხარდნენ. მე კი ამისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია და იმაზე ფიქრში გადავერთე, თუ როდის წავიდოდი შავ კონტინენტზე.

— ეე... ნეტავ შენ ჭკუა მოგცა, მე კიდევ ფული!.. — ოცნებაში წასული ვახოს ამ დამცინავმა რეპლიკამ გამომაფხიზლა და არცთუ ისე სასურველ რეალობაში დამაბრუნა.

გაცრეებული იმედები... გინების თანხლებით

მამბლემ და ბუდუმ საკმაოდ მხიარული ახალგაზრდები აღმოჩნდნენ. მეც თავს არ ვზოგავდი და სასაცილო ამბებს ვუყვებოდი.

ვახო პასიურობდა.
— რა გჭირს, ბიჭო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, ცოტა გაერთე! — ვუთხარი ძმაკაცს.

— ცოტა ფრთხილად იყავი, კაკო, ზანგები არიან!

— შენ მართლა რასისტი ხომ არ ხარ?! — გამიკვირდა მეგობრის ასეთი პოზიცია.

— ხომ იცი, მაგათ თეთრები არ უყვართ. „ბიძია თომას ქოხი“ არ განსოვს?

— რა დროს ჰარიეტ ბიჩერ სტოუა, XX საუკუნე მთავრდება! — თუმცა შევატყვევე, არ ესიამოვნა ჩემი ამგვარი გათამამება ზანგებთან, ხელი ჩაიქნა და აივანზე გავიდა.

აფრიკელების მეგობრები იგვიანებდნენ. როცა შეშფოთება გამოვთქვი, დამამშვიდეს:

— მოვლენ აუცილებლად, სამსახურსაც გიშოვიან, კარგი ბიჭები არიან!.. — მეც მეტი რაღა მინდოდა და იმედიანად მოვკალათი დივანზე. ცოტა ხანში ოთახში ორი დაბალი შავკანიანი კაცი შემოვიდა. კისერზე და მაჯაზე ორივეს იმსიმსხო ოქროს ჯაჭვები ეკეთა, თითოეული ერთ კილოგრამზე ნაკლები არ იქნებოდა.

ერთ მათგანს თავი პირწმინდად გადაეპარსა, მეორეს კი იმხელა „ბუჩქი“ ადგა, ქალი მეგონა. თანაც ისეთი შავები იყვნენ, მხედველობა კარგად უნდა დაგეძაბა, რომ ნაკვები გაგერჩია. ასეთი კაცი და თანაც



ორი, სადმე მარტოს ქუჩაში რომ შემხვედროდა, გული გამისკდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თავი ძალიან „მაგარი“ მტონია.

მოვიდნენ ეს „ნანატრი“ ნიგერიელები და მეც გავიხარე, დიდი ამბით მივესალმე ორივეს. მათ კი „გვერდზე ისე ჩამიარეს, ზედაც არ შემომხედეს“ (კინაღამ წავუღლიდნენ ქართული სიმღერა)... მბღღემ და ბუღღემ მაშინვე აიღეს ჩანთები და წასასვლელად მოემზადნენ (რა უჭირდათ, სამსახურიც ნაშოვნი ჰქონდათ და ახლა ბინაშიც გადაბარებდნენ). ბოლო წუთს მბღღუს გავახსენდი და თავის მეგობარს ჩემზე ანიშნა. თავგადაპარსული მომიახლოვდა და გამომცდელად მკითხა, ვინა ხარო, მერე კი სულმოუთქმელად გააგრძელა:

- საიდან ხარ?
- საქართველოდან (FROM GEORGIA)
- ვუპასუხე.
- ატლანტიდან ხარ და შენ გინდა სამსახური? - გაუკვირდა ჩემს „მშველეს“.
- არა, საბჭოთა კავშირიდან ვარმეთქი (NO, SOVIET UNION).
- WHAT? RUSSIA?.. FUCK... SHEET... (რაო? რუსეთიო? დანარჩენ სიტყვებს ვერ ვთარგმნი) - და დაიწყო რუსების გინება. როდესაც ვუთხარი, რომ მე ქართველი ვარ და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში - საქართველოში ვცხოვრობდითქო, ვერაფერი გაიგო. თავისას „უბერავდა“ და მივხვდი - გიჟთან თუ არა, ნახევრად გიჟთან მაინც მქონდა საქმე.
- მაბღღუს და ბუღღუს თავები ჩაელუნათ და დასჯილებივით იდგნენ - თურმე, ზანგებსაც ეკარგებათ ფერი! მერე ორივემ ჩანთებს დასტაცა ხელი და უკან მოუსხედავად გავარდა.
- ბევრ ქვეყანაში მომიწია ყოფნამ, ვის

და რანაირ ხალხს აღარ შევხვედრივარ, მაგრამ ასეთ სიტუაციაში არასოდეს ჩავარდნილვარ. არც ამდენი გინება მომიმენია სადმე ერთად...

... ვახო ერთხანს დაბნეული მიყურებდა, ჩუმად ალაგებდა ნომერში ნიგერიელების მიერ მიმოფანტულ ნივთებს. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და ახარხარდა. რომ არ გავეცივარ, სასწრაფოდ გამოვვარდი გარეთ და ვესტიბიულში ბოლთის ცემას მოვეყვი...

კიდევ ერთი შარი

ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო და ნახევარ საათში უკან დავბრუნდი. ვახოს ტელევიზორი გამოერთო და ამჯერად შეფიქრიანებული იჯდა საკრძელებში.

- კაკო, მაიმუნი და ხელიდან წასული რომ ხარ, კი ვიცი, მაგრამ საქმეს არ უნდა მივხედოთ? - შესვლისთანავე მომასხალა.
- რა საქმეს?! - მოვისულელე თავი.
- შენ გამაგიჟებ! ამერიკაში საშუალოდ ჩამოხვედი თუ სასტუმროში დასაძინებლად?
- რა გინდა, ზანგებთან ხომ შევეცადე...
- იმიტომაც დაიჭირე კარგი ჩიტი!
- მეც სხვა რა გზა მქონდა, უბის წიგნაკი ამოვიღე და იმ ქართველებთან დავიწყე რეკვა, ნიუ-იორკში რომ ცხოვრობდნენ. ზოგი მინ არ იყო, ზოგთან ვერ მოვხვდით... უცბად ახმელა გამახსენდა და მისი ტელეფონის ნომერს დავეუწყე ძებნა.
- ახმელა გამახსენდა, ვახო, ის დაგვემარება ყველაფერში! - აღტაცებულმა წამოვიძახე.
- შეეშვი ამ შავეებს და გაურკვეველი ფერისა და წარმომავლობის ადამიანებს... ხომ ხედავ, მაგათგან ხეირი არ არის! -

დაიწყო და აღარ დაამთავრა ვახომ თავისი „ტირადა“.

- ჯერჯერობით ახმელას წყალობითაა, აქ რომ ვართ და არა ქუჩაში! - ვუპასუხე „რასისტს“ და არაბთან დავკრეკე. ამჯერად გამიმართლა, ახმელამ მითხრა, საშუალოს როგორც კი მოვრჩები, გამოვივლითო.

ლოდინში დრო ნელა გადიოდა. მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში დამტვრეული ქართულით შემოსულმა მამაკაცმა დასჭექა - გამარჯობა, ბიუო!.. იგი ჩვენი ნომრის ებრაელი მობინადრე აღმოჩნდა. მას და მის მეგობარს შამპანურის ბოთლები ეჭირათ ხელში.

- საიდან ქართული?
- ისრაელში ბევრი ქართველია, მაგათგან ვისწავლე სიტყვები... დილით რომ ხაჭაპურზე დაგვატყუეთ, გგონიათ, დაგვაფიცდა? ჩვენ პიცა მოვიტანეთ, მოვილხინოთ...

ამასობაში სუფრაც გაიშალა. ებრაელი სტუდენტები შონი და არონი, მშვენიერი თანამოსაუბრენიც აღმოჩნდნენ. ისე გავერთე, რომ სულ დამავიწყდა, ახმელა რომ უნდა მოსულიყო.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა და ზღურბლზე ახმელა გამოჩნდა, ჰოთ-ლოგებით სავსე პარკით და მეგობრით.

- ვა, ახმელ, მოხვედი? - გამეხარდა ამერიკაში გაცნობილი პირველი ადამიანის დანახვა.
- ეს ჩემი კოლეგაა, ჰასანა, სამსახურზე ბევრი ინფორმაცია აქვს, დაგეხმარებათ! - გამაცნო ახმელამ მეგობარი.
- ჯერ სუფრასთან, სამსახურზე მერე ვილაპარაკოთ... - ქართულად გამოვიდე თავი. არაბები ებრაელებს წარუვლდინე, ებრაელები არაბებს და...
- ბიუო, არ გეწყინოს, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, მე და შონი ქალაქში უნდა გავიდეოთ, საქმე გვაქვს... - მითხრა ხუთიოდე წუთის შემდეგ არონმა.
- ხომ არ გაწყენინეთ რამე? - დაბნეულმა ვიკითხე.
- არა, რას ამბობ, უბრალოდ ისინი, აქ არიან. მაგათ მაგიდასთან ჯდომა ჩვენთვის მიუღებელია...

აი, კიდევ ერთი შარი! ვიდექი გაოგნებული და არ ვიცოდი, რა მეთქვა. ვხედავდი, როგორ გადიოდნენ შონი და არონი კესტიბიულში და თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა...

P.S. როგორ „დატრიალდნენ“ ჩემი ფიქრები მანჰეტენზე, ამას მომდევნო წერილიდან შეიტყობთ.



**გეგმატი
გულაურში
სასტუმრო
„ოზონი“**

☎ 899 54 54 87

**ორჯიარაღი ჰეგა, მანქანით მომსახურება
საბაგირომდა. ბარი და საუნა
თქვენს განხარგობაშია.**

დასაწყისი იხ. „გზა“ №5, 6

სახლში შევიდა. მაცი-
ვარი გამოაღო. რაღაც
მოსვა, რაღაც შეჭამა, შემ-
დეგ ძილის წამლის საკ-
მაოდ დიდი დოზა და-
ლია და დასაძინებლად
წამოწვა. მაინც დიდხ-
ანს იწრიალა, ბოლოს
როგორც იქნა, ჩაეძინა.
გელას მოსვლამ გა-
მოაღვიძა. უკვე ბნელო-

და.
— რატომ გამოი-
პარე?..

— რა ვიცი, ცუდად
ვიყავი...

— ჰო, ელამ მითხრა. ახლა როგორ
ხარ?

— რა ვიცი...

— წამო, წამო, მე ვიცი, შენ რა გამო-
გასწორებს! ელამ ინდაური შეწვა, თითებს
ჩაიკვნეტ! ელას დაბრუნება არ აღვნიშ-
ნოთ?!

ანგარიშმიუცემლად წაჰყვა, მაგრამ
გრძნობდა, რომ ყულფში ჰყოფდა თავს...

ელა ისევ ისე გაბრწყინებული შეხ-
ვდა, ისევ კისერზე ჩამოკიდდა, ვითომც
არაფერი მომხდარიყო...

— ჰა, გეგონა გაგვექცეოდი?!

დასხდნენ. რამდენი ხანი იყო, სახლ-
ში, შინაურ გარემოში აღარ უსადილ-
ია?!.. ალბათ, მას შემდეგ, რაც დედა
გარდაეცვალა... მამა სოფელში გადავი-
და და სოფლის მეურნეობას მიჰყო
ხელი... ფერმერობას, ახლა როგორც
ამბობენ... ის და მისი ძმა მხოლოდ
ღამის გასათევად თუ შედიოდნენ სახლ-
ში, ისიც ყოველთვის არა...

ოჰ, ელა, ელა...

ჯერ ლუკმაც არ ჩაეღო, მთელი ჭიქა
გამოცალა.

— რა იყო, კაცი ხომ არ მოვიკლავს?!
გასინჯე, იცი, რა გემრიელია?..


გასინჯა. მართლაც მოეწონა. არადა,
პრინციპში, მშვიერიც იყო.

კარგად დათვრნენ. ელამაც დალია...
სულ კისკისებდა, ენა არ გაუჩერებია,
ათასი რამ მოჰყვა...

შუალაძე კარგახნის გადასული იყო,
როცა შავომ შინ წასვლა გადაწყვიტა.
არაფრით არ გაუშვეს, საწოლში ძალით
ჩააწვინეს, ისიც მაინცდამაინც არც გასძა-
ლიანებია. მალე ჩაეძინა...

რაღაც საშინელმა სიზმარმა გამო-
აღვიძა. სიზმარი არ ახსოვდა, მაგრამ
საშინელი რომ იყო, ამას გრძნობდა...

მის საწოლში დღეიშობილა ელა იწვა!..



ნუმო ბაშელი

ელა

სუროსავით შემოჰხვეოდა ქალის მოქნი-
ლი სხეული... ელა ერთ მის ძუძუსთავს
ეაღერებოდა... უსასრულო ნეტარებამ
წამით ხელ-ფეხი გაუკავა, მაგრამ მხოლოდ
წამით... შემდეგ ფეთიანვით წამოხტა, ელა
ლოგინიდან წამოაგდო და ხელი ჰკრა...
ელა კედელს მიენარცხა.

გული ისე ძლიერად უცემდა, ლაპარ-
აკს ვერ ახერხებდა.

— ახლავე გადი აქედან!

— არ წავალ! — ელა იქვე კედელთან
ჩაჯდა და აქვითინდა.

— მაშინ, მე წავალ... — შავომ წამოაგ-
დო ხელი თავის ტანსაცმელს და გავიდა.

— გელა, ელაზე მინდა გელაპარაკო...
მალაზიებს მე უშენოდაც მივხედავ... მოდი,
წაიფვანე ელა სადმე... თურქეთში, სა-
ბერძნეთში, თუნდაც კანარის კუნძულე-
ბზე! რა ვიცი... სადმე!.. მაგრად აკლიხ-
არ, ალბათ! რა ჯანდაბისთვის გაუშვი იმ
ბათუმში ამდენი წლით?!.. თანაც, იმ
ასაკში, როცა ყველაზე მეტად სჭირდე-
ბოდი!..

— დამნაშავე ვარ, ალბათ, ვიცი... ისიც
ვიცი, რომ შენ უყვარხარ...

შავოს პირი დარჩა ღია... შემდეგ,
როგორც იქნა, მოძებნა სიტყვები:

— ჰოდა, ჩემით ცდილობს, ალბათ, შენ-
გან გაჩენილი სიცარიელის ამოვსებას,
ამით შენზე უნდა, ალბათ, შური იძიოს...
როგორმე მიუღეჭი, აუხსენი, რომ ეს ყოვე-
ლივე სისულელეა!.. რომ მე არა ვარ ის
პრინცი, ვისზეც ოცნებობს, რომ მე არავ-
ითარი ოცნების ახდენა არც შემძლია

და არც მსურს!..

— ჰო... ხვალვე წა-
ვალთ...

კვირაზე მეტი გავი-
და, რაც ელა და გელა
წავიდნენ... ცოტა დამშ-
ვიდდა. თან მთელი
ღღებები დაკავებულაც
იყო. ორი კაცის საქმეს
მარტო აკეთებდა. ისე
იღლებოდა, ღამით ხან-
დახან ტანსაცმლის გახ-
დის თავიც აღარ ჰქონ-
და. სასმელიც აღარ დაუ-
ლევია ამ ხნის განმავლობაში.

ელაზეც თითქმის აღარ ფიქრობდა.
უხაროდა, რომ საკუთარ თავს აჯობა და
ასე მოულოდნელად მოვარდნილ ნიაღ-
ვარს გაუძლო...

ძალზე გაუჭირდა ფხიზელი თვალით
ცხოვრების ყურება და იმ მღვრიე მორ-
ევში ბზრიალი, რასაც ვაჭრობა ერქვა.

ბოლოს, ვეღარ მოითმინა და ნაცნობ
რესტორანს მიაშურა. ზედიზედ რამდენ-
იმე ჭიქა დალია. შეზარხოშდა. მარტოს
სმა არ მოეწონა. რაც თავი ახსოვდა,
სულ გელასთან ერთად თვრებოდა. ირ-
გვლივ მიმოიხედა, თვალში არავინ მოუ-
ვიდა. შემდეგ მყვალას სასტუმრო გაახ-
სენდა. გაეხარდა, გაუკვირდა, აქამდე რა-
ტომ არ მოუვიდა თავში.

„არადა, ეს ღღებები ქალს არც კი
გავკარებოვარ!.. როგორ შევეუშინებოვარ
ელას!.. ის ქერა ნამდვილად კარგი ვინმე
იყო...“

მყვალა გამოეგება.

— მარტო ხარ?.. გელა სად არის?
თუ აღარა ხარ, „ორი ნომერი“?!

— შვილთან წავიდა... იმ გოგონას
რა ჰქვია?.. ქერა რომ იყო... აქ არის?

— ააა!.. ბელა? ახლავე დავუძახებ.

„ბელა, ბელა... ელა... ოხ, ისევ ელა!..“
ბელა გამოვიდა. ღიმილი უხდებოდა.

— ამდენი ხანი რატომ არ გამოიარე?
კვირაზე მეტი გავიდა...

— შენ რა, ითვლიდი?!

— რატომაც არა?!.. ყოველთვის როდღ
მყავს შენნაირი გულუხვი კლიენტები!..
და თანაც, საქმის ასეთი მცოდნე...

— როგორი?!

— მცოდნე... ყველამ კი არ იცის,
როგორ უნდა მიუღვეს ქალს...

მართლაც ლამაზი იყო ბელა. ხეი-
რიანად ახლავდა შეათვალთვალ... ასხ-
ლტეილი ტანი, ნაზი, თეთრი კანი, ვნები-
ანი მიხრა-მოხრა... მთელი მისი არსება
ისეთ ნდომას იწვევდა, ოთახამდე ძლივს

მოითმინა.

ოთახში შესულებიც არ იყვნენ, ქალი უკვე ხელში ჰყავდა აყვანილი და შლეგიანივით უკოცნიდა ბაგეებს, შველივით ყელს, ლამაზ ბუბუებს... კარის დაკეტვაც კი დაავიწყდათ...

ელვის სისწრაფით მიმოფანტა ირგვლივ ტანსაცმელი... ქალი ვნებით კვნესოდა და ეს კიდევ უფრო აგიუბდა...

გულაღმა იწვა. ბელას მწველი ტუჩები მის მკერდზე დაცოცავდა, ტანი კი ქარიშხლიან ზღვაში მოცურავე ნავივით ირწეოდა. შემდეგ ბელა ზევით აჰყვა და შავოს ტუჩებმაც იგრძნო მის ბაგეთა დამბუგველი ცეცხლი...

უცებ, ქალის სხეული უცნაურად მოიკრუნჩხა და შემდეგ ერთიანად მოდუნდა... სისხლის გემო იგრძნო პირში... ბელას თავი ააწვეინა, უსიცოცხლო თვალები დასცქეროდნენ ზემოდან, პირიდან კი სისხლი სდიოდა...

შეძრწუნებულმა მოიცილა ქალის სხეული და ახლავდა შეამჩნია, რომ მის წინ ელა იდგა. გოცებისგან პირი დაალო. თავი სიზმარში ეგონა, ხან ელას შეხედავდა, ხან ბელას... გონება უარს უცხადებდა, რეალურად შეეფასებინა მომხდარი...

ბელას დანა ჰქონდა ზურგში გაყრილი და სისხლში ცურავდა...

ნელ-ნელა გამოერკვა. ყველაფერი გაიცნობიერა... ხელი მთელი ძალით მოიქნია და ელას გაარტყა. ელა კედლის კუთხეს მიენარცხა და ჩაიკეცა. ტუჩი გაუსკდა, სისხლი წამოუვიდა...

შავო დედიშობილა ბოლთას სცემდა ოთახში, შემდეგ მკვეთრად მოტრიალდა, ელას ეცა, ნიკაპში ხელი მოჰკიდა, თავი ააწვეინა და კბილებში გამოსცრა:

— რატომ ჰქენი ეს?!

უსასრულო სასოწარკვეთა, უძირო სევდა და კიდევ, ვედრება ქალწულის თვალებში... არა, ელა არ ტიროდა... უბრალოდ, ცრემლთა ორი ნაკადი ჩამოსდიოდა თვალიდან, ნიკაპთან ერთდებოდა და შავოს ხელს უსველებდა...

ხელი უშვა. გულიანად შეიგინა. თვითონაც არ იცოდა, ვის ან რას აგინებდა და კვლავ ბოლთის ცემა განაგრძო. შემდეგ გაჩერდა, ახლავდა შეამჩნია, რომ შიშველი იყო. თავის ტანსაცმელს დაუწყვო ძებნა. როგორც იქნა, შეკრიბა ოთახში მიმოფანტული... ბელას სამოსიც იპოვა. რაღაც აზრი მოუვიდა, ჯერ ელას

გახედა, მერე ბელას... მართლაც ჰგავდნენ ერთმანეთს.


ელას მიუახლოვდა.

— ვინმემ დაგინახა, ჩემთან რომ შემოხვედი?

ელა უსიცოცხლო თვალებით იცქირებოდა, ცრემლები აღარ სდიოდა.

— ჰაა, გამოცოცხლდი!.. გნახა ვინმემ, აქ რომ შემოხვედი? — შეანჯღრია.

ელამ შემოხედა, თითქოს ახლავდა



იცნო, ჩვილი ბავშვივით ორივე ხელი წინ გამოიშვირა, კისერზე ჩამოეკიდა, თავი მის მკერდში ჩამალა და მღუღარე ცრემლებით აქვითინდა...

— ნუ, კარგი, დაწყნარდი... — თავზე მოეფერა, — ყველაფერი კარგად იქნება, — შუბლზე აკოცა, — ნუ ტირიხარ... ვინმემ გნახა, აქ რომ მოხვედი? — ნელა გაუმეორა კითხვა.

— არ ვიცი, არა მგონია... — დაბნეულად უპასუხა, — დიდიდან ვითვალთვალებდი, — კვლავ აქვითინდა...

ბელას დანას რომ აძრობდა, კინაღამ გული წაუვიდა, ხელ-ფეხი გაეყინა, ჰერი დატრიალდა, თითები აღარ ემორჩილებოდა. იქვე იატაკზე დაჯდა და უაზროდ დააჩერდა სისხლიან დანას...

ძლივს მოსულიერდა... ბელას ცხედარი სააბაზანოში გაიტანა და აბაზანაში ჩააწვინა... თავი ცივ წყალს შეუშვირა, ცოტა აზრზე მოვიდა.

სისხლიანი თეთრეული გადამაღა, ტანთ ჩაიცვა. დამლაგებელს ახალი თე-

თრეული მოატანინა.

— არა, მე თვითონ გადავაფარებ, — ფული არუქა და კარიდანვე გაისტუმრა.

ელა ისევ კედლის კუთხეში იჯდა. ააყენა, ბელას ტანსაცმელი ჩააცვა და მზის სათვალე გაუკეთა... მართლაც ჰგავდა ბელას.

— არსად წახვიდე, გაიგე?! მე მალე მოვალ. კარი არავის გაუღო!..

ელა ერთხანს საწოლზე იჯდა გაუნძრევლად, შემდეგ უცებ ფეთიანივით წამოხტა და კედელს აეკრა, შეშინებული თვალებით დააცქერდა საწოლს... გალიაში გამოძვრეული მხეცივით დაიწყო წრიალი. სიმწრის ოფლმა დაასხა.

საფეთქლებზე რაღაც მარწუხებივით უჭერდა და კეფის აგლეჯას ლამობდა. ეს ოთხი კედელი სულს უხუთავდა, ალბათ გაიქცეოდა, მაგრამ გასასვლელი კარი სააბაზანოს გვერდით იყო, სააბაზანოსკენ განედვისაც კი ეშინოდა...

ფანჯარას ეცა, ფარდა გადასწია, შემდეგ რაღაცის შეშინდა და ისევ ჩამოაფარა.

საშინლად მიიზღაზნებოდა წამები... ათასმა საზიზღარმა ფიქრმა გაუელვა გონებაში და ვერაფრით ახერხებდა მის შეჩერებას... რაღაც გაურკვეველ ფრზებს ისროდა უაზროდ...

კარი გაიღო. შავო შემოვიდა. ორი დიდი ჩემოდანი ეჭირა ხელში. ელა გაექანა და კისერზე ჩამოეკიდა, ვერხვის ფოთლივით თრთოდა. თვალები კვლავ ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— დამშვიდდი, დამშვიდდი... ყველაფერი ჩაივლის... ნუ გეშინია, მე შენთან ვიქნები ყოველთვის... — ჩასჩურჩულა, ხელში აიყვანა და საწოლზე დააწვინა, მაგრამ ელა ისევ შეშინებული წამოხტა.

— კარგი, სავარძელში ჩაჯექი... აჰა, ეს დალიე, დაწყნარდები... მე სააბაზანოში ვიქნები, მალე გამოვალ...

ჩემოდნები სააბაზანოში შეიტანა. კარი შიგნიდან ჩაკეტა. წყალი მოუშვა. აბაზანიდან ბელას უსიცოცხლო თვალები უცქერდა. ვერ გაუძლო ამ გამოხედვას... წყალი მკერდზე ესხმებოდა ბელას ნაზ სხეულს, მუცელზე მიიკლაკნებოდა და ფეხებს შორის უჩინარდებოდა...

ტანთ გაიხადა და ტანსაცმელი იქვე ჩამოკიდა.

— ოჰ, ბელა, ბელა... ღმერთო, მაპატიე!..

დანა დაუსვა თეძოსთან... დანა ძლივს

ეჭირა ხელში, გული ამოვარდნას ლამობდა. მზერა დაებინდა.

– შავო, შავო!.. – მოესმა ელას შემინებული ხმა.

სული ძლივს მოითქვა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

– შავო! – დაფეთებული ელა კარს უბრახუნებდა.

– დაწყნარდი, მალე გამოვალ...

– რა მოგივიდა?

– არაფერი...

– მეშინია!..

– ნუ გეშინია, მალე გამოვალ! დაჯექი და დამშვიდდი...

ფეხზე ძლივს იდგა. ერთიანად ცახცახებდა. სულ სველი იყო. სციოდა, კბილს კბილზე აცემინებდა...

უაზროდ დაიწყო სიარული, თან მხოლოდ ერთ სიტყვას გაიძახოდა კბილებიდან ღრჭიალით:

– არა!.. არა!..

შემდეგ გაჩერდა. დააჩერდა ბელას უხელფეხო სხეულს და მთელი ძალით ჩასცხო დანა ყელში, თან არაადამიანური ხავილი აღმოხდა... წამით დაბნელდა ირგვლივ...

– შავო!.. – ისევ გაისმა კართან ნერვიული ხმა.

– მომევი, შენი... – გამხეცებულმა შეაგინა და კიდევაც გაიფიქრა, ყელში სწვდომოდა ელას და... მაგრამ მხოლოდ გაიფიქრა...

როგორც იქნა, დაკეტა მეორე ჩემოდანიც... ცოტათი დამშვიდდა. ცხელი წყალი მოუშვა და გათოშილი სხეული შეუსვინა. ესიამოვნა სითბო...

შეიმშრალა. ჩაიცვა. მიმოიხედა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო...

კარი გააღო. კართან ელა ეგდო იატაკზე, მოკრუნჩხული... ხელები მუხლებს შორის, თვალები ცრემლებით სავსე...

– ნუ, კარგი, ბოდიში... ბოდიში, გესმის?! – თვითონაც იატაკზე იჯდა და მთელი ძალით იკრავდა გულში ელას თავს, – მოდი, ახლა ორივე დავმშვიდდეთ... დღეიდან შენ გქვია ბელა... თურქეთში წავიდეთ. მამაშენს მე დავურეკავ... ახლა ეს ორი ჩემოდანი როგორმე უნდა მივიტანოთ მანქანამდე... ჩემოდნები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა... დერეფანში არავინ შეხვედრიათ.

– მოგეხმარებით, – შესთავაზა შვეიცარმა.

– არა, გმადლობთ... ბელა, საჭესთან მე დავჯდები... – შვეიცარის გასაგონად გასძახა ელას, თან შვეიცარს ფული გაუწოდა.

შვეიცარი ცხრად მოიკეცა წელში.

უკუნი ღამე იდგა. როგორც იქნა, გასცილდნენ ქალაქს. გზიდან გადავიდნენ და ტყეში შევიდნენ.

შავომ ნიჩაბი ამოიღო და მიწის თხრას შეუდგა...

საგულდაგულოდ ჩამარხა ჩემოდნები...

თავი გასკდომაზე ჰქონდა. არაფერზე ფიქრობდა... ერთადერთი აზრი: რაც შეიძლება მალე გადასულიყვნენ თურქეთში... მთელი სისწრაფით მიქროდა ტრასაზე...

ჯერ კიდევ ბნელოდა, სარფს როცა მიღწიეს... დიდხანს ცდა არ დასჭირვებოდა, საბუთები და მანქანა გასინჯავს და გაუშვეს...

ცოტა დამშვიდდა... ერთი სული ჰქონდა, სადმე ან რესტორანი, ან სასტუმრო შეხვედროდა... რომ არ დაეღია, ალბათ, გაგიჟდებოდა!..

სინათლე შენიშნა... ერთსართულიანი, მოგრძო შენობა იდგა. „ელა“ – იუწყებოდა რეკლამა... რატომღაც ჩაცვინა სახელწოდებაზე...

გაჩერდნენ. შენობის წინ სამიოდე მანქანა იდგა. შევიდნენ. მცირე ხანში პატრონი გამოვიდა ნამძინარევი თვალებით.

– ნომერი გვინდა... და კარგი იქნება, თუ რაიმეთი გავკვირდებით, – ძლივს აუხსნა, ხან რუსულით, ხან ინგლისურით, ჟესტიკულაციაც მოიშველია.

– ყავა და ბუტერბროდი შეგვიძლია... ახლა ძალიან ადრეა... რომ გათენდება, რაც გაგიზარდება... – მასპინძელმაც ასევე უპასუხა.

– სასმელი არა გაქვთ? – ისევ ხელებით...

მასპინძელმა თავი დაუქნია.

– თუ შეიძლება, ნომერში მოგვიტანეთ... რაიმე მაგარი...

ოთახი პატარა იყო, მაგრამ საკმაოდ მყუდრო და კოხტად მოწყობილი. ორივეს ძალიან დაღლილი, ჩამოღამებული სახე ჰქონდა, პირდაპირ ბოთლით მოიყუდა სასმელი, გულ-მუცელი ჩასწვა. ბუტერბროდი დააყოლა. ახლავდა მიხვდა, რომ ძლიერ მოშივებოდა... ელამაც დაღია... მალე მოეკიდათ სასმელი.

წამოწვა. სხეული საშინლად დამძიმებოდა, თვალები ეხუჭებოდა. საფეოქლებში ალკოჰოლი უღიჟინებდა. ლოყასთან ელას სუნთქვა და მისი რბილი ტანის ჩახუტება იგრძნო. განძრევის თავიც არ ჰქონდა, თვალის გახელაც ეზარებოდა, სინათლეს არ გამოურთავთ, ტანსაცმელ-

იც არ გაუხდიათ. ღრმად ჩაეძინათ...

როცა თვალი გაახილა, შუადღე უკვე დიდი ხნის გადასული იყო. სააბაზანოდან წყლის ხმა მოესმა. წამოდგა. მაგიდაზე ცხელი ყავა იდგა და ახალი ფუნთუშები ელაგა. წუხანდელი ბოთლი მოძებნა, სასმელი ცოტა კიდევ დარჩენილიყო. მოიყუდა და გამოცალა. ფუნთუშა ხარბად ჩაკიხა...

სააბაზანოს კარი ღია იყო. ჯერ იცოფმანა, შემდეგ სულმა წასძლია და შეინუდა. შუქზე ბზინავდა ელას სველი სხეული... სახე უკვე დამშვიდებოდა.

მოჯადოებული იდგა, თვალს ვერ სწყვეტდა მის სავსე მკერდს, რძისფერ თეძოებს...

ელამ შენიშნა და სათნოდ გაუღიმა. აღარაფერი ბავშვური მის სახეში... ის ძველი ელა უკვე სამუდამოდ სადღაც გამქრალიყო... მის წინ მშვენიერი ასული იდგა მთელი თავისი გამანადგურებელი სიძლიერით და ქალური სისუსტით...

ელა მიუახლოვდა. ერთხანს ასე იდგნენ ერთმანეთის წინ, შემდეგ ელამ ნელ-ნელა გახდა დაუწყობი... მხარზე იგრძნო მისი მწველი ტურების შეხება...

დანარჩენი თავისით მოხდა... არასდროს დაუფლებია ასეთი გრძნობა... ელა მისთვის მარტო ქალი არ აღმოჩნდა... ის უფრო მეტი იყო, გაცილებით მეტი, ვიდრე უბრალოდ ქალი...

აი, იწვა ის გულაღმა, მხარზე ელას თავი ედო, ხელი მის წელზე ჰქონდა მოხვეული და თავს საოთხეში გრძნობდა... რა ბედნიერი იქნებოდა, ეს წუთები უსასრულოდ რომ გაგრძელებულიყო...


გელა მოაგონდა... გული მტკივნეულად შეეკუმშა. მის წინაშე დამნაშავედ იგრძნო თავი. ნეტავ, თვითონ რას იზამდა მის ადგილზე? მოკლავდა ალბათ მეგობარს...

ადგა. ტელეფონთან მივიდა. დიდხანს ეძებდა სიტყვებს, რა უნდა ეთქვა... დარეკა. სწრაფად ლაპარაკობდა, ეშინოდა, გელას არ შეეწყვეტინებინა საუბარი. მისდა გასაკვირად, გელა ძალზე მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. შავომ სთხოვა, რამდენიმე ხანი მის გარეშე გაძლოლოდა საქმეს და სწრაფად დაკიდა ყურმილი, დამშვიდობებაც დაავიწყდა...

შვებით ამოისუნთქა... ყველა ბინძური საქმე მოიშორა... წარსულთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი გადაჭრა... ახალ ცხოვრებას იწყებდა.


ახალ ცხოვრებას...

მოარული ხმების თანახმად, ქერა ქალი წყნარი, მორცხვი და კვლავ უნდა იყოს, მაგრამ ნატაშა ჰენსტრიჯი გამონაკლისია: ორი შვილის დედა ლოს-ანჯელესის ქუჩებში მოტოციკლით დაქრის და პოლიფუდის ერთ-ერთი ყველაზე „მაგარი ტიპის“ რეპუტაციით სარგებლობს.



ნაცემს ჰენსტრიჯი:

ელაჰიანაჰი ქანაჰე ვეჩკევი, გეგნაჰ საქუთარ თაჰს ვეჩაჰეჩი გეჰუჰე...



ნატაშა ჰენსტრიჯი ამბობს, რომ სჯერა მიჩვენების, უცხოპლანეტელებისა და სულთა გადასახლებისაც სწამს. ალბათ ამიტომაც ასრულებს ესოდენ დამაჯერებლად თავის როლს ახალ ფილმში „მარსის აჩრდილები“. ფილმის სიუჟეტის მიხედვით, მარსის კოლონიაში, სადაც მატრიარქატია, ხალხი იმ აბორიგენტთა აჩრდილებს ებრძვის, რომლებიც ადამიანთა სხეულებში სასლდებიან და შინაგანად ანადგურებენ მათ.

ამ ფილმში ნატაშა ჰენსტრიჯი სრულიად შემთხვევით მოხვდა: გადაღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, კორტნი ლავმა უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე და მისი შემცვლელის სასწრაფოდ მოძებნა გახდა საჭირო. პრობლემა კი ის იყო, რომ მთავარი როლი სპეციალურად კორტნი ლავისთვის იწერებოდა და სცენარში მისი ხასიათის ნიშან-თვისებები იყო გათვალისწინებული. პროექტიდან კორტნის წასვ-

ლის მიზეზად, პროდიუსერებთან წარმოქმნილ უთანხმოებას ასახელებდნენ, თუმცა ოფიციალური ვერსიით, კორტნიმ გადაღების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ვარჯიშისას მიღებული ტრავმა მოიმიზეზა.

მართლაც, ფილმში მონაწილე ყველა მსახიობი რამდენიმე თვის მანძილზე ვარჯიშობდა. ისინი იარაღის ხმარებასა და ხელჩართული ბრძოლის ილუზიებს სწავლობდნენ. ნატაშა გადაღებ ვეგუფში ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც სპეციალური მომზადება არ ჰქონდა გავლილი. მიუხედავად ამისა, ჩხუბის სცენებს ზოგჯერ წინასწარ მომზადებულ მსახიობებზე უკეთ ასრულებდა. ფილმში მისი პარტნიორის – ე.წ. განგსტერული რეჰის დამარსებლისა და „მაგარი ბიჭის“ სახელის მქონე მსახიობის, აის კიუბის შესახებ კი განაცხადა: „ის ძალიან მომზობლავი პლეუმის დათუნია“.

მანამდე ნატაშა სპორტით არასოდეს ყოფილა გატაცებული და კინოშიც, მოდის სამყაროდან მივიდა. მანამდე კი, რამდენიმე

კალრი ფილმიდან „მარსის აჩრდილები“



წლის განმავლობაში, პოლი-
უმზე დახვეწილ მანერებს, სი-
ნატიფესა და ელეგანტურ-
ობას განასახიერებდა. თვალ-
ისმომჭრელად ლამაზი კა-
ნაღლი მოდელი Old Spice-
ის, Oil of Olay-ს და Lady Sec-
tion-ის რეკლამებში გადაიღეს.
პროფესიონალები მას დახვეწილი
სილამაზის ნიმუშად მიიჩნევენ,
რომლის ფონზეც მამაკაცები გან-
საკუთრებულად ვაჟაკურები და ლო-
ნიერები ჩანდნენ. თუმცა, საბოლოო
ბიზნესშიც ნატამა ლამისაა, გაუგე-
ბრობის წყალობით მოხვდა.

ბავშვობაში იგი საზოგადოების იმ
ფენას ეკუთვნოდა, რომელსაც ამერიკაში
ზიზლით „ტრაილერის ვიგინდარებს“ ეძ-
ხიან. მამამისი ადრე ბაიკერი იყო, შემდეგ
შენებელი გახდა. ნატამა მშობლებთან
ერთად კანადაში, ალბერტის პროვინციის
პატარა ქალაქ ფორტ მაკიურეში, საცხ-
ოვრებლად გადაკეთებულ ძველ ავტოფურ-
გონში, ცხოვრობდა. ქალაქი ნავთობის ჭაბურღ-
ილების ირგვლივ იყო გაშენებული, მამამისი
იქვე მუშაობდა, დედა კი დიასახლისობდა.

ნატამას თავისი ცხოვრება ეზიზღებოდა,
სკოლაში ცუდად სწავლობდა, ხშირად აც-
დენდა გაკვეთილებს და ხულოიანი ბიჭების
კომპანიამი თავისიანად ითვლებოდა.

როცა ნატამა 14 წლის გახდა, დედამის-
მა გადაწყვიტა, ქუჩის მძენ ზეგავლენისგან
დაეცვა შეილი და სააგენტოს – Look of
the Year-ის განცხადება უჩვენა, რომელშიც
გოგონებს სილამაზის ნაციონალურ კონკურს-
ში მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ.



ჯილდოდ გამარჯვებულს ევროპა-
ში გამგზავრება და ხელსაყრელი
კონტრაქტები ელოდა.

ნატამამ კონკურსში მონაწილე-
ობა ცნობისმოყვარეობის გამო მი-
იღო, მაგრამ მისმა ბიჭურმა იერმა,
სინორჩემ და უშუალოდამ ისეთი
ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა
ყველაზე, რომ გოგონამ კონკურსში
მეორე ადგილი დაიკავა.

მეორე დღევე, ნატამას კონ-
ტრაქტის გაფორმება და პარიზში
მუშაობა შესთავაზეს. მშობლები
შეშოთოდნენ და შეეცადნენ,
დაერწმუნებინათ გოგონა,
უარი ეთქვა, მაგრამ უკვე
გვიანი იყო – ნატამას კონ-
ტრაქტი გაფორმებული ჰქონდა და ლამის
იყო, ბარვის ჩალაგებაც დაეწყო.

გოგონას პარიზი მიუწონა, მაგრამ ფო-
ტომოდელის სამუშაო პირველი დღიდანვე
შესძულდა. ჩასვლისთანავე მას სააგენტოში
მოსიზოვეს, რომ პირველ რიგში, რამდენიმე
პლასტიკური ოპერაცია გაეკეთებინა. ამაზე
ჰენსტრიჯმა კატეგორიული უარი განაცხ-
ადა. შემდეგ ერთ-ერთ წვეულებაზე გააგზა-
ვნეს, სადაც ხნიერი მამაკაცები გოგონებს
ეარშიყებოდნენ. როცა ნატამას მიადგნენ, მან
ვერ მოითმინა და რამდენიმე აბეზარი „კლი-
ენტი“ საცურაო აუზში გადაუშვა... ალბათ
სააგენტო მასთან კონტრაქტს გაწყვეტდა,
მაგრამ მოულოდნელად, ჰენსტრიჯი Oil of
Olay-ს კლიპის პროდიუსერებმა ნახეს და
თვალში მოუვიდათ. რეკლამას ფილმი –
„ჯიმი“ მოჰყვა, რომელშიც ჰენსტრიჯმა
ნახევრად ადამიანი და ნახევრად უცხოპლან-
ეტელი – საოცრად მომხიბლავი არსება და
იმავედროულად, სერიული მკვლეელი გან-
სახიერა. „ახალგაზრდა და გამოუცდელმა
მსახიობმა პირველივე ფილმით „ათიანში“
მოახვედრა. მას წილად რთული კინოამ-
პლუა ერგო: მისი გმირი ალქაჯია, მაგრამ
იმავედროულად, ძალიან საყვარელი არსება“,
– წერდა გაზეთი Variety.

პირველმა წარმატებამ ნატამას ოდნავ
თაბერუ დაახვია. მან უარი განაცხადა რამ-
დენიმე ხელსაყრელ კინოპროექტზე („მა-
კოსნები“ და „დამოუკიდებლობის დღე“),
ხოლო როცა მენეჯერმა დაფიქრება უჩრია,
მსახიობი, მის ჯიზნზე, სასწრაფოდ გაჰყვა
ცოლად მსახიობ დემიან ჩაპს. ახალშეუღლე-
ბულებმა ჯერ ლას-ვეგასში დაიწერეს ჯვარი,
შემდეგ კი, საგანგებოდ პატარძლის მშობლების
ხათრით, კანადაში ჩაატარეს ქორწინების

ლიამ უეიგთან და შვილთან ერთად


კიდევ ერთი ცერემონია. მოგვიანებით, ნა-
ტამამ განაცხადა: „ჯერ კიდევ მაშინ, როცა
პირველად დავიწერეთ ჯვარი, უკვე ვიცოდი,
რომ ეს შეცდომა იყო...“

ამ ქორწინებამ და გაყრის პროცესმა
ნატამას იმდენად აუცრუა გული ოფი-
ციალურ საქორწინო კავშირზე, რომ ახლაც,
როცა მსახიობ ლიამ უეიტისგან ორი შვილი
ჰყავს, ჰენსტრიჯი მასზე დაქორწინებას არ
ჩქარობს.

ნატამამ და ლიამმა ერთმანეთი პემანზე
გაიცნეს, მაგრამ ჰენსტრიჯს პემანი ლი-
ამთან კი არა, მის მეგობართან ჰქონდა, რომელ-
მაც უეიტი „მორალური მხარდაჭერის“
მიზნით იახლა თან... ნატამასა და ლიამს
თურმე ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანე-
თი, თუმცა ეს არ შეიმჩნიეს. რამდენიმე
დღის შემდეგ, ნატამამ თავის კავალერს
დაურეკა და წამოიძახა: „ეს კატასტროფაა!
მე შენი მეგობარი შემიყვარდა! მის გარდა,
ველარაფერზე ვფიქრობ“.

ახალგაზრდა კაცი ჯერ გაშრალა, შემ-
დეგ კი გადაუწყვეტია, ნატამასა და თავისი
მეგობრის შეხვედრა მოეწყო. თავიდან ლი-
ამი უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ გამოტყდა,
რომ თავადაც უგონოდ იყო ჰენსტრიჯზე
შეყვარებული. ნატამა და ლიამი ერთმა-
ნეთს იმ საღამოსვე შეხვდნენ და მას შემდეგ
ერთად არიან. ქალის დაჟინებული მოთხ-
ოვნით, ლიამ უეიტი „მარსის აჩრდილებ-
შიც“ გადაიღეს.

„ლიამის გულისთვის ყველაფერზე მზად
ვარ – გარდა ქორწინებისა, – ამბობს ჰენ-
სტრიჯი. – შესაძლოა, აფთარი ვარ, ან
უბრალოდ, სულელი – არ ვიცი. საერთოდ,
ადამიანებში კარგად ვერკვევი, მიყვარს მათი
ქცევებისა და მსჯელობის გაანალიზება, მა-
გრამ საკუთარ თავს მაინც ვერაფერი გა-
უშვებ...“



სუპერპიკაპი Dodge RAM SRT-10



რომელი კატეგორიის მომხმარებლისთვის არის ის განკუთვნილი. ძარის ფირმა (სამგზავრო სალონისა და ღია ძარის შერწყმა) ძალზედ პოპულარულია ფერმერთა წრეში, მაგრამ მათ სრულებით არ სჭირდებათ მონსტრი, რომელსაც ჩქაროსნული თვისებებით, „ფერარისაც“ შეუძლია გაუწიოს კონკურენცია. აქედან გამომდინარე, სუპერპიკაპის მახასიათებლები, გაუვალ გზებზე შორეული მოგზაურობის მოყვარულებს უფრო დააინტერესებს.

პირველ ეტაპზე შლტ-10 მხოლოდ ამერიკაში გაიყიდა. ევროპაში მისი ექსპორტირება ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის და ამ კონტინენტზე მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთით შეიძლება მოხდეს. მის ღირებულებას, ოკეანის გავლის გზის ხარჯებიც გააძვირებს. თუ ამის მსურველები გამოჩნდნენ, როგორც ერთმა გერმანელმა ექსპერტმა მოხდენილად გაიხუმრა, – მას ინდივიდუალური ბენზინგასამართი სადგურის შექმნაც მოუწევს... თუმცა, სუპერპიკაპის „მდაზე“ თვით „კრაისლერის“ ინჟინრები კონკრეტულად არ ლაპარაკობენ... მათ კი, ვისაც ამ სტილის, მაგრამ უფრო მოკრძალებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე მანქანა აინტერესებთ, „კრაისლერი“ JEEP COMPASS შესთავაზებს: მოხდენილი ყველაზე მაგალი 3,7 ლ-იანი, 210 ცხ.ძ-იანი ძრავით არის აღჭურვილი და ამერიკელ მარკეტოლოგთა აზრით, ძირითადად, ახალგაზრდებს მიიზიდავს.

მოხდენილ და ჩქაროსნულ ევროპულ ავტომობილებს, რომლებიც ბოლო დროს უხვად გამოჩნდა, დეტროიტის ავტოსალონზე ამერიკელებმა სიძლიერისა და, როგორც ავტომოყვარულები ამბობენ, ცხენის ძალის ხოტბით უპასუხეს. კომპანია „კრაისლერმა“ (რომელიც, სხვათა შორის, გაერთიანებულ – გერმანულ-ამერიკულ გიგანტ „დაიმლერ კრაისლერის“ ჯგუფში შედის) 500 ცხ.ძ-იანი სუპერპიკაპი გამოუშვა, რომელსაც 9,3 ლ მოცულობის 10-ცილინდრიანი ძრავა აქვს ჩადგმული, 240 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავი-

თარებს, 100 კმ/სთ-მდე სულ რაღაც 5 წმ-ში „ადის“. ასეთი დინამიკით ზოგი პრესტიჟული სპორტული ავტომობილიც კი ვერ დაიკვეხნის.

ძრავას, ექვსსაფეხურიან გადაცემათა კოლოფსა და სამუხრუჭე სისტემას ეს ავტომობილი ცნობილ მოდელს – CHRYSLER VIPER-ს დაესესხა. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ დეტროიტშივე გამოაცხადა: სუპერპიკაპს მალე გაუშვებენ სერიულ წარმოებაში, – მიუხედავად იმისა, რომ მარკეტოლოგები ჯერჯერობით გადაჭრით ვერ ამბობენ, თუ საკუთრივ

დიზელის PT Cruiser-ი ევროპას უტევს

„დაიმლერ კრაისლერი“ CHRYSLER PT CRUISER-ის CRD ტურბოდიზელის ძრავიანი მოდიფიკაციის გამოშვებას იწყებს. ძრავა „მერსედეს ბენცის“ კონსტრუქტორების მიერ არის შემუშავებული. მისი მახასიათებლებია: 2,2 ლ მოცულობა, 183 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარე, 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო – 12 წმ, საწვავის ხარჯი – 6,9 ლ ყოველ 100 კმ-ზე. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ევროპული სტანდარტისა უფროა, ვიდრე ამერიკულია. ალბათ სწორედ ამის გამო, PT CRUISER-ი კორპორაცია ამერიკული ქვედანაყოფის იმ იშვიათ ნიმუშთაგანია, რომელსაც ევროპელი მომხმარებელი ეტანება, რადგან ძველ სამყაროში, უპირველეს დირსებად, სწორედ მანქანის ეკონომიურობას მიიჩნევენ.

დიზელისძრავიანი PT CRUISER 2.2 CRD-ს პრემიერა გერმანიაში 9 მარტს გაიმართება.



A-ხელის „მეხსედესის“ ევოლუცია

„დაიძლერ კრაისლერმა“ ბაზარზე A-კლასის ყველაზე პრესტიჟული ვერსიის მოდელი – 210 გამოუშვა. შტუტგარტელმა ინჟინრებმა ტრადიციული გზა აირჩიეს, როდესაც ეს ავტომობილი უფრო ძლიერი – 2,1 ლ-იანი ძრავით აღჭურვეს, რომლის 4 ცილინდრი 140 ც.მ-ის სიმძლავრესა და 203 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს უზრუნველყოფს. მცირე ზომის ეს „მერსედესი“ 100 კმ/სთ სიჩქარეს 8,2 წმ-ში ავითარებს, ყოველ 100 კმ-ზე სულ 7,9 ლ საწვავს ხარჯავს. მისი ძარა ცნობილი ფირმის – AMG-ის დიზაინერების მიერ არის შემუშავებული. გვერდით სარკეებში, ისე, როგორც უფრო ძვირად ღირებულ „მერსედესებში“, მოხვევის მანიშნებლობა ჩამონტაჟებული, სალონი მუქი ყავისფერი ტყავით არის გაწყობილი, ხელსაწყოთა პანელი კი – ალუმინის შენადლობებისგანაა დამზადებული.



გერმანულ ბაზარზე სტანდარტული „ევოლუშენი“ 24.360 ევრო ეღირება (საბაზრო ვერსია), დაგრძელებულ ვარიანტი კი – 25.462 ევრო. რამდენადმე გაძვირდა აგრეთვე „დაიძლერ კრაისლერის“ პატარა, ორადგილიანი საქალაქო ავტომობილი SMART-ი: საბაზო მოდელი ახლა 8.520,

კაბრიოლეტი კი – 11.720 ევრო ღირს. ამ მანქანაში განხორციელებული ტექნიკური ცვლილებებიდან აღსანიშნავია საწვავის ავზი, რომელიც აღინდელი 22-ის ნაცვლად, ახლა 33 ლ-ს იტევს, დამატებით აღჭურვილობად კი, მომხმარებელს ელექტროამძრავიან ლუკს შესთავაზებენ.

რომ იტყვიან, პრესტიჟი ძვირი ღირს:

AUDI აქცენტს ადემინზე აქეთებს




არ განიცდის კოროზიას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

„აუდის“ ინჟინრებმა თავიანთი ექსპერიმენტი 17 წლის წინ დაიწყეს, მაგრამ სერიულ წარმოებაში „რევოლუციური“ ძარები მხოლოდ 1994 წლის შემდეგ ჩაუშვეს – სწორედ მაშინ, ჟენევის ავტოსალონზე შედგა ალუმინის AUDI A8-ს დებიუტი. იმ დღიდან წარმოებულია 93 ათასი 8 და 57 ათასი 2. შთამბეჭდავია მანქანის წონის ამ გზით მიღწეული ეკონომია: 8-ის ძარა სულ 249 კგ-ს იწონის, რაც ფოლადის ანალოგზე 200 კგ-ით ნაკლებია, 2-ის ძარა კი 156 კგ-ს შეადგენს; სხვაობა 43%-ს აღწევს. აქვე დავძენთ, რომ ალუმინისძარაიანი 8-ით გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი დადის.

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალმა გერმანულმა ფირმა „აუდიმ“ ალუმინისძარაიანი ავტომობილების 150-ათასიანი ნიშნულს გადააბიჯა. მსუბუქი მეტალისგან ძარას დამზადების ექსპერიმენტები ავტომწარმოებლებმა საკმაოდ დიდი ხანია დაიწყეს. ამ საქმეში პიონერებადც გერმანელები მოგვევლინენ: ჯერ კიდევ 1913 წელს ფირმა NSU-მ გამოუშვა პრიველი ასეთი მოდელი – 8/24. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ტექნოლოგიები, რომელიც ინჟინრებს საშუალებას მისცემდა, გადაეჭრათ მთავარი პრობლემა – ალუმინის კონსტრუქციისთვის სიმტკიცე და გამძლეობა მიენიჭებინათ.

ალუმინი ორი მესამედით მჩატეა ფოლადთან შედარებით, რაც ავტომობილს საუცხოო დინამიკას ანიჭებს. გარდა ამისა, ეს ლითონი





თათა სანიკიძე სიმთვინიურ ბრძესტთან ერთად

საბავშვო სტუდია „ბასტი-ბუ-ბუს“ ერთ-ერთი სოლისტი, თათა სანიკიძე უახლოეს მომავალში სიმფონიური ორკესტრის თანხლებით წარდგება მსმენელის წინაშე. მანამდე კი, პატარა ვირტუოზი გადაღებებით არის დაკავებული. ის მიუზიკლში მთავარი როლის შემსრულებლად მიიწვიეს.

9 წლის თათას შემოქმედებას ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ 2000 წელს გაეცნო, როცა მან ორი სერიოზული მუსიკალური საღამო გახსნა საკუთარი კომპოზიციით.

როგორც თვითონ თათამ გვითხრა, მისი მიღწევები მთლიანად დედამისის – ნანა მეგრელიძის დამსახურებაა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, საფუძველი ჩაუყაროს თათას წარმატებულ საშემსრულებლო კარიერას.

„დაბრუნდა“ „რუსთავი 2“-ს ცთუებს?

გასულ კვირას, „დარდუბალას“ თაყვანისმცემლები ვაჭბილებულნი დარჩნენ, როცა ამ პოპულარული მულტსერიალის მორიგი სერია ეთერში არ გავიდა. „დარდუბალას“ ჩვენების შეწყვეტასთან დაკავშირებით, კონკრეტული ინფორმაციის დასადგენად, სტუდია „ვაშას“ თანამშრომელს, ზვიად ბლიაძეს („ზვიოს“) მივმართეთ, რომელმაც გვაცნობა:


– სერიალი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და სტუდია „ვაშას“ შორის ფინანსური უთანხმოების გამო შეწყდა. „დარდუბალა“ ამ არხზე ნაჩვენები აღარ იქნება, მაგრამ მულტსერიალის თაყვანისმცემლებს იმით დავამშვიდებთ, რომ ძალიან მალე სტუდია „ვაშა“ მათ უკვე საკუთარი სატელევიზიო არხით, „დარდუბალას“ განახლებულ და უკეთეს ვარიანტს შესთავაზებს.

სწავლა თანაჯანთვი თაყვანის სცენაზე

უახლოეს მომავალში რეჟისორი გოჩა კაპანაძე, თეატრის მოყვარულთ ორი სპექტაკლის პრემიერას წარუდგენს, რომელთაგან ერთ-ერთი – ცნობილი სომეხი კინორეჟისორის, სერგო ფარაჯანოვის ბიოგრაფიის ამსახველი იქნება. როგორც გოჩა კაპანაძემ გვავიწყობა, აღნიშნული სპექტაკლი მთლიანად მონოლოგს წარმოადგენს, რომელსაც საფუძველად, სერგო ფარაჯანოვის ბიოგრაფიის ამსახველი დოკუმენტური მასალა დაედო.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდა რეჟისორი თავისი პირველი პროფესიის – მსახიობის ამპლუაში წარდგება მაყურებლის წინაშე და მონო-სპექტაკლის გმირსაც თავად განასახიერებს.

რეჟისორის ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი სპექტაკლი სერგო ფარაჯანოვის გარშემო არსებულ მრავალ ჭორ-მართალს ახლებურად წარმოაჩენს.



სერგო ფარაჯანოვი

„ცისაბწყელოების“ პრემიერა „ძილგაში“



პროდიუსერი ნაგო ლუმბაძე და დათო ხუჯაძე



კლიპის რეჟისორი ვიორჯი კიკელიძე და თიკა ჯამბურიაძე და ნაგო ლუმბაძესთან ერთად

მოსკოვიდან ახალდაბრუნებულმა ნაგო ლუმბაძემ, დაპირებისამებრ, კინოთეატრ „ქოლგაში“, თიკა ჯამბურიაძისა და დათო ხუჯაძის ახალი კლიპის პრეზენტაცია მოაწყო. პრემიერას უამრავი მუსიკოს-შემსრულებელი დაესწრო, რომელთაგან დაგვიანებით მოსულეებს, ფეხზეც კი მოუწიათ ღგომამ, ვინაიდან კინო-დარბაზში ტევა აღარ იყო.

პრეზენტაციამ დიდი ოვაციებით ჩაიარა. დასასრულს, სტუმრების ნაწილმა კინოთეატრის გვერდით მდებარე ბარ-რესტორანში გადაინაცვლა, სადაც სპეციალურად მათთვის გამზადებული შევდური მაგიდა და ძვირფასი შამპანური ელოდათ.

როგორც გაირკვა, აღნიშნული პრემიერის შემდეგ, დათო ხუჯაძემ მოსკოვში დაბრუნება გადაწყვიტა და თიკა ჯამბურიაძისთან ერთად, უხვად არიგებდა ავტორგრაფებსა და ინტერვიუებს.

წვეულებამ საკმაოდ დიდხანს გასტანა და დამსწრეთ დიდი სიამოვნება მოჰკვარა.

მტიფნი სპიტსმა ინციმუტი ადგილი ცაფუიბუმით დაიმშუნა




გერმანული ჟურნალის FOCUS -ის ცნობით, ბრიტნი სპირსმა „ყველაზე ინტიმური ადგილი“ ტატუირებით დაიმშვენა. მოძღვრალს მუცლის ქვედა ნაწილს თურმე რამდენიმე საათის განმავლობაში უხატავდა ბოდი-არტის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი, მარკ მაჰონი. თუმცა, რა არის ნახატზე გამოსახული, ჯერჯერობით არავინ იცის. გერმანული ჟურნალი, თავის მხრივ, ბრიტანული ტაბლოიდის – The Mirror-ის პუბლიკაციას იმეფილებს, რომელმაც მარკ მაჰონის ინტერვიუ გამოაქვეყნა. მხატვარმა ჟურნალისტებს მხოლოდ ის გაანდო, რომ ბრიტნის სხეულზე „გარკვეული ჩინური სიმბოლო“ იქნა აღბეჭდილი, აგრეთვე, ვარაუდიც გამოთქვა, რომ მისი მნიშვნელობა ბრიტნიმ თავის მეგობარს, ჯასტინ ტიმბერ-

ლეიკს უკვე გაანდო. როგორც ცნობილია, აქამდე პოპვარსკვლავის სხეულს სამი სვირინგი ამშვენებდა: წელზე – ფერია, ფეხის ცერა თითზე – ყვავილი, ხოლო მუცელზე – გვირილის გულში მოთავსებული ილუმინაციით მოცული სიმბოლო, რომელიც თურმე მისი მფლობელის ღრმა სულიერ სამყაროზე მეტყველებს. „მე გამუდმებით ვიცვლები, – აღნიშნა ბრიტნიმ თავის ტატუირებებზე საუბრისას, – და მიყვარს, როცა ადამიანები ჩემს შეცნობას ცდილობენ. ახლა ეს კიდევ უფრო გართულდება...“


ვინ ატის ჰტლიუდის სატბოსტმელა?

პოლივეუდმა თავისი ყველაზე შემადრწუნებელი პერსონაჟი დაასახელა. ეს „წოდება“ ფილმების – „კრავთა ღუმელი“ და „ჰანიბალი“ მთავარ გმირს, ჰანიბალ ლექტერს ერგო. ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, დოქტორი ლექტერი, საეკრანო პერსონაჟებს შორის, ყველაზე მეტად ჰგვრის შიშს მაყურებლებს. საინტერესოა, რომ ჰანიბალი ნამდვილ საფრთხობელად, მხოლოდ ენტონი ჰოპკინსის შესრულებით იქცა: მაგალითად, მაიკლ მანის ფილმში – „ადამიანებზე მონადირე“ – მსახიობ ბრაიან კოქსის მიერ განსახიერებული კაციჭამია სრულებით არ იწვევს მაყურებლებში ძრწოლას.



ამავე დროს, ზოგ მაყურებელს ჰანიბალ ლექტერი ძალიან გონებაამახვილ და მომზიბვლელ პერსონაჟად მიაჩნია, თუმცა, კინემატოგრაფის ისტორიაში აღრიცხული უბოროტესი პერსონაჟების რიგს მიაკუთვნებს.

ნიკოლას კეიჯი ისეუ მატცთა!



ნიკოლას კეიჯმა და ლიზა მარია პრესლიმ ოფიციალურად განაცხადეს განქორწინების შესახებ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ გაყრის შემდეგ მეგობრებად დარჩებიან და ერთმანეთთან არავითარი პრეტენზია არ გააჩნიათ. ქორწინებამ, რომელიც თითქოს პატარძლის მამის – თავად ლეგენდარული ელვის პრესლის სულმა „დალოცა“, სულ ათი თვე გასტანა. განქორწინების მიზეზებზე კეიჯი და პრესლი არ საუბრობენ. როგორც ცნობილია, ლიზა მარია პრესლი კეიჯთან შეუღლებამდე, მაიკლ ჯექსონის ცოლი იყო, ნიკოლას კეიჯი კი, მანამდე მსახიობ პატრისია არკუტზე იყო დაქორწინებული.

ჯენიფერ ლოპესი თაყვანისმცემლემს გაამერნიერემს

ჯენიფერ ლოპესი ძალიან კმაყოფილი დარჩა იმით, რომ მამაკაცთა ჟურნალმა FHM-მა იგი „წლის ყველაზე სექსუალურ ქალად“ დაასახელა. რეპუტაციის შესანარჩუნებლად და ერთგული თაყვანისმცემლების გასახარად, ჯეი ლო ჟურნალისთვის პიკანტური ფოტოსურათების გადაღებაზე დათანხმდა. ფოტოები მაიამი-ბიჩზე გადაიღეს და ჟურნალის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში, მკითხველი ჯენიფერს მაქსიმალურად მოღიავებულ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილსაც და უკოსტიუმოდაც იხილავს...


ლოპესმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არათუ შეურაცხყოფლად არ მიაჩნია მიღებული წოდება, არამედ ძალიან საპატიოდაც თვლის. „ქალი, რომელიც ამბობს, რომ კომპლიმენტი – „სექსუალური“ არ სიამოვნებს, აშკარად ტყუის. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ქალისთვის ეს საუკეთესო კომპლიმენტია. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ შოუბიზნესის წარმომადგენელთა შორის ყველაზე სექსუალურ ქალად დამასახელეს და მიღწეულზე შეჩერებას არ ვაპირებ!“ – განაცხადა ჯენიფერმა.

თავის მხრივ, მამაკაცთა პოპულარული ჟურნალის FHM-ის მფლობელები გამარჯვებულთ აღფრთოვანებულნი დარჩნენ და ლოპესს მართლაც დიდებული საჩუქარი – ახალი, ოქროსფერი Jaguar XKR 3.8 უსახსოვრეს.



რჩევები

რუბრიკას უძღვება *„ეკიმი“*
თამარ მამასაშვილი



სრულფასოვანია თუ არა თქვენი საკვები?

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე თქვენთვის კარგად ცნობილი მოვლენების გამო, სამწუხაროდ, არაერთი ადამიანი (განსაკუთრებით ისინი, ვინც მთელი დღე შინიდანაა გასული) იძულებულია, არანორმალურად იკვებოს და კუჭი „აივოსოს“ სრულიად უსარგებლო საკვებით. ჩიპებით და ჰოთდოგებით დანაყრება შეუძლებელია, შიმშილის გრძობას ისინი მხოლოდ მცირე ხნით უკლავს ადამიანს, მაგრამ მთავარი საშიშროება ის არის, რომ მსგავსი პროდუქტებით გამოდმებით კვებამ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო გასტრიტი (კუჭის ლორწოვანის ანთება), არამედ ორგანიზმის ცხოველქმედებისათვის აუცილებელი მრავალი კომპონენტის დეფიციტი.

საკვები, რომლითაც ხშირად წაისაუზმებთ ხოლმე, ძირითადად ნახშირწყლებისაგან შედგება, მაგრამ ყველა ნახშირწყალი ერთნაირად სასარგებლო როდია. ისინი იყოფა მარტივ და რთულ ნახშირწყლებად. მარტივი ნახშირწყლები შედის შაქარში, თაფლში, ტკბილეულში. მათი ნორმა დღეში 80-100 გ-ია, ხოლო ასაკთან ერთად – მცირდება. რთული ნახშირწყლებიდან (ბოსტნეულიდან, ფაფებიდან) მარტივის წარმოსაქმნელად ორგანიზმს დრო სჭირდება, მაგრამ ისინი უფრო სასარგებლოა: ვიდრე რთული ნახშირწყლების მონელება ხდება, სისხლში გლუკოზის წონასწორობა მყარდება.

ჩვენი ორგანიზმი ნახშირწყლებთან ერთად ცხიმებსა და ცილებსაც საჭიროებს. ცილები ასევე სხვადასხვაგვარი არსებობს. სრულფასოვნად ისეთი ცილა ითვლება, რომელიც ამინომჟავებს შეიცავს.

ასეთია მხოლოდ ცხოველური წარმოშობის ცილები (თევზული, ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი). მცენარეული პროდუქტებიც შეიცავს ცილებს, მაგრამ ისინი (სოიის ცილების გარდა) თავისი შემადგენლობით არასრულფასოვანია. სწორედ ამიტომ, ზემოხსენებულ ჩიპებსა და სხვა მსგავს პროდუქტებში ცილები არა მხოლოდ მცირე რაოდენობით შედის, არამედ ამავე დროს, ისინი არასრულფასოვანია.

სოსისი და ჰამბურგერები თითქოსდა ხორცის პროდუქტებს წარმოადგენს, მაგრამ თუ კარგად ჩაუღრმავდებით, ისინი ამავე დროს კონსერვანტებსაც შეიცავს და თან დამზადებულია უხარისხო ხორცისაგან; ხარისხი განსაკუთრებით საეჭვოა მაშინ, თუ მათ ქუჩის დახლებზე შეიძენთ. რაც შეეხება ძეხვეულს, მათში ხშირადაა დარღვეული ცილისა და ცხიმის შეფარდებითი ნორმა, რის გამოც იგი უფრო ცხიმოვანი პროდუქტია. არ შეიძლება სრულფასოვნად ჩაითვალოს იმიტომაც, რომ მასში ხშირადაა გამოყენებული არომატიზატორები, ფერისა და გემოს მიმცემი დანამატები. ამდენად, ადამიანის ყოველდღიურ რაციონში არ არის მიზანშეწონილი ძეხვეულის შეტანა.

ყველასათვის საყვარელი ძეხვიანი ბუტერბროდი არც ისე უვნებელია, როგორც გვეჩვენება. პური – ისევე და ისევე ნახშირწყლებია, ძეხვი – ცხიმი. გამოდის, რომ ცილა ისევე არ მიევილია. ასეთი პროდუქტების მეორე დიდი პრობლემა კონსერვანტები, ხოლო მესამე – ნატურალური გემოს საიმიტაციო დანამატები, რომლებიც კვებით ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ ორგანიზმის დეტოქსიკაციური (გამწმენდი) ძალების გადაძაბვას საჭიროებს (პირველ რიგში, ეს შეეხება ლეიძლს).

თუ ადამიანის ორგანიზმი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იღებს საჭირო საკვებ ნივთიერებებს, მას შეიძლება განუვითარდეს სხვადასხვა დაავადება: კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებები (წყლულოვანი დაავადება, გასტრიტი) – რადგან ორგანიზმი ვეღარ აშენებს ახალ უჯრედებს (ცილის დეფიციტის გამო) დაშლილ უჯრედთა სანაცვლოდ.

სიმსუქნე – თუკი საკვებში ჭარბობს ცხოველური ცხიმები; არ შედის ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები.

კალციუმის დეფიციტი ძვლების გამყიფებას იწვევს, რკინის დეფიციტი – ჰემოგლობინის დაცემას. უჯრედისი ადამიანს მსხვილი ნაწლავის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება. მისი

დისფუნქცია ყაზობას, ნივთიერებათა ცვლისა და მონელების დარღვევებს იწვევს. კვების რეჟიმის მოშლის შედეგი შეიძლება გახდეს ჰიპერტონიული დაავადება (წნევა), შაქრიანი დიაბეტი, ათეროსკლეროზი. საერთო შედეგად კი ზოგად გადაღლას და იმუნიტეტის დაქვეითებას ვლებულობთ ხოლმე.

მაშ, როგორ ვიკვებოთ?

საერთოდ, დაუშვებელია სწრაფი კვება. წახმების დროსაც კი, საკვები კარგად უნდა დალეკოთ. დღის განმავლობაში აუცილებლად უნდა გამონახოთ დრო (იდეალურ შემთხვევაში საუზმის, სადილისა და ვახშმისათვის), რომ დაჯდეთ სუფრასთან და მიირთვათ ცხელი, სრულფასოვანი საკვები, რომელიც მარცვლულს, თევზულს, ხილს, ხორცს, რძის პროდუქტებს შეიცავს. რეგულარულობა და მრავალფეროვნება კვების აუცილებელი ასპექტებია; თუ გარეთ გიწვევთ წახმება, შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი ჯანსაღი პროდუქტები:

ხილი – ვაშლი, ბანანი, მანდარინი, ფორთოხალი;

თხილეული – კაკალი, ნუში, არაქისი, თხილი.

რძემჟავა პროდუქტები – მაწონი, ხაჭო, იოგურტი. საერთოდ რძის პროდუქტები ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლოა, რადგან ერთდროულად შეიცავს ცილას, ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, მიკროელემენტებს და ადვილად ათვისებდა ცხიმს.

ორცხობილა ან ფუნთოშა რძით (თუ გამხდარი ხართ).

მოხარშული კვერცხი – როგორც ცილების წყარო.

თმასაც ზრუნვა სჭირდება

დაბინძურებული გარემო, არასწორი კვება, სტრესები, მზის სხივები, ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედება, არასწორად შერჩეული შამპუნი – ეს ის ფაქტორებია, რომელიც გავლენას ახდენს თქვენი თმის მდგომარეობაზე. თმა უმიზეზოდ როდი კარგავს ჩვეულ ხიბლს. მისი ბზინვარებისა და ელასტიკურობის დაკარგვა, ქერტლის წარმოქმნა, კანის ცხიმბანობის ან სიმშრალის მომატება ის სიგნალებია, რომლითაც თმა საშველად გიხმობთ. ხშირად, სრულიად მარტივი მანიპულაციებიც კი საკმარისია ხოლმე თმის მდგომარეობისა და გარეგნული იერის გასაუმჯობესებლად.

როგორ ღავივარცხნოთ?

ძველად მიაჩნდათ, რომ თმისთვის სასარგებლოა ხანგრძლივი და ხშირი ვარცხნა, მაგრამ ეს რჩევა აქტუალური იყო მაშინ, როცა ადამიანები იშვიათად იბანდნენ თავს და ამ გზით იშორებდნენ ჭუჭყს. ამჟამად თმის მოვლის მთავარი წესი დამზოგველი, რბილი მოპყრობაა. დასავარცხნად გამოიყენეთ მეჩხერად დაკბილული სავარცხელი. ნუ ღავივარცხნით ხშირად, რათა თმა არ დააზიანოთ.



როგორ ღავივანოთ თავი?

კანის ზედაპირი იმ ეკოსისტემას შეიძლება შევადაროთ, რომელიც სხვადასხვა აგრესიულ ზემოქმედებათაგან დასაცავად განკუთვნილი, მაგრამ მრავალ ფაქტორთა (გარემო პირობები, სტრესები, დაავადებები) გავლენით ამ ეკოსისტემის ბალანსი ირღვევა და დამცველობითი ფუნქციაც სუსტდება. წარმოიქმნება პრობლემები, რომელიც ვლინდება თავის კანის გაღიზიანებით, ალერგიული რეაქციებით, თმის ცვენით, სებორეით (კანის ცხიმის გამოყოფის ავადმყოფური გაძლიერება)...

კანის დამცველობითი ფუნქციის შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით უამრავი საშუალებაა დღეისათვის შემუშავებული. მათ რიცხვს ეკუთვნის შამპუნები (მულტივიტამინური, აღმდგენი, მაკორექტირებელი, მარგულერებელი, გასამაგრებელი და სხვა), ბალზამები, თმის

რძეები, აღმდგენი ნიღბები. თავის ხშირი ბანა რბილი და სწორად შერჩეული შამპუნით, არავითარ ზიანს არ მოგიტანთ, პირიქით, თქვენს თმას მუდამ შესაშური ელვარება და სიმყარე ექნება.

როგორ გავიშროთ?

თავდაპირველად, თმა პირსახოციით შეიშრეთ. სველი თმა უფრო ადვილად ზიანდება, ამიტომ მისი დავარცხნა საჭიროა ძალიან ფრთხილად, მეჩხერებიანი სავარცხლით. გრძელი თმის დავარცხნა ბოლოებიდან უნდა დაიწყოთ და თანდათან მიუახლოვდეთ ძირებს. ვარცხნილობის დასაყენებლად გამაშრობელის (ფენის) გამოყენება აუცილებელია, მაგრამ გირჩევთ, იგი არც თუ ისე ხშირად და დიდი სიფრთხილით (ამუშავეთ მხოლოდ დაბალ რეჟიმში – გრილი ჰაერით) გამოიყენოთ.

როგორ გავიკეთოთ მასაჟი?

ეს პროცედურა ყოველთვის პოპულარული იყო და დღესაც იძენს აქტუალობას: გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თავის მასაჟი ეფექტურია თმის ცვენის დროს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და თმის ფოლიკულების კვებას. პროფესიონალური მასაჟი ბევრ სალონში კეთდება, მაგრამ მისი გაკეთება სახლშიც შეგიძლიათ სხვადასხვა თმის გასამაგრებელი საშუალებით, დაბანის წინ, აგრეთვე შხაპის მიღებისას. მოძრაობები უნდა იყოს მსუბუქი, ზერეულე; ინტენსიური მასაჟი ყველას არ უხდება.

რით ვიკვებოთ?

თმის გასამაგრებლად საუკეთესოა ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებელი დიეტა. ეცადეთ, მიიღოთ ნაკლები ცხოვებული ცხიმები, მარილები, შაქრები და მეტი – ხილი, ახალი მწვანილეული, პურეული. ყოველდღიურად სვით 8 ჭიქამდე სითხე.

სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დიეტას თან უნდა ახლდეს პოლივიტამინებისა და მინერალური დანამატების (განსაკუთრებით თუთიის; რკინის, სელენიუმის და ბიოტინის შემცველი) მიღება. მათი უკმარისობა თმის ცვენას იწვევს. ზოგჯერ თმის ცვენის მიზეზი სტრესიც ხდება. ასეთ დროს B ჯგუფის ვიტამინები დაგეხმარებათ.

პროფილაქტიკა - მკურნალობა

ეპილეფსია

ეპილეფსია უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამ დაავადების თავისებურება – ცნობიერების უეცარი დაკარგვა, კრუნჩხვები, პირზე ქაფი, უნებლიე შარდვა, საზარელ შთაბეჭდილებას ტოვებს გარშემომყოფებზე და თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ეპილეფსიური გულყრის მიზეზი დიდი ხნის განმავლობაში შეუცნობელი იყო, გასაგებია, რატომ იყო იგი მოცული მისტიკური ბურუსით. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ ამ დაავადებას, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ხან წმინდა დაავადებას უწოდებდნენ, ხან ღმერთურს, ხანაც – საკომიტეტო დაავადებას (ძველ რომში თუ ეპილეფსიური გულყრა განუვითარდებოდა სენატის რომელიმე წევრს, სენატის სხდომა წყდებოდა). ძველად ამ დაავადების წარმოშობას უკავშირებდნენ ციურ მნათობთა გავლენას (აქედან – სამთვარიო დაავადება).

ეპილეფსია საკმაოდ გავრცელებული სენია. მსოფლიოში ეპილეფსიით დაავადებული მილიონობით ადამიანი აღირიცხება. ამ დაავადების სინშირე ბავშვთა ასაკში მეტად დიდია. ანგარიშგასაწვევია ის გარემოებაც, რომ სწორედ ბავშვთა ასაკში იწყება მოზრდილთა ეპილეფსიის ჩამოყალიბება და განვითარება.

არის თუ არა ეპილეფსია მემკვიდრული დაავადება? დაბე-

ჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობით გადაეცემა არა თავად ეპილეფსიური დაავადება, არამედ თავის ტვინის „მზადყოფნა“ კრუნჩხვებისადმი. დადგენილია, რომ ეპილეფსიის განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს როგორც შინაგან, ისე გარეგან ფაქტორებს ე.ი. ეპილეფსია, რთული დაავადებაა და იგი განისაზღვრება ძირითადად სამი ფაქტორით: კრუნჩხვითი „მზადყოფნით“, თავის ტვინის უჯრედების სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებებითა და მაპროვოცირებელი ფაქტორით. ამის გამო მკურნალობის დროს უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს ფაქტორი და მკურნალობა ისე უნდა წარმართოთ, რომ პათოლოგიური ჯაჭვის ყველა ცალკეულ რგოლზე ვიმოქმედოთ. ამიტომ კატეგორიულად დაუშვებელია, ეპილეფსიით დაავადებული ბავშვის „მკურნალობის“ ნდობა ექიმბავშვისა და სხვა პირთათვის, რომელნიც მედიცინაში გაუთვითცნობიერებულნი არიან და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ამ დაავადების ბუნებაზე.

რით არის განპირობებული, რომ ეპილეფსიური შეტევა ბავშვებში უფრო ხშირია? ბავშვის ტვინი მოზრდილი ადამიანის ტვინთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია, მისი ქერქი ნაკლებად დიფერენცირებულია, ამით აისხნება ტვინის ქერქის შემაკავებელი მექანიზმების უკმარისობა. ყველაფერი ეს

კი ხელს უწყობს ბავშვის ტვინის მზადყოფნას კრუნჩხვებისადმი.

ეპილეფსიის განვითარების მიზეზი მრავალია, მაგრამ მინც შეიძლება გამოვყოთ ძირითადი: ნაყოფის თავის ტვინის დაზიანება მუცლად ყოფნის დროს, დედის ავადმყოფობა ორსულობისას, უარყოფითი ემოციები ამ პერიოდში. ნაყოფისა და ახალშობილის ტვინის დაზიანება გართულებული მშობიარობის დროს (სამეანო მამუბის დაღება, ვაკუუმ-ექსტრაქტორი და სხვა). განსაკუთრებით დიდია ინფექციებისა და ინტოქსიკაციების როლი ბავშვთა ასაკის ეპილეფსიის განვითარებაში. ეპილეფსიის განვითარების ერთ-ერთი პირობაა აგრეთვე მშობლების ლოთობა, ბავშვის ჩასახვა ნაწვამ მდგომარეობაში.

ეპილეფსიის ძირითადი ნიშანი – ეპილეფსიური გულყრა, საში სახით ვლინდება: დიდი ეპილეფსიური გულყრა, მცირე შეტევები და ე.წ. ავტომატიზმები. დიდი გულყრა ზემოთ უკვე აღვწერთ. მცირე გულყრის დროს ხდება ცნობიერების ხანმოკლე, უეცარი გამოთიშვა, რის შემდეგ სწრაფად აღდგება ნორმალური მდგომარეობა: შეტევის დროს ბავშვი არ ეცემა. ბავშვს დღის განმავლობაში შეიძლება რამდენიმე ათეული ასეთი შეტევა ჰქონდეს. ეპილეფსიის თავისებური ფორმაა ე.წ. ავტომატიზმის შეტევები, რომლის დროსაც ავადმყოფი უაზროდ მოქმედებს.

ბავშვებს ხშირად უვითარდებათ კრუნჩხვები სიცხის აწევის დროს. ასეთი კრუნჩხვებიც საკვციალურ შესწავლას მოითხოვს, ვინაიდან ის შეიძლება ეპილეფსიაში გადაიზარდოს. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ე.წ. სპაზმოფილური შეტევა ბავშვებში, ვინაიდან ჭეშმარიტი სპაზმოფილური შეტე-

ვა იშვიათია და სინამდვილეში ეპილეფსიურ შეტევასთან გვაქვს საქმე.

ეპილეფსიის მკურნალობა საში მიმართულებით უნდა წარმართოს: მედიკამენტური, კვებისა და ცხოვრების რეჟიმის ორგანიზაცია და მაპროვოცირებელი ფაქტორების არიდება. მკურნალობა წარმოებს სისტემატურად, მკურნალობის პროცესი მოიცავს 5-7 წელს, ზოგჯერ კი საჭირო ხდება მედიკამენტური მკურნალობა ათეული წლის განმავლობაში. დაუშვებელია მკურნალობის უეცარი, თვითნებური შეწყვეტა, ამას შეიძლება მოჰყვეს ე.წ. ეპილეფსიური სტატუსის განვითარება, დიდი გულყრების ერთი მეორის მიყოლებით განვითარება და ავადმყოფი შეიძლება დაიღუპოს. მშობლებმა კარგად უნდა დაიმსხვინონ, რომ გულყრების შეწყვეტა არ ნიშნავს გაჯანსაღებას, გულყრების შეწყვეტის შემდეგ მედიკამენტური მკურნალობა უნდა გააგრძელოთ 5-7 წლის განმავლობაში. კვების მხრივ, პირველ რიგში უნდა შევზღუდოთ სუფრის მარილისა და სითხის ჭარბი მიღება. რაც შეეხება ცხოვრების რეჟიმს, თუ ეპილეფსიით დაავადებული ბავშვი გონებრივად ჩამორჩენილი არ არის, მან ჩვეულებრივ სკოლაში უნდა ისწავლოს. ბავშვს საკმარისად უნდა ეძინოს (მაგრამ ძლიერ ხანგრძლივად – არა). მან ყოველთვის ერთსა და იმავე დროს უნდა დაიძინოს. ტელეეკრანი და კომპიუტერი გულყრის მაპროვოცირებელ ფაქტორს წარმოადგენს. ყოველად დაუშვებელია ტელევიზორის ყურება ჩაბნელებულ ოთახში.

ეპილეფსია არ არის განუკურნებელი დაავადება, მაგრამ დიდ ყურადღებას და მოთმინებას მოითხოვს, როგორც თვით ავადმყოფის, ისე მისი ახლობლების მხრიდან.



სურნელოვანი, სასარგებლოც

ზამთრის თვეებში, როცა ხილი და ბოსტნეული მოილია, ვირჩევთ გაიხსენოთ სურნელოვანი საწებლები, რომლებიც მრავალი დაავადების დროს დაგეხმარებათ.

ილი

ხალხურ მედიცინაში ილი გამოიყენება, როგორც მადის აღმძვრელი, გამწმენდი საშუალება. იგი აუმჯობესებს სხვა წამლების გემოსა და სუნს. სუფთა სახ-

ით ილის ნაყენი იშვიათად გამოიყენება, სამაგიეროდ, სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში, იგი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, კარგია მეტეორიზმის (ჭარბი გაზის გამოყოფის), ნაწლავთა ატონიის (ძილუნების) დროს, აჩერებს გულისრევას, ღებინებას.

მუსკატის ქაჯალი

მუსკატის ხის თესლი – მუსკატის კაკალი შეიცავს ეთერზეთებს, ცილებს, სასამებელს. მისი ეთერზეთი მცირე დოზით შუღის სხვადასხვა ზოგადგამაჯანსაღებელ და კუჭის სამკურნალო საშუალებებში.

● გაცივებისა და რევმატიული ტკივილების დროს მუსკატის ზეის გარედან შესახელად იყენებენ ქაფურისა და ევკალიპტის ზეთებთან ერთად (1:1:1).

● ვინც მუსკატის კაკალს ზომიერად იყენებს ყოველდღიურ საკვებში, მას შეუძლია სრულიად განსხვავებული და დახვეწილი კერძების მომზადება. მუსკატის კაკალს უმატებენ კარტოფილის საღაოს, მაკარონს, ბოსტნეულის წვნანს, თევზუქოს, სოკოს, ხორციანი ღვეზლის გულს. გარწმუნებთ, გემრიელია და თან ძალიან სასარგებლო!

● მუსკატის კაკალი ასტიმულირებს ნაღვლის წარმოქმნას ღვიძლში და მის

გამოყოფას: იგი ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებათა დროს დიეტური საკვების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

● ფიტოთერაპევტები გვირჩევენ მუსკატის კაკლის გამოყენებას სტენოკარდიის (გულის არეში ტკივილის) დროს. იგი მკვეთრად ამცირებს ტკივილების სისხშირეს და ინტენსივობას.

მუსკატის კაკლის ანტისტრესული მოქმედება გამოიყენება გულის იშემიური დაავადების, ნეკროზების, ასთმური მდგომარეობების და ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს (გაფანტული სკლეროზი, ენცეფალოპათია, ფსიქიკის ასაკობრივი ცვლილებები).

ფროთხილად იყავით!

მუსკატის კაკლის მიღებისას, დოზის ერთჯერადი გადამეტებაც კი იწვევს ისეთ ზიზღს, რომ აღარასოდეს გაგიჩნდებათ მისი გასინჯვის სურვილი. საწებლები წინააღმდეგნაჩვენებია ორსულთათვის, რადგან იწვევს აბორტებს. დიდი რაოდენობით მისმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს გულის ფრიალი, მუცლის შებერელობა.

კითხვა



პასუხი

კითხვა: მე და ჩემი მეზობელი შეეკამათეთ: ის მიმოტიციებს, რომ ბევრი ჩაის სმა მავნებელია ჯანმრთელობისათვის, ხოლო ჩემი დაკვირვებით – პირიქით, სასარგებლოა. დღეში ვსვამ 10 ჭიქამდე (ზოგჯერ მეტსაც) ჩაის და ჯანმრთელობას არ ვუჩივი. ვარ 72 წლის. იქნებ გამარკვიოთ, ვინ არის ჩვენ შორის მართალი?

პასუხი: ჩაი არა მხოლოდ აფხიზლებს ორგანიზმს, არამედ ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლოცაა. ხშირად გაიგონებთ, რომ ჩაი იწვევს უძილობას, შარდის შეუკავებლობას, მოღუნებას, უღონობას, შიშებს, თავბრუსხვევას, მხედველობის დაქვეითებას, ნერვულ შეტევებს, სახის ფერის დაკარგვას. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სახეობის ჩაის სვამთ და როგორ აყენებთ მას.

მაგალითად, დადგენილია, რომ ჩაის ერთი და იგივე პორციის რამდენჯერმე დაყენება ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს. ჩაის ფერი ყოველთვის ახალი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაი წამლიდან საწამლადაც იქცევა ხოლმე. არ არის რეკომენდებული ძალიან მაგარი ჩაის დალევა ძილის წინ: შესაძლოა, ვეღარ დაიძინოთ.

ჩაი ოდითგანვე სახელი გაითქვა, როგორც სამკურნალო მცენარე. ადამიანებმა შენიშნეს, რომ იგი ასტიმულირებს ორგანიზმის ცხოველქმედებას, აძლიერებს შრომისუნარიანობას, ხსნის დაღლილობას. მოგვიანებით დადგინდა, რომ ჩაი არა მხოლოდ მკურნალია, არამედ შიმშილის გრძნობის დამთრგუნველიცაა.

ჩაი მოქმედებს როგორც კარგი სამკურნალო საშუალება კუჭის ფუნქციის დარღვევების დროს, ამასთან, მწვავე მოშლილობისას, ჩაი ფაქტობრივად კვების ერთადერთ საშუალებად რჩება ხოლმე ავადმყოფისათვის. ჩაის აქვს ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების აღსორბევის უნარი და ამიტომ დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე. იგი საჭმლის მომწელებელ ორგანოებს არა მხოლოდ მიკრობებისაგან ასუფთავებს, არამედ თავისებურ ქიმიურ წმენდას უტარებს კუჭს, თირკმლებს და ნაწილობრივ ღვიძლსაც. ჩაი ხელს უწყობს საჭმლის ათვისებას, აადვილებს მონელების პროცესს, უქმნის მას ოპტიმალურ პირობებს და ამით ხელს უშლის საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაზიანებას.

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ჩაი ეფექტური პროფილაქტიკური საშუალებაა ღვიძლში, თირკმლებში და შარდის ბუშტში კენჭების გაჩენის წინააღმდეგ. ჩაი ხელს უწყობს ღვიძლში, თირკმელში, ელენთაში, თირკმელზედა ჯირკვლებში C ვიტამინ-

ნის დაგროვებას, რაც აადვილებს ამ ორგანოების მუშაობას ჯანმრთელ ადამიანში, ხოლო დაავადებულში, ხელს უწყობს მათ სწრაფ განკურნებას. ჩაის გამწმენდი თვისებები დადებითად მოქმედებს ჩვენს ლიმფურ სისტემაზეც.

რაც შეეხება სუნთქვის ორგანოებს, აღსანიშნავია, რომ ჩაის სმის დროს ფილტვების მიერ შესუნთქული ჰაერისა და მათ მიერ გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობა მატულობს, ე.ი. აქტიურდება სუნთქვის პროცესი. ამიტომ, რომ გაცივების და სუნთქვის ორგანოების ანთებითი დაავადებების დროს, რეკომენდებულია ჩაი, როგორც ოფლმდენი და სუნთქვის პროცესის მასტიმულირებელი საშუალება.

ჩაი იწვევს კანის ფორების გაფართოებას, მონაწილეობს ინტენსიურ ოფლენაში და ახდენს ფორების მექანიკურ და ქიმიურ წმენდას. ამდენად, ჩაი კომპლექსურ გამაჯანსაღებელ მოქმედებას ახდენს ყველა შინაგან ორგანოზე, რომელიც ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობს.

ჩაი სხვადასხვა ავიტამინოზის და კერძოდ, ცინკის სამკურნალოდაც გამოიყენება. იგი შესანიშნავად მოქმედებს სისხლმზად და გულ-სისხლძარღვთა სისტემებზე. ჩაიში შემავალი რკინის მარილები სისხლში წითელი ბურთულების (ერითროციტების) რაოდენობას ზრდის.

ჩაი დამამშვიდებლად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე: ხსნის სისხლძარღვთა სპაზმს, აფართოებს მათ და ამით აადვილებს სისხლის მიმოქცევის პროცესს, აწესრიგებს წნევას. ამიტომ ჰიპერტონიით დაავადებულთა მტკიცება, რომ მათთვის ჩაი საზიანოა, აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

ჩაი ამცირებს სისხლდენებს ღრძილებიდან, ხსნის შემუპებას.

ჩაიში შემავალი კოფეინი ხსნის თავის ტკივილს, აფხიზლებს ადამიანს, აძლევს მას უფრო ღრმა და კონცენტრირებული აზროვნების უნარს. ჩაის მეშვეობით შეგიძლიათ მოიხსნათ დაღლილობის გრძნობა.

საშუალო სიმაგრის თბილი ჩაი ღიმონით, შავი პილპილით და თაფლით – შარდმდენი და ოფლმდენი საშუალებაა სასუნთქი გზებისა და ფილტვების გაცივებისა და ანთებითი დაავადებების დროს. თუ შავი და

მწვანე ჩაის მაგარ ნაყენს გავაცივებთ და დაუშმატებთ ცოტა მშრალ ღვინოს (1 ჩ/კ ღვინო 1 ჭ/ჩ-ზე) – მიიღებთ თვალის გამოსარეცხ საშუალებას, რომელიც ეფექტურია ქუთუთოების ანთების, ლორწოვანის დაბინძურების დროს.

მწვანე ჩაის ღეჭვა ხსნის გულისრევის შეგრძნებას, ღებინებას ორსულებში, მათში, ვინც ვერ იტანს მგზავრობას.

ამდენად, ძვირფას მკითხველს უნდა ვაცნობოთ, რომ ნუ დაუჯერებს მეზობელს: გააგრძელოს ჩაის სმა და დაპატიჟოს მეზობელიც. ერთად ჩაის სმა კიდევ უფრო სასარგებლოა, ვიდრე განმარტოებით, რადგან ამ დროს იმართება ხოლმე გულითადი საუბარი, გაიწყდება ყველა დარდი და მშვიდდება თქვენი ნერვული სისტემა.




2001 წლის დამთავს
 ამერიკის შეერთებული
 შტატების ეკრანებზე
 გამოვიდა ფილმი, რომელიც
 საეკრანო რეჟორდსმენის –
 „ჰარი ჰოტერის“ ძირითად
 კონკურენტად არის
 მიჩნეული. რეჟისორმა პიტერ
 ჯექსონმა მსყურებელს
 წარუდგინა მომავალი
 კინოტრილოგიის –
 „ბეჭდების მბრძანებლის“ –
 პირველი სურათი,
 რომელსაც უმაღლესი მეორე
 ნაწილზე მუშაობის დაწყებაც
 მოჰყვა. ტრილოგიას
 იმთავითვე
 უწინასწარმეტყველებენ
 წარმატებას, უპირველესად
 იმიტომ, რომ მისი
 ლიტერატურული
 პირველწყარო – ჯონ
 ტოლკინის რომანი იძლევა
 ამის საფუძველს.



gulebis
 mbrZanebeli

„წარმოშობით“ აფრიკელი

მისი ცხოვრება ბიოგრაფებისთვის ეს-
 ოდენ სასურველი წვრილმანების სიუხ-
 ვით არ გამოირჩევა. მისი ბიოგრაფია
 თითქოს იმის შესაძლებლობასაც გამო-
 იცხავდა, რომ სოციალური ფენომ-
 ენისა და მასთან დაკავშირებუ-
 ლი სუბკულტურის აღ-
 მოცენების საფუძველი გამზ-
 დარიყო. პროფესორი
 ტოლკინი არც მესია, არც
 ბელადი და არც მასმე-
 დიის კერპი ყოფილა,
 ვიდრე XX საუკუნის
 მეორე ნახევრის ერთ-ერთ
 ყველაზე პოპულარულ
 წიგნს არ დაწერდა.



ჯონ რონალდ რუელ
 ტოლკინი (ზოგიერთი წყარო მის გვარს
 ტოლკუნად წერს) 1892 წლის 3 იან-
 ვრის ღამეს, აფრიკის სამხრეთში, ე.წ.
 ნარინჯისფერი რესპუბლიკის დედაქალაქ
 ბლუმფონტეინში დაიბადა. ბიჭის მშობლები
 საკმაოდ შეძლებულთა წრეს მიეკუთვნე-
 ბოდნენ. მათი წინაპრები ბირმინგემში ცხ-
 ოვრობდნენ, აფრიკაში კი, არტურ ტოლ-
 კინი შემოსავლის გაზრდის მიზნით გაემგ-
 ზავრა. თუმცა, აფრიკული ეგზოტიკის
 გარემოში დიდხანს დარჩენა ჯ.რ.რ-ს
 (როგორც ის შემდგომ თავის წიგნებს
 აწერდა ხელს) არ მოუხდა: სულ სამი
 წლისა, „ბეჭდების მბრძანებლის“ ავტორი,
 დელასა და უმცროს ძმასთან ერთად, წინა-

პართა სამშობლოში –
 ინგლისში ჩავიდა და მთე-
 ლი ცხოვრებაც იქ გაატარა.
 ერთი წლის შემდეგ, მო-
 მავალ მწერალს ბედმა პირვე-
 ლი ღარტყმა მიაყენა, რომელიც,
 პატარაობის გამო, მას
 არც კი გაუგია: მოუ-
 ლოდნელად აფ-
 რიკაში მამამისი
 გარდაიცვალა.
 გავიდა რამდენიმე
 წელიწადი და
 დედა, რომელიც
 მარტო ეწეოდა
 ოჯახის მძიმე ჭა-
 პანს, დიაბეტით
 დაავადდა და მალე
 ისიც მიჰყვა ქმარს. ობოლი ძმების მოე-
 ლა-პატრონობა დეიდამ იტვირთა. იმ
 დროიდან ტოლკინის უღრუბლო ბავშ-
 ვობას წერტილი დაესვა...
 შემდეგ ის სწავლობდა ოქსფორდში,
 პირველი მსოფლიო ომის დროს, მოქმედი
 არმიის შემადგენლობაში იყო და მის
 დასასრულს საფრანგეთში, ლეიტენანტის
 წოდებით შეხვდა, შემდეგ – 1926 წელს,
 ედიტ ბრატზე დაქორწინდა, რომელიც
 ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში უყვარდა.
 დანარჩენი ნახევარი საუკუნე, რომელიც
 ბედმა არგუნა, საოცრად წყნარი ცხოვრე-
 ბით ცხოვრობდა.
 შუა საუკუნეების სპეციალისტი, ოქს-

ფორდის პატივცემული პროფესორი,
 გამოჩენილი მწერლების – კლაივ სტეპლზ
 ლუისისა და ჩარლზ უილიამსის (რომ-
 ლებთან ერთადაც, ინტელექტუალთა
 თავისებური ორდენი – THE LIKLINGS –
 ქარაგმები დააარსა) ახლო მეგობარი,
 რამდენადმე მოძველებულ შეხედულება-
 თა მიმდევარი მეოჯახე, მოსიყვარულე მამა
 და მეუღლე – ყველა ეს და მსგავსი
 განსაზღვრებები იმის ვარაუდის უფლე-
 ბას მოგვცემდა, რომ გვეთქვა – საკმაოდ
 უფერულ ადამიანთან გვაქვს საქმე-თქო,
 ერთი გარემოება რომ არა. ეს მისი
 წიგნებია.
 დაახლოებით 1930 წელს „ახალგა-
 მომცვარმა“ პროფესორმა, ანგლო-საქსური
 ლიტერატურის სპეციალისტმა, ჩვეული
 საქმიანობისგან მოცალეობის ფაშს ხელი
 მიჰყო ზღაპრის წერას, რომლის გმირები,
 სასაცილო ხალხი – ჰობიტები. ჰობი-
 ტი ბილბო ბეგინსი, მეგობრებთან ერთად,
 დრაკონის მოსაკლავად მიემგზავრება;
 ჰკლავს მას, განძსა და ჯადოსნურ ბე-
 ტედსაც პოულობს. გარკვეული დროის
 შემდეგ, მსოფლიო ლიტერატურაში ამ
 ბეჭედმა ხელყუმბარიდან ამოდრობილი
 რგოლის ეფექტი მოახდინა...
 ხელნაწერი დიდი ხნის მანძილზე იდო
 უძრავად და მხოლოდ 1936 წელს, მეგო-
 ბრების რჩევით, ტოლკინმა ის ლონდო-
 ნის გამომცემლობა ALLEN & UNWIN-ში
 გაავრცელა. თხელტანიანი წიგნი – „ჰო-
 ბიტი ანუ იქით და უკან“ – დღის სი-

ნათლევზე 19377 წელს გამოვიდა და ძალიან სწრაფადაც გაიყიდა, თუმცა „ბომბად“ არ ქცეულა. მიუხედავად ამისა, გამომცემლებმა ავტორს მისი გაგრძელება ურჩიეს.

სამყაროს შექმნა

ამან ტოლკინი დააფიქრა. მანამდე იგი თავს მწერლად არ მიიჩნევდა, თუმცა სიყრმის წლებში ლექსების წერა უცდია. თავდაპირველად, პროფესორმა მეცნიერისთვის ჩვეულ საქმეს მიჰყო ხელი. თავისი ზღაპარი ათასგვარი „მეცნიერული“ დამატება-განმარტებით შეაქმნო – შექმნა პერსონაჟთა გენეალოგიური ხეები, მოიგონა კალენდარი და ქრონოლოგია, მითოლოგია და სპეციალური ანბანიც კი, – რაც გამოცდილი ფილოლოგისა და ლინგვისტისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

შემდგომში ტოლკინს არაერთხელ უთქვამს, რომ თავადაც ვერ შეამჩნია, როგორ გადაიზარდა რაოდენობა ხარისხში: დამატება შინარსად იქცა და ზღაპრის საძირკველზე, აგურ-აგურ, მთელი სამყარო აღმოცენდა: შუამიწეთი ხომ არსებობდა, ქვეყნიერებას წარმოადგენს. ამ სამუშაომ იძენდა ჩაითრია პროფესორი, რომ გვერდების რაოდენობამ შეუმჩნევლად რამდენიმე ასეულს გადააბიჯა, დასასრული კი არა და არ ჩანდა.

მუშაობა ომმა შეაწყვეტინა. ფრონტზე ის ამჯერად, ასაკის გამო არ მოხვდა, მაგრამ მოვლენების მიღმა, არც წყნარი ოქსფორდი დარჩა: ქალაქს ხშირად გადიოდა დაჭრილებით სავსე ეშელონები, მის ჩრდილოეთით მდებარე კოვენტრი კი, გერმანიის ავიაციამ მიწასთან გაასწორა. ყოველივე ამის შედეგად, „ჰობიტს“ ახალი სახეები და დეტალები ემატებოდა, რომელიც ერთი შეხედვით, საკმაოდ შეუფერებელი იყო ზღაპრისთვის.

„ბეჭდების მბრძანებელი“ 40-იანი წლების დამლევისთვის დაიწერა. მისი მოცულობა და სიუჟეტური მასშტაბურობა, შეიძლება ითქვას, ჟანრის არაადეკვატურია: 3 ნაწილი, 1500 გვერდი, ორი წლის მანძილზე გაჭიმული მოქმედება, რომელსაც მანამდე 6,5 ათასი წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენათა ქრონოლოგია, 350-ზე მეტი პერსონაჟი, 60-მდე ლექსი, სიმღერა, ბალადა. რაც შეეხება ამ ლიტერატურული „ნამცხვრის“ სიუჟეტურ და შინაარსობრივ ფენებს, – ისინი საერთოდ არ ექვემდებარება ანგარიშს.

„ბეჭდების მბრძანებლის“ საგამომცემლო ანოტაცია ამგვარი შეიძლება იყოს: ეს არის წიგნი ჰობიტ ფრიდო ბეგინსის გმირული ლაშქრობის შესახებ, რომელსაც ბიძისგან – ბილბოსგან მემკვიდრეობით ერგო ჯადოსნური ბეჭედი, ქვეყანაზე ბატონობის საშუალებას რომ იძლევა. ფრიდოს ხელთა აქვს მთავარი ბეჭედი, რომელიც უხსოვარ დროს გამოადნეს, სულ კი, ორი ასეთი ბეჭედი არსებობს და მეორე ბოროტ ჯადოქარს – საურონს ჩაუვარდა ხელში. საურონი პირქუშ ქვეყანაში – მორდორში ცხოვრობს და მთელი შუამიწეთის დაპყრობას ლამობს. ფრიდოს ამოცანა ის არის, რომ შეაღწიოს მორდორში და გაანადგუროს თავისი ბეჭედი ცეცხლოვანი მთის წიაღში – სწორედ იქ, სადაც თავის დროზე გამოადნეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის თავისუფალი ადამიანის არჩევანის წინაშე დგას: უარი



ითქვას ძალაუფლებაზე იმის ნაცვლად, რომ „სიკეთის დასამკვიდრებლად მართოს“ – როგორც ეს ჩვეულებრივ, ზღაპრებში ხდება – და საბოლოოდ, კორუმპირებულ ხელისუფლებად და შემდეგ, მისსავე მსხვერპლად იქცეს – როგორც ეს, ჩვეულებრივ, ცხოვრებაში ხდება...

ფრიდო არც გმირია და არც სუპერმენი. თუ იმას დაეფიქვებო, რომ ეს ზღაპრის პერსონაჟი ჰობიტია, ის ჩვეულებრივ ობივალტელადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. მიუხედავად ამისა, ფრიდო შეუპოვრად ზიდავს თავის მძიმე ტვირთს, რადგან იცის, რომ მის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე ქვეყნის ბედია დამოკიდებული. ბოლოს ის პირნათლად ასრულებს თავის მისიას: ბეჭედი და, შესაბამისად, ძალაუფლების ცდუნება განადგურებულია, ბოროტი ძალა დამარცხებულია.

პირველმა გამომცემლობამ, რომელსაც ტოლკინმა ხელნაწერი გაუგზავნა, აღშფოთებულმა უარყო იგი: წიგნი მოვლენათა სტანდარტული მსვლელობით გამოირჩევა... ბოლოს და ბოლოს, ტრილოგია ისევ ნახსენებმა ALLEN & UNWIN-მა გამოსცა: პირველი ორი ტომი – „ბეჭდის სამმო“ და „ორი კოშკი“ 1954 წელს, მესამე – „მეფის დაბრუნება“ კი, ერთი წლის შემდეგ. ბომბი აფეთქდა.

გონების სამრდო

ამ გამომცემლობამ რამდენჯერმე გამოუშვა ზღაპარი და მას მუდამ წარმატება სდევდა თან. მაგრამ ნამდვილი ბუმი ტოლკინომანამ მამინ განიცადა, როცა წიგნს ამერიკულმა წიგნის ბაზარმა მიაყრო მზერა.

1965 წელს გამომცემლობამ BALLANTINE BOOKS-მა მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ტოლკინის ეპოპეა და მომ-





დევნო 6 წლის მანძილზე კიდევ 40-ჯერ გამოსცა იგი. სადღეისოდ ჰობიტების საგმირო საქმეების ამსახველი ამბავი მსოფლიოს ათობით ენაზეა ნათარგმნი და სხვადასხვა ქვეყანაში გამოსული წიგნების ჯამური ტირაჟი 100 მლნ ეგზემპლარს აჭარბებს.

მაგრამ არსებობს სრულიად სხვაგვარი სტატისტიკა, რომელიც გამობრძმედილ ანალიტიკოსებსაც კი აკვირვებს.

1960 წელს ფილოლოგმა მარჯორი უეიტმა ილინოისის უნივერსიტეტში, ტოლკინისადმი მიძღვნილი პირველი დისერტაცია დაიცვა. ამ ერთ „წვეთს“, ხუთწლიანი „გვალვა“ მოჰყვა, შემდეგ კი, „ჯეებირი“ გაირღვა: 60-იანი წლების მეორე ნახევარში, მარტო ინგლისურ ენაზე, ტოლკინის შემოქმედებისადმი მიძღვნილი 6 წიგნი გამოიცა, 70-იან წლებში – უკვე 29, მომდევნო ორ ათწლეულში – ასამდე.

სამეცნიერო ტოლკინიანის სპექტრი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია, მისი შემოქმედებით ლიტერატურისმცოდნეები, ლინგვისტები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები, რელიგიათმცოდნეები, ანთროპოლოგები და პოლიტოლოგები დაინტერესდნენ და თავიანთი საფუძვლიანი ნაშრომების საგნად, ტრილოგიის სხვადასხვა ასპექტი აქციეს.

იმას, რომ „ბეჭდების მბრძანებელი“ მხოლოდ საბავშვო წიგნი არ არის, დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება. ალბათ მისი უპირველესი ღირსება ეს არის: ფორმით ეს მართლაც ზღაპარია, რომელიც ამ ჟანრის ყველა აუცილებელ ატრიბუტს შეიცავს, შინაარსით კი – ფილოსოფიური რომანია, ოღონდ იმდენად ხატოვნად და მსუბუქად დაწერილი, რომ მილიონობით ნორჩი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. მწერალი უდავოდ, ფენტეზის ჟანრის – მოზრდილთათვის განკუთვნილი ზღაპრის დიდოსტატია. მან თითქოს შეუთავსებელი კომპონენტების

შერწყმა მოახერხა – ერთ მთლიანობაში მოაქცია: მარადიული ფილოსოფიური ჭეშმარიტებანი და XX საუკუნის სავსებით კონკრეტული პრობლემატიკა, „სხეულისა“ და სულის თავგადასავალი, ძალაუფლების დრამა და ყოვლისმომცველი მითოლოგია.

ტოლკინმა პრაქტიკულად, ყველა მოაჯადოვა: მის წიგნებში შთაგონების წყაროს პოულობდნენ ფრიდის მიმდევრები, ეგზისტენციალისტები, პოსტმოდერნისტები, „ახალი“ მემარცხენეები და კონსერვატორი მემარჯვენეები, მისტიკოსები და ქრისტიანი თეოლოგები.

1973 წელს, ავტორის სიკვდილიდან ოთხი წლის შემდეგ, მწერლის შვილმა კრისტოფერმა, მისი ხელნაწერების მიხედვით, დასაბეჭდად კიდევ ერთი ტომი მოაშუადა. წიგნს „სიემარილიონი“ ჰქვია.

ამ წიგნმა დაჩრდილა ყველაფერი, რაც კი დასავლეთის საგამომცემლო საქმეში ყოფილა აქამდე. ეს არის პირველი ინგლისურენოვანი ბესტსელერი, რომლის მაგარყდიანი გამოცემის ტირაჟმა 1 მლნ ეგზემპლარს გადააჭარბა.

ტოლკინიანამ ჯერ კიდევ 60-იან წლებში იქნა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს ნაწარმოები უპირველესად, ამერიკული სტუდენტური ქალაქების – კემპუსების ბინადართა სამაგიდო წიგნად იქცა. დარბაისელი ბრიტანელი პროფესორი ერთბაშად, ახალი ცხოვრების მძიებელ მეამბოხეთა ზმურანი თაობის კერპად იქცა. და დღესაც, ნიუ-იორკის უბაში – გრინვიჩ-ვილიჯში, რომელიც

მამინ „მოზარდი-ყვაილების“ თაობის დაბადების ადგილი იყო, გაჭაღარავებულ ჰიპებს კვლავ აცვიათ მაისურები და უკეთილად სამკერდე ნიშნები, რომელსაც ამშვენებს წარწერები: „ფრიდო ცოცხალია!“, „წინ, მენდალფ!“

კინოსინჯი

შარშან ტოლკინიანის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც ავსტრალიელი რეჟისორის, პიტერ ჯექსონის პროექტთან არის დაკავშირებული. მისი გვემის თანახმად, ტრილოგიის მესამე ფილმი 2004 წელს გამოვა ეკრანებზე.


XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია აქამდეც უცდიათ, მაგრამ ვერც ორმა ინგლისურმა მულტფილმმა („ჰობიტი“ და „მეფის დაბრუნება“) და ვერც რეჟისორ რალფ ბაკშის ორსათიანმა სურათმა (1978 წ.), რომელიც „ბეჭდების მბრძანებლის“ პირველი ნაწილის მიხედვით შეიქმნა და აგრეთვე, ნახევრად მულტიპლიკაციური იყო, ტოლკინის თაყვანისმცემელთა მრავალმილიონიანი არმია ვერ დააკმაყოფილა.

როგორც ჩანს, ჯექსონის ჩანაფიქრი გაცილებით შედეგიანი იქნება. სამივე ფილმისთვის საჭირო ნატურას რეჟისორის სამშობლოში მიაგნეს. გადაღებები ახალ ზელანდიაშიც მიმდინარეობს, სადაც შუამიწეთის შესაფერისი საუცხოო პეიზაჟებია, რომელსაც ციფრული „გრემიც“ არ ესაჭიროება. რაც შეეხება კომპიუტერულ ეფექტებს – ამ მხრივაც ყველაფერი რიგზეა: უახლესი პროგრამა MASSIVE ჯექსონს 200 ათასზე მეტ ვირტუალურ სტატისტს სთავაზობს, რომელიც არაფრით გამოირჩევა ცოცხალი მსახიობებისგან (სხვათა შორის, რიდლი სკოტმა „გლადიატორში“ 50 ათასამდე ასეთი პერსონაჟი გამოიყენა).




კვირის (18 - 24 თებერვალი) ასპროლოგიური პროგნოზი

თქვენი - 20/II-20/II



თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობით, სელფასითა და კარიერით უკმაყოფილო ხართ, მაგრამ ნაქარვე გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, ირგვლივ მიმოიხედეთ და თავი დაიმშვიდეთ. რა დროს სამსახურზე ფიქრია - კვირის ბოლოს, საოცარი თავგადასავალი გელოთ.

მერკო - 21/III-20/IV




ორშაბათი და სამშაბათი ძალიან ხელსაყრელია ნებისმიერი პრაქტიკული პრობლემის მოსაგვარებლად. კვირის მეორე ნახევარში კი მრავალი შეხვედრა და დიდი ხნის უნახავი ნათესავების სტუმრობა გელოთ. უქმეებში თქვენს ცხოვრებაში მოულოდნელი და სასიამოვნო გარდატეხა მოხდება.

კურო - 21/IV-21/V




ერთადერთი ნეგატიური დღე თქვენთვის ამ კვირაში ოთხშაბათია - დადებითობა მოგეძლეებათ და ძალზედ იოლი დაბრკოლების გადალახვასაც კი ვერ შეძლებთ. კვირის დანარჩენ დღეებში, მართალია, ბევრი შრომა მოგიწევთ, მაგრამ წარმატება არ დააყოვნებს და თქვენი ავტორიტეტიც საგრძნობლად ამაღლდება.

მარსო - 22/V-21/VI



ღიღერიობის დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდებათ. არაჩვეულებრივ ორგანიზატორულ ნიჭს გამოავლენთ და ამით ნებისმიერ ადამიანს თქვენს მხარეს გადმოიბირებთ. კვირის ბოლოსათვის კი, შესაძლოა, შორეულ და ხანგრძლივ მივლინებაში გაემგზავროთ.

ბირენო - 22/VI-22/VII




ეს კვირა საკმაოდ მოულოდნელი და ერთი შეხედვით, სახიფათო მოვლენებით დიწყება, მაგრამ თავი ხელში აიყვანეთ და ნუ ეცდებით, ცვლილებები თავიდან აიცილოთ, რადგან ის ახლა, ისე გესაჭიროებათ, როგორც არასდროს. მით უმეტეს, რომ ნებისმიერი სიახლე თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

ლომი - 23/VII-23/VIII




თქვენი უტყუარი ალღო და ნებისმიერი პრობლემის არსში წვდომის არაჩვეულებრივი ნიჭი ძალიან დაგეხმარებათ იურიდიული დოკუმენტების გაფორმებასა და მომგებიანი კონტრაქტების დადებაში. პარასკევს თქვენს სამსახურში ბევრი უსიამოვნება მოხდება, მაგრამ ეს ყველაფერი პირადად თქვენ არ შეეხებათ.

ქალწული - 24/VIII-23/IX



ეს კვირა ნორმალურად ჩაივლის, თუ თქვენი სამუშაო, ინსტრუმენტთან და ქაღალდებთან არის დაკავშირებული და არა ადამიანებთან. მაგრამ თუ სამუშაოს სპეციფიკა ადამიანებთან ურთიერთობას მოითხოვს, პრობლემებს ვერ გაექცევით, რადგან მოზღვაებული ემოციები ყველაფერში ხელს შეგიშლით. და კიდევ, ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

სასწორი - 24/IX-23/X




მთელი კვირის მანძილზე გულჩათხრობილი იქნებით. ზედმეტად კრიტიკულად ნუ განსჯით საკუთარ თავს და ეცადეთ, უკეთ გაერკვეთ საკუთარ პრიორიტეტებში, მიზნებსა და ამოცანებში. თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, უქმე დღეებში ოპტიმიზმის ნაპერწკალიც ჩაგვსახებათ.

ღობისკალი - 24/X-22/XI



თუკი აქამდე ხსვის იმედზე ყოფნას იყავით მიჩვეული, დროა გადაეწვიოთ, რადგან ახლა თქვენს ცხოვრებაში ისეთი ეტაპი დგება, როცა ნებისმიერი საქმის წარმატებით დაგვირგვინებას მხოლოდ თვითდისციპლინითა და საკუთარი ძალეებით შეძლებთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ერთ ადგილზე ვერ ისვენებთ. მოზღვაებული ენერჯის წყალობით, დღის განმავლობაში ყველა საქმის მოგვარებას მოახერხებთ, საღამოობით კარგად დასვენებას და გართობასაც მოასწრებთ, დაძვენს, როგორც მოვესურვებათ, ისე გაატარებთ და დილაობით კვლავ გასაოცარი ენერჯით შეუდგებით საქმეს.

თხის რქა - 22/XII-20/I



ოთხშაბათამდე ყველაფერი ჩვეული რიტმით და მშვიდად მიედინება. მომდევნო დღეებში კი ძალიან დაძაბული იქნებით და ნებისმიერი შენიშვნა, მოთმინებიდან გამოვიყვანთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, პარასკევი მაინც პოზიტიური დღე იქნება. შაბათ-კვირას მეგობრებთან ერთად დაისვენეთ და ეცადეთ, ყველა პრობლემა დროებით მაინც დაივიწყოთ.

მარსო - 21/I-19/II



ეს კვირა არანორმალური სისწრაფით გაირბენს. მოვლენები, სახეები და ფრაზები თქვენს ცნობიერებაში წამიერად გაიფლავებს და გაქრება. მხოლოდ პარასკევისთვის შეძლებთ ამოსუნთქვას. ეს შესვენება გონივრულად გამოიყენეთ, თორემ შესაძლოა, თქვენმა მიჯნურმა მოიწყინოს.



როგორი თვითშეფასების უნარი გაქვთ?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს შესაბამისად არ აფასებს, ძალიან ახლობელი ადამიანების გარდა, თითქმის ვერავინ ამჩნევს და აფასებს. თუ დაფიქრდებით, მიხვდებით, რომ ადამიანი გარშემომყოფებზე ზეგავლენას თავისი ქცევების გარდა, კიდევ იმით ახდენს, თუ როგორ, რას და რამდენს ლაპარაკობს საკუთარ თავზე. შეამონშეთ თქვენი შეფასების უნარი, ქვემოთ მოყვანილი ტესტის მიხედვით და გაეცანით შედეგებს:

- 1) რა გრძნობა გეზადებათ, როცა სხვების გასაგონად გაქვებენ?
 - ა) სურვილი გიჩნდებათ, რომ თქვენზე უფრო მეტი კარგი რამ ილაპარაკონ - 0;
 - ბ) გსიამოვნებთ და შექებას ღირსეულად იფერებთ - 10;
 - გ) ოდნავ დაირცხვენთ, რადგან თქვენი აზრით, ამდენ ქებას არ იმსახურებთ - 20.
- 2) როგორ აფასებთ საკუთარ გარეგნობას?
 - ა) თქვენი გარეგნობით ამაყობთ და თავი ძალიან

- მოგწონთ - 0;
 - ბ) ფული რომ გქონდეთ, აუცილებლად გაიკეთებდით რაიმე პლასტიკურ ოპერაციას - 10;
 - გ) საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილო ხართ - 20.
- 3) გაკმაყოფილებთ თუ არა თქვენი სოციალური სტატუსი?
 - ა) დიახ - 0;
 - ბ) უკეთესს იმსახურებთ - 10;
 - გ) არა, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავთ - 20.
 - 4) ადვილად ამყარებთ თუ არა კონ-

- ტაქტს უცნობ ადამიანებთან?
 - ა) დიახ, თუ კარგ ხასიათზე ხართ - 0;
 - ბ) კონტაქტში ყოველთვის ადვილად შედიხართ - 10;
 - გ) არა, რადგან ჩვეულებრივ, თქვენს საუბარს არავინ უსმენს - 20.
- 5) ხშირად ნანობთ თქვენი საქციელის გამო?
 - ა) იშვიათად - 0;
 - ბ) არც ისე ხშირად, მაგრამ ასეთი რამ რამდენჯერმე მომხდარა - 10;
 - გ) ძალიან ხშირად - 20.
- 6) რას ფიქრობთ იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების შესახებ?
 - ა) მათი ხუმრობების მოსმენა არც გიყვართ და არ გსიამოვნებთ - 0;
 - ბ) მათ კომპანიაში ყოფნა ძალიან გსიამოვნებთ - 10;
 - გ) ასეთი ხალხის ფონზე თქვენი პიროვნული ღირსე-

- ბები უმეტესად შეუმჩნეველი რჩება - 20.
- 7) როგორ იქცევით, თუ გასურთ, რომ ახლობელ ადამიანს ასიამოვნოთ?
 - ა) უძღვნით მას ძვირფას საჩუქარს - 0;
 - ბ) ეტყვიან, თუ როდენ ძვირფასია იგი თქვენთვის და ეცდებით, შეუსრულოთ სანუკვარი ოცნება - 10;
 - გ) აჩუქებთ იმას, რაც მას სურს - 20.
- 8) რას ფიქრობთ იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც მუდამ ცდილობენ საკუთარი თავის სხვებზე უკეთესად წარმოჩენას?
 - ა) ეს ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობაა - 0;
 - ბ) ასეთი ადამიანები ცხოვრებაში სხვებზე მეტს აღწევენ - 10;
 - გ) მათი მოსმენისას უხერხულობის გრძნობა გიჩნდებათ - 20.

დააჯამეთ ძულეები

0-40 ქულა: საკუთარ თავს გადაჭარბებულად აფასებთ. ადამიანებს თქვენთან ურთიერთობა უჭირთ, რადგან გარშემომყოფებისგან ზედმეტი თვითკმაყოფილების კედელი გყოფთ. თქვენი ცხოვრებისეული კრედიტა — „მე მუდამ მართალი ვარ!“ ძალიან გიყვართ საკუთარი აზრის სახალხოდ გამოთქმა და ვერ იტანთ მცირე შეპასუხებასაც კი. სიტყვა „თვითკრიტიკა“ თქვენს ლექსიკონში არ არსებობს. ისე იქცევით, თითქოს დასახულ მიზანს უკვე მიაღწიეთ და გასურთ თქვენი ცხოვრება სხვისთვის სამაგალითოდ აქციოთ. შეიძლება ეს შედეგი არ მოგწონოთ, მაგრამ სცადეთ, შეხედოთ საკუთარ ქცევას გვერდიდან და გვერდნშუნეთ, რომ საკუთარ თავში ბევრი რამის შეცვლას მოისურვებთ.

50-100 ქულა: თქვენს შესაძლებლობებს რეალურად აფასებთ, მაგრამ ამავე დროს საკუთარ თავს ქვეშა-

რიტ ღირსებებსაც არ უკარგავთ. ეს მართლაც ოპტიმალური ვარიანტია და ამიტომაც გარშემომყოფებთან და საკუთარ თავთან სრული ჰარმონია გაქვთ დამყარებული. პრობლემების გადალახვა არ გიჭირთ, უკიდურესობაში არ ვარდებით და ამიტომაც, უმეტესად, რეალურ გამოსავალს პოულობთ ხოლმე. თქვენი ამ თვისებების გამო, რჩევებს ხშირად გეკითხებიან და თქვენც შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარებით.

110-160 ქულა: ეს შედეგი იმის მაჩვენებელია, რომ საკუთარ შესაძლებლობებს და პიროვნულ ღირსებებს შესაბამისად არ აფასებთ. შეიძლება განსაკუთრებულად ძლიერი ხასიათით და ნებისყოფით არ გამოირჩევით, მაგრამ სიკეთე და მოკრძალება ნამდვილად გახასიათებთ. ნუ მოგერიდებთ კამათში ჩაბმის, თქვენი რჩევა და აზრი შეიძლება ვინმესთვის საოცრად დროული და სასიკეთო აღმოჩნდეს.

შიშველი ქალი ავტომობილის საჭესთან



ეს ინციდენტი ვერმონტის შტატის ქალაქ ბურლინგტონში მოხდა. ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიდან პოლიციას აცნობეს, რომ სავაჭრო ცენტრის წინ, სრულიად შიშველი ქალი, ავტომობილის გატაცებას ცდილობდა. პოლიციის ერთ-ერთი ოფიცერი შემთხვევის ადგილზე გაეშურა და დამნაშავე დააკავა. მან ქალი საპატრულო მანქანის უკანა სავარძელზე დასვა და რაღაც მოსასხამის ძებნას შეუდგა. სანამ პოლიციელი საბარგულში იქექებოდა, ქალი წინა სავარძელზე გადადგრა, საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა.

პოლიცია დედიშობილა გამტაცებელს ქალაქის ცენტრში საკმაოდ დიდხანს დასდევდა. ქალის დაკავება მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როცა ის სხვა საპატრულო მანქანას დაეჯახა. ფლორიდის შტატის 33 წლის მკვიდრს ავტომობილის გატაცება, საგზაო წესების დარღვევა და პოლიციის ოფიცრის შეურაცხყოფა ედება ბრალად.

პოლიციელებმა იმის გარკვევა მაინც ვერ შეძლეს, თუ რატომ იყო ქალი შიშველი და, ბუნებრივია, ვერც მისი ტანსაცმელი იპოვეს, ამიტომ, დაკავების შემდეგ საოლქო ციხეში მიყვანისთანავე, სპორტული კოსტიუმით შემოსეს.

სახცაფში ნაპოვნი „დიდი დიქტატორი“

შვეიცარიაში ნაპოვნი უნიკალური კინოფირი, რომელიც „დიდი დიქტატორზე“ ჩარლი ჩაპლინის მუშაობის მომენტებს ასახავს. 16-მილიმეტრიან ფორზე აღბეჭდილი უნიკალური კადრების ოპერატორი, გამოჩენილი ხელოვნის უფროსი ძმა ყოფილა.

როგორც გაირკვა, ფირი წლების მანძილზე ინახებოდა ჩაპლინის უჩვეულის ტბასთან მდებარე სახლის სარდაფში. ის სულ ახლახან, მისმა შვილმა კრისტოფერმა, სარესტავრაციო სამუშაოების დროს აღმოაჩინა. ფირის ხანგრძლივობა 25 წუთია და ძალიან ძვირად ღირებულ აღმოჩნდა არის მიჩნეული, რადგან „დიდი დიქტატორის“ თავდაპირველ ჩანაფიქრსაც ხდის ფარდას: როგორც მისი წყალობით გაირკვა, ფილმი მოწინააღმდეგე არმიების დამპყრობლებისა და ჯარისკაცების ერთობლივი ცეკვის გრანდიოზული სცენით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ იმ დროისთვის მეტისმეტად რთულ ტექნიკას მოითხოვდა, ამიტომ ჩაპლინმა ფილმის ფინალი თავისი სამშვიდობო მონოლოგით შეცვალა...



დიდი ზღაპრის დასასხედი

მსოფლიოს ბავშვები ასტრიდ ლინდგრენს ეთხოვებიან: 94 წლის მწერალი ქალი, რომელმაც მილიონობით მოზარდს განუმეორებელი გმირები – კარლსონი, პეპი გრძელიწინა, ეპილი, რონი, რასმუსი და სხვები აჩუქა, რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.

თავისი ცხოვრების მანძილზე, ლინდგრენმა 84 წიგნი, 40 კინოსცენარი და რამდენიმე პიესა დაწერა. მისი ნაწარმოებები, პრაქტიკულად, ყველა ენაზე თარგმნილი. დიდი მებრძოლის წიგნების მსოფლიო ტირაჟის დასტა კი, სიმაღლით, ეიფელის კოშკზე 175-ჯერ მაღალი იქნებოდა.

ყველაზე გიჟი თმა... ყუხებში



ბიძი

ტიავის ყურების თმის სიგრძე 10,2 სანტიმეტრს აღწევს და დღესდღეობით ამ მხრივ, ტიავის ბადალი ნამდვილად არ ჰყავს.

ამ ცოტა ხნის წინ, გინესის წიგნში ინდოელი ტიაგი იმის წყალობით მოხვდა, რომ ყურებში რეკორდულად გრძელი თმა გაიზარდა.

ინდოეთის ქალაქ ბჰოპალის მკვიდრმა ტიაგიმ, ჯერ კიდევ 2001 წელს გააგზავნა გინესის რეკორდების წიგნის რედაქციაში წერილი – თავისი უნიკალური ყურების შესახებ და მას ფოტოსურათებიც დაურთო. გამოცემის ექსპერტებს ერთი წელი დასჭირდათ იმისთვის, რომ ბატონი ტიაგი ყველაზე გრძელთმიანი ყურების მქონე ადამიანად ეცნოთ და რეკორდების წიგნში შეეტანათ.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

ვულოცავთ ბატონ ვაჟას და ვუსურვებთ წარმატებებს!

„ტავი მოჩრა“

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაეარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოგომე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოგო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. ვთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩაავლეთ სამშაბათის (19 თებერვლის) 13 საათამდე.



„ფანტაზია“
„ტავი მოჩრა“



**„ფანტაზიორებს
მკითხველი“**
საპარკლის მოლოდინში

სიხლი

3960/2

2002-38



სიხლი

ფასი: 50 თეთრი

№2

12.02-25.02, 2002წ. საბირულ-იუმორისტული ჟურნალი

„კიდევაც დაიბრლებიან, ალგუს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი შესვამონ მტრისანი“... ქართველი კაცის გულიდან ამონახუთი ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, რადგან სამწუხაროდ, ჯავრიც ისევ არის და ლეკვების გაზრდასაც არ დადგა საშველი!

ქვეყანას კი კვლავ უჭირს, და კვლავ ალგეთელი ლეკვების იმედი აქვს — ლეკვი ლეკვია, მგლისა იქნება თუ ძაღლის, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ყველა იცოდეს!

ხალხი ბრძენიაო — უთქვამთ! ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ხალხის მოთმინების ფიალა დიდია, მაგრამ თუ აივსო, საშინელი სისასტიკით ამოხეთქავს მრისხანება! ეს დრო მოდის ახლა — ვიღაც ვიგინდარების წაქეზებით, უბეში გამოზრდილი ბიჭები დატოვა „აფსაიდში“ ჩვენმა პრეზიდენტმა, მერე? მერე ის, რომ უამრავი ხალხი დარჩა უმუშევრად — პანკისში საგრძნობლად იკლო ნარკოტიკის წარმოების სახელმწიფო გეგმის შესრულების პროცენტმა, პარალიზებულია სატრანსპორტო-საგამცილებლო ინდუსტრია, რომელიც ამ მიმართულებას ემსახურებოდა და... კატასტროფულად იკლო უცხოელი (განსაკუთრებით ესპანელი) „ტურისტების“ ნაკადმა ამ მიმართულებით. ერთი სიტყვით... ყველამ გაივო, რომ „რკინის კაცები“ სჭირდებოდა ქვეყანასა და პრეზიდენტს, და ბევრი არ უნდა ეტლიკინათ. პოლიში და თითზე კბენა გვიანი იქნებოდა, ისევ „მამა და მარჩენალი“ რომ არ გეყავდეს თავშენახული: მდინარეში კი არ გადაუყრია ლეკვები, როგორც გერასიმე — მუშუ, აჯამა, ასვა და მოვითხოვეთ თუ არა, გვი, ა — გვახლა: „ამათი ხმალი და თქვენი კისერი“ — მომავადობელი სიცილითი გვეუბნება.



№ 38
11/2

სიხლი
საბირულ-იუმორისტული

ჯანმრთელობა!